ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვლადიმერ გამსახურდია

ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ლალი სურმანიძე

უნივერსიტეტის გამომცემლობა

მარტი, 2016

სარჩევი

შესავალი 5

ეთნიკურობის კვლევა და ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - ნაციონალური ხასიათები 12

ინტერდისციპლინურობის მნიშვნელობა 13

სელფი და იდენტობა 15

მიმართება სელფსა და იდენტობას შორის 16

„კულტურის“ აღზევება 24

იდენტობა პოსტმოდერნულ რეალობაში 29

სოციალური და კოლექტიური იდენტობები 35

სოციალური იდენტობა 37

კოლექტიური იდენტობა 40

სამეცნიერო კვლევების სეპარატულობის პრობლემა 45

ეთნიკურობის კვლევის წანამძღვრები შუა საუკუნეების ფილოსოფიასა და ხალხთა ფსიქოლოგიაში 47

'ეთნოსი' – ტერმინის ისტორიული ფესვები 49

ნაციონალური ხასიათის კვლევები 51

სოციალური კონსტრუქციონიზმი 55

სოციალური კონსტრუქტივიზმი Vs. ფსევდო/ზომიერი ესენციალიზმი 63

ეთნიკურობა და ელიტების ინტერესი 70

იდენტობისა და ეთნიკურობის კვლევის თანაკვეთის წერტილები - ინტერდისციპლინური პერსპექტივა 76

კულტურის მნიშვნელობა 79

ნაწილი მეორე - მეთოდოლოგიის აღწერა 85

ნაწილი მეორე - კვლევის მეთოდოლოგია 86
ნაწილი მესამე - მონაცემთა ანალიზი 94
შესავალი 95
'ინდივიდუალისტური' ტენდენციები 98
'კოლექტივისტური' ტენდენციები 103
ეთნიკური იდენტობის სპონტანური იდენტიფიკაცია 106
ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მიზნები 107
სოციალური საზღვრები - კოგნიტური ასპექტი 114
სოციალური საზღვრები არ უდრის ფიზიკურს 116
ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული ემოციური ასპექტის შესახებ 118
წარმოდგენები წარსულის შესახებ 119
პოლიტიკური ფაქტორი 121
აღიარებაზე ორიენტირებული ქცევითი სტრატეგია - 'ეპატაჟი' 129
'კოლექტივისტური' ტენდენციები 135
ოჯახის განსაკუთრებული მნიშვნელობა 135
ჰომოგენურობა, კონფორმიზმი და შინაგანი სეგრეგაცია 139
კონფორმულობა 141
თანადგომა და ემპათია 142
სტუმარ-მასპინძლობა 143
სოციალური ურთიერთობების გახსნილობა 144
კონსერვატიული ღირებულებები 146
სექსუალური ტაბუ 146

რელიგია - მართლმადიდებლობა=ქართველობას? 150

უშინაარსო ტრადიციულობა 157

გარდაცვალებულთა და წინაპართა განსაკუთრებული პატივისცემა 159

საჯარო თავყრილობები - ეთნიკური იდენტობის რეპრეზენტაცია 161

'სუფრა' როგორც ქართველობის სიმბოლო 162

ნაცარქექია 168

ღმერთი და სუფრა 170

განსაკუთრებულობის განცდა - რაციონალური ნარატივი 174

სოციალური საზღვრები - მსგავსი და განსხვავებული ჯგუფები 178

მსგავსებები და განსხვავებები - კონკრეტული მონაცემები 180

შედეგები 186

საკვანძო დასკვნები 191

ბიბლიოგრაფია 202

ნაწილი პირველი - თეორია

შესავალი

თანამედროვე ადამიანები მუდმივად ცვალებად გარემოში ცხოვრობენ. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და ტელე/კინო პროდუქციის გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს შორის გაუცხოებას ამცირებს. კულტურული ელემენტები უფრო იოლად ვრცელდება ქვეყნიდან ქვეყანაში და აფერმკრთალებს მენტალურ საზღვრებს. ჩვენს თვალწინ დინამიკურად იქმნება თვისებრივად ახალი რეალობა.

დღეს, ინდივიდებისათვის საკუთარ თავში გარკვევა და გარემოში ორიენტირება იმაზე გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს თუნდაც 20-30 წლის წინ იყო შესაძლებელი. ადამიანები მუდმივად ინფორმაციული ნაკადების ძლიერ შემოტევებს ექვემდებარებიან და იდენტობათა ძიებაში არიან. ცხოვრება მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი კულტურული ელემენტების გარემოცვაში მიმდინარეობს. რაც დრო გადის, მით უფრო მეტად რთულდება ამ სამყაროში საკუთარი ადგილის პოვნა (Linger, 2007).

ეთნიკურ ჯგუფზე კუთვნილების განცდას პიროვნების ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია. საინტერესოა, რომ გლობალიზაციის ფონზე ეთნიკური იდენტობა ათწლეულების წინ გამოთქმული ვარაუდების საწინააღმდეგოდ არა თუ არ გაქრა, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს (Eller, 2009).

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, დიდი იმპერიების ნგრევისა და ურიცხვი კოლონიების განთავისუფლების შედეგად უამრავი ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი გაჩნდა. ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით აფრიკაში, ახალი საზღვრების დელიმიტაცია ხდება მექანიკურად, არსებული ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. ამის შედეგად, ზოგიერთი ეთნოსის ნაწილი სხვადასხვა სახელმწიფოში აღმოჩნდა მათთვის უცხო ხელისუფლების ქვეშ. (E.G. Nigeria; Sudan; Bosnia) (Shilington, 2012). ევრაზიის კონტინენტზე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში

არაერთი ეთნიკური უმცირესობა იწყებს/აძლიერებს თვითგამორკვევისა და თავისუფლების ძიების პროცესს (ბასკები, კატალონიელები, კოსოვოელი ალბანელები, ჩეჩნები, ხორვატები, ბოსნიელები, მაკედონიელები და ა. შ.) სხვადასხვა სახელმწიფოების შიგნით აღმოჩენილი განსხვავებული რელიგიისა და ეთნიკური კუთვნილების მქონე ჯგუფებს შორის ვითარდება დაძაბულობა. არაერთ ადგილას ვხვდებით მცირე თუ დიდი მასშტაბის კონფლიქტებს (სამხრეთ კავკასია; ჩრდილოეთ კავკასია; ახლო აღმოსავლეთი; მცირე აზია; ბალკანეთის ნახევარკუნძული). მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაციების შედეგად მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მთელი მსოფლიოს მასშტაბით უამრავი 'ცხელი წერტილი' ჩნდება (ყოფილი იუგოსლავია; ჩრდილოეთ ირლანდია; მალაიზია; კვიპროსი; აფრიკის უამრავი ქვეყანა, კავკასია). ვხედავთ, რომ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში 'წინასწარ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკის'[1] საპირისპიროდ, ეთნიკური და ნაციონალური საკითხები ახალ სიცოცხლეს იძენს (Nash, 1993; CNN; BBC).

კონფლიქტების ბუნება არაერთგვაროვანია. ზოგან ვხედავთ რეალურ ომს, ზოგან მხოლოდ პოლიტიკურ დაძაბულობას. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ თანამედროვე სოციალური მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გამოწვევად რჩება განსხვავებული სოციოპოლიტიკური ჯგუფების ფუნქციონირების თავისებურებების განსაზღვრა. ეს გამოწვევა განსაკუთრებით 'ეთნოსებს' ეხება.

შემოთავაზებული კვლევა მიზნად ისახავს უფრო გასაგები გახადოს ეთნიკური ჯგუფების მოქმედებებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებები. არსებულ ნაშრომში მოცემული ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია სამომავლოდ მაკრო სოციოკულტურულ ჯგუფებთან დაკავშირებული აკადემიური თუ სხვა აქტივობების განხორციელებისას.

[1] "წინასწარ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა ", გაბრიელ გარსია მარკესი - ავტორის შენიშვნა.

ყოველი განსხვავებული კონტექსტი ადგილობრივი კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებასა და სპეციფიური მოდელის შემუშავებას მოითხოვს. შესაბამისად, მიმდინარე ნაშრომში მოცემული ემპირიული მონაცემების პრაქტიკული ღირებულება შემოსაზღვრულია ეთნიკურ ქართველთა სოციოკულტურული არეალით. ქართველთა საცხოვრებელი არეალი მოიცავს საქართველოს და ასევე იმ სხვა უამრავ ქვეყანას, სადაც ქართველები ცხოვრობენ (ძირითადად ევროატლანტიკურ სივრცეში). თუმცა, მიღებული თეორიული მიგნებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას უნივერსალური მიზნებისთვისაც სხვა რეგიონებში მსგავსი კვლევების ვერიფიკაციისათვის. ცალკეული დასკვნები უნივერსალური კანონზომიერებების შესაძლო არსებობაზეც მიუთითებს. ასევე, თეორიული ანალიზის პროცესში ვისაუბრებთ ცალკეული კონსტრუქციების გადააზრებისა და მიდგომების განახლების აუცილებლობის შესახებ.

ეთნიკური იდენტობა ადამიანს დროსა და სემანტიკურ სივრცეში საკუთარი ადგილის პოვნაში ეხმარება (Стефаненко, 2009). ის ადამიანს ხელს უწყობს დაადგინოს საკუთარი მიმართება წარსულთან, იპოვოს საკუთარი ადგილი აწმყოში და განჭვრიტოს მომავალში საკუთარი პოზიცია მომავალში. ეთნიკური იდენტობა ადამიანს განუსაზღვრავს მის პოზიციას მსგავსი თუ განსხვავებული ადამიანების გარემოცვაში (Butler, 2004). ეთნიკურობასთან ასოცირებული მემკვიდრეობითობის პრინციპი ადამიანს 'მარადიულობის', საკუთარი თავის რაღაც მუდმივის ნაწილად განცდის შესაძლებლობას აძლევს.

ეთნიკური იდენტობის ოპტიმალური ხარისხის მიღწევა პოზიტიური ემოციების წყაროა (Wetherell M., 2009) და ფსიქიკური კომფორტის მიღწევას უწყობს ხელს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე სუპერდინამიურ სამყაროში, სადაც პერმანენტულად მიმდინარეობს მნიშვნელობათა გადაფასება და მაღალი სიხშირით იჩენს თავს ეგზისტენციალური კითხვა/პრობლემები (Fishman, 1980)

ეთნიკური იდენტობის მნიშვნელოვნებას ადასტურებს მისი დაცვის საბაბით განვითარებული დიდი თუ მცირემასშტაბიანი კონფლიქტები, რომლებსაც უხვად ვხედავთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით (Linger, 2007). ნათელია, რომ ეთნოსების მოქმედების ბუნების შესწავლა თანამედროვე პლურალისტულ სამყაროში არსებულ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს (Nagel, 1994, pp. 152-176).

ჩემი კვლევის ობიექტს **ეთნიკური ქართველები** წარმოადგენენ. მათი ძირითადი საცხოვრებელი არეალი საქართველოს რესპუბლიკაა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაშია.

საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა. სახელმწიფოს ოფიციალურად დეკლარირებულ მიზანს თანასწორობაზე დაფუძნებული დემოკრატიული და ინკლუზიური სამოქალაქო საზოგადოების განვითარება წარმოადგენს (Constitution of Georgian Republic, 1995). აღნიშნულ ამოცანას მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში არაერთი ხელახლა თუ ახლად შექმნილი სახელმწიფო შეეჭიდა. ლეგენდარული ამერიკელი კულტურული ანთროპოლოგი კლიფორდ გირცი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ტიპის სახელმწიფოში, სადაც განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ, საკმაოდ რთულად მიმდინარეობს ინკლუზიური და ინტეგრირებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. კლიფორდ გირცის თანახმად, ამ პროცესში ერთმანეთს ორი ტენდენცია უპირისპირდება. (1) ერთი გულისხმობს ინდივიდუალური/სოციალური ექსკლუზიური იდენტობის ძიებას. ამ ტიპის ძიება მომართულია საკუთარი უნიკალური ადგილის ძიებაზე. ადამიანებსა და ჯგუფებს სურთ, რომ საკუთარი პოზიცია დაიკავონ არსებული მრავალფეროვნების პირობებში. (2) მეორე ტენდენცია კი ეფექტური პოლიტიკური წესრიგისა და ცხოვრების მაღალი დონის მიღწევისკენ არის მიმართული. კლიფორდ გირცი ფიქრობს, რომ ეს ორი ტენდენცია თანამედროვე მრავალეთნიკურ სახელმწიფოებში წინააღმდეგობაში მოდის. წინააღმდეგობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მაღალი ცხოვრების დონის მიღწევისათვის სასურველია კონსოლიდირებული სამოქალაქო

საზოგადოების არსებობა. ამას კი ეწინააღმდეგება საკუთარი უნიკალური იდენტობის ძიებით განპირობებული დივერგენტული მოქმედებები, რომლებსაც მრავალეთნიკური სახელმწიფოების შემადგენელი ჯგუფები აწარმოებენ (Hutchinson & Smith, 1996). გირცმა აღნიშნული პრობლემის შესახებ ვარაუდი 40-იოდე წლის წინ გააჟღერა, თუმცა, ვფიქრობ, რომ საქართველოს მაგალითზე დღესაც იოლად შეგვიძლია დავინახოთ ამ საკითხის აქტუალურობა.

საქართველოს სახელმწიფოს შიგნით მრავალეთნიკური მოსახლეობის სრულფასოვანი ინტეგრაცია დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ოცდაექვსი წლის შემდეგაც მძიმედ მიმდინარეობს. შიდა სოციალური პროცესების გარდა, ვითარებას ართულებს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია, რაც ეთნიკურ ქართველთა შორის იდენტობის დაკარგვის შიშს აძლიერებს და ფსიქიკის არაცნობიერი დაცვითი მექანიზმების აქტივირებას აპროვოცირებს. ეს უკანასკნელი პროცესი კი განსხვავებული ჯგუფებისადმი მიმღებლობას, სავარაუდოდ, უნდა ამცირებდეს, რაც თანამედროვე ერი-სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

უკანასკნელი გამოკითხვების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები (85%) შეადგენენ. თუმცა, მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს, 15 %-ს სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობა წარმოადგენს. კერძოდ, ეთნიკური აზერბაიჯანელები მოსახლეობის 7 %-ს, ხოლო ეთნიკური სომხები - 6-%-ს შეადგენენ (CRRC, 2014). საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ნაწილი საუკუნეების მანძილზე მჭიდრო ინტერაქციაში იმყოფება ეთნიკურ ქართველებთან, ნაწილი კი შედარებით უფრო იზოლირებულად ცხოვრობს რეგიონებში.

კვლევას საფუძვლად ედო ვარაუდი, რომ ეთნიკურ ქართველებს (რომლებიც ჩემს საკვლევ ჯგუფს წარმოადგენენ) უნდა ახასიათებდეთ ტენდენცია თვითგამორკვევისა და საკუთარი იდენტობის გამოხატვისაკენ. აღნიშნული სწრაფვა, ჰიპოთეტურად, უნდა მიმდინარეობდეს ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან სოციალური

ინტერაქციის პროცესში საკუთარი ვინაობის განსაზღვრის საჭიროებიდან გამომდინარე (Barth, 1969).

პლიუს, ამგვარი ტენდენციის არსებობას აძლიერებს საფრთხე, რომლის შეგრძნებასაც შედარებით მცირერიცხოვანი ეთნიკური ქართველები გაცილებით დიდ სახელმწიფოსთან (რუსეთის ფედერაცია) კონკურენტულ მდგომარეობაში ყოფნის პირობებში განიცდიან. ამ ტიპის საფრთხის შეგრძნებას ამძაფრებს ისტორიული წინაპირობებიც - საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებული ოკუპაციის სამოცდაათწლიანი, ხოლო მანამდე რუსეთის იმპერიის პირობებში ასოცწლიანი პერიოდი (სულ 190), როდესაც ეთნიკურად ქართველებს არ ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო და რუსეთის იმპერიის ჩარჩოებში მცხოვრებ მხოლოდ ერთ-ერთ ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ. ამ განცდას, ასევე, აძლიერებს მუსლიმურ თურქეთთან უშუალო მეზობლობაც, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს დამპყრობელს წარმოადგენდა და დღესაც განსხვავებული კულტურის ექსპანსიის რეალურ თუ პოტენციურ წყაროდ შესაძლოა იყოს აღქმული. ქართული ეთნიკური იდენტობის ფუნქციონირებაზე ამგვარი მოლოდინებისა და ნარატივების პოტენციური ზეგავლენის მნიშვნელობის შესწავლა ჩემი კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა.

1999 წლამდე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღინიშნებოდა მისი მფლობელის ეთნიკური კუთვნილება. აღნიშნული ტრადიცია საქართველოს საბჭოთა კავშირისაგან მემკვიდრეობით ერგო. ზემოთ აღნიშნული მსჯელობისათვის საგულისხმოა, რომ 1999 წელს პარლამენტის მიერ ეთნიკური კუთვნილების ამსახველი გრაფის პირადობის მოწმობიდან ამოღებას ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური დებატები მოჰყვა. საზოგადოების ნაწილი, მიუხედავად მისი ეთნიკური კუთვნილებისა, ამ კუთხით აქტიურ წინააღმდეგობას გამოხატავდა. ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, თუმცა, შენარჩუნებულია მონაცემები სატელევიზიო დებატებისა და საზოგადოებრივი აქციების შესახებ, რომლებიც ამ

პოლიტიკური გადაწყვეტილების თაობაზე იმართებოდა. აღნიშნული მოვლენა ადასტურებს ზემოთ მოყვანილი მსჯელობის მართებულობას, რომელიც განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების მიერ ეთნიკური იდენტობის ძიების ტენდენციისა და საქართველოს ფარგლებში არსებული დივერგენტული მოქმედებების შესაძლო არსებობაზე მიუთითებდა.

დავამატებ, რომ 2014 წელს გამოკითხულ საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ ქართველთა 93 %, აზერბაიჯანელთა 85 % , ხოლო სომეხთა 93 % ძლიერ ამაყობს საკუთარი ეთნიკური კუთვნილებით (CRRC, 2014). აღნიშნული მონაცემები მიუთითებს გირცის მიერ გამოთქმული ვარაუდების აქტუალურობაზე. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობისათვის მნიშვნელოვანია ეთნიკური კუთვნილება და ისინი მას საკუთარი სელფის მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევენ. ვხედავთ, რომ მრავალეთნიკურ საქართველოში მძიმედ მიმდინარეობს ერთიანი სამოქალაქო, მეტაეთნიკური საზოგადოების ფორმირება და ეს იმის მიუხედავად, რომ მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჯგუფებს მშვიდობიანი თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ.

აღნიშნული ფაქტი ზრდის მიმდინარე კვლევის პრაქტიკულ ღირებულებას, რადგან ის შეიძლება გამოყენებულ იქნას განსხვავებული სოციოკულტურული ჯგუფებისათვის მშვიდობიან და ინტეგრაციულ საარსებო გარემოს შექმნაზე მომართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ნათელია, რომ სახელმწიფოს განვითარების ბედი მნიშვნელოვანწილად სწორედ მისი შემადგენელი ტიტულარული ეთნოსის ფუნქციონირების თავისებურებებზე იქნება დამოკიდებული. ჩვენი კვლევა კი მიზნად სწორედ საქართველოს ეთნიკური უმრავლესობის კოლექტიური იდენტობის კვლევის გზით მისი ფუნქციონირების მექანიზმის **სიღრმისეულ** შესწავლას ისახავს.

ამ <u>საკითხის კვლევა მნიშვნელოვანია სამეცნიერო თვალსაზრისითაც.</u> ეთნიკურობის კვლევის სამეცნიერო ხაზს უფრო დეტალურად შევეხებით მომდევნო თავიდან.

ეთნიკურობის კვლევა და ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - ნაციონალური ხასიათები

ჩვენ ჯერ კიდევ კულტურული ანთროპოლოგიის ჩანასახებთან ვხვდებით კვლევებს, რომლებიც თანამედროვე ეთნიკურობის კვლევების წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. უკვე კულტურისა და პიროვნების სკოლის მიერ შემოთავაზებულ პირველ კვლევებში ჩანდა დაშვება იმის შესახებ, რომ ცალკეული ჯგუფის შემადგენელ წევრებს რაღაც საერთო ნიშნები/თვისებები ახასიათებთ. აღნიშნული კვლევები ისტორიაში **ნაციონალური ხასიათის კვლევების** სახით არის შესული.

ნაციონალური ხასიათის კვლევების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა დაშვება, რომ სოციოკულტურულ ჯგუფებში ესა თუ ის ხასიათი/ტიპი დომინირებს. ან, როგორც უფრო მოგვიანებით ამერიკელმა კულტურულმა ანთროპოლოგმა კორა დიუბუამ ივარაუდა, გამოიყოფა მოდალური თვისებების ერთობლიობა. კულტურა და პიროვნების სკოლის წარმომადგენლებისათვის 'კულტურა' გარკვეული სტაბილურობით ხასიათდება. მათი აზრით, ესა თუ ის თვისება რეალურად ახასიათებს ჯგუფების წევრთა უმრავლესობას.

თუმცა, უკვე 50-იან წლებში ხდება ცალსახა, რომ არ არსებობს დომინანტური ხასიათი. ასევე, რთულია ისაუბრო მოდალური თვისებების მთლიანობის არსებობის შესახებ. ჯგუფების წევრთა შორის არსებული მრავალფეროვნება არ იძლევა ამგვარი მსჯელობების საშუალებას. ამ წინააღმდეგობების გადაჭრა კულტურისა და პიროვნების სკოლის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს. შედეგად, ფაქტიურად სრულად შეჩერდა კვლევები ამ მიმართულებით.

ღიმილის მომგვრელია, მაგრამ კულტურული ანთროპოლოგიის მსგავსად, ფსიქოლოგიური მეცნიერების ჩანასახებიც ეთნიკურობის კვლევასთან არის დაკავშირებული. და, აქაც ჩანასახშივე წყდება მისი განვითარება. ვერც მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში შტეიენტალისა და ლაზარუსის მიერ დაწყებული კვლევებმა და ვერც უფრო მოგვიანებით ვილჰელმ ვუნდტის მიერ წარმოებულმა იდეალისტურმა კვლევებმა ვერ მოიპოვა მყარი ემპირიული დასაყრდენი და

პოპულარობა. ეთნიკური იდენტობის კვლევების კონტექსტში დღევანდელ დღეს ღიმილისმომგვრელად გამოიყურება ხალხის საერთო სულის, ან საზიარო ფსიქიკის შესახებ საუბარი. ფსიქოლოგიური მეცნიერების ჩარჩოებში ვილჰელმ ვუნდტის შემდეგ პრაქტიკულად გაქრა 'ხალხთა ფსიქოლოგია', როგორც ასეთი.

ვილჰელმ ვუნდტისა და პიროვნებისა და კულტურის სკოლის მიდგომების ჩიხში შესვლის შემდგომ, დიდ სოციოკულტურულ ჯგუფებზე კვლევები გაგრძელდა მხოლოდ კროსკულტურული ფსიქოლოგიის ჩარჩოებში. ისინი ძირითადად უნივერსალური მახასიათებლებისა და ტიპოლოგიების დადგენას ისახავდა მიზნად. ამგვარი მიდგომა ცალმხრივი და არასრულყოფილია და თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური მეცნიერების უმთავრეს პოსტულატებს ეწინააღმდეგება (ამ საკითხს უფრო სრულად ქვემოთ, თეორიული განხილვის პროცესში მიმოვიხილავთ). თანამედროვე სოციალურ მეცნიერებაში ეთნიკურობის კვლევები უფრო მეტად დაკავშირებულია სოციალურ ანთროპოლოგიურ და სოციოლოგიურ მიდგომებთან (Barth, 1969; Anderson, 2006; Horowitz, 2001; Wetherell M. , 2009).

შემოთავაზებული ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, ფსიქოანთროპოლოგიური ინტერდისციპლინური კუთხით განიხილოს ეთნიკური იდენტობის საკითხი და აჩვენოს ამ მიდგომის ადეკვატურობა.

ინტერდისციპლინურობის მნიშვნელობა

შემოთავაზებული კვლევის ფარგლებში ვითვალისწინებთ როგორც ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა თუ კულტურული ფსიქოლოგიის მონაცემებს, ისე სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიისა და სოციოლოგიის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგებსაც. მივიჩნევ, რომ თანამედროვე ადამიანური სამყაროს ჩამოყალიბების პროცესში პერსონალური, კულტურული და სოციალური ფაქტორები თანაბრად მნიშვნელოვანი და ურთიერთგანმაპირობებელია. ნაშრომი წარმოადგენს კლასიკური ექსპერიმენტული მონაცემების კულტურულ კვლევებში ინტეგრაციის მორიგ

მცდელობას (Valsiner J. , 2003; Valsiner & Rosa, 2007). სრული სურათის დასანახად საჭიროა პიროვნებისა და სოციოკულტურული პროცესების კვლევასთან დაკავშირებული დისციპლინების ინტეგრაცია და ყველა შესაძლო დეტერმინანტის გაითვალისწინება - ფსიქოემოციური ფაქტორებისა და სოციოკულტურული პერსპექტივის გათვალისწინებით.

საკითხის მხოლოდ ინტერდისციპლინურ ჭრილში შესწავლა გვაძლევს საშუალებას სხვადასხვა პერსპექტივაში დავინახოთ საკვლევი საკითხი. მხოლოდ ასეა შესაძლებელი სრული სურათის ასახვა სიღრმისეული კონტექსტური ფაქტორების იდენტიფიკაციის ჩათვლით.

დისერტაციის აქტუალურობას ის ფაქტიც ზრდის, რომ ეს ნაშრომი თანამედროვე კონტექსტში მცხოვრებ ქართველთა ეთნიკური იდენტობის ინტერდისციპლინური კვლევის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა.

უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოში მნიშვნელოვანი სოციოპოლიტიკური ცვლილებები მოხდა. საქართველომ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა 1990 წელს გამოაცხადა. მას შემდგომ, ქართველები, ისევე როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიოს მცხოვრებლები, ძლიერ საინფორმაციო და დისკურს - შემოტევებს ექვემდებარებიან. განსაკუთრებით ძლიერია რუსული და დასავლური საინფორმაციო საშუალებებისა და ფილმების/პრესის/ლიტერატურის საშუალებით ინფორმაციის გავრცელების ინტენსივობა. გარემოსთან ადაპტაციის პროცესში მიმდინარეობს არსებული სელფისა და კონკრეტულად, მისი შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის, ეთნიკური იდენტობის დეფინიციისა თუ რედეფინიციის პროცესი. ამ პროცესის კვლევა საშუალებას გვაძლევს დინამიკაში შევისწავლოთ პიროვნების ფუნქციონირების პროცესუალური თავისებურებები. ასევე, ეთნიკური ქართული იდენტობის შესწავლა საინტერესო იქნება (ზოგადად) სელფის შესახებ პოსტმოდერნული თეორიების ადეკვატურობის პარტიკულარულ სოციოკულტურულ კონტექსტში ვერიფიცირებისთვის.

თავდაპირველად, თეორიულ ნაწილში განვიხილავთ **სელფისა და იდენტობის** ემპირიული კვლევის საფუძვლებსა და თანამედროვე მდგომარეობას. შემდგომ, თეორიულ მსჯელობას განვაგრძობთ **ეთნიკურობის** თავისებურებების შესახებ საუბრით. დაბოლოს, უკვე კონკრეტულად პერსონალური, სოციალური და კოლექტიური იდენტობების ურთიერთქმედებებისა და **ეთნიკური იდენტობის** ფუნქციონირების თავისებურებების შესახებ ვისაუბრებთ.

სელფი და იდენტობა

სელფისა და იდენტობის კვლევა ინტერესს ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან იწვევდა. უკვე ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ცდილობდნენ ეპოვათ პასუხები კითხვებზე თუ ვინ/რა არის ადამიანი? ან რაში მდგომარეობს ცხოვრების აზრი თუ ადამიანური ყოფიერების საზრისი და მიზანი? მათთვის არც რეტროსპექტული ანალიტიკური პრაქტიკა იყო უცხო (Owens, 2006, pp. 205-233). ამგვარი ძიებები მთელი ისტორიის მანძილზე გრძელდებოდა.

დღეს ურიცხვი ოდენობის რაციონალური თუ ირაციონალური შეხედულება და წარმოდგენა გვხვდება, რომლებიც თავისებურად განსაზღვრავენ სელფისა და იდენტობის მნიშვნელობას (მაგალითად, რელიგიები და სხვა მაგიური პრაქტიკები; თანამედროვე მითოლოგიური შეხედულებები და ცრურწმენები). ეს ფაქტი ამ საკითხისადმი არსებულ საყოველთაო ინტერესსა და მის დიდ მნიშვნელობას ადასტურებს.

საზოგადოებრივი ინტერესის ფონზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სელფისა და იდენტობის ცნებების მიმართ ინტერესი მაღალია სოციალურ მეცნიერებაშიც. აკადემიურ სივრცეში იდენტობისა და ეთნიკურობის თემები უაღრესად პოპულარულია მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე.

მიმართება სელფსა და იდენტობას შორის

ფსიქოლოგიურ თუ ანთროპოლოგიურ სამეცნიერო სტატიებში სელფსა და იდენტობას ხშირად ურთიერთმონაცვლე ტერმინებად იყენებენ. ბევრი მეცნიერი მათ შორის იგივეობის ნიშანს სვამს, თუმცა, სინამდვილეში მათ შორის ნატიფი განსხვავებაა (Owens, 2006). ვფიქრობ ჩვენი მსჯელობის დასაწყისში მიზანშეწონილი იქნება ხსენებულ ორ ტერმინს შორის არსებული მიმართება განვიხილოთ.

სელფი იდენტობასთან შედარებით უფრო ფართო ცნებას წარმოადგენს. მათ შორის მიმართების დასანახად ყველაზე მარტივი იქნება იერარქიული სტრუქტურის წარმოდგენა. ოუენსი მიუთითებს, რომ <u>სელფი მოიცავს იდენტობებს.</u> <u>სელფი შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებულ და წინააღმდეგობაში მყოფ იდენტობებსაც კი.</u>

ტიმოთი ოუენსის თქმით „სელფი წარმოადგენს გრძნობების, სელფ-რეფლექსიების (თვით-არეკვლა/დაკვირვება), ენის, მოტივებისა და იდენტობების რეპრეზენტაციას“. კლასიკური მიდგომის მიხედვით, სელფი ფსიქიკური პროცესების გამამთლიანებელი და ერთიანი შინაგანი სტრუქტურის მქონე მთლიანობის მაფორმირებელი პერმანენტული პროცესია (Owens, 2006, pp. 205-233). შესაბამისად, იდენტობა წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან და სიტუაციურად სელფის (გადამწყვეტად) განმსაზღვრელ ელემენტს. იდენტობა განსაზღვრავს პიროვნების (სელფის) ვინაობასა და მასთან დაკავშირებულ მოლოდინებს ყოველ კონკრეტულ კონტექსტში. თუმცა, მისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ყოველი კონკრეტული სახის იდენტობა პიროვნული მთლიანობის შემადგენელი მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია. იდენტობები შეიძლება შეიცვალოს და მოდიფიცირდეს. იდენტობის ცვალებადი ბუნება ავლენს სელფის დინამიკურ ბუნებას.

კლასიკურისგან განსხვავდება სელფის შესახებ არსებული **პოსტმოდერნული და ნეოფსიქოანალიტიკური** წარმოდგენები. ამ საკითხს უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ, თუმცა, აქ მოკლედ აღვნიშნავ, რომ თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსთა

ნაწილი საერთოდ უარყოფს ერთიანი სელფის არსებობას და ამტკიცებს, რომ პიროვნება არაერთი დამოუკიდებელი სელფისაგან შედგება (Hollan, 2000). მათი აზრით, პიროვნების შემდგენელი სელფებიდან სიტუაციურად ის იწევს წინ, რომელიც არსებულ ვითარებასთან მიმართებაში ყველაზე ადეკვატურია. თუ ამ ხედვას მივიღებთ, მაშინ სელფი არ არის მთლიანობა. ვფიქრობ ეს მიდგომა კარგად ხსნის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი იდენტობების ერთ სტრუქტურაში თანაარსებობის შესახებ დილემას, თუმცა, ის ჩიხში ექცევა პიროვნების მუდმივობის ახსნის მცდელობისას.

იდენტობა ნებისმიერ შემთხვევაში სელფის ერთ-ერთი ასპექტია, მიუხედავად იმისა, მთლიანია ის თუ ფრაგმენტული. მთელის თვისებები გააჩნიათ მის შემადგენელ ელემენტებსაც, და, პირიქით. სელფის თვისებებს ჩვენ მის შემადგენელ ცალკეულ ელემენტებზე, მათ შორის, იდენტობაზე დაკვირვების შედეგად დავინახავთ. ამავე დროს, იდენტობის ბუნების ახსნა შესაძლებელია მხოლოდ სელფის მთლიანობითი ბუნების გაგების შედეგად. და, პირიქით, მთელის ფუნქციონირების კანონზომიერებების დადგენა შეიძლება მისი ელემენტების შესწავლის საშუალებით.

შემოთავაზებული კვლევის ფარგლებში იდენტობის კვლევა სელფის შესწავლის კონტექსტში წარიმართა. განხილვის პროცესში ამ ორ ტერმინს ჩვენ ზოგჯერ ერთდროულად, ზოგჯერ კი საერთოდ ერთმანეთის მონაცვლედ გამოვიყენებთ, რადგან ერთი ავლენს მეორეს და პირიქით.

იდენტობა - ცნების განსაზღვრება

“ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ტერმინი ‘იდენტობა’ წარმოშობილია ლათინური სიტყვებიდან ‘idem’ (იგივე) და ‘identidem’ (ისევ და ისევ იგივე) (Rosa & Blanco)(Орлова, 2010). თანამედროვე სოციალურ სამეცნიერო დისკურსში იდენტობის პირვანდელი მნიშვნელობები ნაწილობრივ კვლავაც ნარჩუნდება, თუმცა, მისი მნიშვნელობა დღეს უფრო დახვეწილი და შინაგანად დატვირთულია.

სელფისა და იდენტობის შესწავლის ერთ-ერთი პირველი მცდელობა დაკავშირებულია ამერიკელი ფსიქოლოგის/ფილოსოფოსის, უილიამ ჯემსის სახელთან. მან სელფს „ფსიქოლოგიის ყველაზე თავსატეხი თავსატეხი უწოდა“ (James, 1890, p. 330). უილიამ ჯემსმა იდენტობა განსაზღვრა, როგორც ‘პიროვნების იგივეობის ცნობიერება’. ის ფიქრობდა, რომ იდენტობა სტაბილური სუბსტანციაა, რომელიც მუდმივობას ინარჩუნებს დროსა და სივრცეში. ჯემსისთვის იდენტობა სელფ-რეფლექსიის (თვით-არეკვლის/დაკვირვების/გააზრების) შედეგია და ის ცალსახად ინდივიდუალური აქტივობის ნაყოფია.

ამგვარად, უილიამ ჯემსი იდენტობის ცნებაზე საუბრისას აქცენტს ინდივიდუალური თვითაღქმისა და თვითდაკვირვების მნიშვნელობაზე აკეთებს და არ ითვალისწინებს სოციალური დეტერმინანტების მნიშვნელობას (Hammack, 2008, p. 226). მსგავს იდეას გვთავაზობს მოგვიანებით ამერიკელი პერსონოლოგი გორდონ ოლპორტიც. გორდონ ოლპორტი მიუთითებს, რომ ყველა ადამიანს სჭირდება თვითიგივეობის შეგრძნების ქონა. მათ სჭირდებათ იცოდნენ, რომ მათი ამჟამინდელი მე არის განგრძობითი პროცესის შედეგი და ისინი კვლავ ის პიროვნებები არიან, ვინც ადრე იყვნენ (Markus & Kitayama, 1991).

უილიამ ჯემსისა და გორდონ ოლპორტისეული კლასიკური მიდგომების მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენდა სოციოკულტურული ფაქტორებისა და პიროვნული სტრუქტურების დინამიკური ხასიათის ფაქტობრივად სრული უგულებელყოფა. არადა, სელფთან და იდენტობებთან დაკავშირებული შემდგომი კვლევები და, მითუმეტეს, თანამედროვე მიდგომები სწორედ სოციალური და კულტურული დეტერმინანტების პიროვნულ მოდელებში ინტეგრაციასა და ამ სტრუქტურების ცვალებადობის ინტერპრეტაციის მცდელობებთან არის დაკავშირებული.

სელფისა და იდენტობის მოდერნული კვლევითი მიდგომების ჩასახვა მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩიკაგოს სიმბოლური ინტერაქციონიზმის სკოლაში ხდება. ეს პროცესი,

პირველ რიგში, ჩარლზ კულის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც პირველმა შემოიტანა იდეა სოციალური გარემოს, როგორც სელფის და, ზოგადად, პიროვნული სტრუქტურების მაფორმირებელი და განმსაზღვრელი ფაქტორის შესახებ. ჩარლზ კული გახლავთ 'ამრეკლავი სარკისებური სელფის' მეტაფორის ავტორი (Hammack, 2008). 'სარკისებური მეტაფორა' ასახავს სხვა ადამიანების მიერ გამოხატული შეფასებების მნიშვნელობას პერსონალური სელფის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების დინამიკური პროცესისათვის.

კულის შემდგომ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება სოციალური დეტერმინანტების სელფის განმსაზღვრელ მოდელში ინტეგრაცია. დროის საკმაოდ მცირე შუალედში, უკვე ემილ დურკემიც მიუთითებს, რომ სელფი ძირითადად სოციალური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მიღებული პროდუქტია (Durkheim, 2008).

ჯორჯ ჰერბერტ მიდი აგრძელებს მუშაობას სოციალური ინტერაქციის მნიშვნელობის შესწავლაზე და მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში სელფისა და იდენტობების ფორმირების განახლებულ მოდელს გვთავაზობს. ამ მოდელის მიხედვით, გარემო ფაქტორებს განმსაზღვრელი/გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ჯ. ჰ. მიდი აქცენტს სოციალური პროცესის მნიშვნელობაზე აკეთებს. ის მიიჩნევს, რომ იდენტობა წარმოადგენს არა სტაბილურ და სუბსტანციურ წარმონაქმნს, არამედ დინამიკურ მოცემულობას. ჯ. ჰ. მიდისთვის სელფი სხვა სოციალურ ელემენტებთან ურთიერთობის პროცესში განსაზღვრავს თავის თავს და საკუთარ თავში/სელფში მოიცავს სხვა ადამიანების მიერ გამოთქმულ შეფასებებს საკუთარი თავისვე შესახებ. ჯ. ჰ. მიდის მოდელის თანახმად, სელფი სოციალური აქტების ინტერნალიზების შედეგია. სოციალური აქტები ინდივიდუალური და პერსონალური სელფის განუყოფელი ნაწილია.

"სელფი არის არა იმდენად სუბსტანცია, რამდენადაც პროცესი, რომლის ფარგლებშიც ჟესტებისაგან შემდგარი კომუნიკაცია ინტერნალიზებულ იქნა ორგანულ ფორმაში…

სოციალური აქტების ორგანიზაცია იმპორტირებულ იქნა ორგანიზმში და იქცა ინდივიდის გონებად (mind) (Mead, 1934, p. 178).

გასათვალისწინებელია, რომ სოციალურ ფაქტორებზე აქცენტირების პარალელურად, ჯ. ჰ. მიდი ინდივიდუალური რეფლექსიისა და ინტერპრეტაციის მნიშვნელობაზეც საუბრობს. 'სელფი შედგება სოციალური პროცესისა და მასზე (ამ პროცესზე) განხორციელებული ინდივიდუალური რეფლექსიისაგან'. ამ კუთხით ის მეოცე საუკუნის ბოლოს განვითარებული ხედვების ანტიციპაციას ახდენს. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს საკითხი მისთვის წინა პლანზე არ იმყოფებოდა და, ამდენად, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ჩარლზ კულისა და ჯ. ჰ. მიდის იდეების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია **ირვინ გოფმანის** დრამატურგიული სოციალური ინტერაქციის თეორიასთან. ირვინ გოფმანის მიხედვით, თითოეული ინდივიდი ნებისმიერ სიტუაციაში საკუთარ თავზე არსებული გარემოებების შესატყვის როლს/იდენტობას იღებს და ამ როლებთან დაკავშირებული მოლოდინების შესაბამისად იქცევა. ირვინ გოფმანის თანახმად, ინდივიდუალური სელფი სპეციფიკური სიტუაციისა და არსებული კონტექსტის მიერ განისაზღვრება. ამ მოდელის თანახმად, ადამიანებს შეუძლიათ განსხვავებული როლების მორგება, ამავე დროს, ერთსა და იმავე როლს შეიძლება განსხვავებული ადამიანები ასრულებდნენ. ამ ურთიერთშენაცვლების ერთ-ერთი თანმდევი ნაყოფია ის, რომ ადამიანებს შეუძლიათ განჭვრიტონ ერთმანეთის გრძნობები, ფიქრები, მოტივაცია, გაუგონ ერთმანეთს და მიხვდნენ, თუ რას შეიძლება ფიქრობდნენ სხვები მათ შესახებ. ეს შესაძლებელი ხდება იმდენად, რამდენადაც ისინი იცნობენ იმ როლებს, რომლებსაც სხვა ადამიანები ასრულებენ. სოციალურ ელემენტებს შეთანხმებული აქვთ თითოეული როლის შესაბამისი ქცევა და აქვთ მსგავსი მოლოდინები. ირვინ გოფმანის თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მან ხაზი გაუსვა 'სელფის' მიერ საკუთარი მე-ს შესახებ 'სხვების' მიერ მოწოდებული რეფლექსიების ინკორპორირების განსაკუთრებულ

მნიშვნელობას პიროვნების იდენტობების სტრუქტურათა და, ზოგადად, სელფის ჩამოყალიბებისათვის.

ამგვარად, ირვინ გოფმანთან ვხვდებით სელფის სოციალურად დეტერმინირებულ პროცესს. ინდივიდს გააჩნია კონკრეტულ სიტუაციებთან და კონტექსტებთან დაკავშირებული სპეციფიკური მოლოდინები. ამ მოლოდინებს ის საკუთარად მიიჩნევს, თუმცაღა, სინამდვილეში ეს მოლოდინები გარემოში არსებული წარმოდგენებისა და შეფასებების ინტერნალიზებული ფორმებია და არა ინტრაფსიქიკური წარმოშობის. ირვინ გოფმანის მიდგომა რადიკალურად სოციალურად ორიენტირებულია (Goffman, 1959).

სოციოლოგიური მიდგომების პარალელურად, იდენტობის ძიება ფსიქოანალიტიკური ტრადიციის ჩარჩოებშიც მიმდინარეობდა. ნაკლებად შევეხები ორთოდოქსულ ფსიქოანალიტიკურ მიდგომებს, რადგანაც დღევანდელი გადასახედიდან მათი აქტუალურობა მინიმალურია ბიოპერსონალისტური აქცენტირების გამო.

იდენტობის კონცეპტის ფსიქოანალიტიკური მიდგომით დამუშავების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მცდელობა **ერიკ ერიქსონის** სახელთანაა დაკავშირებული. ერიკ ერიქსონის მიერ ორთოდოქსული ფსიქოანალიტიკური მოდელის განახლების კუთხით შეტანილი წვლილი მე-ს განვითარების ფროიდიანულ თეორიაში სოციალური ფაქტორის ჩამატებაში გამოიხატება, თუმცაღა, მან შეინარჩუნა მე-ს ფორმირების კლასიკური ფსიქოანალიტიკური მოდელისათვის დამახასიათებელი უნივერსალურობა და იერარქიულობა. ერიკ ერიქსონი მიუთითებს, რომ იდენტობის ფორმირებაზე ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები ერთობლივად ახდენენ ზეგავლენას (ზეგავლენას მთლიანობითი ხასიათი აქვს). სოციალური ინტერაქციონისტების მსგავსად, ერიკ ერიქსონი ამტკიცებდა, რომ სელფ-კონცეპტის ფორმირებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ თვითრეფლექსიები, არამედ ის, ასევე, ითვალისწინებს 'სხვების' წარმოდგენას მის (პერსონის) შესახებ და საზოგადო იდეალებს/მოლოდინებს/წარმოდგენებს (Erikson, 1968).

ერიკ ერიქსონისეული მოდელი, ფროდისეულ პიროვნებაზე ცენტრირებულ ფსიქოანალიტიკურ მიდგომასთან შედარებით, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, თუმცა, მისი მთავარი სისუსტე სელფის განვითარების უნივერსალისტური **სტადიალური მოდელის** წარმოდგენა იყო. ერიკ ერიქსონმა არ გაითვალისწინა კულტურული და კონტექსტური ფაქტორები და ჩვენს სამყაროში არსებული განვითარების მოდელების მრავალფეროვნება. ერიკ ერიქსონის მოდელის თანახმად შეუძლებელია აიხსნას მსოფლიოში არსებული განვითარების განსხვავებული კულტურული სქემები (სქიმატა) და მოდელები.

ერიკ ერიქსონის თეორიის შემდგომი დახვეწა სცადა **ჯეიმს მარსიამ.** ის ინარჩუნებდა ერიქსონისეულ წარმოდგენას სტადიალური განვითარებისა და იდენტობის კრიზისის ნაწილობრივი სოციალური დეტერმინაციის შესახებ. ჯეიმს მარსიას მიერ შემოტანილი სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ მან ცალკეული კულტურის შიგნით არსებული პიროვნებების იდენტიფიკაციის დონის საფეხურებრივი/იერარქიული განსაზღვრება მოახდინა. მისი აზრით, ადამიანები განსხვავებული დონით არიან ინტეგრირებული საკუთარ კულტურებში. იდენტიფიკაციის დონე ცვალებადობს სრული გაუცხოებიდან იგივეობის სრულ განცდამდე (Marcia J. E., 1966).

თანამედროვე სოციალურ მეცნიერებას თვითცნობიერების ჩამოყალიბების პროცესისათვის სოციალური ზეგავლენის მნიშვნელობის შესახებ ემპირიულ მტკიცებულებებს ზოოფსიქოლოგიური კვლევებიც აწვდის. ამერიკელმა **ბიოფსიქოლოგმა გორდონ გელაპმა** ერთმანეთს შეადარა იზოლაციასა და სტანდარტულ სოციალურ გარემოში გაზრდილ შიმპანზეთა შერჩევები. კვლევამ აჩვენა, რომ წინარე სოციალური ინტერაქციის გამოცდილების მქონე შიმპანზეები იოლად ახდენდნენ სარკეში საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მაშინ, როცა იზოლაციაში გაზრდილი ინდივიდები თვითამოცნობის ვერანაირ ნიშანს ვერ ავლენდნენ. იზოლაციაში გაზრდილ ინდივიდებს არ ჰქონდათ საკუთარი თავის განსხვავებულობის განცდა და საკუთარ თავს გარემოდან

ვერ გამოყოფდნენ. ისინი ვერ ხვდებოდნენ, თუ ვის უყურებდნენ სარკეში (Gallup, 1977). ეს მონაცემები ამყარებს სოციალურად ორიენტირებული თეორიების სანდოობას და გვიჩვენებს, რომ გარემო კომპონენტის გათვალისწინების გარეშე არ არსებობს სელფი თუ იდენტობა, როგორც ასეთი.

გორდონ გელაპის მონაცემების გამოყენება ინტერდისციპლინური მიდგომის ადეკვატურობის ილუსტრირების საშუალებას გვაძლევს. ნათელია, რომ ის თეორიული კონსტრუქციები, რომლებიც სოციოლოგიური თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური მეცნიერების ჩარჩოებში განვითარდა, უშუალო მტკიცებულებებს ვერ პოულობს ამ დისციპლინებს შიგნით და მხოლოდ თეორიულ კონსტრუქციებად რჩება. ამ დროს, სოციობიოლოგიაში არსებული მონაცემები ნათლად ახდენს სოციალური ფაქტორის მნიშვნელოვნების პრეზენტაციას. რატომ უნდა ვთქვათ ამ მონაცემების ფსიქოანთროპოლოგიურ მეცნიერებაში ინტეგრაციაზე უარი?! ვფიქრობ, რომ ერთი შეხედვით განსხვავებულ დისციპლინებში, ვხედავთ სრულიად ლოგიკურად დაკავშირებულ მონაცემთა ჯაჭვს, რომელიც ინდივიდუალური სელფის ჩამოყალიბების პროცესისათვის სოციალური კომპონენტის დიდ მნიშვნელობას ადასტურებს.

საბოლოოდ, კლასიკური ნაშრომების შეჯამების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდენტობა პიროვნების ერთ-ერთი ის ასპექტია, რომელიც დროსა და სივრცეში სელფის 'მუდმივობას' უზრუნველყოფს. თუმცა, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ეს 'მუდმივობა' არ არის აბსოლუტური ან ბუნებრივად თანშობილი. იდენტობა ყალიბდება ინდივიდის გარემოსთან სოციალური ინტერაქციის პირობებში, რაც მას დინამიკურ და ცვალებადს ხასიათს სძენს. საკუთარი იდენტობის აღქმა შეიძლება პიროვნებამ გადაიაზროს, გადააფასოს და შეცვალოს ინტრა თუ ექსტრა ფსიქიკური ფაქტორების ზეგავლენის საფუძველზე.

განსხვავებულ სოციო/კულტურულ/ფიზიკურ კონტექსტებში სელფი და მისი შემადგენელი იდენტობების სტრუქტურა მინიმალურ დონეზე მაინც უნდა ინარჩუნებდეს

მთლიანობას გარემოდან მომდინარე განსხვავებული ზეგავლენების მიუხედავად. ამა თუ იმ იდენტობის მქონე პირისგან ჩვენ ველით, რომ ის მეტ-ნაკლებად მსგავსად მოიქცევა ცალკეულ სიტუაციებში ან, როგორც მინიმუმ, მისი ქცევები ლოგიკურ თანხმობაში მაინც იქნება ერთმანეთთან და შესაბამისობაში იქნება მისი სელფის შესახებ არსებულ ზოგად მოლოდინებთან (Wetherell M. , 2009). მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს არაერთი იდენტობა, რომლებიც განსხვავებულ სოციალურ სიტუაციებთან და როლებთან იქნება დაკავშირებული. სოციალური ინტერაქციის პროცესში იდენტობები შეიძლება ნაწილობრივ ან სრულად მოდიფიცირდეს - მთავარია რომ ეს ცვლილებები იმგვარად მოხდეს, რომ სელფის განგრძობითობა იქნას უზრუნველყოფილი.

„კულტურის“ აღზევება

ჩარლზ კული, ჯ. ჰ. მიდი და ერიკ ერიქსონი საუბრობდნენ სელფისა და იდენტობის მთლიანობითი და შეჭიდული სტრუქტურის ფორმირების უნივერსალური პროცესის შესახებ, თუმცა, ისინი არ ითვალისწინებდნენ პიროვნული სტრუქტურების მოქნილ და წინააღმდეგობრივ ხასიათს, რომელიც იწვევს და საშუალებას იძლევა საკუთარი ინდივიდუალური სელფის განსხვავებულ გარემოსა და კონტექსტთან მიმართებაში განსხვავებული ინტერპრეტირებისა.

კლასიკურმა ავტორებმა ვერ გასცეს პასუხი მთელ რიგ სხვა კითხვებსაც. დღემდე გაურკვეველი დარჩა, თუ როგორ ახერხებენ ინდივიდები სელფის შინაგანი მთლიანობის, შეჭიდულობისა და ‘მუდმივობის’ შენარჩუნებას იმის მიუხედავად, რომ მათი პიროვნული სტრუქტურები უეჭველად მოიცავენ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ იდენტობებს (თეორიულად დასაშვებია წინააღმდეგობაში მყოფ იდენტობებსაც კი). მაგალითად, ადამიანს, შესაძლოა, ჰქონდეს შერეული ეთნიკური იდენტობა, თუ მისი მშობლები განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები

არიან. ასევე, გაურკვეველი რჩება, თუ როგორ ნარჩუნდება პიროვნების 'მუდმივობა' იმ ფონზე, როდესაც ის მუდმივად ადაპტირდება გარემოსთან და იცვლება.

სელფისა და იდენტობის შემდგომი თეორიული დამუშავების პროცესში ნარჩუნდება აქცენტები მე-ს განვითარების პროცესისათვის სოციალური და პიროვნული ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ. თუმცა, პრობლემად რჩებოდა ცალმხრივი მიდგომების არსებობა. ცალკეული სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები მეოცე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებამდე მხოლოდ სოციალურ ან მხოლოდ პერსონალურ ასპექტებზე აკეთებდნენ აქცენტს.

სელფისა და იდენტობის კვლევების გამოწვევებს ახალ სიცოცხლეს სძენს კულტურულ-ფსიქოლოგიური კვლევები ემიკური მიდგომით, რომლებიც სოციალური ფაქტორის გარდა, კულტურულ ფაქტორსაც ითვალისწინებენ. დასავლურმა სოციალურმა მეცნიერებამ მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოაჩინა (ხელახლა) **ლევ ვიგოტსკის** კულტურაზე ცენტრირებული მიდგომა, რამაც კონცეპტუალურად გაამდიდრა კულტურული და, მათ შორის, იდენტობების კვლევები (Cole, 1998). ლევ ვიგოტსკი რეალურად მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა, თუმცა ამ პერიოდში ის დასავლური სამეცნიერო სამყაროს თვალსაწიერს მიღმა იყო დარჩენილი. შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ მის 'აღმოჩენასთან' არის დაკავშირებული მეოცე საუკუნის 80-90-იან წლებში მოდერნული - კულტურაზე-ცენტრირებული კულტურის ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის განვითარება. ამ პერიოდში დასავლური სამეცნიერო სამყარო უკვე აქტიურად ინტერესდება რუსული კულტურულ-ისტორიული ფსიქოლოგიური სკოლითა და უშუალოდ ლევ ვიგოტსკის მიდგომით. მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიურად რეალურად ასე არ არის, ლევ ვიგოტსკი მაინც თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ.

უნდა ითქვას, რომ **ლევ ვიგოტსკი** არასოდეს ყოფილა დაინტერესებული კონკრეტულად სელფისა და იდენტობების კვლევებით, თუმცა მისი ფუნდამენტური ნაშრომები

მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ თემასთან და მნიშვნელოვან მასალას იძლევა განსჯისათვის (ამ მიმართულებითაც). კერძოდ, ჩვენთვის საინტერესოა ლევ ვიგოტსკის მიერ შემოთავაზებული იდეა 'შინაგანი მეტყველების' და 'სოციალური მეტყველების' შესახებ. ამერიკელი კულტურის ფსიქოლოგის - **ფილიპ ჰამაკის** აზრით, ცნება 'შინაგანი მეტყველება' ლევ ვიგოტსკისათვის იმავე მნიშვნელობას ატარებდა, რასაც 'იგივეობა'/'მსგავსება' უილიამ ჯემსისა და ერიკ ერიქსონისათვის. ლევ ვიგოტსკისეული 'შინაგანი მეტყველება' გამოხატავს იდენტობის შინაგან, ბაზისურ ასპექტს. რაც შეეხება 'სოციალურ მეტყველებას', ის გულისხმობს საკუთარი თავის გამოხატვას გარემოში, საკუთარი თავის 'სხვებისთვის' რეპრეზენტაციას, და, ამით იდენტობის სოციალურ ასპექტსაც წარმოადგენს.

ერიკ ერიკსონისა და სხვა კლასიკოსი ავტორებისგან განსხვავებით, ლევ ვიგოტსკი აქცენტს ისტორიული და კულტურული ფაქტორების მნიშვნელობაზე აკეთებს. მისი აზრით, ინდივიდები სოციალურ და კულტურულ ზეგავლენებს ექვემდებარებიან და ისრუტავენ გარემოს მიერ მოწოდებულ **მაკრონარატივებს**. ეს მაკრონარატივები, ლევ ვიგოტსკის თანახმად, ისტორიული განვითარების პროცესშია ჩამოყალიბებული და ენკულტურაციის პროცესში ინტეგრირდება სელფის სტრუქტურაში. ამდენად, პიროვნება წარმოგვიდგება არა მხოლოდ როგორც ინდივიდუალური თვით-რეფლექსიის ან თუნდაც მშრალი სოციალური მიმართებების ინტერნალიზაციის შედეგად მიღებულ პროდუქტად, არამედ, ასევე, ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურული მთლიანობის ნაწილად. <u>ლევ ვიგოტსკის თანახმად, კულტურული შინაარსები სელფის განუყოფელი ნაწილია</u> (Hammack, 2008, pp. 230-231).

<u>ვფიქრობ, რომ ეთნიკური დისკურსები ერთ-ერთ იმ მნიშვნელოვან მაკრონარატივად შეგვიძლია განვიხილოთ, რომელიც სელფისა და კონკრეტულად იდენტობის კონსტრუირებას ახდენს.</u>

კულტურული კონტექსტის მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენები მეოცე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სულ უფრო პოპულარული ხდება. სელფისა და იდენტობის კვლევა პრაქტიკულად წარმოუდგენელი ხდება იმ კონტექსტის არსობრივი გათვალისწინების გარეშე, რომლის პირობებშიც იზრდება და ყალიბდება პიროვნება (Shweder & LeVine, 1984)

ამგვარად, სელფისა და იდენტობის მაფორმირებელ ფაქტორებს შორის, ინდივიდუალური და სოციალური ფაქტორების გარდა, ჩნდება მესამე, კულტურული ფაქტორი.

ვფიქრობ, რომ კულტურისგან განსხვავებით, ლევ ვიგოტსკიანური **ისტორიული** განვითარების ფაქტორის **აპრიორულად** გათვალისწინება არ არის მიზანშეწონილი. მიმდინარე სოციოკულტურული კონტექსტი შეიძლება ჩამოყალიბდეს მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდაც, ყოველგვარი ისტორიული წარსულის გარეშე. ამ კუთხით შეგვიძლია გავიხსენოთ ჯერ კიდევ მარგარეტ მიდის მიერ შემოთავაზებული პრეკონფიგურაციული ჯგუფის ფორმირების ცნება, რომელიც ახალ გარემოში, მანამდე ერთმანეთთან დაუკავშირებელი ადამიანების მიერ ახალი ჯგუფის ჩამოყალიბების შესაძლებლობას უშვებს, პრაქტიკულად ყოველგვარი წინაპირობების გარეშე (Стефаненко, 2009). მეორეს მხრივ, რაც ყველაზე არსობრივია აქ ჩემთვის, კულტურული ფაქტორის გათვალისწინებით ჩვენ ავტომატურად ვითვალისწინებთ მისი ჩამოყალიბების წინაპირობებსაც. ჯგუფის ჩამოყალიბების წინაპირობა კი შეიძლება იყოს ან არ იყოს ისტორიული განვითარების პროცესში არსებული ელემენტი. ვფიქრობ, რომ კულტურული კონტექსტი მოიცავს ისტორიულ ფაქტორსაც იმ შემთხვევაში, თუ ის საერთოდ არსებობს.

სელფი და იდენტობა, როგორც საკვლევი საკითხი, ექცევა თანამედროვე კულტურული ფსიქოლოგიური და ფსიქოანთროპოლოგიური მეცნიერების შესწავლის სფეროში, რომელიც მიზნად პიროვნებისა და გარემოს შორის არსებული ურთიერთმიმართებისათვის მახასიათებელი კანონზომიერებების შესწავლას

ჰოლისტური მიდგომის საშუალებითა და ყველა შესაძლო ფაქტორის (პიროვნული, სოციალური, კულტურულ-კონტექსტური) გათვალისწინებით ისახავს.

აქამდე ჩვენ განვიხილავდით სელფის დინამიკურ ბუნებას და მის უნარს, რომ გარემოში მოახდინოს ადაპტაცია. მეოცე საუკუნის ბოლოს განვითარებულმა პროცესებმა მსოფლიოში არსებული დინამიკა მანამდე არნახულ ტემპებამდე გაზარდა, რამაც პიროვნებები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ცვლილებებისა და სამყაროს მრავალფეროვნების უკიდურესი ინტენსიფიკაციის პირობებში კი, სულაც ეჭვქვეშ დადგა სელფის არსებობა. შემდეგ ქვეთავში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს.

იდენტობა პოსტმოდერნულ რეალობაში

პიროვნებისა და კულტურის კვლევისადმი არსებული ტრადიციული მიდგომების ცვლილებები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის სამოციანი წლების ბოლოდან იწყება და განსაკუთრებით უკვე 80-იანი წლებიდან ძლიერდება.

კლასიკური მიდგომის მიხედვით, კულტურა დროსა და სივრცეში სტაბილურად არსებულ მოცემულობად განიხილებოდა. იდენტობა სტაბილური მდგომარეობის აღმნიშვნელ მარკერად ითვლებოდა. გლობალიზაციამ არსებითად შეცვალა ამგვარი გაგება. მიგრაციის მზარდმა დონემ და კულტურული ელემენტების ერთი ქვეყნიდან მეორეში აქტიურმა გავრცელებამ გააქრო ერთგვაროვანი საცხოვრებელი სივრცეები. კულტურები აღარ არიან მიმაგრებული ერთ კონკრეტულ ფიზიკურ სივრცეზე. თქვენ მთელს მსოფლიოში შეგიძლიათ შეხვდეთ რუსულ თუ იტალიურ სამზარეულოს, ესპანურ ცეკვებს, ამერიკულ მაკდონალდსსა და ა. შ. (Linger, 2007).

კულტურათა ჰომოგენურობა და კონკრეტულ ფიზიკურ სივრცეში ლოკალიზაცია წარსულში დარჩა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამგვარი რეალობა არც წარსულში იყო აბსოლუტური. დღევანდელ დღეს ადამიანები ჰეტეროგენურ კულტურათა შემადგენელი ელემენტების თანაცხოვრების პირობებში ცხოვრობენ. თანამედროვე რეალობაში რიგითი ადამიანი ეჯახება კულტურათა მიქსს და დომხალსაც კი. მთელი სისავსით ვლინდება კულტურათა დინამიკური ბუნება.

<u>ვეყრდნობი რა დაშვებას, რომ კულტურული ელემენტები მხოლოდ სელფის მიერ სუბიექტურად ინტერპრეტირებულ რეალობაში არსებობენ, ვფიქრობ, რომ არსებულ ცვალებად რეალობასთან ადაპტაციის უნარი ნათლად ადასტურებს ამ უკანასკნელის (სელფის) დინამიკურ და მოქნილ ბუნებას. მუდმივად ცვალებადი გარემო პერმანენტულად რეინტერპრეტირდება სელფის მიერ და ეს პროცესი განუხრელად ცვლის</u>

<u>თავად სელფის სტრუქტურასა და მის მიერ გარემოსთან ინტერაქციის პროცესში წარმოებულ კულტურასაც.</u>

რადიკალური მიდგომები საერთოდ მთლიანი/სტაბილური სელფის არსებობის შესაძლებლობასაც კი გამორიცხავენ და მიუთითებენ მის ფრაგმენტულობაზე (Wetherell M. , 2009).

არსებული ვითარების ფონზე, საფუძველი ეცლება ე. წ. რეპრეზენტაციულ/სიმბოლურ ანთროპოლოგიურ მიდგომებს, რომლებიც კულტურას შედარებით სტაბილურ მოცემულობად თვლიან (Lindholm, 2007). კულტურის აღქმა, როგორც ტექსტისა, შეუძლებელი ხდება, რადგან ის მუდმივად ცვალებადობს და აღარ არსებობს სუფთა, იზოლირებული სახით. <u>მთლიანობითი და სტაბილური კულტურის აღქმას დისკურსული მიდგომა ანაცვლებს</u>. თანამედროვე ადამიანი მრავალი დისკურსის თანაარსებობის პირობებში ცხოვრობს. აუცილებელი არ არის ისინი ლოგიკურ თანხმობასა თუ კავშირში იყვნენ ერთმანეთთან. დასაშვებია, რომ ერთსა და იმავე ფიზიკურ არეალში მცხოვრებ ადამიანებს განსხვავებული დისკურსები ჰქონდეთ ინტეგრირებული საკუთარ სელფში. თანამედროვე სამყაროში პიროვნული იდენტობების ჩამოყალიბებაში დისკურსები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

მოდერნული ფსიქოანთროპოლოგია გვთავაზობს ცნობიერების (ინდივიდუალობის) მოდელს, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია პერსონის მხოლოდ ისეთ პასიურ არსებად განხილვა, რომელსაც ცალმხრივად აყალიბებს გარემო (Linger, 2007). მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ინდივიდი აქტიურად მონაწილეობს მნიშვნელობათა სისტემის კონსტრუირებაში.

დისკურსები თუ კულტურული ელემენტები არსებობენ მხოლოდ ადამიანის გონებაში, მხოლოდ მის მიერ მნიშვნელობათა გენერირების შედეგად და არა მისგან განცალკევებულად. ადამიანის სუბიექტურობის გარეშე არ არსებობს კულტურა და არც არანაირი დისკურსი. ცხადია, რომ ინდივიდი არც დაბადებისას მოცემულ კულტურულ

კონტექსტში ენკულტურაციის გარეშე არსებობს. რომელიმე ფაქტორის პირველადობაზე კამათი აზრს მოკლებულია. რიჩარდ შვედერი აღნიშნავს, რომ ადამიანები მათ მიერვე შექმნილ „ინტენციონალურ სამყაროში“ ფუნქციონირებენ, რაც თავის მხრივ, პიროვნული და კულტურული ელემენტების ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს (Shweder, 1991).

უკვე აღინიშნა, რომ პოსტმოდერნული ხედვის თანახმად, ერთიანი სელფი საერთოდ არ არსებობს და ის მხოლოდ ფრაგმენტული სახით გვაქვს მოცემული. ვფიქრობ, რომ მზარდი დინამიკის მიუხედავად, თანამედროვე გიჟურ სამყაროშიც კი სახეზე გვაქვს ინდივიდების მუდმივობა დროის მინიმუმ მცირე შუალედებში მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში უაზრო და უსასრულო ქაოსი გვექნებოდა. თანამედროვე სელფი მრავალმხრივია/მრავალკომპონენტიანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინდივიდუალური სამყაროები განაგრძობენ არსებობას მთლიანობის სახით. ვფიქრობ, რომ სელფის გაქრობაზე საუბარი ნაადრევია.

თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური და კულტურულ- ფსიქოლოგიური მიდგომები ითვალისწინებს პიროვნული და სოციოკულტურული ელემენტების ურთიერთქმედების დიდ მნიშვნელობას და ორივეს თანაბარ წონას ანიჭებს. (Schweder, 1990) (Schweder, 2003) (Bock, 1999). ამ მიდგომების მიხედვით, ნებისმიერი ფსიქიკური ფენომენი თუ კულტურული ელემენტი შესწავლილ უნდა იქნას მიმდინარე სოციოკულტურულ კონტექსტში (Shweder, 1991).

საილუსტრაციოდ განვიხილავთ თანამედროვე კულტურული ფსიქოლოგიის ჩარჩოებში განხორციელებული ემპირიული კვლევის საინტერესო მაგალითს. ამერიკელი კულტურული ფსიქოლოგის, **ელი შახტერის** ერთ-ერთი უახლესი კვლევა უშუალოდ ეხმიანება პოსტმოდერნულ რეალობაში არსებული წინააღმდეგობრივი დისკურსების ერთი სელფის შიგნით ინტეგრაციისა და თანაარსებობის საკითხს. ამდენად, მისი კვლევის შინაარსი უშუალოდ ეხმიანება სელფის კვლევის თანამედროვე გამოწვევებს. ჩვენთვის კი, ამასთან ერთად, მისი კვლევა განსაკუთრებით იმიტომაცაა საინტერესო, რომ ის

კულტურულ-ფსიქოლოგიურ მიდგომას იყენებს და საშუალება გვაქვს მისი ღირებულება დავინახოთ. ელი შახტერი ხაზს უსვამს ლოკალური გარემოს თავისებურებებისა და კონტექსტური გავლენების მნიშვნელობას. ის კვლევის ემიკურ მიდგომას იყენებს. ელი შახტერმა 'იდენტობის კონფიგურაციის' მოდელი შემოგვთავაზა, რომელიც განსხვავებული და თუნდაც წინააღმდეგობაში მყოფი დისკურსების (იდენტობების) ერთი მთლიანობითი სტრუქტურის ფარგლებში თანაარსებობის შესაძლებლობას უშვებს (Schachter, 2005). შახტერს ამგვარი დაშვების შესაძლებლობა (სწორედ) კულტურული ფაქტორის გათვალისწინებამ მისცა. ის იკვლევდა ისეთ ებრაელ მეცნიერებს, რომლებიც სამეცნიერო პრაქტიკის პარალელურად აქტიურად მონაწილეობდნენ რელიგიურ რიტუალებში, სწამდათ ღმერთის და, ზოგადად, იყვნენ რელიგიური. ელი შახტერს აინტერესებდა აეხსნა ერთი შეხედვით ირაციონალური მოცემულობა და გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ როგორ თავსდება სელფის სტრუქტურაში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული იდენტობები (მორწმუნე იუდაისტი და მეცნიერი - რაციონალური მეცნიერული დისკურსი და ირაციონალური რელიგიური წარმოდგენები). ელი შახტერის კვლევის ძირითად მეთოდს სიღრმისეული ინტერვიუები წარმოადგენდა.

კვლევითი მიდგომის შერჩევისას მის მოტივაციას წარმოადგენდა ის, რომ მას ჯერ ერთი, არ ჰქონდა წინასწარ გამზადებული კვლევითი სქემა, რომელიც მსგავსი სპეციფიკის მანამდე ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლებოდა არსებულიყო და მეორე და უმთავრესი, ის მიზნად ისახავდა, მიეღო ინდივიდთა მათეული ინტერპრეტაცია და შეესწავლა საკითხი 'შიგნიდან', მიეღო ინფორმაცია ინდივიდთა შინაგანი განცდების და კონტექსტის შესახებ. ჰიპოთეტურად, ერთის მხრივ, სამეცნიერო პრაქტიკის წარმოებას, ხოლო მეორეს მხრივ, რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობასა და ირაციონალური რწმენის ქონას შინაგანი წინააღმდეგობა და ფსიქიკური დისკომფორტი უნდა გამოეწვია ადამიანში. მაგრამ რეალურად ეს ასე სულაც არ აღმოჩნდა. გამოკითხული რესპონდენტები სრულიად კომფორტულად გრძნობდნენ თავს მიუხედავად მათ მოქმედებებში გარე თვალისთვის გაუგებარი წინააღმდეგობების არსებობისა და

თავისუფლად ინარჩუნებდნენ პიროვნების შინაგან მთლიანობას. კვლევამ აჩვენა, რომ თითოეულ გამოკითხულ რესპონდენტს მისი პირადი შეხედულება/ინტერპრეტაცია გააჩნდა არსებული ვითარების შესახებ და იმგვარ მნიშვნელობას დებდა საკუთარ მოქმედებებსა და გრძნობებში, რომ ეს შესაძლებელს ხდიდა ფსიქიკის ნორმალურ პირობებში ფუნქციონირებას და სრულიად კომფორტულად თავის შეგრძნებას (Schachter, 2005).

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი კვლევის ფარგლებში ვეყრდნობი შეხედულებას, რომ სელფი და იდენტობა სოციოკულტურული კონტექსტის შემადგენელი ყველა ელემენტის ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება. სელფის თემაზე მომუშავე აქამდე განხილულმა ყველა ავტორმა არასრული მოდელები წარმოადგინეს. განცალკევებით, ვერც ერთი მათგანი ვერ სცემს ყველა არსებულ კითხვას პასუხს. ისინი მხოლოდ რეალობის ნაწილის ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევიან. დღევანდელი დღის აქტუალური გამოწვევა სწორედ მათი იდეების ერთ მთლიანობაში წარმოდგენაა. ვფიქრობ, რომ ამ ამოცანის გადასაჭრელად ყველაზე ადეკვატური იქნება მივმართოთ თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიურ და კულტურულ-ფსიქოლოგიურ ინტეგრაციულ მიდგომას, რომელიც სოციალური ზეგავლენისა და თვითრეფლექსიის მნიშვნელობას თანაბრად ითვალისწინებს.

მაშასადამე, სელფისა და იდენტობების სტრუქტურა მოიცავს: 1) ინფორმაციას/შინაარსებს, რომლებიც მოიპოვება საკუთარ თავზე დაკვირვებისა და რეფლექსიის შედეგად და 2) მეორეს მხრივ, სელფი (სელფი) და იდენტობა ისრუტავს 'სხვების' წარმოდგენებს მათ შესახებ. თუმცა, სელფი ბრმად არ იღებს ინფორმაციას გარედან. <u>სელფი მუდმივად ახდენს მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციას და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენს მიღებული მონაცემების ინტერნალიზებას ფსიქიკურ სტრუქტურებში.</u> ამგვარად, სახეზე გვაქვს ორმხრივი/რეციპროკული პროცესი, რომელიც ერთდროულად ინდივიდუალური

ფაქტორისა და, სოციოკულტურული ფაქტორების ზეგავლენაზეა დამოკიდებული (Linger, 2007).

იდენტობა გვცემს პასუხს კითხვაზე, თუ ვინ ან რა არის სუბიექტი, ის უზრუნველყოფს პირის რეპრეზენტაციას გარემოსა და, ამავე დროს, საკუთარი თავის წინაშე. ინდივიდს თავადაც სჭირდება იმის ცოდნა, თუ ვინ არის ის და რა ადგილი უკავია სოციალურ სამყაროში. იდენტობის კრიზისი იწვევს ფსიქიკურ პრობლემებს. იდენტობის განსაზღვრის გარეშე სრულფასოვანი ადაპტაცია შეუძლებელია. იდენტობა ადგენს სოციალური ინტერაქციის პროცესში ჩართული ელემენტების სოციალურ პოზიციებსა და როლებს. *'სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იდენტობა ნიშნავს, იყო გასაგები როგორც საკუთარი თავისთვის, ისე სხვებისათვის'* (Wetherell, 2009, p. 3).

<u>ვფიქრობ, რომ იდენტობის თვისებებზე საუბრისას განსაკუთრებით ნათლად ჩანს ფსიქოანთროპოლოგიური და კულტურულ-ფსიქოლოგიური ინტეგრაციული მიდგომის ადეკვატურობა.</u> ვხედავთ, რომ იდენტობის ჩამოყალიბება მიმდინარეობს სოციოკულტურული და პერსონალური ფაქტორების ურთიერთზეგავლენის პირობებში. იდენტობისა და მთლიანად სელფის ფუნქციონირების კანონზომიერების ახსნა შეუძლებელია მხოლოდ პერსონაზე, სოციალურ ან კულტურულ ფაქტორებზე ცენტრირებული მიდგომების საშუალებით. ჩვენ ამას პიროვნებისა და კულტურის ურთიერთმიმართების მეცნიერული კვლევის მთელი ისტორიის მანძილზე ნათლად ვხედავთ. რეალობა გვიჩვენებს, რომ ცალკეულ კონტექსტებში შეიძლება ფუნქციონირებდნენ ერთი შეხედვით სრულიად წინააღმდეგობრივი და ალოგიკური იდენტობების კრებულისა და სტრუქტურის მქონე სელფები.

არ არსებობს უნივერსალური თეორიული მოდელი, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა აგვეხსნა სამყაროში არსებული გრანდიოზული მრავალფეროვნება. ელი შახტერის კვლევის მაგალითზე კარგად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინდივიდთა ინტერნალური ხედვის გაგება სელფის შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობების

გასაგებად. ის, რაც გარეშე პირებისთვის აბსურდულად გამოიყურება, ჯგუფის წევრებისთვის სრულიად ლოგიკური მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება იყოს. ფსიქოანთროპოლოგიური და კულტურულ- ფსიქოლოგიური მიდგომა გვთავაზობს ხედვას, რომელიც არსებულ მოდელთა მიერ გაჩენილი ცალმხრივობის პრობლემა ხსნის და სრული სურათის (Big Picture) დანახვის საშუალებას გვაძლევს.

ფსიქოანთროპოლოგიური და კულტურულ-ფსიქოლოგიური პარადიგმა გვთავაზობს, რომ განსხვავებული საწყისი წერტილიდან, ყოველგვარი წინაპირობებისა და წინასწარი განწყობების გარეშე, დავიწყოთ ცალკეული ჯგუფების შესწავლა მათ საარსებო კონტექსტში და რაც მთავარია, მივიღოთ ინფორმაცია მათივე ინტერპრეტაციების შესახებ. ამგვარი მიდგომა ერთადერთი სწორი გზაა პლურალისტურ სამყაროში არსებული მრავალფეროვნების ასახსნელად.

<u>შემოთავაზებული ნაშრომი კვლევა ეფუძნება ეთნიკურ ქართველთა იდენტობის შესწავლას, რომელიც ემიკური მეთოდოლოგიის გამოყენებით, მიმდინარე კონტექსტში, რეალობის სუბიექტური რეპრეზენტაციების შესწავლის გზით განხორციელდა. კვლევის მიზანი შემოსაზღვრულია დროის მიმდინარე პერიოდით და არ აქვს პრეტენზია აბსოლუტურობაზე. ამ მიმართულებით უფრო ვრცლად კვლევის დიზაინის შესახებ არსებულ ქვეთავში ვისაუბრებთ.</u>

სოციალური და კოლექტიური იდენტობები

სელფის ფუნქციონირება დაკავშირებულია ჯგუფურ აქტივობებთან. ინდივიდის ცხოვრება წარმოუდგენელია სოციალური ურთიერთობების გარეშე. ჯგუფთან მიმართება განაპირობებს პერსონალურისაგან თვისებრივად განსხვავებული მენტალური ფენომენების ჩამოყალიბებას, მაგალითად, სოციალურ მოქმედებას.

სოციალური პროცესების შემადგენელი ელემენტების შესწავლისას პირველ რიგში მნიშვნელოვანია განისაზღვროს ინდივიდუალური იდენტობა, რადგან პერსონალური 'მე'-ს, 'ვინმე'-ს მოცემულობის გარეშე შეუძლებელია ჯგუფებისა და საზოგადოებების შესახებ

საუბარი. ჯგუფები ხომ ინდივიდებისაგან შედგება (Mccall & Simmons, 1966, p. 65). პერსონალური იდენტობა პასუხს სცემს კითხვაზე: ვინ ხარ შენ? ის გამოიხატება ისეთი უნიკალური მახასიათებლებით, როგორიცაა სახელი და პიროვნების სხვა ბიოგრაფიული მონაცემები.

მაგრამ, ვხედავთ, რომ სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიურად ორიენტირებულ ავტორთა თეორიული თუ ექსპერიმენტული ძიებები გვიჩვენებენ (ჩარლზ კული; ჰერბერტ ჯ. მიდი; ირვინ გოფმანი; ერიკ ერიქსონი; პოსტმოდერნიზმი; რიჩარდ შვედერი; მაიკლ კოული; იან ვალსინერი და ა. შ.) სოციალური და კულტურული კომპონენტის საკვანძო მნიშვნელობას ინდივიდუალური სელფის ჩამოყალიბების პროცესისათვის. ამდენად, საჭიროა უფრო ზუსტად განისაზღვროს ჯგუფურ აქტივობებთან დაკავშირებული იდენტობების ტიპები და ხასიათი.

ინდივიდები ურიცხვი ოდენობისა და სახეობის ჯგუფების წევრები შეიძლება იყვნენ. ჯგუფები განსხვავდება საკუთარი მნიშვნელოვნების მიხედვით. მათი უმეტესობა იქმნება და ქრება სიტუაციური საჭიროებების საპასუხოდ. ისინი ინდივიდებისათვის მნიშვნელობათა საკვანძო პროვაიდერებს არ წარმოადგენენ. ასეთი ჯგუფების მაგალითი შეიძლება იყოს ტურისტული ჯგუფი, სასწავლო ჯგუფი, პროფესიული ჯგუფი და ა. შ. ამგვარი ჯგუფები პიროვნებისათვის არ არის ემოციურად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი.

თუმცა, არსებობენ ჯგუფები, რომლებზე კუთვნილებაც პიროვნების სტაბილურ სოციალურ იდენტობებს განაპირობებენ. ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მის ფუნქციონირებაზე. სტაბილური ჯგუფებზე კუთვნილება ინდივიდისთვის ემოციურად მნიშვნელოვანია. სტაბილური ჯგუფური იდენტობა დაკავშირებულია მეტ-ნაკლებად ძლიერი მიჯაჭვულობისა და ემოციების არსებობასთან. ამგვარი ჯგუფის ნათელი მაგალითია რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების არსებობა.

განსხვავებულ ჯგუფებთან განსხვავებული მიმართებების არსებობა სელფის სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია. იქიდან გამომდინარე, თუ რა ტიპის მიმართება არსებობს, შეიძლება არსებობდეს განსხვავებული ტიპისა და მნიშვნელობის ჯგუფური იდენტობები და მიმართებები ამ ჯგუფებთან. ცალკეული იდენტობები ასახავენ ინდივიდის სოციალურ პოზიციას, თუმცა, უფრო მაღალი საფეხურის ჯგუფურმა იდენტობამ შეიძლება უკვე ჯგუფური/კოლექტიური მოქმედებები განაპირობოს. ასე რომ, შეგვიძლია განვასხვავოთ სოციალური და კოლექტიური იდენტობები. ცალ-ცალკე განვიხილავ თითოეულ მათგანს.

სოციალური იდენტობა

სოციალური იდენტობა გულისხმობს ინდივიდის ამა თუ იმ ჯგუფზე კუთვნილებისა და სოციუმის სტრუქტურაში მისი პოზიციის იდენტიფიკაციას.

სოციალური იდენტობის ცნება დაკავშირებულია ორ განსხვავებულ (თუმცა, არა წინააღმდეგობრივ) სამეცნიერო ტრადიციასთან. სოციოლოგიურად ორიენტირებული მიდგომა იდენტობას აკავშირებს ჯგუფზე კუთვნილების განცდასთან, სტატუსებთან და პიროვნებებისათვის რაიმე სახის იარლიყების 'მიწებებასთან'. სოციოლოგიურად ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს სოციალურ-კონსტრუქციონისტულ ხედვას და ძირითადად პიროვნების, როგორც სოციალური სტრუქტურის შემადგენელი ელემენტის (რომელსაც აქვს რაიმე სტატუსი და იარლიყი) განხილვით შემოიფარგლება. აღნიშნული ხედვა ნაკლებად ითვალისწინებს კულტურული ფაქტორებისა თუ ინდივიდუალური ინტერპრეტაციის მნიშვნელობას.

სოციალური იდენტობის ტერმინზე მომუშავე მკვლევართა მეორე მნიშვნელოვან ფრთას ევროპელი სოციალური ფსიქოლოგები წარმოადგენენ, რომელთა ყველაზე ცნობილი წარმომადგენელიც ჰენრი ტაჯფელია. ჰენრი ტაჯფელის სოციალურ- ფსიქოლოგიური პერსპექტივა ფსიქიკის კოგნიტურ კომპონენტზე აკეთებს აქცენტს. ის სოციალურ

იდენტობას კატეგორიზაციისათვის საჭირო ინსტრუმენტად განიხილავს, რომელსაც პიროვნება სამყაროს მოწესრიგებული აღქმისათვის იყენებს (Owens, 2006, pp. 205-233).

ტაჯფელი აქცენტს აკეთებს ჯგუფს-შიგნითა (in-group) და ჯგუფს-გარეთა (out-group) განსხვავებების მნიშვნელობასა და როლზე სელფის ფორმირების პროცესში. **წარმატებულ ჯგუფზე კუთვნილების განცდა ამაღლებს თვითშეფასებას.** ტაჯფელის აზრით, სწორედ ამის გამო ხდება, რომ ადამიანებს ახასიათებთ ტენდენცია, ხაზი გაუსვან საკუთარი ჯგუფის უპირატესობებს და აზვიადებენ განსხვავებული (არ არის აუცილებლად კონკურენტი იყოს) ჯგუფის ნაკლოვანებებს. მისი აზრით, **ინდივიდები ვითარების ამგვარი კოგნიტური დამუშავების გზით იმაღლებენ მათ პირად თვითშეფასებას,** რადგან ის გაიგივებულია და უშუალოდ დაკავშირებულია ჯგუფის წარმატებასთან. ჯგუფის წარმატებულობის ხარისხის გაზვიადებით, მატულობს ინდივიდის თვითშეფასების ხარისხიც (Tajfel & Turner, 1979).

კოგნიტური აქტივობის ამგვარი ხასიათი ხელს უწყობს ჯგუფთაშორის დაძაბულობას და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. ამ პროცესების ანალიზისას ნათლად ჩანს, თუ რამდენად მჭიდრო კავშირშია და ძლიერ გავლენას ახდენს სოციალური იდენტიფიკაცია ინდივიდის აზროვნებასა და ქცევაზე. <u>ვფიქრობ, აქაც ჩანს რომ სოციალური და ინდივიდუალური ფაქტორები ერთმანეთს განსაზღვრავს, რამდენადაც ჯგუფური კუთვნილებისთვის მნიშვნელობის მინიჭება პერსონალური მოტივაციის დაკმაყოფილებას ემსახურება (Tajfel, 1981). დავამატებ, რომ უშუალოდ შეფასების შინაარსს და ამაღლება-დადაბლების კრიტერიუმებს, სავარაუდოდ, კულტურული კონტექსტი უნდა განსაზღვრავდეს.</u>

კიდევ ერთ მნიშვნელოვანი ავტორი, ჯონ ტერნერი ამტკიცებდა, რომ (სოციალური) კატეგორიზაციის პროცესი ადამიანებს სამყაროს აღქმის გამარტივებაში ეხმარება. მისი აზრით, პიროვნებას კატეგორიზაციის განსხვავებული დონეები ახასიათებს (Turner, Penelope J. Oakes, S. Alexander Haslam, & Craig Mcgarty, 1994). ჯონ ტერნერის თანახმად,

პიროვნების კატეგორიზაციის დონიდან გამომდინარე ის შეიძლება თავს აკუთვნებდეს მეტად თუ ნაკლებად ფართო ჯგუფებს (კატეგორიებს). თვითკატეგორიზაციის მინიმალურ დონეზე ადამიანი განსაზღვრავს საკუთარ თავს, ადგენს საკუთარ სახელს, გარეგნობას და სხვა უნიკალურ მახასიათებლებს. უფრო მაღალ დონეზე ჩნდება ჯგუფური კუთვნილების განცდა. მან შეიძლება თავი აღიქვას რომელიმე სპორტული გუნდის წევრად და აქ უკვე სახეზე გვექნება უფრო ფართო კატეგორია სოციალური გაფართოებული სელფის სახით. კატეგორიის კიდევ უფრო გაფართოების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს იდენტიფიკაცია ზოგადად სპორტთან, ყველა სპორტსმენთან და ა. შ. თეორიულად, კატეგორიის უმაღლეს საფეხურს ზოგადად ყველა ადამიანთან და ადამიანობასთან იდენტიფიკაცია შეიძლება წარმოადგენდეს (Turner, Penelope J. Oakes, S. Alexander Haslam, & Craig Mcgarty, 1994).

ჩემთვის ჯონ ტერნერის მიერ შემოთავაზებული თეორია საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის ამყარებს წარმოდგენას პიროვნული და სოციალური ფაქტორების ურთიერთკავშირის შესახებ. ჯონ ტერნერის მოდელს თუ მივიღებთ, ცხადი გახდება, რომ სოციალური სამყარო მხოლოდ პიროვნების სუბიექტურ რეალობაში არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს აბსოლუტურად დამოუკიდებელი სელფი, ასევე, არ არსებობს ჯგუფი, როგორც ობიექტური მოცემულობა.

ვფიქრობ, მას შემდეგ, რაც დავინახეთ სოციოკულტურული ფაქტორების მნიშვნელობა, დგება მაკრონარატივებისა და დისკურსების გათვალისწინების აუცილებლობა. სელფი ენკულტურაციის პროცესში იღებს ინფორმაციას იმ მაკროკონტექსტის შესახებ, რომლის ნაწილსაც, ერთის მხრივ, ის თავად წარმოადგენს, მეორეს მხრივ კი კონტექსტი ფორმირებისას სელფის ნაწილი ხდება. ინდივიდუალური სელფი ერთდროულად შედგება და შეადგენს მაკროკულტურულ კონტექსტს. სელფი თავადაა მთელიც და სხვა მთელის ნაწილიც ერთდროულად. არ არსებობს სელფი, თუ არ არსებობს გლობალური კულტურული კონტექსტი, მაგრამ ასევე არ არსებობს გლობალური კონტექსტი

ინდივიდების მიერ მნიშვნელობების მუდმივი ინტერპრეტირებისა და შემოქმედების გარეშე.

სოციალური იდენტობა სელფის განუყოფელი ნაწილია. ის გავლენას ახდენს კოგნიტურ პროცესებზე, ემოციებზე და, ზოგადად, პიროვნებისეულ პროცესებზე. რაც უფრო ღრმაა ინდივიდის სოციალური იდენტიფიკაციის დონე, მით უფრო მეტია შანსი, რომ მას ღრმა ინტერპერსონალური ურთიერთობები და კომუნიკაცია ჰქონდეს საზოგადოების სხვა წევრებთან (Marcia J. A., 1993). მეტიც, სოციალური იდენტიფიკაციის მაღალი დონე დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღების უკეთესი უნარების ქონასთან (Orlofsky, James E. Marcia, & I. M. Lesser, 1973). მეორეს მხრივ, სოციალური იდენტიფიკაციის დაბალი დონე იწვევს რიგიდულობას/მოუქნელობას და პირველად სოციალურ ჯგუფებთან (ოჯახი) ძლიერ მიჯაჭვულობას (Marcia J. E., 1980) და ავტორიტარულობის გამოვლენასაც (Marcia J. E., 1967). ზოგადად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთარ ეთნიკურ ჯგუფთან იდენტიფიკაცია მნიშვნელოვანია მაღალი თვითშეფასებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის (Greig, 2003).

ადამიანური მოქმედების მრავალფეროვნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ინდივიდუალური მოქმედებით. ინდივიდუალური მოქმედებისაგან განსხვავებულია ჯგუფური მოქმედებები. ჯგუფის შემადგენლობაში ინდივიდი განსხვავებულად მოქმედებს (იმასთან შედარებით, ვიდრე ის ინდივიდუალური აქტივობის შემთხვევაში იმოქმედებდა). ინდივიდები ჯგუფში გაერთიანების პირობებში ქმნიან განსხვავებულ, ზეპიროვნულ კოლექტიურ იდენტობებს. უფრო დეტალურად განვიხილავთ ამ საკითხს.

კოლექტიური იდენტობა

კოლექტიური იდენტობის ცნება საკმაოდ ახალია. ის უახლეს წარსულში შემოიტანა იტალიელმა მკვლევარმა, ანტონიო მელუჩიმ. კოლექტიური იდენტობა სოციალური იდენტობისაგან იმით განსხვავდება, რომ ის აღნიშნავს არა ინდივიდის ადგილს ჯგუფში, არამედ მთლიანად ჯგუფის (თავად ჯგუფის) იდენტობას. კოლექტიური იდენტობა

ვლინდება ჯგუფურ/სოციალურ მოქმედებაში. ანტონიო მელუჩი მიუთითებს, რომ კოლექტიური იდენტობა ინდივიდთა კოლექტიური აქტივობისა და საზიარო იდენტობის რეპრეზენტაციას წარმოადგენს. კოლექტიური იდენტობა გამყარებულია ჯგუფის წევრებს შორის ინტენსიური კომუნიკაციით. ჯგუფს შიგნით (in-group) ინტენსიური კომუნიკაციის გარეშე კოლექტიური იდენტობა ქრება. კოლექტიური იდენტობის ცნება ჯგუფური/სოციალური მოქმედების საინტერპრეტაციო კონცეპტუალური ინსტრუმენტია მაშინ, როცა სოციალური იდენტობა მხოლოდ ინდივიდუალური თვითკატეგორიზაციის პროცესს აღწერს (Meluci, 1996).

კოლექტიური იდენტობა ჯგუფთან მიმართებაში იგივეა, რაც სოციალური იდენტობა პიროვნებასთან მიმართებაში (Owens, 2006, pp. 205-238). თუმცა, შევნიშნავდი, რომ თუ ჯონ ტერნერის მოდელს გავიხსენებთ, მაშინ კოლექტიური იდენტობა შეიძლება თვითკატეგორიზაციის (ანუ სოციალური იდენტიფიკაციის) ერთ-ერთ, უბრალოდ მაღალ საფეხურად, სელფის გაფართოებულ ვარიანტად განვიხილოთ. ჩემი ეს მსჯელობა უფრო გასაგები გახდება, თუ აქ **დიალოგური სელფი**ს იდეას გავიხსენებთ (Hermans, 2001).

დიალოგური სელფი შეიძლება მოიცავდეს ინდივიდისთვის მნიშნელოვან ყველა სოციალურ ელემენტს, მათ შორის კოლექტივს/კოლექტიურ იდენტობას. დიალოგური სელფის მოდელი საშუალებას გვაძლევს წარმოვისახოთ ინტერაქტიული სელფის სუბიექტური რეალობა. კოლექტიური იდენტობა დიალოგური სელფის განუყოფელი ნაწილია და ნაწილობრივ განსაზღვრავს მას, და, თავადაც განისაზღვრება მისით, როგორც მისი შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი.

ერთ-ერთი მოცემულობა და უმნიშვნელოვანესი თეორიული კონცეპტი, რომელიც კოლექტიური იდენტობის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს, არის ეთნიკურობა. ის ჯგუფში გაერთიანებული ადამიანების კოლექტიურ იდენტობას გამოხატავს. ეთნიკურობაც (ეთნიკური იდენტობა) დიალოგური სელფის შემადგენელ ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ.

გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე სამყაროში სოციალური გარემო ინტერნალიზდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მაუწყებლობის მიერ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის შესახებ ინფორმაციების ინტენსიური გავრცელების პირობებში. ფიზიკური საზღვრები აღარ არის მნიშვნელოვანი. ადამიანებს მედიის საშუალებით მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვა ჯგუფების შესახებ - სამყარო უფრო მთლიანობითი და მეტად სტრუქტურირებული გახდა. ინტერნაციონალურ საზოგადოებაში ადამიანებს თვითრეპრეზენტაციისათვის შესაბამისი ინსტრუმენტები სჭირდებათ და აქ სქესი, პროფესია და სხვა სოციალური როლები აღარ არის საკმარისი. **ამ პირობებში ეთნიკური იდენტობა უკვე სოციალურ პოზიციადაც (თუ გნებავთ, სოციალურ იდენტობად) გვევლინება.**

<u>ეთნიკურობა შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც მაკროკოლექტიურ, ისე სოციალური იდენტობის დონეზეც.</u> ამავე დროს, ეთნიკური იდენტობა შეიძლება იყოს ჯგუფური/კოლექტიური მოქმედების კატალიზატორი და წარმმართველი სიმბოლოც. მას შეუძლია შეასრულოს კოლექტიური იდენტობის ფუნქციაც. <u>ეთნიკური იდენტობა შეიძლება ფუნქციონირებდეს განსხვავებულ დონეზე და სიღრმით.</u>

კოლექტიური ეთნიკური იდენტობის გამოვლენის ყველაზე სახიერი და ტრაგიკული მაგალითია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეთნიკური კონფლიქტების არსებობა. ჩვენ მივუახლოვდით ჩვენი კვლევის ძირითად - ეთნიკური იდენტობის საკითხს.

<u>ეთნიკურობის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ემიკური კულტურულ ფსიქოლოგიური კვლევების/ფსიქოანთროპოლოგიური კვლევების განვითარების კუთხით, რადგან აღიშნული საკითხი იმყოფება სოციალური, კულტურული და პერსონალური პროცესების/ფაქტორების გადაკვეთაზე. ეთნიკური იდენტობის შესახებ საუბარი შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდის ჯგუფზე კუთვნილებისა და მასთან დაკავშირებული გრძნობების/ემოციების/ფიქრების/მოტივაციების, სოციალური სტრუქტურების შინაარსობრივად შემავსებელი კულტურული 'მასალის'</u>

გათვალისწინების პირობებში. ამავე დროს, მნიშვნელოვანია უსასრულო პერსონალური მრავალფეროვნების მხედველობაში მიღებაც.

სამყაროში არ არსებობს ეთნიკური იდენტობის ერთი უნივერსალური სახე/ვარიანტი. ჩემს კვლევას საფუძვლად უდევს დაშვება, რომ 1) ეთნიკური იდენტობა წარმოადგენს პერსონალური და გარემო სოციოკულტურული ფაქტორების ინტერაქციის შედეგს. 2) ეს ორივე ასპექტი ინტეგრირებულია ინდივიდუალურ სელფის სტრუქტურაში. 3) ორივე ასპექტი რეციპროკულ ზეგავლენას ახდენს ერთმანეთზე.

სელფსა და მის გარემოს ერთმანეთის შემადგენელ და მდგენელ ელემენტებად განვიხილავ. გავიმეორებ, ეთნიკური იდენტობა დიალოგური სელფის ნაწილია.

ასეთი მიდგომა ლოგიკურია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ორ ფუნდამენტურ დაშვებას, რომ სელფის და მისი ელემენტების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს როგორც თვითრეფლექსია, ისე სოციალური რეაქცია/შეფასებები. სელფისა და იდენტობის კვლევისას მნიშვნელოვანია პირადი განცდების, ფიქრებისა და მოტივებისა და სოციალური სტიმულების გათვალისწინება. თუმცა, მხოლოდ ამ ფაქტორების გათვალისწინება საკმარისი არ არის, რადგან არც ერთი სოციალური სტრუქტურა არ წარმოადგენს მექანიკურ წარმონაქმნს - ის მნიშვნელობებით არის დატვირთული.

პიროვნულ და სოციალურ სტრუქტურებს შინაარსობრივად კულტურა ავსებს. თავის მხრივ, ადამიანები გარემოდან მიღებულ პარტიკულარულად ინტერპრეტირებულ კულტურულ შინაარსებს უკან აბრუნებენ სოციალურ სივრცეში. ეს პროცესი უსასრულოდ (გა)გრძელდება. აშკარაა სოციალური, კულტურული და ინდივიდუალური ფაქტორების ურთიერთგანმაპირობებელი ფაქტორების არსებობა. ნებისმიერი ფსიქიკური ფენომენის შესასწავლად საჭიროა პიროვნების იმ სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით კვლევა, რომელშიც მისი სელფი ჩამოყალიბდა. ჩემს მიერ განხილული მიდგომა წარმოადგენს თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური და

კულტურულფსიქოლოგიური მიდგომების კვინტენსენციას. ჩემი კვლევა კი მისი განვითარების მცდელობას წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ **ეთნიკურობის** კვლევას საკუთარი, განსხვავებული ისტორია გააჩნია, რომელიც სოციალური მეცნიერების ცალკეული დისციპლინების სეპარატისტული ხასიათის გამო იდენტობის კვლევებისგან განცალკევებულად მიმდინარეობდა. შემდეგ ქვეთავში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ სეპარატულობის პრობლემის შესახებ.

სამეცნიერო კვლევების სეპარატულობის პრობლემა

აქამდე განვიხილეთ სელფთან დაკავშირებული პრობლემატიკა. ბოლოს უშუალოდ შევეხეთ მისი (სელფის) შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის, ეთნიკური იდენტობის კვლევის საკითხს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთნიკურობის კვლევას, სელფის მსგავსად, არანაკლებ ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუმცა, ამ ორი, ერთი შეხედვით ერთმანეთისგან განუყოფელი თემის კვლევა განცალკევებით, განსხვავებული სამეცნიერო ტრადიციების ჩარჩოებში მიმდინარეობდა. არ არსებობდა ჰოლისტური მეთოდოლოგიური პარადიგმა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ამ საკითხების ერთი ქოლგის ქვეშ მოქცევას. <u>ჩემი კვლევის ერთ-ერთ ამოცანას სწორედ ამგვარი ჰოლისტური კვლევის განხორციელება წარმოადგენს.</u>

როგორც ზემოთ ვნახეთ, სელფის მეცნიერული კვლევა მე-19 საუკუნის ბოლოს, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მეცნიერების ჩარჩოებში დაიწყო. ეთნიკურობის კვლევაც ასევე მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება. თუმცა, თავდაპირველად ძიება რასობრივი კვლევების სახელწოდებით მიმდინარეობდა (Lindholm, 2007).

ცალკე აღსანიშნავია მეოცე საუკუნის 30-50-იან წლებში ამერიკელ კულტურულ ანთროპოლოგთა მიერ განხორციელებული მრავალი კვლევა, რომლებიც ნაციონალური ხასიათების აღწერა/განსაზღვრას ისახავდა მიზნად. **ჯეფრი გორერის** მიერ რუსული ხასიათის, **მარგარეტ მიდის** მიერ იაპონელთა ხასიათის, **რუთ ბენედიქტის** მიერ ოკეანიის და ჩრდილო ამერიკის ტერიტორიებზე მცხოვრებ ინდიელ ტომთა კვლევამ განსაკუთრებული წარმატების გარეშე ჩაიარა[2] (Bock, 1999).

ჯერ რასების, ხოლო შემდგომ ეთნიკურობის კვლევა ფსიქოლოგიის/სოციოლოგიისაგან განცალკევებით მიმდინარეობდა და დღემდე მიმდინარეობს სოციალურ-ანთროპოლოგიური მეცნიერების ჩარჩოებში. შედეგად, სახეზე გვაქვს ეთნიკურობის

[2] ამ საკითხს უფრო დეტალურად ეთნიკური კვლევებისათვის მიძღვნილ თავში ვისაუბრებთ ქვემოთ.

კვლევის შინაარსობრივად საკმაოდ დატვირთული ტრადიცია. თუმცა, პრობლემას ის წარმოადგენს, რომ სოციალური ანთროპოლოგიის ჩარჩოებში განხორციელებული ეთნიკურობის კვლევები პრაქტიკულად მოწყვეტილი იყო ფსიქოლოგია/სოციოლოგიის ჩარჩოებში მიმდინარე სელფთან დაკავშირებული ძიებებისაგან. სოციალურ ანთროპოლოგთა მიერ განხორციელებულ ეთნიკურ კვლევებში იშვიათად ან პრაქტიკულად ვერ შეხვდებით სელფთან ან იდენტობასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას. ისინი პრაქტიკულად არ ითვალისწინებდნენ პერსონალური ინტერპრეტაციის მნიშვნელობას და ინდივიდუალურ ფაქტორს, როგორც ასეთს. იმდენად, რამდენადაც სოციალურ/კულტურულ ანთროპოლოგიაში განხორციელებულ ეთნიკურობის კვლევებს დამოუკიდებელი ისტორია გააჩნია, მე მათ ნაშრომის შემდეგ განყოფილებაში განცალკევებით განვიხილავ. აღსანიშნავია, რომ თავად ანთროპოლოგიის ჩარჩოებს შიგნითაც კი ვერ ვხვდებით ეთნიკურობის კვლევის განვითარების ერთიან თეორიულ ხაზს. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, იძულებული ვიქნები, რომ განცალკევებით განვიხილო ცალკეული სამეცნიერო ტრადიციების ჩარჩოებში ჩამოყალიბებული განსხვავებული (მაგრამ არავითარ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი) მიდგომები.

საბოლოო ჯამში, ჩემი კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს თეორიულ ამოცანას სწორედ სოციალურ მეცნიერებაში არსებული სეპარატულობის პრობლემის გადაჭრა და საკვლევ საკითხთან მიმართებაში ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და კულტურულ/სოციალურ ანთროპოლოგიური მიმართულებების ერთ ჰოლისტურ მოდელში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამდენად, ეთნიკურობასთან დაკავშირებული თეორიების განხილვისას გზადაგზა შევეცდები მოვახდინო ეთნიკურობის კვლევების ფარგლებში არსებული სხვადასხვა მიდგომების დაკავშირება აქამდე განხილულ სელფის კვლევებთან. შევეცდები მოვახდინო ცალკეულ ელემენტებად გაბნეული ინფორმაციის გამთლიანება.

ეთნიკურობის კვლევის წანამძღვრები შუა საუკუნეების ფილოსოფიასა და ხალხთა ფსიქოლოგიაში

მაკროსოციოკულტურული მოვლენების შესწავლის მცდელობებს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გამოქვეყნებულ ცალკეულ ავტორთა ნაშრომებში ვხვდებით.

ჩემი კვლევასთან მიმართებაში შედარებით ყველაზე რელევანტური და საინტერესო იქნება იოჰან გოტფრიდ ჰერდერის შეხედულებების ხსენება (Гердер, 1977). ის გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. იოჰან გოტფრიდ ჰერდერი მიიჩნევდა, რომ ერი და კულტურა სტაბილური მოცემულობაა და ის პრაქტიკულად არ იცვლება. ის უშვებდა განსხვავებული, ეროვნული კულტურების არსებობის შესაძლებლობას. ჰერდერი საუბრობს „ეროვნული სულის“ არსებობის შესახებაც. „ეროვნული სული“ მსჭვალავს ერის შემადგენელ ადამიანებს (Гердер, 1977). შევნიშნავ, რომ ჰერდერისეული სულის მსგავს იდეას უკვე მეოცე საუკუნეში გვთავაზობს ამერიკელი კულტურული ანთროპოლოგი რუთ ბენედიქტი. რუთ ბენედიქტი ფიქრობდა, რომ ხალხს გააჩნია ‘ეთოსი’ (Benedict, 1934). რუთ ბენედიქტის ‘ეთოსი“ ეროვნული სულის მსგავსია მნიშვნელობით და ჯგუფის ჰომოგენურობას, საერთო/გაზიარებული კულტურის არსებობის ფაქტს გამოხატავს (Benedict, 1934).

ჰერდერის თეორიის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პრაქტიკულად არ ითვალისწინებს ჯგუფის შიგნით არსებულ ინდივიდუალურ ცვალებადობასა და დროში მიმდინარე ცვლილებების ალბათობას. ხალხების ჰომოგენურ და უცვლელ ერთობად განხილვის გამო მისი თეორია დღევანდელი გადასახედიდან ნაკლებად ღირებულია (Lindholm, 2007). მისი მიდგომა ზედმეტად იდეალისტურია. შემდგომ დავინახავთ, რომ ეს პრობლემა დიდ ხანს რჩებოდა მაკროსოციალური ჯგუფების კვლევის უმთავრეს გამოწვევად და, პრინციპში, მგონი საბოლოოდ დღემდე არ არის გადაჭრილი.

თუმცა, აქვე დავამატებ, რომ ჰერდერის თეორიას ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსება გააჩნდა. ის ერთ-ერთი პირველი იყო იმათგან, ვინც სხვადასხვა ჯგუფებისა და

კულტურების განვითარების პარტიკულარისტული გზის არსებობის შესაძლებლობა დაუშვა (Гердер, 1977). ეს იდეა განვითარებასა და გამოძახილს უკვე მეოცე საუკუნის ბოლოს თანამედროვე ფსიქანთროპოლოგიასა და კულტურულ ფსიქოლოგიაში ჰპოვებს.

აქვე, მნიშვნელოვანია ვახსენოთ ვილჰელმ ვუნდტის ხალხთა ფსიქოლოგიაც, რომელიც მან დუალისტური მოდელის ჩარჩოებში განავითარა. ის ერთმანეთისგან განასხვავებდა ინდივიდუალურ და ხალხის ფსიქოლოგიებს. ვილჰელმ ვუნდტის მიხედვით, უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციები მხოლოდ ჯგუფური აქტივობების შედეგად ყალიბდება და ეს პროცესი განსხვავდება ინდივიდუალური ფსიქიკის ფუნქციონირებისაგან. ინდივიდუალური პროცესები შედგება მხოლოდ ელემენტარული ატომისტური პროცესების მთლიანობისაგან და უფრო მეტად ფიზიოლოგიური ხასიათისაა. უმაღლესი ფსიქიკური პროცესები კი ადამიანების მიერ უშუალოდ კოლექტიური აქტივობის პროცესში იქმნება (Wundt, 2007). ვილჰელმ ვუნდტის მიხედვით, ხალხის ფსიქოლოგია ისტორიული განვითარების პროცესში ყალიბდება. ამ მხრივ ის ვიგოტსკიანური იდეების ანტიციპაციას ახდენს. ვუნდტის აზრით, ხალხის ფსიქოლოგიის შესწავლა უნდა მოხდეს ენის მითებისა და ადათების შესწავლის გზით.

ვუნდტის იდეები ძალზედ ზოგადი გახლდათ და აკლდათ დეტალიზაცია. აუხსნელი დარჩა, თუ როგორ ხდება უმაღლესი ფსიქიკური პროცესების ფორმირება კოლექტიური მონაწილეობის პირობებში. მისმა იდეებმა განვითარება ვერ ჰპოვა. ვუნდტის თეორია გამოქვეყნებიდან მალევე ინაცვლებს ფსიქოლოგიის ისტორიის ანალებში. ვუნდტის თეორიის ნაკლოვანების გარდა, მის არაპოპულარობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ფსიქოლოგიამ გეზი უმეტესად ბიჰევიორისტული ან ფსიქოანალიტიკური მიმართულებით აიღო. მეცნიერულმა ფსიქოლოგიამ პრაქტიკულად სრულად უკუაგდო კულტურის/ერების/საზოგადოებების კვლევის შესაძლებლობები. კულტურამ დაახლოებით ასი წლით ფსიქოლოგიური მეცნიერების პერიფერიაზე გადაინაცვლა.

‘ეთნოსი’ – ტერმინის ისტორიული ფესვები

ადამიანებს ეთნიკურობის თემა ანტიკური დროიდან აინტერესებდათ. ძველი ბერძნები ‘ეთნოსს’ და ‘ეთნიკურობას’ განსხვავებათა აღსანიშნავად და ჯგუფებს შორის სეპარაციის მიზნით იყენებდნენ. ანტიკურ საბერძნეთში ‘ეთნოსი’ უმეტესად წარმართებისა და, ზოგადად, არაბერძენი ხალხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. უცხოელებს ბარბაროსებად, ციკლოპებად და სხვა ნეგატიური მეტაფორებით ნათლავდნენ (Hutchinson & Smith, 1996).

ისტორიული განვითარების პროცესში ‘ეთნოსი’-ს მნიშვნელობა თანდათან გაფართოვდა. მნიშვნელობის გაფართოებას ბიძგი შუა საუკუნეებში განხორციელებულმა აღმოჩენებმა მისცა. ხსენებული პროცესი მარკო პოლოს ჩინური ვოიაჟით დაიწყო და ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენითა და სხვა გრანდიოზული თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მოგზაურობებით გაგრძელდა. მოგზაურობების პროცესში ევროპელებმა მათთვის სრულიად უცხო კულტურები აღმოაჩინეს. მათ ნახეს ქვეყნები, რომლებიც მათ სამშობლოზე მდიდრულად გამოიყურებოდა. ევროპელები გააოცა იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთი აღმოსავლური ქვეყნის სოციოეკონომიკური განვითარების დონე იმაზე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ისინი ამას წარმოიდგენდნენ. ამგვარმა აღმოჩენებმა საბოლოოდ შეცვალა ევროპელების წარმოდგენა მსოფლიოს შესახებ. ყოველდღიურ მეტყველებაში ‘ეთნიკურობა’-მ მნიშვნელობა შეიცვალა. ის მხოლოდ უცხოების აღმნიშვნელი ტერმინიდან, საკუთარი სოციოკულტურული იდენტობისა და კუთვნილების აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ცნება „ეთნოსი“ ნებისმიერი სოციოკულტურული ჯგუფის აღმნიშვნელ ფაქტორად გადაიქცა. ‘ეთნოსი’-ს ცნების გაფართოებისთვის მნიშვნელოვანი იყო ევროპის შიგით მომხდარი რელიგიური რეფორმაციაც. რელიგიურმა ფაქტორმა ევროპელებისათვის გამაერთიანებელი ფუნქცია დაკარგა. კონტინენტის შიგნით გაჩნდნენ ერთმანეთთან გაუცხოებული ჯგუფები. ბებერ კონტინენტზე მცხოვრებ ხალხთა ერთი ნაწილი გაუცხოვდა მეორისგან.

ევროპელებისათვის შეიცვალა როგორც საკუთარ ხალხად აღქმული ჯგუფის სახე, ისე 'უცხოების' შესახებ მანამდე არსებული ხატი. ამ ფაქტორს შემდგომ დაემატა ერი-სახელმწიფოების გაჩენაც, რამაც გაზარდა განსხვავებულ შიდაევროპულ ჯგუფებს შორის გაუცხოების ხარისხი (Eller, 2009).

ახლა რაც შეეხება ცნების განვითარების გზას უშუალოდ მეცნიერულ დისკურსში. დასავლურ სოციალურ მეცნიერებაში ცნება 'ეთნოსი' პოპულარობას რეალურად მხოლოდ და მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში იძენს. მანამდე მკვლევართა ყურადღება ძირითადად დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ტომებსა და ხალხებს შორის რასობრივი განსხვავებების კვლევაზე იყო მიპყრობილი. რასა/ტომის მკვლევრები სოციოკულტურულ თავისებურებებთან ერთად ინდივიდთა ბიოლოგიურ წარმოშობასაც იკვლევდნენ. ბიოლოგიურ კომპონენტზე აქცენტირება იყო რასების კვლევების ერთ-ერთი საკვანძო ნიშანი. ტერმინი 'რასა' განსაკუთრებით პოპულარული მეცხრამეტე საუკუნის მეორე და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იყო. ამ დროს განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა ავსტრალია/ოკეანიაში/აფრიკაში ახლად აღმოჩენილ აბორიგენ 'ტომებზე' დაკვირვება. ისინი პრიმიტიულ და ევროპელებთან შედარებით განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებად მიიჩნეოდნენ. მხოლოდ მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან, გერმანელი ნაცისტების საზარელი მმართველობის შემდგომ იწყება სოციალურ მეცნიერულ დისკურსში უნივერსალისტური პარადიგმის რელატივისტურით ჩანაცვლება. ტერმინები 'რასა' და 'ტომი' თანდათან ქრება სოციალურ მეცნიერთა ლექსიკონებიდან. მათ ადგილს მყარად იკავებს 'ეთნოსი' (Hutchinson & Smith, 1996).

'ეთნოსი' ამ სიტყვის ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე ნაკლებად პოპულარული იყო აკადემიურ სივრცეში. ის მხოლოდ ყოფით მეტყველებაში გამოიყენებოდა. ეთნოსის' განმარტება თითქმის ზუსტად იგივეა, რაც 'რასისა' და 'ტომისა'. თუმცა, უნდა აღინიშნოს მათ შორის არსებული ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავება - <u>ეთნიკური იდენტობის კვლევები დაცლილია</u>

<u>გენეტიკური თუ სხვა ბიოლოგიური კონოტაციისაგან.</u> ‘ეთნოსი’, რასისა და ტომისაგან განსხვავებით, არ გულისხმობს იერარქიული კლასიფიკატორული სისტემის შექმნას. ის, რასისგან განსხვავებით, კულტურებს არ ათავსებს განსხვავებულ იერარქიულ საფეხურებზე.

თანამედროვე სოციალურ მეცნიერებაში ტერმინი ‘რასა’ მყარად არის დაკავშირებული ბიოლოგიურ/გენეტიკურ ძიებებთან. დღევანდელ დღეს ის მხოლოდ ფიზიკური ანთროპოლოგების მიერ გამოიყენება. ‘ტომი’ კი საერთოდ ყველანაირი სოციალური სამეცნიერო დისკურსიდან გაქრა (Eller, 2009).

რასობრივი კვლევების კომპრომეტირების პარალელურად ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის ჩარჩოებში აქტიურად მიმდინარეობდა ‘ნაციონალური ხასიათების’ კვლევა, რომელსაც შემდეგ ქვეთავში შევეხებით.

ნაციონალური ხასიათების კვლევები

ხალხების კვლევა ევროპისაგან საკუთარი და სრულიად განსხვავებული გზით ვითარდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კულტურული ანთროპოლოგიის ჩარჩოებში. მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტიურად მიმდინარეობდა ნაციონალური ხასიათების კვლევები. ამ პროცესს სათავე დაუდო ამერიკის შეერთებული შტატების იაპონიასთან, გერმანიასთან და საბჭოთა კავშირთან დაპირისპირებამ. ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის სამსახურებში აქტიურად მუშაობდნენ ისეთი ლეგენდარული კულტურული ანთროპოლოგები, როგორებიც მარგარეტ მიდი, გრეგორი ბეიტსონი და ჯეფრი გორერი იყვნენ. ისინი უმეტესად სკოლას - „პიროვნება და კულტურა“ - მიეკუთვნებოდნენ. სადაზვერვო სამსახურში მუშაობისას მათ უშუალო მისიას ამერიკელი სამხედროებისა და, განსაკუთრებით, მოწინააღმდეგე ხალხების ფსიქოლოგიის შესწავლა წარმოადგენდა. კვლევების მიზანს სამიზნე ჯგუფებზე სასურველი ზეგავლენის მოსახდენად შესაძლო გზების აღმოჩენა წარმოადგენდა.

პოლიტიკური მიზნით წარმოებულმა კვლევებმა სათავე რამოდენიმე უმნიშვნელოვანესი ნაშრომის გამოქვეყნებას დაუდო (Bock, 1999; Benedict, 1946; Gorer & Rickman, 1950).

„კულტურა და პიროვნების“ სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს აქსიომატურ დაშვებას წარმოადგენდა იდეა ნებისმიერ საზოგადოებაში ტიპიური პერსონალური ხასიათის არსებობის შესახებ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ყოველ საზოგადოებაში რაიმე სახის ხასიათი დომინირებს. სწორედ ამ დომინანტური ხასიათების ძიების სურვილი დაედო საფუძვლად იაპონური, რუსული თუ ამერიკული 'ნაციონალური ხასიათების' კვლევას (Lindholm, 2007). მოკლედ მიმოვიხილოთ ნაციონალურ ხასიათების კვლევების ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევები.

რუთ ბენედიქტის „ქრიზანთემა და მახვილი“ დღემდე ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სამეცნიერო ნაშრომად რჩება აშშ-ში. ბენედიქტმა კვლევის საკუთარი ძალიან მოქნილი მიდგომა შეიმუშავა. ის იძულებული იყო, რომ დისტანციაზე მყოფს, იაპონიაში ჩასვლის გარეშე გამოეკვლია ამ ხალხისათვის დამახასიათებელი ტიპიური ხასიათი. ის საზრდოობდა ჟურნალებიდან, ფილმებიდან და ნებისმიერი სხვა შესაძლო გზით მიღებული ინფორმაციით. რუთ ბენედიქტმა გამოყო იაპონელთათვის დამახასიათებელი სოციალური ვალდებულებების ფანატიკური განცდა. ის, ასევე, საუბრობს იაპონელთათვის დამახასიათებელი მადლიერების/შურისძიების სპეციფიკური ფორმის - გირის შესახებ, რომელიც დასავლურ კულტურებში უბრალოდ არ არსებობს (Bock, 1999; Benedict, 1946). ის ვარაუდობდა, რომ ეს მახასიათებლები იაპონელთათვის საერთო უნდა ყოფილიყო.

ჯეფრი გორერის მიერ რუსული ხასიათის კვლევამ ასევე დიდი რეზონანსი გამოიწვია. მან აქცენტი ჩვილობის ასაკში მყოფი ბავშვების აღზრდის მეთოდზე გააკეთა. რუსები ტრადიციულად მჭიდროდ ახვევენ/კრავენ ჩვილ ბავშვებს და უზღუდავენ მათ მოძრაობის საშუალებას. ბავშვებს მხოლოდ პერიოდულად ეძლევათ სრული თავისუფლება და ამ დროს ისინი ძალიან აქტიურობენ. ჯეფრი გორერი ვარაუდობდა, რომ სწორედ აღზრდის

ამგვარი მეთოდი აყალიბებს რუსების პირქუშ ხასიათსა და ემოციურ ბიპოლარულობას (ეს მისი შეფასებაა). ის ფიქრობს, რომ რუსებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე სოციალურ დონეზე ახასიათებთ პასიურობის ხანგრძლივი პერიოდები, რომლებსაც მცირე ხნით ენაცვლება ხოლმე აქტიურობის ფეთქებადი მონაკვეთები. ასე ხსნის ის მთელი ისტორიის მანძილზე რუსი ხალხის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოჩენილ მორჩილებასა და მათ მიერვე მოხდენილ უეცარ და უსასტიკეს სოციალურ აფეთქებებსა და რევოლუციებს. მნიშვნელოვანია, რომ აქ ჩვენ ვხედავთ პიროვნებასა და კულტურას/ნაციონალურ ხასიათს შორის არსებულ იზომორფიზმს. ავტორი პიროვნულ ხასიათს ნაციონალურ ხასიათთან აიგივებს (Gorer & Rickman, 1950).

ერიჰ ფრომის მიერ გერმანელთა შორის ფაშიზმის გავრცელების საფუძვლების ძიება მაკროსოციალური პროცესების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაგალითია და დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას. ერიჰ ფრომი თავის ნაშრომში გერმანელთა ავტორიტარული ხასიათის არსებობაზე მიუთითებს და ცდილობს ამ მოვლენის განმაპირობებელ საფუძვლებზე ისაუბროს. ავტორიტარული ხასიათის გავრცელების საფუძველს ის ისტორიული განვითარების პროცესში ხედავს (Fromm, 1994).

ნაციონალური ხასიათის კვლევები განხორციელდა თავად აშშ-შიც. ამერიკელთა შემთხვევაში უმეტესად აქცენტი მათ ინდივიდუალიზმსა და ლიბერალიზმზე კეთდებოდა. ასევე, ჯეფრი გორერი საუბრობს ამერიკელთა მიერ ევროპის, როგორც მამის წინააღმდეგ არსებული ჯანყის ფსიქოანალიტიკური სცენარის შესახებ (Bock, 1999). ნაციონალური ხასიათების კვლევის ცალკეული მაგალითების დეტალური განხილვა ჩვენს ამოცანებს სცილდება და ამდენად, ამ მიმართულებით აქ მეტად აღარ ჩავუღრმავდებით. ჩემთვის მთავარია, რომ გამოვყოთ ის ძირითად მახასიათებლები, რომლებიც ამ კვლევებს ახასიათებდა.

ნაციონალური ხასიათების კვლევების უმთავრეს საერთო ნიშანს წარმოადგენს საზოგადოების ჰომოგენურ ერთობად წარმოდგენა. რაც საბოლოოდ გულისხმობს

ერთმნიშვნელოვან სოციოკულტურულ დეტერმინიზმს - როგორიცაა კულტურა, ისეთია ხასიათი, რაც დღეს სრულად უკუგდებულია. ამ პრობლემის თაობაზე ჯერ კიდევ გეორგ გოტფრიდ ჰერდერის ნაშრომის შესახებ საუბრისას ვსაუბრობდით. დიდი სოციალური ჯგუფების ჰომოგენურად წარმოჩენის პირობებში შეუძლებელია ინდივიდუალური მრავალფეროვნების შესახებ საუბარი. ასევე, ნაციონალური ხასიათების მკვლევრები ეყრდნობიან დაშვებას, რომ ამა თუ იმ კულტურაში არსებული სურათი სტაბილურია და დროში ნაკლებად იცვლება. ისინი საერთოდ არ ეხებიან ცვალებადობის თემას, რომ არაფერი ვთქვათ კულტურის და ინდივიდუალური ხასიათების დეტალური დეფინიციის არარსებობაზე (Lindholm, 2007).

ცალკე საკითხია ნაციონალური ხასიათების შესახებ ის ზედაპირული მსჯელობა, რომლის ფარგლებშიც ნაკლები ყურადღება ექცეოდა გამოვლენილ წინააღმდეგობებს. მაგალითად, გორერის ნაშრომში რუსებს, პირქუშ და სასტიკ ხასიათთან ერთად, მიეწერებოდათ თბილი და სოციალურად ორიენტირებული ხასიათის არსებობა. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს ამ განსხვავებული თვისებების არსებობის საფუძვლების ინტერპრეტაცია მოეხდინა (Bock, 1999).

საბოლოო ჯამში, მიუხედავად გამოქვეყნებული ნაშრომების დიდი პოპულარობისა, ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის ფარგლებში ნაციონალური ხასიათების კვლევებმა სწრაფადვე შეწყვიტა არსებობა. მათ ვერ გადაჭრეს საკვანძო ამოცანები. კერძოდ, 1) ვერ განისაზღვრა ეთნოსის ადეკვატური დეფინიცია, რომელიც შესაძლებელს გახდიდა 2) მისი ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების შესახებ ისეთი თეორიის შექმნას, რომელის საფუძველზეც მოხერხდებოდა პიროვნებას, სოციალურ და კულტურულ გარემოს შორის ურთიერთქმედების ასახვა. 3) და, რაც მთავარია აუხსნელი დარჩა ეთნოსებში არსებული ინტრაჯგუფური მრავალფეროვნება.

თუმცა, შემდგომ დავინახავთ, რომ მოგვიანებით მაკროკულტურული კვლევები ახალ და სრულიად განახლებულ სიცოცხლეს იძენს, მაგრამ ეს უკვე ევროპული სოციალური ანთროპოლოგიური ორიენტაციის მკვლევართა შრომებში ხდება.

სოციალური კონსტრუქციონიზმი

'ნაციონალური ხასიათის' კვლევებში კრიზისული მდგომარეობა დაახლოებით 20-25 წლის მანძილზე გაგრძელდა. ამ პერიოდში ჩვენ ვერ ვხედავთ მნიშვნელოვან წინსვლას. მეტიც, იმ პერიოდში პოპულარული იყო აზრი იმის შესახებ, რომ გლობალიზაციის განვითარებისა და სხვადასხვა ხალხებს შორის კომუნიკაციისა და ინტეგრაციის გაძლიერების პირობებში ეთნიკურობის საკითხი საერთოდ გაქრებოდა ჩვენი თვალსაწიერიდან. თუმცა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებულმა სოციოპოლიტიკური პროცესები სრულიად საპირისპირო მიმართულებით განვითარდა.

ეთნიკური იდენტობის კვლევების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო მომენტს ფრედრიკ ბარტის მიერ 'ეთნიკურ საზღვრებს მიღმა' გამოქვეყნება წარმოადგენს. ამ ნაშრომმა საკითხისადმი სრულიად განახლებული მიდგომას დაუდო სათავე. ფრედრიკ ბარტი ასოცირდება ბრიტანულ სოციალურ ანთროპოლოგიურ სკოლასთან. ფრედრიკ ბარტი ეთნიკურობას/ეთნოსს ჯგუფების მაორგანიზებელ პროცესად მიიჩნევს. ეთნიკურობა სოციალური ჯგუფების იდენტობისა და სტრუქტურის კონფიგურირებას ახდენს (Barth, 1969). სოციალური ანთროპოლოგები და სოციოლოგები ეთნიკურობას უმეტესად მაკროსოციალური პროცესების შედეგად მიიჩნევდნენ. მათთვის ეთნიკურობა სოციალური კონსტრუქციაა.

სოციალური კონსტრუქტივიზმის საფუძვლებს ჯერ კიდევ კლასიკოს ავტორებთან ვხვდებით. მაქს ვებერი მიუთითებდა, რომ სეპარატული ეთნიკური იდენტობის პროვოცირებისათვის მხოლოდ ერთი განსხვავებული კულტურული ელემენტის ქონაც კი საკმარისია. ვებერის თანახმად, ეთნოსის იდენტიფიკაციის საფუძველი შეიძლება გახდეს განსხვავებული ენის, ჩაცმულობის, რელიგიის, სამზარეულოსა ან ნებისმიერი სხვა

განმასხვავებელი ნიშნის არსებობა თუკი ამისათვის შესაფერისი სოციოპოლიტიკური კონტექსტი არსებობს. კონტექსტის შესახებ საუბრისას მაქს ვებერი უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ ინტერესის არსებობას გულისხმობდა (Weber, 1978, pp. 385-399)

ფრედრიკ ბარტი ხაზს უსვამს, რომ ეთნოსს/ეთნიკურობას დინამიკური ხასიათი გააჩნია. ის აკრიტიკებს პრემორდიალისტურ მიდგომას, რომელიც ეთნიკურობის კვლევებში მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე დომინირებდა და ეთნიკურ იდენტობას ისეთ სტაბილურ და უცვლელ მოცემულობად თვლიდა, რომელიც დიდი ხნის წინ გაჩნდა და თაობიდან თაობას მნიშვნელოვანი სახეცვლილებების გარეშე გადაეცემოდა. მეტიც, რადიკალური პრემორდიალიზმი აქცენტს ეთნიკური ჯგუფის წევრთა შორის სისხლით ნათესაობის მნიშვნელობაზე აკეთებს და ამ ფაქტორს ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება/გადაცემის პირობად თვლის. რასისტული კონოტაციის ქონის გამო რადიკალური პრემორდიალიზმი ჰიტლერის გერმანიის დისკრედიტაციასთან ერთად სამუდამოდ ქრება სამეცნიერო დისკურსიდან (Hutchinson & Smith, 1996).

ფრედრიკ ბარტი პრემორდიალისტებისაგან განსხვავებით ამტკიცებს, რომ ეთნოსები და კულტურები მუდმივად იცვლებიან. შეიძლება ეს არ იყოს რადიკალური და იოლად შესამჩნევი, მაგრამ ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობს. ფრედრიკ ბარტი შეუძლებლად მიიჩნევს ეთნოსებისა და მათ წევრთა უცვლელ სოციალურ აგენტებად განხილვას. მაგალითად, გერმანელთა თვითაღქმა და მათი სხვების მიერ აღქმა რადიკალურად შეიცვალა უკანასკნელი ასწლეულების მანძილზე. შუა საუკუნეებში გერმანელები მეტწილად რომანტიკულ და არაპრაქტიკულ ხალხად ითვლებოდნენ. დღეს კი პირიქით, მათ მიმართ სრულიად საპირისპირო სტერეოტიპული წარმოდგენები არსებობს. საყოველთაოდ ცნობილი წარმოდგენების მიხედვით, გერმანელები პრაქტიკულ და უკიდურესად რაციონალურ/მოწესრიგებულ ეთნოსად ითვლებიან. ასე რომ, გერმანელთა შემთხვევაში მომხდარი ცვლილება აშკარაა. ამიტომ, ფრედრიკ ბარტი შეუძლებლად მიიჩნევს ეთნოსების მარადიულ თვისებებზე ლაპარაკს და ამტკიცებს, რომ

ეთნიკური ჯგუფები მუდმივად კონტექსტის ცვლილების საპასუხოდ (და, მისი გათვალისწინებით) მოდიფიცირდებიან (Hutchinson & Smith, 1996).

თუმცა, ისიც ცხადია, რომ ეთნოსები როგორც მინიმუმ გარკვეული პერიოდის მანძილზე მაინც ინარჩუნებენ სტაბილურობას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი ეთნოსის მთლიან ჯგუფად აღქმა.

ეთნიკურობის კვლევისას მნიშვნელოვანია დავადგინოთ: 1) რა ფაქტორები განაპირობებენ სოციალური ჯგუფის წევრთა სტაბილურ კავშირს ერთმანეთთან და მათ შინაგან შეჭიდულობას მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მუდმივად მიმდინარე ცვლილებებისა და გამოწვევების მიუხედავად; 2) რამდენად მნიშვნელოვანია და რა ხასიათისაა მიმართება განსხვავებული სოციალური ჯგუფების წევრთა შორის? 3) და, რაც ყველაზე საინტერესოა, რა განაპირობებს ადამიანთა შეკავშირებას ერთ სოციალურ ჯგუფში და მათ ეთნიკურ ჯგუფად ჩამოყალიბებას?

პრემორდიალისტური მიდგომა უძლურია, რომ ამ კითხვებზე პასუხი გასცეს. ორთოდოქსული პრემორდიალისტური მიდგომა განსაკუთრებით არაადეკვატურია ეთნიკურობის დინამიკური ბუნების ასახსნელად. მას საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხი. ის ეყრდნობა ცალმხრივ და ეთნოცენტრისტულ იდეას იმის შესახებ, რომ ეთნიკური ჯგუფები პრეისტორიულ ეპოქაში შეიქმნა სისხლისმიერი ნათესაობის საფუძველზე და შემდგომ უცვლელად, მემკვიდრეობით გადაცემის საშუალებით მოაღწია თანამედროვე ეპოქამდე. ბიოლოგიური დეტერმინაციის იდეა გამორიცხავს დინამიკას, ეს კი ემპირიულ გამოცდილებას ეწინააღმდეგება, როგორც ჩვენ ამას ნათლად ვხედავთ გერმანელთა მაგალითზე. კლასიკური პრემორდიალიზმის თანახმად შეუძლებელია იმის ახსნა, თუ რატომ ქრებიან ერები ან საიდან/რატომ ყალიბდებიან ახალი ერები ისტორიული განვითარების პროცესში (Eller, 2009).

ფრედრიკ ბარტის მიერ შემოტანილი მთავარი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ის არათუ სისხლისმიერ კავშირებს არ მიიჩნევს მნიშვნელოვნად, არამედ კულტურულ

ელემენტებსაც კი არ თვლის ეთნიკური იდენტობის ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტ ფაქტორებად. ის ეთნიკურობის სრულიად დინამიკურ ხასიათზე მიუთითებს. საქმე გვაქვს აბსოლუტურ სოციალურ კონსტრუქტივიზმთან. მაგალითად, მისთვის ისიც კი არ არის სუბსტანციური მნიშვნელობის, თუ რა ენაზე საუბრობენ ეთნიკური ჯგუფის წევრები ერთმანეთთან. ფრედრიკ ბარტი დასაშვებად მიიჩნევს, რომ ერთი ეთნოსის წარმომადგენლები განსხვავებულ ენაზე საუბრობდნენ. მსოფლიოში ამ შეხედულების დამადასტურებელი რამოდენიმე სახიერი მაგალითი არსებობს. მაგალითად, შვეიცარიელებს ოთხი სახელმწიფო ენა გააჩნიათ და მიუხედავად ამისა ინარჩუნებენ საერთო კოლექტიურ იდენტობას. მსგავსი ვითარებაა ესპანეთშიც, სადაც არაერთი სახელმწიფო ენის არსებობის მიუხედავად ნარჩუნდება ერთიანი იდენტობა (მიუხედავად არსებული სირთულეებისა).

საინტერესოა, რომ ფრედრიკ ბარტი არც ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს თვლის ეთნიკური კუთვნილების მაფორმირებელ ფაქტორად. ამ მხრივ, საინტერესოა ნორვეგიის მაგალითი, სადაც უკიდურეს ჩრდილოეთში მაცხოვრებლებს სამხრეთ ნორვეგიელებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ, თუმცა, ეს მათ ხელს არ უშლის რომ საერთო ნორვეგიული იდენტობა ჰქონდეთ. ქვეყნის ორივე ბოლოში მცხოვრები ხალხი ნორვეგიელად მიიჩნევს თავს (Barth, 1969).

<u>სოციალური კონსტრუქტივიზმის თანახმად, ეთნოსი სოციალური ინტერაქციის პირობებში ფორმირდება (Haan, 2011). თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ არსებული ფაქტორები ამგვარი გაერთიანების ჩამოსაყალიბებლად რაციონალურ მოტივაციას ქმნიან. ეთნიკური გაერთიანება შეიძლება იყოს, მაგრამ შეიძლება არც იყოს დაფუძნებული სისხლისმიერ ნათესაობაზე - ამ მხრივ უნიფიცირებული შაბლონი არ არსებობს.</u>

ეთნიკური ჯგუფის ფორმირების უმთავრეს მოტივაციას რესურსების მოსაპოვებლად და სხვა არამატერიალური სარგებლის მიღების სურვილი წარმოადგენს. ამ მოტივაციას სხვა

სოციალურ ჯგუფებთან კონკურენტული ურთიერთობის არსებობა ამყარებს. ინდივიდები ცდილობენ ერთმანეთთან გაერთიანების გზით უფრო ეფექტურად მოქმედების უნარი მოიპოვონ. ეთნიკური გაერთიანება მიზნად ისახავს მისი შემადგენელი წევრებისათვის მაქსიმალური სოციალური, ფსიქოლოგიური და მატერიალური სარგებლის მიღებას. ეთნიკური იდენტობა ეთნოსს სხვა სოციალური ჯგუფებისაგან გამოყოფს და მის უნიკალურობას განსაზღვრავს. ამავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ ეთნიკური იდენტობა სელფის ინტეგრალური ელემენტია (Cohen, 1969).

ნაციონალიზმის ამერიკელი მკვლევარი, მაიკლ ჰეჩტერი მიიჩნევს, რომ ინდივიდების ნებისმიერ მოქმედებას სარგებლის მიღების სურვილი წარმართავს. ადამიანები ჯგუფებს ქმნიან და ჯგუფურ მოქმედებებში მონაწილეობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მათ პირად ინტერესებს აკმაყოფილებს. ინდივიდები ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების წინ ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე აფასებენ მოსალოდნელ სარგებელსა და დანაკარგს. შესაბამისად, თუ რომელიმე კულტურული ელემენტის შენარჩუნება ზედმეტად წამგებიანი ხდება, მაშინ არჩევანი გაკეთდება ინოვაციური გადაწყვეტილებების სასარგებლოდ. აღნიშნული მიდგომა ხსნის ეთნიკური იდენტობის დინამიკურ ბუნებას. თუმცა, ამ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი რჩება თუ რატომ ანხორციელებენ ხოლმე ადამიანები ხანდახან ეთნიკური ჯგუფის სასარგებლო, მაგრამ მათთვის პირადად სრულიად უსარგებლო მოქმედებებს (Hechter, 1986).

ძალიან მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ინდივიდი არჩევანს მოსალოდნელი მოქმედების შესახებ მხოლოდ იმ ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს, რომელიც მას გააჩნია. ინდივიდი არ ფლობს აბსოლუტურ ინფორმაციას. ეთნიკური ჯგუფის წევრებს ინფორმაციის მხოლოდ ის ნაწილი მიეწოდებათ, რომელიც მათ კოლექტიურ მოქმედებებს შეუწყობს ხელს. ან, როგორც მინიმუმ ჯგუფურ ერთობას მაინც არ დააყენებს ეჭვის ქვეშ. ინდივიდების მიერ ანტი ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების ასახსნელად <u>მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ინფორმაციის ნაკადებს ეთნიკური ჯგუფი</u>

აკონტროლებს. უფრო სწორად ამ ჯგუფების წარმმართველი ელიტები. ელიტარული ჯგუფები ეთნიკური ჯგუფების დანარჩენ წევრებს მხოლოდ იმ ინფორმაციას აწვდიან, რაც ჯგუფურ ინტერესებთან არის შესაბამისობაში (ან, უშუალოდ ელიტების, რაც ჯგუფის შენარჩუნების ინტერესს ემთხვევა). ამ მხრივ საინტერესო შემთხვევას ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატში მცხოვრები ემიშები წარმოადგენენ. ემიშები, ფაქტიურად, სრულ იზოლაციაში ცხოვრობენ და ნაკლებად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს. ემიშების ცხოვრების ტიპი ფაქტიურად შუასაუკუნეობრივია. ისინი არ იყენებენ მანქანებს, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს, ელექტროენერგიას და ა. შ. (Eller, 2009). ამგვარი გარემოს შესანარჩუნებლად და ცდუნების ასარიდებლად ემიში მშობლები შვილებს გარემომცველი სამყაროს შესახებ ძირითადად ნეგატიურ ინფორმაციას აწვდიან. ძველი თაობა აკონტროლებს ახალი თაობის მიერ მიღებულ ინფორმაციას და მაქსიმალურად აფრთხობს მათ. ჯგუფის მთლიანობის შენარჩუნება ამ მოქმედებების ეფექტურობაზეა დამოკიდებული (Hutchinson & Smith, 1996).

ეთნიკურობა არა მხოლოდ ცვალებადი კულტურული ელემენტია, არამედ ის მაიდენტიფიცირებელი და სასიგნალო ნიშანიცაა, რომელიც განსხვავებულობის სიმბოლოს წარმოადგენს და ხელს უწყობს კოლექტიური მიზნების მიღწევას (Eller, 2009, pp. 314-336).

ფრედრიკ ბარტი ამტკიცებს, რომ სოციალური ინტერაქციის პროცესში სოციალური და ფიზიკური გარემოს ცვლილებისას ეთნიკური სივრცის შემავსებელი კულტურული კომპონენტი შეიძლება მოდიფიცირდეს. ამგვარმა პროცესმა ეთნოსის გაქრობაც კი შეიძლება გამოიწვიოს. ჯგუფური იდენტობის წაშლა მხოლოდ ერთობის მოტივაციის სრული გაქრობის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. უმეტესად არსებული კულტურული ელემენტების მოდიფიკაცია/განახლება ხდება. დავამატებ, რომ ეთნოსის გაქრობა

შეიძლება მექანიკური ჩარევის გზითაც მოხდეს. მაგალითად, როდესაც მრავალრიცხოვანი ერი იპყრობს პატარას და ახდენს მის ასიმილაციას საკუთარ ეთნიკურ სტრუქტურაში.

სოციალურ-კონსტრუქტივისტული ანთროპოლოგიური თეორიის გასამყარებლად შეგვიძლია გავიხსენოთ მონაცემები <u>კლასიკური სოციალურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტული მასალებიდან</u>. **ჰენრი ტაჯფელის** ცნობილ 'მინიმალისტურ ჯგუფურ პარადიგმაზე' დაფუძნებული ექსპერიმენტები გვიჩვენებს, რომ შიდა-ჯგუფური (in-group) და გარე-ჯგუფური (out-group) მადიფერენცირებელი და სოციალური იდენტობის მაფორმირებელი პროცესების პროვოცირება თუნდაც სიმბოლურმა და უმნიშვნელო ფაქტორებმა შეიძლება მოახდინოს. ამგვარმა პროცესებმა შემდგომ შეიძლება ფორმირებულ ჯგუფებს შორის დაძაბულობა და კონფლიქტებიც კი გამოიწვიოს. კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას განაპირობებს მხოლოდ განსხვავებულ ჯგუფებად იდენტიფიცირების ფაქტიც კი, სახიერი კულტურული განსხვავებების არსებობის გარეშე! ტაჯფელის ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვებს შორის არ არსებობდა არანაირი მნიშნელოვანი სხვაობა, თუმცა, ისინი ერთმანეთს მექანიკური მიზეზებით განსხვავებულ ჯგუფებად დაყოფის პირობებშიც კი დაუპირისპირდნენ! (Tajfel & Turner, 1979). აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს სოციო-პოლიტიკურ-კულტურულ-პერსონალური ფაქტორების პირობითობას.

ჰიპოთეტურად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ოდესღაც ეთნიკური ჯგუფები შეიქმნა/იქმნებოდა სრულიად შემთხვევითი ფაქტორების თანხვედრის პირობებში ადამიანების დაჯგუფების შედეგად. როგორც უკვე დავინახეთ, ჰენრი ტაჯფელის სოციალურ -ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ ჯგუფის ინტეგრაციის და სოციალური იდენტიფიკაციის დასაწყებად სულაც არ არის საჭირო ადამიანებს საერთო კულტურული ელემენტები, მნიშვნელობები ან ცხოვრებისეული გამოცდილება აკავშირებდეთ. ეს პროცესი ნებისმიერი, თუნდაც სიმბოლური ფაქტორით პროვოცირების შემთხვევაშიც კი შეიძლება განვითარდეს. და, ფრედრიკ ბარტის თეორიაც ხომ სწორედ

შემთხვევითი ფაქტორებით ეთნიკური ჯგუფების წარმოშობასა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას (ინტერესის არსებობის შემთხვევაში) გულისხმობს?! ამიტომ, ვფიქრობ, რომ ჰენრი ტაჯფელის მიერ მოპოვებული ექსპერიმენტული მონაცემები ამყარებს ფრედრიკ ბარტის მიერ შემოთავაზებულ თეორიულ მოდელს. ის საშუალებას გვაძლევს წარმოვისახოთ ეთნიკური ჯგუფების ფორმირების პროცესი მოდელირებულ ისტორიულ პერსპექტივაში. ნათლად ჩანს სოციალურ ფსიქოლოგიაში მოპოვებული მონაცემების ფსიქოანთროპოლოგიურ ინტერდისციპლინურ კვლევაში ინტეგრაციის მიზანშეწონილობა.

ფაქტობრივად, სოციალური კონსტრუქტივიზმის თანახმად, ეთნიკურობა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლურ ნიშანს. ის აღნიშნავს სოციალური ჯგუფის იდენტობას, გამოარჩევს და გამოჰყოფს მას სხვა სოციუმებისაგან. საერთო ინტერესისა და მოტივაციის პირობებში ადამიანებს შორის საერთო ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბების საფუძველად/მაპროვოცირებლად და სიმბოლოდ ნებისმიერი (თუნდაც შემთხვევითი) ელემენტი შეიძლება იქცეს (Jenkins, 2008, გვ. 10-11).

აქვე ხაზს გავუსვამ, რომ ბარტისეული სოციალური კონსტრუქციონიზმი სულაც არ გამორიცხავს და არ აკნინებს შესაძლებლობას, რომ ეთნოსის წარმომადგენლებს საერთო ისტორიული წარსული ჰქონდეთ. ის უბრალოდ ამ ფაქტორის პირობითობასა და არასუბსტანციონალურობაზე აკეთებს აქცენტს.

ვფიქრობ, რომ თანამედროვე მსოფლიოში არსებულ ეთნიკურ ჯგუფთა მრავალფეროვნება ამყარებს ფრედრიკ ბარტის მიდგომის ზოგად ადეკვატურობას. მსოფლიოში ქრებიან და ჩნდებიან ახალი ეთნიკური ჯგუფები. ჩვენს თვალწინ ხდება მილიონობით ადამიანის მიგრაცია და ახალი ტიპის ეთნიკური იდენტობების ჩამოყალიბება. ეთნიკური იდენტობის დინამიკური ბუნება სრულად ავლენს სელფისათვის მახასიათებელ იმ ფუნდამენტურ კანონზომიერებებს, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ის თავად ამას არ მიუთითებს, სოციალური კონსტრუქტივიზმის

მიერ შემოთავაზებული ძირითადი პოსტულატები სრულ შესაბამისობაშია და ამყარებს სელფის შესახებ ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში არსებულ შეხედულებებს. კიდევ ერთხელ შეგვიძლია გავუსვათ ხაზი ინტერდისციპლინური ურთიერთგამამყარებელი ლოგიკური კავშირებისა და მონაცემების არსებობას. ეთნიკური იდენტობა სელფის შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილია და ავლენს მის დინამიკურ ბუნებას.

დიდი პროგრესის მიუხედავად, ფრედრიკ ბარტის სოციალური კონსტრუქციონიზმი არ არის საკმარისი ეთნიკური იდენტობის ბუნების სრულფასოვნად ასახსნელად. შემდგომ ქვეთავში განვიხილავთ ფრედრიკ ბარტის თეორიის ნაკლოვანებებსა და ეთნიკურობის კვლევების განვითარების პარალელურ და შემდგომ ეტაპებს.

სოციალური კონსტრუქტივიზმი Vs. ფსევდო/ზომიერი ესენციალიზმი

სოციალური კონსტრუქტივიზმი ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბების ზოგად ჩარჩო წარმოდგენას აყალიბებს, თუმცა ის ვერ ხსნის ეთნიკური ჯგუფების მრავალფეროვნებისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ კანონზომიერებას. ფრედრიკ ბარტის თეორია საერთოდ არ ეხება ეთნიკური იდენტობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ფსიქოემოციურ ასპექტებს. ამ თეორიის მიხედვით შეუძლებელია აიხსნას, თუ რატომ არის გავრცელებული მითები საერთო წარმოშობის შესახებ ეთნიკური ჯგუფების უმრავლესობაში. აუხსნელი რჩება, თუ რატომ ახასიათებს ეთნიკურ ჯგუფზე ძლიერი მიჯაჭვულობა მის წევრებს მაშინაც კი, როდესაც ამისგან არანაირი რაციონალურ სარგებელს არ იღებენ. ჩამოთვლილი ფაქტორების არსებობა აშკარაა და აუცილებელია აიხსნას მათი ინტერპრეტირება.

მართალია, სისხლისმიერი ნათესაობა და გენეტიკური კავშირი, როგორც ეთნიკურობის განმსაზღვრელი ფაქტორები, გამოირიცხა და ბიოლოგიურ/გენეტიკურ წარმოშობასთან დაკავშირებული იდეები სრულიად გაქრა სოციალურ-მეცნიერული დისკურსიდან, მაგრამ სოციალური მეცნიერებიდან ესენციალისტური მიდგომის კვალი სრულად არ გამქრალა. რადიკალური პრემორდიალიზმი ზომიერმა ჩაანაცვლა. რეალურ

სუბსტანციურობას ფიქტიური ანაცვლებს და მნიშვნელოვანი მოდიფიკაციების შემდეგ შერბილებული ფსევდო-სუბსტანციონიზმი ახალ სიცოცხლეს იწყებს.

საერთო წარსულის შესახებ რწმენის წარმოსახვით ბუნებაზე მინიშნებები ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, თუმცა იმ დროს არსებული რასისტული განწყობების ფონზე განსაკუთრებული პოპულარობა არ მოუპოვებია. მაქს ვებერი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საერთო წარსულის შესახებ რწმენის ფიქტიურ ხასიათზე მიუთითებდა. მისი აზრით, ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის საერთო წარსულის ქონა არ არის პრინციპული. მაქს ვებერი ამტკიცებს, რომ ფიზიკური მსგავსებები, მაგალითად გარეგნობის მხრივ, <u>მხოლოდ</u> ხელს უწყობს საერთო წარმოშობის შესახებ შეხედულებების წარმოშობას - თუმცა, ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას გადამწყვეტ ფაქტორად (Weber, 1978). ზოგიერთი ეთნოსის შემთხვევაში რწმენა საერთო წარმოშობის შესახებ, შესაძლოა, ნაწილობრივ მართალიც კი იყოს. თუმცა, ამ კუთხით ყველაზე მთავარი არის დეკლარაცია იმისა, რომ <u>ეს საკითხი არ არის გადამწყვეტი</u> ეთნიკური ჯგუფის ფორმირებისათვის.

ზომიერი ესენციალისტური მიდგომის მომხრეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ ჩიკაგოს უნივერსიტეტში მოღვაწე ლეგენდარული კულტურული ანთროპოლოგი კლიფორდ გირცი. ის მაქს ვებერის მსგავსად მიიჩნევს, რომ ეთნიკური ჯგუფის ფორმირებისთვის სრულიად საკმარისია 'გამოგონილი' ისტორიისა და საერთო წარსულის შესახებ წარმოდგენების არსებობა. ისიც თვლის, რომ სულაც არ არის აუცილებელი ეთნოსის წევრებს რეალურად აერთიანებდეთ საერთო წინაპრები და საერთო გამოცდილება - გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მენტალური რეპრეზენტაციების არსებობას. კლიფორდ გირცი ამბობს, რომ ეთნიკური ჯგუფის ფორმირებისთვის ხელისშემწყობი ფაქტორია რწმენა იმის შესახებ, რომ მის წევრებს საერთო 'დამაარსებელი' ან 'დამაარსებლები' ჰყავთ. მითები საერთო წარსულის შესახებ აძლიერებს სოციალურ კავშირებს და ემოციურ ელფერს/კომპონენტს/ხასიათს სძენს ურთიერთობას (Smith, 1991) (Horowitz, 2001).

მნიშვნელოვანია შევეხოთ ეთნიკური იდენტობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ემოციურ კომპონენტსაც. ფრედრიკ ბარტი საერთოდ არ ეხება ამ საკითხს. ვოლკერ კონორი მიუთითებს, სოციალური ფაქტორების გათვალისწინება არ არის საკმარისი, რადგან ისინი ვერ ხსნიან ეთნიკურ ჯგუფებზე ემოციური მიჯაჭვულობის საკითხს და მასთან დაკავშირებულ ირაციონალურ მოქმედებებს. არადა, ამგვარ ფენომენებს მთელი ისტორიის მანძილზე ვხვდებით. უოლკერ კონორი ამტკიცებს, რომ ინდივიდები ეთნოსზე მიჯაჭვულები არიან არა მხოლოდ რაციონალური მიზნების მიღწევის სურვილის ქონის გამო, არამედ, აგრეთვე, იმ ემოციური ბორკილებით, რომლებსაც ხანდახან სრულიად ირაციონალური და არაცნობიერში მდებარე გამჯდარი მოტივაცია ამყარებს (Connor, 1993). ბენედიქტ ანდერსონი აღნიშნავს, რომ ადამიანები თავს სწირავენ ეთნიკური ჯგუფისა და თანამემამულეების საჭიროებიდან გამომდინარე. ინდივიდუალური თავგანწირვა ხომ ინდივიდუალური თვალსაზრისით სულაც არ არის რაციონალური სარგებლის მომტანი თავად ამ მოქმედების განმახორციელებელი ადამიანისათვის. რთული წარმოსადგენია, რომ ადამიანმა რომელიმე სხვა სოციალური ჯგუფისა თუ ორგანიზაციისათვის (რელიგიურ ჯგუფებს თუ არ ჩავთვლით) ამხელა მსხვერპლი გაიღოს. ემოციურ კავშირებს ამაგრებს კოლექტიური მეხსიერება და საზიარო ფსიქიკური კონსტრუქციები (Anderson, 2006). განვმარტავ, რომ როდესაც ვახსენებთ 'მიჯაჭვულობას', ჩვენ ამ სიტყვას აქ არ ვიყენებთ ფსიქოანალიტიკური გაგებით. 'მიჯაჭვულობაში' ვგულისხმობ ძლიერ შეკავშირებულობას, ძლიერი ემოციური უკუკავშირის არსებობას ინდივიდსა და ჯგუფს შორის.

ნათელია, რომ რთულია ეთნიკური კავშირები მხოლოდ რაციონალური სარგებლის მისაღებად შემდგარ მექანიკურ ერთობად განვიხილოთ. დგება აუცილებელი საჭიროება, რომ ფრედრიკ ბარტის მიერ შემოთავაზებულ სოციალურ- კონსტრუქციონისტულ აქცენტებთან ერთად ეთნოსის შეჭიდულობის ასახსნელად ფსიქოემოციური ასპექტებიც გავითვალისწინოთ.

ამ კუთხით, ზემოთ უკვე განვიხილეთ კოლექტიური მეხსიერების, საერთო წარსულის შესახებ რწმენისა და, ზოგადად, საზიარო წარმოდგენების დიდი მნიშვნელობა. სავარაუდოდ, სწორედ წარმოსახული საერთო წარსული, ეთნოსის წარმოშობასთან დაკავშირებული ირაციონალური წარმოდგენები და რწმენა საერთო წინაპრების არსებობის შესახებ განაპირობებს იმ ემოციურ მიჯაჭვულობას, რომელიც საერთო ეთნიკური იდენტობის ქვეშ გაერთიანებულ ადამიანებს გააჩნიათ საკუთარი ეთნოსის მიმართ.

ფსიქოემოციური კომპონენტების გათვალისწინების პირობებში ეთნიკური კავშირი აღარ გამოიყურება ისე მექანიკურ და მენტალური შინაარსებისაგან დაცლილ მოცემულობად, როგორც ეს ფრედრიკ ბარტის თეორიის შემთხვევაში გვაქვს. საერთო წარსულის შესახებ რწმენა ეთნიკური ჯგუფის წევრთა შორის სოლიდარობისა და ემპათიის გრძნობას აჩენს. ეთნიკური იდენტობა იძენს არა მხოლოდ ცნობიერ, არამედ არაცნობიერ საფუძველს და ადამიანებს საერთო დროშის ქვეშ აერთიანებს. ფიქტიური სუბსტანციონალური შინაარსები ეთნიკური იდენტობის ლეგიტიმაციას ახდენს.

აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ერიკ ჰობსბაუმის თეორია (Hobsbawm & Ranger, 1983) გამოგონილი საზოგადოებების შესახებ'. შეგვიძლია დავუშვათ, რომ ნებისმიერი ჯგუფის წევრები, რომლებსაც სოციალურ საზღვრებში სოციალური იდენტობა აქცევს, ამ მთლიანობის გასამართლებლად ქმნიან და შემდგომ საჭიროებიდან გამომდინარე გარდაქმნიან ხოლმე მითებსა და ლეგენდებს საკუთარი წარსულის შესახებ. ამგვარი მითები და ლეგენდები სოციალურ სტრუქტურებს შინაარსობრივად ავსებს. ერიკ ჰობსბაუმის იდეები ფაქტობრივად სრულ შესაბამისობაშია და ამყარებს კლიფორდ გირცისეულ ზემოთ განხილულ მიდგომას.

საინტერესოა, რომ თავად ფრედრიკ ბარტივე მიუთითებს ირიბად ეთნიკურობისათვის 'არსობრივი შინაარსის' ('essential') მნიშვნელობაზე. კერძოდ, ბარტი ამბობს, რომ ეთნიკური ჯგუფი შეიძლება იყოს ბიოლოგიურად თვითწარმოებადი, ენდოგამიური

ქორწინებების გზით. ეთნიკური ჯგუფები ქმნიან სივრცეს (არ არის აუცილებელი ეს სივრცე შემოსაზღვრული იყოს ფიზიკურად), სადაც ხდება შიდა კომუნიკაცია და სწორედ ამ კომუნიკაციის საშუალებით ხდება 'სხვებისგან' განმასხვავებელი მნიშვნელობების გენერირება (Barth, 1969, გვ. 10-11). ბარტის თანახმად, ამგვარი ფაქტორები არ არის აუცილებელი იყოს გადამწყვეტი 'ჯგუფურობის' (groupness) ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, მათი არსებობა მნიშვნელოვანია სხვა ჯგუფებისაგან განმასხვავებელი იდენტიფიკაციის პროცესის შინაარსობრივი უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თუმცა, ბარტი ამ მიმართულებაზე აქცენტს არ აკეთებს და, ამდენად, მის ნაშრომში ეს საკითხი არასათანადოდაა დამუშავებული.

ეთნიკური ჯგუფის წევრების საერთო გენეტიკური წარსულის საკითხს საინტერესო კუთხით განიხილავს **პიერ ვან დენ ბერგი.** ის ეთანხმება საერთო წინაპრების ყოლის შესახებ რწმენის ფიქტიურობის იდეას. თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ <u>ადამიანებმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აღიქვან ერთმანეთი თანამემამულეებად, თუ მათ მსგავსი ტიპის ფიზიკური გარეგნობა ექნებათ.</u> პიერ ვან დენ ბერგი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია იაპონელმა და დასავლეთ ევროპელმა ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრად აღიქვას თავი, რადგან ისინი ფიზიკურად რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მისი აზრით, ეთნიკური ჯგუფის აღმნიშვნელ ძირითად მახასიათებლებად კულტურული ელემენტების წინა პლანზე წამოწევა ხდება მაშინ, როდესაც ეთნიკური ჯგუფის წევრები საკუთარ თავს მათ სამეზობლოში მცხოვრებ (მეტწილად მსგავს) ჯგუფების წევრებს ადარებენ (Berghe, Does Race Matter?, 1995). სამეზობლო სივრცეში მცხოვრები ადამიანები ფიზიკურად გვანან ერთმანეთს და, ცხადია, რომ ეს ფაქტორი მათი განმასხვავებელი ვერ იქნება. ასეთ სიტუაციაში ფიზიკური გარეგნობა სრულიად უმნიშვნელოა. მაგრამ ვითარება იცვლება, თუ ერთმანეთის პირისპირ რადიკალურად განსხვავებული ფიზიკური გარეგნობის ადამიანები ხვდებიან - აქ ფიზიკური გარეგნობა შედარებით მეტ, თუმცა არა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

ეთნიკური ჯგუფის წევრებს მინიმალურ დონეზე მაინც ახასიათებთ ნეპოტიზმი. ეთნიკური ჯგუფის ექსკლუზიურობის ერთ-ერთი დანიშნულება ხომ საერთო ინტერესების დაკმაყოფილებაა. ადამიანები ეთნიკურ ჯგუფს სწორედ საერთო ინტერესების მისაღწევად ქმნიან. ამიტომ, ისინი საკუთარი ჯგუფის წევრებს უპირატესობას ანიჭებენ სხვებთან შედარებით. ეს პროცესი ჯგუფის შინაგან შეჭიდულობასა და გარემოსაგან სეპარაციის გაძლიერებას ემსახურება (Hutchinson & Smith, 1996).

მსგავსი გარეგნული ფიზიკური მახასიათებლების შესანარჩუნებლად სულაც არ არის აუცილებელი მკაცრი ენდოგამია. უკვე აღვნიშნეთ, რომ სამეზობლოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს დაახლოებით მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები გააჩნიათ მთელს მსოფლიოში და, ამდენად, მათ შორის შერეული ქორწინებების არსებობა ამ კუთხით სურათს მნიშვნელოვნად არ ცვლის.

შესაბამისად, არსებული ვითარება გვიჩვენებს, რომ ეთნიკური ჯგუფის ფუნქციონირების კვლევისას მიზანშეუწონელი იქნება ფიზიკური მახასიათებლების მნიშვნელობის სრული უგულებელყოფა. ცხადია, რომ ეთნიკური ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად არ არის აუცილებელი, მის წევრებს საერთო წინაპრები ჰყავდეთ - აქ გადამწყვეტი სოციოკულტურული ინტერესებია, თუმცა, ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრებს ზოგადად მსგავსი გარეგნული ნიშნები ახასიათებთ. დავამატებ, რომ ამ მხრივ გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდნენ ის დემოკრატიები, სადაც სახელმწიფო ე. წ. მოქალაქეობის პრინციპზეა დაფუძნებული (აშშ; ავსტრალია). თუმცა, აქაც კი გამოიყოფიან ეთნიკური ირლანდიელები, იტალიელები, ფერადკანიანი ამერიკელები, ინდიელები და ა. შ.

ჯგუფის ერთგვაროვნებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით ენდოგამიური ქორწინებების მნიშვნელობასა და მათ როლზე ეთნიკურობის ამერიკელი მკვლევარი, მენინგ ნეში მიუთითებს. ის ამტკიცებს, რომ მალაიზიელები ფიზიკურ მსგავსებას და

შედარებით ‘გენეტიკურ’ მთლიანობას’ (ცხადია არა წმინდა და სრული სახით) ქორწინების ენდოგამიური წესის ქონის პირობებში ‘ინარჩუნებენ (Nash, 1993). თუმცა, მის ნაშრომში ნათლად არ ჩანს ამ მიმართულებით არსებული კონკრეტული პრაქტიკა და რთულია ამ მონაცემების ღირებულების შესახებ საუბარი.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არსებობს უფრო რადიკალური შეხედულებებიც კი, რომლებიც ეთნოსებს ფაქტობრივად ‘გაფართოებულ ოჯახად’ განიხილავენ. თუმცა, დღესდღეობით ასეთი შეხედულებები დიდ უმცირესობაშია (Berghe, 1987, p. 25)

ნათელია, რომ არსობრივი და სუბსტანციონალური შინაარსები არ არის გადამწყვეტი ეთნიკური იდენტობის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ამავე დროს ისიც ცხადია, რომ ისინი ეთნიკური ჯგუფების არსებობის განუყოფელი ნაწილია. ის ფაქტი, რომ საერთო წარმოშობა არ მიიჩნევა ეთნიკური ჯგუფის არსებობის აუცილებელ პირობად, არ ნიშნავს იმას, რომ საერთო ისტორიისა და წარსულის მნიშვნელობა სრულიად გამორიცხოს. დღესაც არსებობენ ეთნოსები, რომლებსაც რეალურად გააჩნიათ ხანგრძლივი წარსული და/ან ენდოგამიური პრაქტიკა და ინარჩუნებენ **ნაწილობრივ** გენეტიკურ ნათესაობასაც კი. მაგალითად, ქართველები, სომხები, ებრაელები, ჩეჩნები, ბასკები, დანიელები და ა. შ.

<u>დავამატებ, რომ რწმენა და წარმოდგენები საერთო წარსულის შესახებ ქმნის საკომუნიკაციო რესურსს. ინდივიდებს ეძლევათ საერთო სალაპარაკო მასალა, საზიარო შინაარსები, რომლებსაც გადასცემენ მომდევნო თაობებს და რომლითაც განისაზღვრება და განიმარტება მათი იდენტობა.</u> ასევე, ვფიქრობ, რომ კოლექტიური წარსულის შესახებ წარმოდგენები შეიძლება განსხეულებული იყოს საერთო რიტუალურ წარმოდგენებში, რაც ჯგუფის შედუღაბებას უწყობს ხელს.

ენდრიუ გრილი (Andrew Greely) ხაზს უსვამს შემოსაზღვრულ სივრცეში შიდა <u>კომუნიკაციის მნიშვნელობას საკუთარი განსხვავებულობის და სხვა ჯგუფებთან ოპოზიციური მიმართების კვლავწარმოებისათვის,</u> რასაც მისი აზრით ამყარებს რწმენა საერთო წარმოშობის შესახებ (Eller, 2009, pp. 314-336). ინტენსიური კომუნიკაციის გარეშე

ჯგუფის წევრებს შორის შეიძლება გაქრეს მიჯაჭვულობა და ემოციური უკუკავშირი. ეს კი საზიარო ეთნიკური იდენტობის წინაპირობად შეგვიძლია განვიხილოთ.

ვვარაუდობ, რომ არ არსებობს იდენტობა ლეგიტიმურობის მიმნიჭებელი შინაარსებისა და კონტექსტის გარეშე. ისევე, როგორც არ არსებობს სიმბოლო (ფრედრიკ ბარტი ხომ ეთნიკურ იდენტობას მხოლოდ სიმბოლურ ელემენტად თვლის) მის მიღმა მდგარი გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი შინაარსების გარეშე. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ საერთო წარსულის შესახებ წარმოდგენების ან რაიმე სხვა ტიპის რეალური თუ ფსევდო სუბსტანციალური შინაარსების არსებობა აუცილებელია ეთნიკური იდენტობის ფუნქციონირებისათვის. ეს მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გააზრებულმა თუ შემთხვევითმა ფაქტორებმა მოახდინა თავის დროზე ჯგუფის ფორმირების პროვოცირება.

ეთნიკურობა და ელიტების ინტერესი

არც ერთ აქამდე განხილულ მიდგომას არ მიუღია მხედველობაში სოციალურ აქტორთა შორის პრაქტიკულად მუდმივად არსებული ძალაუფლების მოპოვებისა და, ზოგადად, ელიტების მოტივაცია. არადა, მაკროსოციალური პროცესების განხილვა ამ ფაქტორის ხსენების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესისათვის ელიტების ინტერესის მნიშვნელობას მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე განცალკევებით განვიხილავთ.

ჯერ კიდევ მაქს ვებერი მიუთითებდა პოლიტიკური ელემენტის გადამწყვეტ თუ არა, დიდ მნიშვნელობაზე მაინც ჯგუფებისა და, განსაკუთრებით, ეთნოსების ფორმირებისათვის. ვებერის თანახმად, პოლიტიკური საზოგადოებები/ელიტები ეთნიკური ჯგუფების ფორმირების შთაგონების წყარო არიან. საერთო კულტურული ან თუნდაც სუბსტანციური კავშირების არსებობამ შეიძლება შეუწყოს ეთნოსის ფორმირებას, თუმცა ის ვერ იქნება ამგვარი პროცესის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი. მაქს ვებერი ვარაუდობდა, რომ საერთო წარმოშობის შესახებ რწმენების წარმოშობაც კი ჯგუფის წევრების საერთო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს (Jenkins, 2008, გვ. 10). თუმცა, მაქს

ვებერის მიერ შემოთავაზებული თეორია ჯერ კიდევ ძალიან ზოგადი იყო და არ გვთავაზობდა პოლიტიკური ინტერესის არსებობის პირობებში ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ნათელ მექანიზმს. დღევანდელი გადასახედიდან ასევე სრულიად მიუღებელია მის მიერ გაკეთებული აქცენტები სუბსტანციონალური ასპექტების შესახებ. ეთნიკური ჯგუფის ფუნქციონირებისათვის პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობას ხაზს უსვამდა ასევე აბნერ კოენი. ის მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი პოლიტიკური სარგებლის წინაშე ეთნიკური ჯგუფის წევრებს შორის კავშირის სიძლიერე იზრდება (Cohen, 1969).

ეთნიკურობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თანამედროვე ამერიკელი მკვლევარია ამერიკელი სოციოლოგი როჯერს ბრუბეიკერი. ის გვთავაზობს რადიკალურ იდეას, რომლის თანახმადაც ეთნიკური ერთობა სრულ ფიქციას წარმოადგენს. ის არათუ ეთნოსების, არამედ, ზოგადად, ჯგუფების სტაბილურ არსებობასაც კი ეჭვქვეშ აყენებს. ის თვლის, რომ ეთნიკურობას <u>რიგითი</u> <u>მოქალაქეებისათვის</u> ყოფით დონეზე დიდი მნიშვნელობა არ გააჩნია. ის ფიქრობს, რომ ეთნოსი კატეგორიაა და არა სტაბილური ჯგუფი. ის ამბობს, რომ ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი ხდება ცალკეული ეთნიკური დისკურსები, მაგრამ ისინი არ არის სტაბილური. ის თვლის, რომ კატეგორიები სიტუაციურად იქცევა ჯგუფებად. ანუ, ეთნიკური ჯგუფები სიტუაციურად იქმნება და სტაბილურად არ არსებობს (როგორც მყარი ჯგუფი). ბრუბეიკერი საერთოდ უარყოფს კულტურის არსებობის ფაქტსაც და მიიჩნევს, რომ რეალურად საქმე მხოლოდ დროებით დისკურსებთან გვაქვს. მისი შეხედულებები ნაწილობრივ შესაბამისობაშია ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ მიდგომასთან. თუმცა, ვერ დავეთანხმები შეხედულებას, რომ ეთნოსები დროში სტაბილურად არ არსებობს და ის პერიოდულად ჩნდება. მოდით, ეს საკითხი განვიხილოთ მის მიერვე მოყვანილი მაგალითის საფუძველზე

როჯერს ბრუბეიკერი საუბრობს რუმინეთში, ქალაქ კლუჟში განვითარებული მოვლენების შესახებ. კლუჟში ყოფითი, საყოველთაო ურთიერთობების დონეზე ეთნიკური იდენტობა

პრაქტიკულად არანაირ როლს არ თამაშობს და არ განაპირობებს საერთო სივრცეში (ერთ ქალაქში) გვერდიგვერდ მცხოვრებ რუმინელებსა და უნგრელებს შორის განსხვავებულობისა და, მით უმეტეს, დაძაბულობის განცდებს. მეტიც, ბრუბეიკერი აღნიშნავს, რომ უშუალო ურთიერთობის პროცესში ჩართული მოქალაქეების ეთნიკური იდენტობის იდენტიფიცირებაც კი ძალიან რთულია. პრინციპში, ტიმიშოარაში მცხოვრები განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები არც ცდილობენ საკუთარი ეთნიკური იდენტობების რეპრეზენტაციას, რადგან სოციალური ინტერაქციის პროცესში მათთვის ამის არანაირი საჭიროება არ არსებობს. რუმინელები და უნგრელები არ განასხვავებენ ერთმანეთს და კომფორტულად გრძნობენ თავს ერთმანეთთან. ე. ი. ბუნებრივ პირობებში, გარე სოციალური აქტორების მხრიდან პროვოცირების გარეშე ეთნიკური სხვაობა პრაქტიკულად არ ფიქსირდება. **ბრუბეიკერი** ამტკიცებს, რომ ეთნიკური იდენტობის ფაქტორი მხოლოდ მაშინ აქტივიზირდება ხოლმე, როდესაც ეს საკითხი მომგებიანი ხდება ელიტური და გავლენიანი სოციალური/პოლიტიკური ჯგუფებისათვის. ბრუბეიკერის თანახმად, ეთნიკური იდენტობის განცდის პროვოცირება და გამოცოცხლება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ საკითხის აქტივირებას გარკვეული სოციალურ/პოლიტიკური ბერკეტების მქონე ძალაუფლების მქონე ჯგუფები ახდენენ პროპაგანდის საშუალებით (Brubaker, 2006). ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ საქართველოს არაერთ ქალაქში და, უპირველეს ყოვლისა მის დედაქალაქში წარმოდგენილია არაერთი ეთნიკური ჯგუფი და რეალურად არსებული სურათი საკმაოდ მსგავსია ტიმიშოარაში არსებულ გარემოსთან მიმართებაში. ამ მხრივ, ჩვენთვის ბრუბეიკერის კვლევა განსაკუთრებით საინტერესოა.

როჯერს ბრუბეიკერი ამტკიცებს, რომ ეთნიკური იდენტობა სოციალური და პოლიტიკური ელიტების მხრიდან კოლექტიური მეხსიერებით მანიპულირებისა და ხელოვნური სტიმულირების შედეგია. ის ფიქრობს, რომ ელიტები ადამიანებს შორის საკუთარი ჯგუფის გარე ჯგუფებთან კონკურენციისა და განსხვავებულობის შეგრძნების სტიმულირებას **ხელოვნურად** ახდენენ. ელიტური ჯგუფები ამგვარ პროცესებს როგორც

წესი საკუთარი მერკანტილური მიზნებიდან გამომდინარე, 'ხალხზე ზრუნვის' ეგიდით ანხორციელებენ. **ბრუბეიკერი** ამტკიცებს, რომ რომ არა ელიტების პროვოცირება, ტიმიშოარაში რუმინელებსა და ბულგარელებს შორის დაძაბულობა, კონფლიქტები და ეთნიკურობა, როგორც მადისკრიმინირებელი ფაქტორი, პრაქტიკულად არ იარსებებდა.

ვფიქრობ, რომ იდეა ეთნიკური ჯგუფის ფორმირებისთვის პოლიტიკური აქტორების უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ აუცილებლად ყურადსაღებია. ამ ფაქტორის წონას ცხადად ვხედავთ როჯერს ბრუბეიკერის კვლევის მაგალითზე. თუმცა, თუნდაც ვუშვებდეთ რა პოლიტიკური აქტორების გინდაც გადამწყვეტ მნიშვნელობას, ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგობრივ სურათს. კერძოდ, მისი მონაცემები გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური აქტორები ეთნიკური იდენტობის აქტივირებას მხოლოდ მაშინ ახდენენ, როდესაც მათ ეს სჭირდებათ. მაგალითად, არჩევნების წინ. თანაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეფექტის მიღწევა დროის მოკლე შუალედში ხდება. ბრუბეიკერი აღნიშნავს, რომ მცირეხნიანი აქტივირების შემდეგ ეს ეფექტი გაურკეევევლი ხნით კვლავ ქრება. დავუშვათ, და, მით უმეტეს თუ ეს ასეა, მაშინ ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება გვერდიგვერდ მცხოვრებ თანამოქალაქეებს შორის ეთნიკური იდენტობისა და განსხვავებულობის შეგრძნების მყისიერი პროვოცირება მოახდინო, თუ წინასწარ საამისოდ არ არსებობს არანაირი საფუძველი? რატომ არის შესაძლებელი, რომ ერთი და იგივე პოლიტიკური ელიტები სტაბილურად სწორედ რუმინული ან ბულგარული იდენტობის აქტივირებას ახერხებენ?

ვითვალისწინებ, რა რომ რუმინელი თუ უნგრული ეთნიკური იდენტობის პროვოცირებისას ერთი და იგივე პოლიტიკური ელიტები სავარაუდოდ ერთსა და იმავე ჯგუფებს მიმართავენ. რუმინული იდენტობის აქტივირებას დროის სხვადასხვა შუალედში ხომ ერთი და იგივე ადამიანები/ჯგუფები ეხმიანებიან, ანუ, ისინი ვინც თავს რუმინელებად მიიჩნევენ. ხოლო უნგრული იდენტობის აქტივირებისას ასევე მუდმივად ერთი და იგივე ადამიანები იჩენენ თანაგრძნობას და ავლენენ უნგრელთა ჯგუფზე

კუთვნილებას. აბსურდული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ერთი და იგივე ადამიანები ხან უნგრულ ნაციონალისტურ ტალღას უერთდებიან და ხან რუმინულს, რაც მათ მოქმედებას უბრალოდ კომიკურ ხასიათს მიანიჭებდა. ამდენად, ცხადია, რომ ადამიანებს ეთნიკური კუთვნილების სტაბილური განცდა გააჩნიათ და ან ერთ, ან მეორე იდენტობასთან არიან მიჯაჭვული. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა სრულიად აბსურდული სურათი და ერთი და იგივე ადამიანი ხან რუმინულ ინტერესებს დაიცავდა და ხან უნგრულს, ხოლო ეთნიკურობა, როგორც ფაქტორი, სრულიად დაიცლებოდა ემოციური შემადგენლისგან და, სავარაუდოდ, სრულიადაც უნდა გამქრალიყო. ამ შემთხვევაში კი პოლიტიკური აქტორები ვერც ვერაფრის პროვოცირებას ვერ მოახდენდნენ. ბრუბეიკერი თავადვე წერს, რომ ის არ უარყოფს ეთნიკური ფაქტორის არსებობას, თუმცა თვლის, რომ ის ჯგუფის სახით კი არა, კატეგორიის/დისკურსის სახით არსებობს. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ამ ტერმინების გაიგივება შეიძლება. ან შეგვიძლია ვივარაუდოთ ეთნიკური ჯგუფისადმი ემოციური მიმართების განსხვავებული ხარისხი დროის განსხვავებულ მონაკვეთში. ცხადია, რომ ეთნოსზე კუთვნილება ოცდაოთხი საათის მანძილზე არ უტრიალებს თავში ადამიანს და ის შეიძლება შეიცვალოს ან სულაც გაქრეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობს. ვფიქრობ, კატეგორიის/დისკურსის ცნების შემოტანა ჯგუფურობის საპირწონედ ამ შემთხვევაში არაფრის მომცემია.

<u>ვფიქრობ, რომ როჯერ ბრუბეიკერისვე მოყვანილი მონაცემები მიუთითებს ჩემს მიერ ზემოთ განხილული ინტეგრაციული მიდგომის ადეკვატურობაზე, რომელიც ფსევდოესენციალური და სოციალურ-კონსტრუქციონისტული ფაქტორების კონფიგურაციული მოქმედების აუცილებლობაზე მიუთითებდა. ელიტების (პოლიტიკური) ფაქტორი მნიშვნელოვანი შესაძლოა იყოს მხოლოდ სხვა დანარჩენ ფაქტორებთან ურთიერთქმედების პირობებში და არავითარ შემთხვევაში განცალკევებით !</u>

სქესობრივი, პროფესიული და ნებისმიერ სხვა სახის იდენტობასთან შედარებით (რელიგიას თუ არ ჩავთვლით) ეთნიკური იდენტობა ყველაზე ფართო სახის სოციალური/კოლექტიური იდენტობაა. ეთნოსში წარმოდგენილია შერეული, ყველა სხვა სახის იდენტობის მქონე ადამიანი ერთდროულად. ეთნიკური იდენტობა ადამიანებს აკავშირებს ჯგუფის შიგნით, მიუხედავად მათი სქესობრივი, რელიგიური, პროფესიული თუ რაიმე სხვა სახის იდენტობა/კუთვნილებისა. ბრუბეიკერის კვლევაში არ ჩანს და არ არის განხილული ეთნოსების სტაბილურობისა და ამდენი განსხვავებული იდენტობის მქონე პირთა ერთ ჯგუფში გამაერთიანებელი ამხსნელი რაიმე ფაქტორი.

ამდენად, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ **ეთნიკური იდენტობა არსებობს, უბრალოდ ის არ არის მუდმივად გააქტიურებული და ყოველდღიურ ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. ეთნიკური იდენტობის აქტივირება ხდება ელიტების მიერ საკუთარი ინტერესების შესაბამისად პროვოცირების შემთხვევაში ან თუნდაც 'ქვემოდან' ეთნოსის რიგითი წევრების მიერ საერთო (მათ შორის პოლიტიკური) ინტერესების მიღწევის მიზნით.**

ამდენად, ბარტის მიერ შემოტანილ სოციალურ კონსტრუქტივისტულ/ინტერაქციონისტულ ფაქტორსა და ფსიქოემოციურ ასპექტს უნდა დავამატოთ პოლიტიკური დეტერმინანტი. თუმცა, <u>პოლიტიკური ინტერესი, როგორც ეთნიკური ჯგუფის ფორმირებისა თუ ეთნიკური იდენტობის გამააქტივირებელი/მაპროვოცირებელი ფაქტორი ქმედითი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში და მხოლოდ იმ სახით, რის საშუალებასაც იძლევა არსებული სოციალურ-კულტურული კონტექსტი, კოლექტიური მეხსიერების შინაარსი და თანაც, თუ ეთნოსის წევრებს შორის ემოციური უკუკავშირი და მიჯაჭვულობის შეგრძნება შესაბამის დონეზე არსებობს.</u>

ვფიქრობ, ცხადია, რომ ზემოთ განხილული თეორიებიდან არც ერთი მათგანი არ გამორიცხავს ერთმანეთს. არც პირად ინტერესებს, არც მითებს/რწმენებს წარსულის

შესახებ, არც ცალკეული ჯგუფების პოლიტიკურ ინტერესებს არ შეუძლია განცალკევებით ეთნიკური იდენტობის პროვოცირება. პირიქით, ისინი ავსებენ ერთმანეთს. ეთნიკური იდენტობა შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ თითოეული ამ ფაქტორის არსებობის პირობებში. მხოლოდ ამ ფაქტორების მთლიანობაში წარმოდგენა გვიჩვენებს, თუ რამდენად რთული და მრავალმხრივი კანონზომიერებებით ხასიათდება ეთნიკური იდენტობის ფუნქციონირების პროცესი.

იდენტობისა და ეთნიკურობის კვლევის თანაკვეთის წერტილები - ინტერდისციპლინური პერსპექტივა

დღევანდელ დღეს სოციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ეთნიკურობის ჯერ კიდევ უამრავი დეფინიცია გაგვაჩნია. მიმოვიხილავ ეთნიკურობის განმარტების ძირითად ვარიანტებს. დე ვოსი ეთნიკურობას განსაზღვრავს, როგორც „ჯგუფის წევრების მიერ საკუთარი თავის სხვებისგან განსასხვავებლად, კულტურის ნებისმიერი ელემენტის სუბიექტურ, სიმბოლურ ანდა ემბლემატურ გამოყენება"-ს (Eller, 2009; DeVos & editors, 1975). ეთნიკურობის ყველაზე მრავლისმომცველი და სრული განმარტება შემდეგია: „სოციალური ჯგუფები, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი სახელი, მითი საერთო წარმოშობის შესახებ, კოლექტიური ისტორიული მეხსიერება, საზიარო კულტურული ელემენტები (ენა; ჩვეულებები; რელიგია), სოლიდარობის შეგრძნება ჯგუფის წევრებს შორის მინიმალურ დონეზე მაინც და მიჯაჭვულობა რაიმე ფიზიკური ტერიტორიის მიმართ" (Smith, 1991; Horowitz, 2001).

როგორც უკვე ვნახეთ, ეთნიკური იდენტობის რეპრეზენტაციის წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი სოციალური თუ კულტურული ელემენტი, თუ ადამიანებს საამისო მოტივაცია გააჩნიათ (Eller, 2009, გვ. 314-336). მოტივაცია შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის, ამ მხრივ არ არსებობს შეზღუდული არეალი. ამდენად, არ არის აუცილებელი, რომ ეთნიკური ჯგუფის მოცემულ განმარტებაში ჩამოთვლილი ელემენტებიდან რომელიმე არსებობდეს ჯგუფის შექმნამდე. ეს ფაქტორები არის არა

ეთნიკური ჯგუფის შექმნის წინაპირობა, არამედ მისი შექმნის თანმდევი და არსებობის შემადგენელი ნაწილი. სოციოკულტურული კომპონენტები იქმნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად საერთო ინტერესის მქონე ადამიანების ჯგუფს დასჭირდება საკუთარი მოქმედების (გაერთიანების) ლეგიტიმაცია და მენტალურ დონეზე გამყარება შესაბამისი ფსიქოემოციური კონსტრუქციების შექმნის საშუალებით.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ეთნიკური იდენტობა ისევე, როგორც ნებისმიერი სახის იდენტობა, უფრო დიდი მთელის, სელფის ნაწილია. იდენტობა, როგორც მთელის ნაწილი, იმავე თვისებებით ხასიათდება, რითიც სელფი (და, პირიქით, სელფი ხასიათდება იმავე თვისებებით, რომლითაც მისი შემადგენელი იდენტობები). ის წარმოადგენს ინტერნალური და გარემო ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგს.

მიმაჩნია, რომ ეთნიკური იდენტობა სელფის შემადგენელი ის ელემენტია, რომლის ბუნებაშიც ყველაზე ნათლად ჩანს ინდივიდუალური და კოლექტიური ელემენტების აუცილებელი თანაარსებობა/ურთიერთშედგენილობა. ეთნიკურობა პიროვნული სტრუქტურის სწორედ ის ასპექტია, რომელიც პერსონის ჯგუფზე კუთვნილებას ასახავს - ეთნიკური იდენტობა სელფის ინტერაქციონისტული ბუნების კვინტენსენციად შეგვიძლია განვიხილოთ.

როდესაც ვსაუბრობთ სოციალური ინტერაქციის პროცესში სოციალური საზღვრების ჩამოყალიბების შესახებ, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ საკუთარი თავის განსაზღვრება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სხვების მიერ მიწერილი შეფასებები. შესაბამისად, ჩვენ ვსაუბრობთ ეთნიკური საზღვრების/იდენტობის ორმაგი შედგენილობის შესახებ, სოციალური და პერსონალური ფაქტორების მონაწილეობით. სხვების მიერ მიწერილი შეფასებები, თავის მხრივ, თვითშეფასებების ნაწილი ხდება. ასევე, ეთნიკური იდენტობა განსაზღვრავს, თუ ვინ არის შინაური და ვინ არის უცხო ჯგუფისათვის (Nagel, 1994, გვ. 153).

სოციალური ინტერაქცია უმნიშვნელოვანესია ეთნიკური იდენტობის ფორმირებისთვის (Wetherell M., 2009, გვ. 3). ეთნოსის წევრებს მუდმივად სჭირდებათ მნიშვნელობების გაზიარება და იმის შეხსენება ერთმანეთისა და საკუთარი თავისთვისვე - **თუ რას წარმოადგენენ** ისინი და, ამავდროულად, თუ **ვინ და როგორები არ არიან** (Jenkins, 2008, გვ. 11). საზიარო მნიშვნელობები და კულტურული ელემენტები იქმნება ჯგუფის შიგნით და ჯგუფებს შორის მიმდინარე კომუნიკაციის პირობებში.

ადამიანები განსხვავებულ გარემოებებში იბადებიან. მიმაჩნია, რომ <u>ჩვენ არ გაგვაჩნია საშუალება, რომ განვსაზღვროთ იდენტობებისა თუ სელფის ჩამოყალიბების ზუსტი და უნივერსალური გზა.</u> ბავშვი შეიძლება დაიბადოს მონოეთნიკურ ან მულტიეთნიკურ საზოგადოებასა თუ ოჯახში. ზოგიერთ ქვეყანაში ეთნიკური კუთვნილება კანონითა და სახელმწიფო პოლიტიკითაა განსაზღვრული, ზოგან - არა და ა. შ. შეუძლებელია ყველა შესაძლო თეორიული ვარიანტის გათვლა, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს ახალშობილი. განსხვავებული გარემოებები განაპირობებენ განსხვავებული სელფების გაჩენას, მეტად თუ ნაკლებად მკაფიო ეთნიკური იდენტობებით. მონოეთნიკურ საზოგადოებებში ბავშვები იზრდებიან მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი ეთნიკური იდენტობით მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანს შეიძლება გაცილებით უფრო ჩახლართული, ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი ეთნიკური იდენტობის სტრუქტურა ჰქონდეს. აშშ-ში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის წინაპრების ეთნიკური კუთვნილება და ყოველდღიური ცხოვრების სტრუქტურა მრავალფეროვანია, ხშირ შემთხვევაში, ადამიანებს განსხვავებული ეთნიკური იდენტობის მშობლები და ბებია-ბაბუა ჰყავთ. თეორიულად და პრაქტიკულადაც დასაშვებია, რომ ეთნიკურად შერეულ ოჯახში აღზრდილმა ადამიანმა თავად გააკეთოს არჩევანი. მას შეიძლება 'ასორტიმენტიდან' რომელიმე ეთნიკური იდენტობის ამორჩევა დასჭირდეს. ასეთ შემთხვევაში სავსებით მოსალოდნელია, რომ არჩევანი რაციონალური სარგებლის მიღების სასარგებლოდაც გაკეთდეს.

ეთნიკური მრავალფეროვნების შემთხვევაში არჩევანის გაკეთება შეიძლება მოხდეს თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში, როგორც ეს ბასკეთშია (ესპანეთი), სადაც მოსახლეობას აქვს არჩევანი, იყოს მხოლოდ ესპანელი, ან ესპანელი და ბასკი ერთდროულად. თუმცა, შეიძლება ამგვარი არჩევანი შეზღუდული იყოს ისე, როგორც ეს საფრანგეთშია, სადაც სახელმწიფოს მიერ ყველა 'ფრანგად' ინათლება მიუხედავად მათი ნება-სურვილისა, მათ შორის, საფრანგეთში მცხოვრები ბასკებიც. ფორმალური კატეგორიზაცია ეთნიკური იდენტობის ფორმირების ძალიან ეფექტური ინსტრუმენტია.

კულტურის მნიშვნელობა

კულტურული და ისტორიული ნარატივები ქმნის შინაარსობრივ ქსოვილს ეთნიკური იდენტობისთვის (Wertsch, 1997) და, ზოგადად, სოციალური კონსტრუქციებისთვის (Tonkin, Mayron McDonald, & Malcolm Chapman, 1989). თუმცა, კულტურა არ არის ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელი ელემენტი. ადაპტაციის პროცესში ეთნოსმა ის შეიძლება შეცვალოს. სოციოკულტურული შინაარსების დინამიკური ბუნების შესახებ ჩვენ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ.

„კულტურა აცოცხლებს და ავთენტურობას სძენს ეთნიკურ საზღვრებს მისთვის ისტორიული წარსულის, იდეოლოგიის, სიმბოლური სამყაროს და მნიშვნელობათა სისტემის მიწოდების გზით. კულტურა სცემს პასუხს კითხვაზე - რა ვართ ჩვენ?“ (Nagel, 1994, გვ. 161-163). სოციალური კონსტრუქციონისტების თანახმად, საერთო ან განსხვავებული კულტურის მატარებლობა არ არის ერთ ჯგუფად გაერთიანების ან ჯგუფებს შორის წინააღმდეგობის განვითარების მთავარი მიზეზი, უბრალოდ ის მნიშვნელობებით ავსებს სოციალურ სტრუქტურას. ედმუნდ ლიჩი: „ის ფაქტი, რომ ადამიანების ორი ჯგუფი ორი განსხვავებული კულტურის მატარებელია, არ ნიშნავს იმას, რომ როგორც ეს ადრე მიიჩნეოდა, ისინი აუცილებლად ორ განსხვავებულ სოციალურ სისტემას მიეკუთვნებიან“ (Jenkins, 2008, გვ. 11-12).

ეთნიკურობა იდენტობის მხოლოდ ერთ-ერთი სახეა. ის არ არის საკმარისი მცირე თუ დიდი ჯგუფების ფორმირებისათვის. კულტურა ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ჯგუფის ფორმირებისათვის მაინც მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორია (Weber, 1978, გვ. 389). შესაბამისად, ჯგუფური პროცესების ანალიზისას აუცილებელია სოციალური და კულტურული ელემენტებისა და კონტექსტის გათვალისწინება და კომპლექსური შესწავლა. სწორედ ამიტომ, ფსიქოანთროპოლოგიური მიდგომა არის საუკეთესო ამოსავალი წერტილი ამ მიმართულებით კვლევების საწარმოებლად, რადგან ის აქცენტს პიროვნული და კონტექსტური ფაქტორების თანაბარ მნიშვნელობაზე აკეთებს.

როდესაც ვსაუბრობთ იმის შესახებ, რომ კულტურულმა ელემენტებმა მნიშვნელობებით შეიძლება შეავსონ ეთნოსების ცხოვრება და ხელი შეუწყონ ინტეგრაციას, ჩნდება კითხვა, თუ რა ტიპის შინაარსების შერჩევა ხდება არსებული არჩევანიდან/ასორტიმენტიდან? და რატომ ხდება ზოგიერთი ელემენტის (ცხოვრების სტილი; ღირებულება და ა. შ.) უკუგდება? (DeVos & editors, 1975). ამ კითხვაზე ბარტისეული სოციალური კონსტრუქტივიზმი ამგვარ პასუხს იძლევა: ეთნოსი ირჩევს იმ ელემენტებს, რომლებიც ყველაზე ეფექტურია სხვა ჯგუფებისგან გასარჩევად. თუ ადამიანების ჯგუფს გააჩნია ინტერესი, რომ გაერთიანდნენ, მაშინ ისინი აირჩევენ იმ (კულტურულ) ელემენტებს, რომლებიც უკეთ/იოლად წარმოაჩენს მათ განსხვავებულობას/უნიკალურობას გარემოსაგან და ამავე დროს, ხელს შეუწყობს ჯგუფის წევრთა ინკლუზიას. ფაქტობრივად, საერთო ინტერესი (მატერიალური თუ ნებისმიერი სხვა სახის) ასრულებს წარმმართველ და მამოტივირებელ როლს სოციალური სტრუქტურის შინაარსობრივი უზრუნველყოფის პროცესში (Barth, 1969; Eller, 2009, გვ. 314-336).

ეთნიკურობის კვლევებთან დაკავშირებული თეორიული მსჯელობების გასამყარებლად შეგვიძლია კვლავ გავიხსენოთ კლასიკური ექსპერიმენტები სოციალური ფსიქოლოგიიდან. **მუზაფერ შერიფის** ექსპერიმენტები (ისინი არაერთხელ იქნა განმეორებული და დადასტურებული), რომელიც ჯგუფური ნორმების ფორმირებას

ეხებოდა, გვიჩვენებს, რომ ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანები უცხო გარემოში აღმოჩენის შემდეგ, საერთო მიზნის არსებობის პირობებში, ინტრაკომუნიკაციის შედეგად დროის საკმაოდ მცირე შუალედში აყალიბებენ ნორმებს, რომლებიც მათ შეხედულებებს წარმართავენ და გავლენას ახდენენ გამოხატულ კოგნიტურ შეფასებებზე. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ ნორმების მიმართ 'ერთგულება' ნარჩუნდება ინდივიდების სხვა ჯგუფებში გადანაცვლების შემდეგაც კი. ისინი იცავენ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში ერთხელ (პირველ, დამფუძნებელ ჯგუფში) ჩამოყალიბებულ ნორმებს - ნორმები ავლენენ სტაბილურობას (Ross & Nisbett, 2011).

შერიფის ექსპერიმენტები გვიჩვენებს, რომ ადამიანებს შეუძლიათ უცხო ადამიანებთან საერთო მიზნის გარშემო გაერთიანება მიუხედავად იმისა, რამდენად ზედაპირული ან პიროვნულად მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ეს მიზანი მათთვის. ინდივიდებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სრულიად უცნობ ადამიანებთანაც კი. ჯგუფის შექმნასთან და ნორმების ფორმირებასთან ერთად მყისიერად ყალიბდება ლოიალობა ჩამოყალიბებული ნორმებისადმი (Valsiner J. , 2003).

შერიფის ექსპერიმენტის შედეგად გამოვლენილი ზოგადი კანონზომიერებები კონცეპტუალურად შესაბამისობაშია სოციალურად ორიენტირებული მკვლევრების წარმოდგენებთან. ჯგუფების ფორმირებას და ფუნქციონირებას საფუძვლად უდევს საერთო ინტერესი, ინტრა-ჯგუფური კომუნიკაცია, ნორმების შექმნა/გამოგონება. ჯგუფისა და ჯგუფური ნორმებისადმი ლოიალობა შექმნისთანავე იძენს ემოციურ მნიშვნელობას. ეს კანონზომიერებები იმ თეორიული მოდელის საყრდენ ელემენტებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, გავიგოთ ჯგუფებისა და კულტურული ელემენტების ჩამოყალიბების პროცესი. შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეთნიკური ჯგუფის ფორმირება სრულიად შემთხვევითი ფაქტორების თანხვედრის შედეგად ადამიანების დაჯგუფების შედეგად ხდება. საერთო ინტერესის არსებობა ხელს უწყობს კომუნიკაციის დაწყებას. კომუნიკაციის დაწყება ნორმებისა და სხვა

კულტურული ელემენტების ჩამოყალიბებით სრულდება, რომლებიც შემდგომ სტაბილურობას ინარჩუნებენ. ხოლო ერთხელ ჩამოყალიბებული ინდივიდების მიერ ინტერნალიზდება და იძენს ემოციურ მნიშვნელობას. მართალია, შერიფის ექსპერიმენტი ყოველმხრივ ვერ ხსნის ჯგუფების ფორმირების პროცესს, თუმცა, ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ამ ექსპერიმენტის საშუალებით ამ პროცესის თუნდაც ერთი ასპექტის ფუნქციონირების შესახებ არსებული თეორიული წარმოდგენების ემპირიული გამყარების შესაძლებლობა და მნიშვნელობა.

ინტრაჯგუფური და ჯგუფთაშორისი კომუნიკაციის შედეგად ადამიანები არა მხოლოდ აყალიბებენ ნორმებს, არამედ ახდენენ მათ ინტერნალიზებას საკუთარ სელფში. ჯგუფური ნორმები არ წარმოადგენს პერსონისგან განყენებით მდგომ და მხოლოდ კოლექტიური მოქმედებისათვის მნიშვნელოვან ელემენტს - ის ინდივიდუალური სელფის ნაწილია. ჯგუფის წევრები მათ პირად ნორმებად თვლიან. ეს მოვლენა ილუსტრირებულია შერიფის ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემებითაც. როგორც უკვე აღინიშნა, შერიფის ექსპერიმენტის ფარგლებში, ცდისპირები პირველი ჯგუფის დატოვებისა და უცხო ადამიანების გარემოცვაში აღმოჩენის შემდგომაც კი დეკლარირებულად ინარჩუნებენ უკვე შეძენილ ნორმებს და ცდილობენ მათ დაცვას, მიუხედავად გარემოდან მომდინარე ზეგავლენისა (Ross & Nisbett, 2011). ნორმები აგრძელებენ სიცოცხლეს ჯგუფთაშორის სივრცეში და ადამიანები 'იბრძვიან' მათ დასაცავად, ისინი კამათობენ და ეწინააღმდეგებიან გარემოდან მომდინარე ზეგავლენას. სახეზე გვაქვს სოციალური ნორმების ინდივიდუალურ სელფში ინტერნალიზების ნათელი ილუსტრაცია და თანაც, ექსპერიმენტულ დონეზე.

ვფიქრობ, ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ: 1) ადამიანები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ ნორმებს უკვე საკუთარ შეხედულებად აღიქვამენ და არა მხოლოდ რომელიმე ჯგუფის პროდუქტად, რომელიც მხოლოდ იმ ჯგუფში ყოფნისას უნდა დაიცვა და მისი სივრცის გარეთ ყოფნისას შეგიძლია უგულებელყო. ვხედავთ, რომ

ცდისპირებისათვის ამ პროცესს ემოციური მნიშვნელობაც გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ახალ გარემოში აღმოჩენის შემდგომ ახალ ზეგავლენას და რეალობას იოლად შეეგუებოდნენ და კონფორმულობის გამოვლენის პირობებში გაცილებით უფრო მარტივად მიაღწევდნენ კომფორტულ ბალანსს გარემოსთან. აღნიშნული მოვლენა გვიჩვენებს ჯგუფური იდენტობის სელფში ინტეგრირებულობას და სელფის შესახებ ზემოთ განხილული მოდელის სისწორეს 2) ადამიანები, პირდაპირ თუ ირიბად, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ინარჩუნებენ 'ერთგულებას' არა მხოლოდ ნორმებისადმი, არამედ ასევე იმ თავდაპირველი ჯგუფისადმი, სადაც ეს ნორმები ყალიბდება. სახეზე გვაქვს ჯგუფზე ბმა.

განხილული მონაცემები ნათლად გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი სახის ინტერესის არსებობის პირობებში დაწყებული ჯგუფური ინტეგრაციის პროცესი ხასიათდება სტაბილურობით, ცხადია არა უსასრულოდ. სტაბილურობა გრძელდება მხოლოდ მანამ, სანამ ინდივიდი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ახალ ჯგუფში არ გაერთიანდება და თვისებრივად ახალ იდენტობას არ შეიძენს. თუმცა, ახალ ჯგუფში გაერთიანების შემდეგაც არ იკარგება სრულად მანამდე არსებული იდენტობის კვალი და ხდება ძველი ნორმების ახალთან შერევა და არა უპირობო/სრულფასოვანი ჩანაცვლება. ეს მონაცემი სრულ შესაბამისობაშია ჩემს მიერ ზემოთ წარმოდგენილ ინტეგრალურ მოდელთან, რომელიც მოიცავს სოციალურ კონსტრუქტივისტულ, ზომიერ პრემორდიალისტურ და პოლიტოლოგიურად ორიენტირებული თეორიებს. და, ასევე, სრულად შეესაბამება სელფის წარმოდგენილ დინამიკურ სოციოკულტურულ ფაქტორებთან რეციპროკული ურთიერთობის შესახებ იდეას.

მივიჩნევ, რომ ეთნიკური იდენტობის ფორმირება პერმანენტული პროცესია, რომელიც განუწყვეტელ შინაგან ძიებებთან და გარემოსგან მიღებული შეფასებების მიღებასთან და ინტერპრეტაციასთან არის დაკავშირებული. ეთნიკური იდენტობა არ არის აბსოლუტურად სტაბილური თვისება ან უცვლელი მახასიათებელი, ის პროცესია,

რომელსაც გააჩნია წანამძღვრები და ვითარდება არსებულ კონტექსტთან წარმატებული ადაპტაციის მიზნით. ეთნიკური იდენტობა პიროვნების სტრუქტურის ნაწილია, ის მისი შინაგანი სამყაროს ნაწილად განიცდება.

ეთნიკური იდენტობა გაჟღენთილია წარსულისა და მაკროკონტექსტის შესახებ წარმოდგენებით. ის სელფს ამარაგებს განგრძობითობის/უწყვეტობის შეგრძნებით დროსა და სივრცეში და ხელს უწყობს თვითგანსაზღვრებას დროის კონკრეტულ მომენტში (Nash, 1993). განგრძობითობის შეგრძნება მნიშვნელოვანია, რადგან ინდივიდები ცხოვრობენ გაურკვევლობით სავსე სამყაროში, სადაც რეალობის მოწესრიგება და იდენტიფიკაცია უმნიშვნელოვანესია პიროვნული მთლიანობის შენარჩუნებისათვის.

ინდივიდუალური იდენტიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ სხვებთან მიმართებაში - არ არსებობს სელფი „სხვების“ გარეშე. სხვებთან მიმართება ბუნებრივად იწვევს კითხვებს პერსონალური და ზოგადი ბიოგრაფია/ისტორიის შესახებ - ციდან უეცრად არავინ ვარდება. ეთნიკური იდენტობა ხელს უწყობს ემოციურ წონასწორობას და ამცირებს შფოთვას, რომელსაც პოტენციურად იწვევს მოუწესრიგებელი და ბუნდოვანი გარემო.

ეთნიკურობის შესწავლა მნიშვნელოვანია ზოგადად სელფის უკეთ გასაგებად. ეთნიკური იდენტობის კვლევა გვაძლევს საშუალებას, უკეთ გავიგოთ პერსონალური, კულტურული და სოციალური ფაქტორების ურთიერთმიმართება და მათი როლი სელფის განსაზღვრის პროცესში.

ნაწილი მეორე - მეთოდოლოგიის აღწერა

ნაწილი მეორე - **კვლევის მეთოდოლოგია**

წინამდებარე კვლევა წარიმართა შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

1. ეთნიკური იდენტობა სელფის შემადგენელი ნაწილია. სელფის კვლევა დაკავშირებულია იმ მნიშვნელობების/სემანტიკური ერთეულების კვლევასთან, რომლისგანაც ის შედგება. სელფი ფორმირდება ინდივიდისა და გარემოს მხრიდან მიღებული შეფასებებისაგან. A) ადამიანი საკუთარ თავს აფასებს თვითონ და B) ის ახდენს გარემოდან მიღებული შეფასებების სელფში ინტეგრაციას. C) ინდივიდი გარემოდან მიღებულ შეფასებების სუბიექტურ ინტერპრეტაციას ახდენს და მხოლოდ შემდეგ ახდენს მათ ინტერიორიზაციას.
2. პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ კვლევას ჰქონდეს სიღრმისეული ხასიათი. ინტერვიუერი მაქსიმალურად ინტენსიურ და სიღრმისეულ კომუნიკაციაში უნდა შევიდეს რესპონდენტთან.

   გამოყენებულ იქნა ნარატიული ინტერვიუს მეთოდი. ინტერვიუებს ჰქონდა უფრო მეტად უშუალო საუბრის, არაფორმალური სახე, მიმდინარეობდა ძალდაუტანებლად, რესპონდენტისთვის დროში თუ თემატური თვალსაზრისით შეუზღუდავად. ამ გზით გახდა შესაძლებელი რეალურად სიღრმისეული ინფორმაციის მიღება საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. რესპონდენტებს ჰქონდათ ისტორიის მათეული ხედვის/პერსპექტივის, მათი ნარატივის თავისუფლად და ძალდაუტანებლად მოწოდების საშუალება (Bauer, 1996).

   საკვლევ ჯგუფს წარმოადგენდნენ ის ადამიანები, ვინც თავს ეთნიკურ ქართველად მიიჩნევდა. მათ გააჩნიათ საკუთარი (ქართული) ენა და საუბრის მანერა. შესაბამისად, კვლევის პროცესში უშუალო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანი იყო საუბრის ქართულად წარმართვა

3. თვისებრივი კვლევის თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია სრულად გამოირიცხოს მკვლევრის სუბიექტური როლი. მნიშვნელოვანია, რომ ცხადი იყოს

მკვლევრის მიმართება საკვლევ საკითხთან, მისი გაცნობიერებულობისა და ჩართულობის ხარისხი. ამ კუთხით, მკვლევრის თვითრეფლექსია მისი წინასწარი განწყობებისა და მოლოდინების მნიშვნელობას ამცირებს.

მე, ამ საკითხის მკვლევარი, გავიზარდე საქართველოში და კარგად ვიცნობ ადგილობრივ ნიუანსებს. ქართული ჩემი მშობლიური ენაა. აგრეთვე, მაქვს საქართველოს საზღვრებს გარეთ ცხოვრების გამოცდილებაც (უშუალოდ კვლევის განხორციელების მომენტისთვის 6-12 თვე). შესაბამისად, გამაჩნდა მზაობა, რომ ადეკვატურად წარმემართა ინტერვიუ როგორც საქართველოში მცხოვრებ, ისე ემიგრანტ ეთნიკურ ქართველებთან.

ამგვარად, ჩემი კვლევის ***მიზანია*** ქართველთა ეთნიკური იდენტობისა და მასთან დაკავშირებული დისკურსების შესწავლა თანამედროვე კონტექსტში.

კვლევის ***ამოცანებს*** წარმოადგენს თანამედროვე ქართველთა:

1. ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ დისკურსთა ან/და მარკერთა იდენტიფიკაცია;

2. ცხოვრების სტილის იმ ელემენტების იდენტიფიკაცია, რომლებიც წარმოადგენენ ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ ნიშნებს;

3. ეთნიკური იდენტობისთვის მნიშვნელოვანი მითების, ლეგენდებისა თუ ისტორიული ფაქტების იდენტიფიკაცია;

კვლევის ***მეთოდოლოგია***

1. ***სტრატეგია და მეთოდი:***

კვლევის ამოცანების რეალიზაცია ეფუძნებოდა ემიკურ სტრატეგიას, რამდენადაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, მიმეღო თავად რესპონდენტების ინტერპრეტაციები საკუთარი ეთნიკური იდენტობისა და მასთან დაკავშირებული შინაარსების შესახებ. ვფიქრობ, რომ ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ სელფის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, პირველ რიგში, თავად მას (სელფს) უნდა მოვუსმინოთ. ამ შემთხვევაში,

კონტრპროდუქტიული შესაძლოა აღმოჩნდეს წინასწარ გამზადებული სქემებითა და დახურულპასუხიანი კითხვებით გამოკითხვა, რადგან არსებობს საფრთხე, რომ თავს მოვახვევთ რესპონდენტს ჩვენს წინასწარ განწყობებს და ჩარჩოში მოვაქცევთ მას. ვალიდური და სანდო ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია, რომ მოვისმინოთ რესპონდენტისეული ინტერპრეტაცია და ხედვა იმისა, თუ როგორია კონტექსტი.

მოცემულ კვლევაში გამოყენებულ იქნა ძირითადად კვლევის თვისებრივი მეთოდები - სიღრმისეული ნარატიული ინტერვიუ და ჯგუფური გამოკითხვა (ფოკუს-ჯგუფი) წარმოადგენდა. თვისებრივი კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე მეინსტრიმის მიღმა იყო. თუმცა, ამის მიუხედავად უნდა ითქვას, რომ „კვლევის თვისებრივი მეთოდების პოპულარობა უკანასკნელი 45 წლის მანძილზე დრამატულად გაიზარდა“ (Rennie, 2012). მადილი და გოუ მიუთითებენ, რომ დღეისათვის უკვე მინიმუმ ოცდათორმეტი სახის თვისებრივი კვლევის მეთოდი არსებობს (Madil & Gough, 2008). ემიკური მიდგომის პოპულარობა განსაკუთრებით მატულობს ანთროპოლოგიური ორიენტაციის მკვლევართა შორის. თუმცა მისი მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა ფსიქოლოგებისთვისაც, რადგან ეტიკურმა მიდგომამ ვერ გადაჭრა საკვანძო პრობლემები.

ინტერვიუს გზამკვლევი კითხვარი შედგებოდა ღია კითხვებისაგან. გზამკვლევი მოიცავდა კითხვებს ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც ზემოთ განხილული თეორიების მიხედვით პოტენციურად შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული ეთნიკური იდენტობის ფუნქციონირებასთან. კერძოდ, კითხვები შეეხებოდა სელფის თვითგანსაზღვრებას, ეთნიკური იდენტობის განცდის თავისებურებებს, რესპონდენტთათვის მნიშვნელოვან ღირებულებებს, წარმოდგენებს ქართველებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებების შესახებ, ეთნიკურ ქართველთა ცხოვრების სტილის თავისებურებებს, რწმენებს საერთო წარსულისა და წინაპრების შესახებ და ა. შ.

კითხვებისა და განსახილველი თემების თანმიმდევრობა წინასწარ განსაზღვრული იყო იმგვარად, რომ მაქსიმალურად შემცირებულიყო სოციაბილური კითხვების მიღების საშიშროება. კითხვარი მოიცავდა ე. წ. რამოდენიმე საკონტროლო კითხვას. საკითხის განხილვა იწყებოდა ირიბი და ზოგადი კითხვების დასმით და თანდათან ხდებოდა საკითხებზე ჩაღრმავება და კონკრეტიზაცია.

ჩაღრმავებული ინტერვიუს გზამკვლევი მოიცავდა პროექციულ კითხვებსა და დავალებას.

მონაცემთა დამუშავება განხორციელდა ***თემატური ნარატიული ანალიზის*** მიდგომით (Rennie, 2012). სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების ჩატარების შემდგომ მოხდა ჩანაწერების მოსმენა და მომზადდა მათი ტრანსკრიპტები.

ტრანსკრიპტები მომზადდა დისკურს-ანალიზზე ორიენტირებული ტექნიკით. თუმცა, ასევე გამოყენებულ იქნა ტრანსკრიპტის მომზადების კონვერსაციული ანალიზისათვის დამახასიათებელი ტექნიკის ელემენტები. კერძოდ, ტრანსკრიპტები მოიცავს ინტერვიუს დროს წარმართული საუბრების არა მხოლოდ ვერბალურ შინაარსს - დასმულ კითხვებსა და მასზე გაცემული პასუხებს, რაც დისკურს-ანალიზზე ორიენტირებული ტექნიკით მოითხოვება, არამედ აგრეთვე, არავერბალურ დეტალებს, რომლებიც საუბარს ახლდა თან და კონვერსაციული ანალიზისათვის არის აუცილებელი. ცალკეულ **ტრანსკრიპტებში** ასევე ასახულია მოსაუბრის ხმის ტონი, შეხედულებების გამოთქმის კონტექსტი/წინაპირობები და მიმიკა/ჟესტები.

ტრანსკრიპტების შინაარსი დავამუშავე **თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდით.** მონაცემთა ანალიზის დროს ასევე გამოყენებულ იქნა **სემიოტიკური ანალიზის ელემენტები.** მონაცემთა დამუშავება წარიმართა შემდეგი ნაბიჯების გადადგმის გზით: 1) თავდაპირველად, მოხდა მონაცემებთან გაცნობა, არაერთხელ მისი წაკითხვა და პირველი კომენტარების, მოსაზრებებისა და შენიშვნების ჩაწერა. 2) დამუშავების პროცესში თანდათან მოხდა მონაცემთა **კატეგორიზება** და **კოდირება** მათი ბირთვული მნიშვნელობების მიხედვით. 3) შემდგომ, მოხდა კოდების დაჯგუფება მათ შორის

არსებული ლოგიკური კავშირებისა და მიმართებების საფუძველზე. კოდების დაჯგუფების შედეგად განისაზღვრა **თემები,** რომლებსაც ეს კოდები შეადგენენ. აღნიშნული **თემები** წარმოადგენს კვლევის უმსხვილეს სემანტიკურ ერთეულს. 4) განსაზღვრული **თემების** ადეკვატურობის შემოწმების მიზნით კიდევ ერთხელ მოხდა მონაცემების, კოდების და ამ კოდებს შორის გამოვლენილი მიმართებების გადახედვა. გადამოწმების პროცესში მოხდა თემების საბოლოო განსაზღვრა და მათთვის სახელების/სემანტიკური მარკერების შერჩევა. 5) საბოლოოდ, განხორციელდა თემებს შორის და თეორიულ მასალასთან ამ თემების მიმართებების კვლევა. უშუალოდ ანალიზის პროცესში პერიოდულად ხდებოდა დადგენილი თემებისა და კოდების ტრანსკრიპტებში არსებულ მონაცემებთან შედარება და მისი დაზუსტება.

მონაცემთა ანალიზისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი მონაცემების დასამუშავებელი პროგრამა N-VIVO.

2. **შერჩევის მეთოდი:**

ქართველთა გენერალური ერთობლიობა შინაგანი ჰეტეროგენურობით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, არსებული მრავალფეროვნების ადეკვატური რეპრეზენტაციის უზრუნველსაყოფად ეფექტური იყო **მიზნობრივი შერჩევის** გამოყენება. მიზნობრივი შერჩევის ალტერნატივად თეორიულად შესაძლოა განხილულიყო შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენება, თუმცა, ამ შემთხვევაში, გენერალური ერთობლიობის ძლიერი ჰეტეროგენულობიდან გამომდინარე, შერჩევის რეპრეზენტატულობის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

მიზნობრივი შერჩევის სხვადასხვა ნაირსახეობა (სტრატიფიცირებული; უჯრედული; კვოტური; თეორიული) გამოიყენება. მე შერჩევის **კვოტური** მეთოდი გამოვიყენე. გენერალური პოპულაციის რეპრეზენტაციისათვის აუცილებელია შერჩევის შედგენა გენერალური პოპულაციებისათვის დამახასიათებელი სოციოკულტურული თუ დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით. თეორიულად, ასეთი ნიშნები შესაძლოა უამრავი

იყოს და ყველა მათგანის გათვალისწინება პრაქტიკულად შეუძლებელია (Robinson, 2014). ამდენად, საჭიროა, რომ შერჩევა შედგეს კვლევის მიზნებთან შესაბამისობაში მყოფი ნიშნების საფუძველზე. კერძოდ, განისაზღვრა ის რამოდენიმე ნიშანი, რომლის მატარებლებიც აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ გამოკითხული.

კვოტების განსაზღვრა მოხდა ქართველების საცხოვრებელი არეალის და სხვა ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით. ამ გზით შესაძლებელი გახდა რეპრეზენტაციული შერჩევის შექმნა. შერჩევა მოიცავს ქართული ეთნოსის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან სუბკულტურას/ქვეჯგუფს. კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ფაქტორები:

რამდენადაც კვლევა მიზნად ისახავდა თანამედროვე ქართველთა ეთნიკური იდენტობის კვლევას, სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო სწორედ იმ ადამიანების გამოკითხვა, ვინც თავად თავს ქართველად მიიჩნევს. შესაბამისად, საკვლევი არეალის განსაზღვრისას შემოტანილ იქნა კრიტერიუმი, რომელიც აყენებდა შემდეგ პირობებს:

ეთნიკური კუთვნილების განცდა - **ყველა რესპონდენტს საკუთარი თავი ქართველად მიეჩნია.** ამ გზით მიღწეულ იქნა საკვლევი ჯგუფის ჰომოგენურობის აუცილებელი დონე.

რესპონდენტთა საქმიანობის სფერო და სირთულე. შერჩევა მოიცავს საქართველოში არსებული ძირითადი სამუშაო სფეროებისა და სოციალური ფენების წარმომადგენელს. კერძოდ: კვლევის პროცესში გამოკითხულ იქნა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციათა ადმინისტრაციული პერსონალი, მენეჯმენტი, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სტუდენტები, სამოქალაქო აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბანკო სფეროს წარომადგენლები.

სქესი - შერჩევის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა **სქესის** ფაქტორიც. ამოცანად დასახული არ იყო ზუსტი/იდეალური თანაფარდობის მიღწევა, რადგან ამგვარი სურათი არც გენერალურ პოპულაციაში გვაქვს (CRRC, 2014). ამოცანას წარმოადგენდა თითოეული სქესის წარმომადგენელთან ინტერვიუების განხორციელება მონაცემების გაჯერებამდე.

ანუ, ინტერვიუების განხორციელება გრძელდებოდა მანამ, სანამ მიიღებოდა ახალი ინფორმაცია თითოეული სქესის წარმომადგენლებთან.

რელიგიური კუთვნილების ფაქტორი შერჩევაში გათვალისწინებული იყო რელიგიური კუთვნილების ფაქტორი, რადგან ეთნიკურ თანამედროვე ქართველთა ერთობლიობა რელიგიური ნიშნით რამოდენიმე ძირითად ჯგუფად იყოფა.

ეთნიკურ ქართველთა აბსოლუტურ უმრავლესობას მართლმადიდებელი ქრისტიანები შეადგენენ. თუმცა, აჭარისა და გურიის რეგიონებში ვხვდებით მუსლიმ ქართველთა კონცენტრაციასაც (CRRC, 2014). აღნიშნული სურათი საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებებმა განაპირობა.

შესაბამისად, კვლევის პროცესში გამოკითხულ იქნენ ყველაზე მრავალრიცხოვანი რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელი ქართველები - ქრისტიანები და მუსლიმები.

ქართველთა საცხოვრებელი არეალის თავისებურებები - კვლევითი აუდიტორია თანამედროვე ეთნიკურ ქართველთა საცხოვრებელი ძირითადი არეალის რეპრეზენტაციას ახდენს. შერჩევა ითვალისწინებს საქართველოს ისტორიულ და გეოგრაფიულ დაყოფას და რეგიონულ თავისებურებებს. საქართველო შედგება რეგიონებისაგან, რომლებსაც საკუთარი სოციალური და გეოგრაფიული თავისებურებები ახასიათებთ (Rayfield, 2012).

ასევე, შერჩევის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საქართველოდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ გადასახლდა. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით ემიგრაციაში ოფიციალურად იმყოფება 88 704 ადამიანი (Official web-page of National statistics office of Georgia, 2015). თუმცა, სინამდვილეში, ეს მონაცემები მხოლოდ ლეგალურ ემიგრანტთა ოდენობას ასახავს. ეჭვს არ იწვევს, რომ უცხოეთში არალეგალურად უამრავი ეთნიკური ქართველი იმყოფება, მათი ზუსტი ციფრი უცნობია.

ამდენად, კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნენ საქართველოს ყველა რეგიონში ამჟამად მცხოვრები ადამიანები და, ასევე, ემიგრანტი ქართველები.

<u>რესპონდენტთა მოძიება მოხდა ე. წ. თოვლის გუნდის პრინციპის გამოყენებით.</u>

შერჩევის რაოდენობა

კვლევის ფარგლებში განხორციელდა 28 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 2 ფოკუს-ჯგუფი. შერჩევის დეტალური აღწერილობა შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

ემიკური მიდგომის დროს უმთავრეს და ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს, რომ კვლევა უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ მოპოვებული მონაცემები იმდენად არ გაჯერდება, რომ ახალი ინტერვიუებისა თუ დაკვირვებების განხორციელება უსარგებლო გახდება. რესპონდენტთა რაოდენობის დასადგენად არ არსებობს უნივერსალური კრიტერიუმები. მარკ მაისონმა გამოიკვლია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით მომზადებული ხუთასსამოცი დისერტაცია და დაადგინა, რომ შერჩევა საშუალოდ 31 რესპონდენტისაგან შედგებოდა (Mason, 2010).

კვლევის ეთიკა

რესპონდენტთა გამოკითხვა მოხდა მხოლოდ მათგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ. თითოეულ მათგანს განემარტა კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის შედეგად მიღებული პირადი მონაცემები დაცულია საიდუმლოდ. უზრუნველყოფილია მონაცემთა კონფიდენციალურობა და რესპონდენტთა ანონიმურობა.

ნაწილი მესამე - მონაცემთა ანალიზი

შესავალი

თანამედროვე ქართველთა ეთნიკური იდენტობის თავისებურებების კვლევისას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მრავალკუთხოვანი კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებას. შესაბამისად, მონაცემთა ანალიზის პროცესში განვიხილავთ ყველა იმ ფაქტორს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ქართული იდენტობის თანამედროვე საცხოვრებელ გარემოში ფუნქციონირების პროცესთან. დეტალურად შევეხებით 1) გამოგონილი საერთო წარსულის, 2) საზიარო კულტურული ელემენტების, 3) რელიგიური ფაქტორებისა და 4) საერთო სარგებლის მიღების ინტერესის მნიშვნელობას თანამედროვე კონტექსტში მცხოვრები ქართველებისათვის.

ნაშრომის უმთავრეს ამოცანას იმ ნიშნებისა და დისკურსების გამოკვეთა წარმოადგენს, რომლებიც ქართული იდენტობის რეპრეზენტაციას ახდენენ. ამ მიზნის მისაღწევად რესპონდენტებს ვთხოვდი რეფლექსია მოეხდინათ მათ პირად გამოცდილებასა და გარემომცველი კულტურული ელემენტების მიმართ არსებულ სუბიექტურ განცდებზე. საუბრის პროცესში იკვეთებოდა ქართული ეთნიკური იდენტობის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორები. მონაცემები მოიცავს რესპონდენტთა წარმოდგენებს ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების და (ეთნიკური) იდენტობის ფორმირებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებების შესახებ. რესპონდენტები თავად ახდენდნენ მოთხრობილი შინაარსების ინტერპრეტაციას.

როგორც თეორიული მსჯელობისას უკვე აღვნიშნეთ, სელფი ერთდროულად ინდივიდუალური და სოციოკულტურული ფენომენებისაგან შედგება (Hammack, 2008; Shweder & LeVine, 1984). ეთნიკური იდენტობა სელფის შემადგენელი მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია და მისი ბუნების უკეთ გასაგებად, კვლევის პროცესში სელფის ფორმირებასა და ფუნქციონირებასთან პოტენციურად დაკავშირებული ყველა მენტალური ასპექტის, დისკურსისა თუ კულტურული ელემენტის შესწავლა ხდებოდა. ამგვარმა მიდგომამ

საშუალება მოგვცა სრულად აღგვეწერა ქართველების ეთნიკური იდენტობის საარსებო კონტექსტი და დამახასიათებელი კანონზომიერებები.

სელფი შედგება როგორც შინაგანი ძიებებით დეტერმინირებული, ისე გარემო ასპექტებისაგან. ამიტომ, მონაცემთა ანალიზის პროცესში დეტალურად ვიმსჯელებთ სელფის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი ორივე ასპექტის შესახებ. რესპონდენტებს დაესმოდათ ინდივიდუალური და ინტერნალური ფსიქიკური პროცესების რეფლექსიაზე ორიენტირებული სრულიად ღია კითხვები. ინტერვიუს პროცესში განიხილებოდა ყველა ის გარემო ფაქტორი, რომლებთანაც ინდივიდებს თეორიულად შესაძლოა ჰქონდეთ შეხება ყოველდღიური ცხოვრების პროცესში. რესპონდენტებს სრული თავისუფლება ჰქონდათ თავად/სუბიექტურად აღეწერათ საკუთარი ფსიქიკური სამყაროს და მათი **დიალოგური სელფის** შემადგენელი მნიშვნელობები (Hermans, 2001). გამოკითხული პირები საკვლევი საკითხების ინტერპრეტაციებს მათ მიერვე მოწოდებული მნიშვნელობების კონტექსტში ახდენდნენ.

პერსონალური, სოციალური და კოლექტიური იდენტობების თანმიმდევრული განხილვისას შევეცდები დავინახოთ და წარმოვადგინო ის მთლიანობითი კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს ქართული ეთნიკური იდენტობა. შევეხებით სელფის შემადგენელ ყველა ძირითად ფსიქიკურ ფენომენს. <u>მიმოვიხილავთ რესპონდენტთა წარმოდგენებსა და დამოკიდებულებებს საკუთარი თავის, გარემომცველი კულტურული გარემოსა და ჯგუფების შესახებ.</u>

მონაცემთა განხილვას პერსონალური იდენტობისათვის დამახასიათებელი ასპექტების განხილვით დავიწყებთ, რადგან სელფის შემადგენელი სწორედ ეს შრე უქმნის შინაგან საფუძველზე ყველა სხვა ფსიქიკური ფენომენების ფუნქციონირებას.

ინდივიდუალური სელფი - თვითაღქმა

რესპონდენტებს ინტერვიუს დასაწყისში მოეთხოვებოდათ საკუთარი თავის, სელფის, განსაზღვრა-დეფინიცია. მათ ვთხოვდი აეხსნათ თუ „ვინ არიან ისინი?“, გადმოეცათ საკუთარი თავის შესახებ არსებული დასმული კითხვები იყო სრულიად ღია და რესპონდენტებს შეეძლოთ ეთქვათ ყველაფერი, რაც მეტ-ნაკლებად საკუთარი თავის შესახებ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. თვითრეფლექსიის პროცესში საკმაოდ საინტერესო და ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი სურათი გამოიკვეთა. უნივერსალისტურ კროსკულტურულ ფსიქოლოგიურ მიდგომას რომ ვეყრდნობოდეთ აუცილებლად დადგებოდა საკვლევი ჯგუფის რომელიმე წინასწარ გამზადებული უნივერსალური ტიპოლოგიის მიხედვით კატეგორიზირების ამოცანა. მაგალითად, დადგებოდა კითხვა თუ რომელი ტენდენციაა უფრო ძლიერი ეთნიკურ ქართველთა შორის - ინდივიდუალისტური თუ კოლექტივისტური? (Triandis, 1995) თუმცა, რეალურად, მიღებული მონაცემების მიხედვით არ გამოვლენილა ერთმნიშვნელოვნად დასავლური ან აღმოსავლური სელფ-კონცეპტების/თვითგანსაზღვრებების (თვითგანსაზღვრებები სელფის ნაწილია) არსებობა. სელფის შემადგენელი დისკურსები და იდენტობები ავლენენ როგორც ინდივიდუალისტურ, ისე კოლექტივისტურ ტენდენციებს. ძალიან რთულია ისაუბრო რომელიმე მათგანის დომინანტურობაზე. ამგვარი წინააღმდეგობრივი ტენდენციები იკვეთება რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ გამოთქმული შეხედულებების მიხედვით. შედეგების განხილვისას დავინახავთ, რომ უნივერსალისტური მიდგომა ამ კონკრეტულ კვლევით კონტექსტში უბრალოდ არარელევანტურია.

<u>მეტიც, თუ მონაცემებს ჩავუღრმავდებით და მათ რესპონდენტთა მიერ მოწოდებული მნიშვნელობების კონტექსტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ საერთოდ არ არსებობს ცალსახად კოლექტივისტური ან ცალსახად ინდივიდუალისტური მისწრაფებები. ერთი შეხედვით კოლექტივისტური ასპექტი შესაძლოა ლატენტურად არსებული</u>

ინდივიდუალისტური მისწრაფების ასრულებას ემსახურებოდეს და პირიქით. არც ერთი იდენტობა არ არის სუფთა სახით ინდივიდუალისტური ან კოლექტივისტური. ისინი მინიმალურ დონეზე მაინც დუალისტურია. სპეციფიკურ კონტექსტში ისინი პარტიკულარისტული მნიშვნელობის მატარებლები არიან. ერთი და იგივე იდენტობა, ღირებულება თუ დისკურსი სიტუაციურად შესაძლოა იყოს ინდივიდუალისტური, კოლექტივისტური ან ერთდროულად ორივე ტენდენციის გამომხატველი. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს უნივერსალისტური ტიპოლოგიების როგორც მინიმუმ პირობით ხასიათს.

კვლევისას და მონაცემთა ინტერპრეტაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი კუთხიდან შევხედავთ საკითხს. ამდენად, შემდგომში ტერმინ ინდივიდუალისტურს ბრჭყალებში მოვათავსებ, რითაც ხაზს გავუსვამ ამ კონცეპტის პირობით ხასიათს.

'ინდივიდუალისტური' ტენდენციები

„ინდივიდუალისტურ" ტენდენციებს ავლენენ ის დისკურსები და იდენტობები, რომლებიც განსაზღვრავენ პირის უნიკალურობას ან უშუალოდ არიან დაკავშირებული პერსონალური განსაკუთრებულობის მოთხოვნილება/განცდის რეალიზაციასთან (Markus & Kitayama, 1991; Triandis, 1995). ამ ნაშრომის ჩარჩოებში ამ კატეგორიაში მოვათავსებ ყველა იმ ტენდენციას, რომელიც მომართული იქნება საკუთარი ჯგუფისაგან დისტანცირებული მისწრაფებების რეალიზაციაზე, თუნდაც ისინი წმინდად პერსონალისტური ხასიათის არ იყოს. ამ მიდგომის საფუძველს მაძლევს ის დაშვება იმის შესახებ, რომ ჩემი აზრით, საკუთარ ჯგუფთან მიმართებაში ნებისმიერი არაკონფორმული ქცევა ინდივიდუალისტური ძიებების გამოვლინებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მე ტერმინ 'ინდივიდუალისტურს' არ ვიყენებ კროსკულტურული ფსიქოლოგების მიერ უნივერსალისტური კონოტაციური აქცენტების შესაბამისობაში.

ზოგადად ადამიანი

რესპონდენტთა პასუხების მიხედვით საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა უნივერსალური (არა უნივერსალისტური) ღირებულებების არსებობა მათ ცნობიერებაში. გამოკითხული პირების უმრავლესობა (16) საკუთარ თავს 'ზოგადად ადამიანად' აღიქვამს. ისინი ამბობენ, რომ მთელი სამყაროს ნაწილი და კაცობრიობის შემადგენელი სუბიექტები არიან. აქცენტი თითქოს კეთდება არა საკუთარ ეთნოსზე ან რეგიონზე, არამედ მთელს სამყაროზე. სახეზე გვაქვს ჯონ ტერნერის კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული სოციალური იდენტობის უფართოესი ფორმა (Turner, Penelope J. Oakes, S. Alexander Haslam, & Craig Mcgarty, 1994).

"ადამიანი ხარ". "

"რა თქმა უნდა მე შემიძლია ვთქვა, რომ მე ვარ გ. ჯ., მე ვარ ადამიანი, რომ მე ვარ ქართველი, რომ მე ვარ ცოცხალი არსება დედამიწაზე, მაგრამ ეს ყველაფერი ის არ არის ... რაციონალური ლოგიკური ჯაჭვითაც იქამდე, რომ საბოლოო ჯამში შენ ეს არა ხარ . . ."

„ნუ, ადამიანი. . ."

"ყველა საზოგადოება კრებითად მოვიაზრე და ჩემი თავი დავინახე მილიარდიანი სამყაროს წევრად".

"დავამატებდი, რომ სამყარო არის ჩემი ნაწილი და მე ვარ სამყაროს ნაწილი ვარ მე".

პერსონალურ მახასიათებლებზე საუბრისას არ ჩანს ინდივიდუალური სპეციფიურობის გამოხატვისაკენ განსაკუთრებული სწრაფვა. პირიქით, ხაზი ესმება სამყაროს მთლიანობას და ჩანს სწრაფვა გლობალურ სამყაროში ინტეგრაციისაკენ. აქცენტი კეთდება ადამიანთა შორის პრინციპული განსხვავებების არ არსებობაზე. სახეზე გვაქვს, ერთგვარი მეტაფიზიკური ძიებების არსებობაც.

"რეალურად რა სხვაობაა ადამიანები არიან".

"მე ვარ ჩვეულებრივი ადამიანი".

"დედამიწაზე ადამიანები ცხოვრობენ".

ამგვარი ტენდენციის ერთ-ერთი შესაძლო ახსნა შეიძლება ის ფაქტი იყოს, რომ ქართულ სოციალურ/პოლიტიკურ სივრცეში დემოკრატიული დისკურსის აქტიური პროპაგანდა მიმდინარეობს. ამგვარ პროპაგანდას თან ახლავს ადამიანებს შორის მსგავსებისა და ზოგადად, თანასწორობის შესახებ ძლიერი აქცენტების გაკეთება. თუ დავუშვებთ, რომ დემოკრატიული დისკურსი ინტერნალიზებულია რესპონდენტთა სელფებში, მაშინ სავსებით ბუნებრივად შესაძლოა აღვიქვათ ის ფაქტი, რომ საკუთარი თავის შესახებ საუბრისას წინა პლანზე სწორედ ადამიანთა შორის თანასწორობისა და მსგავსების შესახებ შეხედულებები იწევს. დემოკრატიული დისკურსი მათი სელფის განუყოფელი ნაწილად არის ქცეული.

მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ვხედავთ გარემოდან მიღებული ინფორმაციის ზეგავლენის ეფექტს უშუალოდ თვითაღქმაზე. სელფი ყალიბდება სხვა ადამიანებთან საკუთარი თავის შედარების გზით. შედარება ეხება ყველა ცხოვრებისეულ ასპექტს. წარმოდგენა გარემო სამყაროს შესახებ განაპირობებს საკუთარი თავის დეფინიციას, და, პირიქით! დავამატებ, რომ აღნიშნული შეხედულება თანხვედრაში მოდის ასევე ქართველთა ტოლერანტობის შესახებ გავრცელებულ დისკურსთან, რომელსაც უფრო ვრცლად ქვემოთ შევეხებით.

საკუთარი სახელი

რესპონდენტთა ნახევარმა საკუთარი თავის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ელემენტად საკუთარი სახელი მიიჩნია. სახელს პიროვნებისთვის რამოდენიმე ტიპის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სახელი განსაზღვრავს რესპონდენტთა ინდივიდუალობას. შეიძლება ითქვას, რომ სახელი ინდივიდუალობის კვინტენსეციასაც კი წარმოადგენს. თეორიულადაც კი რთულია წარმოიდგინო საკუთარ სახელზე უფრო უნიკალური ელემენტი. საინტერესოა, რომ საქართველოში (ისევე, როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში) არსებობს სახელთა მცირედი ცვლილებისა და მაქსიმალური

ინდივიდუალიზების პრაქტიკა (კნინობით-ალერსობითი ფორმები). კნინობით-ალერსობითი ფორმა სახელის კიდევ უფრო მეტ პერსონალიზაციას ახდენს. რესპონდენტები საკუთარ სახელებს აქტიურად ასახელებენ საკუთარი იდენტიფიკაციის პროცესში. თუმცა, ისიც ცხადია, რომ სახელი არ წარმოადგენს აბსოლუტურ ღირებულებას და ადამიანმა ის შეიძლება სულაც გამოიცვალოს.

განსაკუთრებულ სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სახელი სოციალურ სივრცეში პიროვნების რეპრეზენტაციას ახდენს.

ქართულ კულტურულ კონტექსტში რამოდენიმე პოპულარული სახელი არსებობს. მათ პოპულარობას ის ფაქტი განაპირობებს, რომ ისინი რელიგიურ წმინდანებს, გმირებს ან დიდ მეფეებს ეკუთვნოდა. მაგალითად, ნინო, თამარი, დავითი, გიორგი და ა. შ. ერთ-ერთ რესპონდენტს სახელად თამარი ერქვა. მან აღნიშნა რომ ამ სახელმა მისი პიროვნების ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ადრეულ და განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში ის საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენდა ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქართველ მეფესთან, რომელსაც სახელად სწორედ თამარი ერქვა. ამ სახელის ტარების გამო ის პასუხისმგებლობას გრძნობდა და სიამაყის გრძნობას განიცდიდა.

"სახელს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. თამარი რომ დამარქვეს, სკოლაში, რუსულ სკოლაში ცარიცა ტამარას მეძახდნენ... აქედან ჩამოყალიბდა ჩემი ფსიქოლოგიური ხედვა ჩემი თავის... რაღაც მომენტებში, გარდატეხის პერიოდში იყო რაღაც, კომპლექსები კი არა პირიქით, ზედმეტი თავდაჯერებულობა... რაღაც... ან კიდევ იმის ტრადიცია, რომ თამარ მეფის სახელის მატარებელი ხარ და ... გაიგივება რომ ხდება ადამიანის, ეს მაინც მოქმედებს..."

<u>შეიძლება ითქვას, რომ ამ სახელის ტარება ეთნიკური იდენტობის აქტივიზაციის ერთ-ერთ წყაროსაც კი წარმოადგენს. სახელი განაპირობებს ისტორიულ პიროვნებებთან იდენტიფიკაციასა და კოლექტივისტურ/პატრიოტული სენტიმენტების პროვოცირებას.</u> ვხედავთ, რომ სახელი, რომელიც ერთი შეხედვით ცალსახად ინდივიდუალური

მახასიათებელია, კოლექტივისტური ეთნიკური სენტიმენტების ენკულტურაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად შეიძლება იქცეს.

ნათელია, რომ პერსონალური იდენტობის აღმნიშვნელი უნიკალური ელემენტებიც კი უშუალოდ არიან გადაჯაჭვული კოლექტიური იდენტობის ფუნქციონირებასთან. კონკრეტული ელემენტის მნიშვნელობას განსაზღვრავს კონტექსტი და ის მნიშვნელობა, რომელსაც მასში ინდივიდი და ჯგუფი დებს. აქ კიდევ ერთხელ იკვეთება სელფ-კონცეპტების (Baumeister, 1999) პერსონალური და კოლექტიური იდენტობების განმსაზღვრელ ელემენტად აღქმის პირობითი ხასიათი. ვხედავთ, რომ პერსონალური და კოლექტიური ასპექტები საერთო პროცესის შემადგენელი ნაწილია და არა ერთმანეთისგან განყენებული ფენომენები.

პროფესიული იდენტობა

პროფესიული იდენტობა არანაირად არ არის კავშირში ეთნიკურ იდენტობასთან. რესპონდენტები არ აკავშირებენ ამ ორ საკითხს ერთმანეთთან.

ფიზიკური გარეგნობა

ერთმა (დავაზუსტებ, მამრობითი სქესის) რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მის ერთ-ერთ ინდივიდუალურ მახასიათებელს მისი გარეგნობა წარმოადგენს. მისთვის გარეგნობა მნიშვნელოვანია, რადგან ის მისი უნიკალურობისა და მთლიანი ჰაბიტუსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი განუყოფელი ელემენტია. თუმცა, მას ამ ელემენტისთვის განსაკუთრებული ემოციური მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. ის უბრალოდ ერთ-ერთია სხვა მრავალ მახასიათებელს შორის.

"მე ვარ ჩემი ფიზიკური მონაცემები, სახე".

ეს ელემენტი უშუალოდ ინდივიდუალური (საკუთარი) იდენტობების განსაზღვრისას არც ერთ სხვა რესპონდენტს არ დაუსახელებია. თუმცა, გარეგნობის მნიშვნელობა გაცილებით უფრო აქტიურად იქნა განხილული ეთნიკური ჯგუფების თავისებურებებზე მსჯელობის

კონტექსტში. ამ საკითხს შემდგომ ქვეთავებში უფრო დეტალურად შევეხებით. ამ ეტაპზე კი, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ფიზიკური გარეგნობა მრავალასპექტიანი სელფის შემადგენელი ელემენტია და საჭიროების შემთხვევაში აქტიურდება.

'კოლექტივისტური' ტენდენციები

ოჯახის წევრი

რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან იდენტობას საკუთარი ოჯახის წევრობა წარმოადგენს. აქ იგულისხმება ოჯახი მთლიანობაში და ის შვილის, დედმამიშვილის, მშობლისა და მეუღლის იდენტობებს აერთიანებს. 'ოჯახური იდენტობა' რესპონდენტების ინდივიდუალური სამყაროს განუყოფელი ნაწილია. აქ სახეზე გვაქვს რელაციური სელფი (Brewer & Gardner, 1996).

"პირველ რიგში ვარ შვილი, მერე ვარ და..."

"შვილი ვარ".

"მე ალბათ უფრო ოჯახის ადამიანი ვარ. ჩემს თავს ოჯახური მდგომარეობიდან განვსაზღვრავ".

„ვარ მეუღლე და მშობელი".

მეგობარი

რესპონდენტთა ნახევრისათვის ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ისინი ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მეგობარს წარმოადგენენ. გამოკითხულთა მესამედი განსაკუთრებული ემოციურობითაც კი საუბრობს ამ თემაზე.

"ნებისმიერ ჩემს მეგობარს რომ კითხოთ, გიპასუხებთ, რომ ქეთი არის ჩემი საუკეთესო მეგობარი. მე ვამყობ, რომ მე ვიღაცისთვის ვარ საუკეთესო მეგობარი".

"მე ვარ მეგობარი".

„რამდენიმე ადამიანის მეგობარი".

სქესობრივი იდენტობა

თვითრეფლექსიის პროცესში საკუთარი სქესობრივი იდენტობა რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარმა გამოყო. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ისინი მას ასახელებდნენ ემოციურობის ნაკლები ხარისხით. სქესობრივი იდენტობა სახელდებოდა მხოლოდ საკუთარ იდენტობათა ჩამონათვალის ბოლოს.

"განსაკუთრებით რაღაც ეტაპის შემდეგ თავი ვაიძულე რომ გამეაზრებინა, რომ გოგოც ვარ... ესე რომ ვიჯდე რომ ვფიქრობდე, რომ გოგო ვარ არა, მაგრამ... ხო, გოგო ვარ... გოგო ვარ კი...რესპონდენტები ".

"ქალსა და კაცს შორის არსებული ბუნებრივი განსხვავებებისა, არ მგონია რომ ამ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ბიჭი ხარ თუ გოგო..."

"ვარ ერთი გოგო".

„ბიჭი ვარ, მარა მერე რა..."

ჩაკითხვის შემდგომ ღიად ამბობდნენ, რომ სქესობრივი იდენტობა არ არის განმსაზღვრელი მათთვის. ის არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მათ პიროვნებასა და ხასიათზე გადამწყვეტი, მაფორმირებელი გავლენა ჰქონდეს. ეს ფაქტი საკმაოდ მოულოდნელი და საინტერესოა, თუმცა, უშუალოდ გენდერული იდენტობის კვლევა ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა, ამდენად ამ მიმართულებით ამ ნაშრომის ჩარჩოებში აქ შევაჩერებთ მსჯელობას.

რელიგიური იდენტობა

რელიგიური იდენტობის შესახებ ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფური ინტერვიუების დროს განსხვავებული მონაცემები იქნა მიღებული. შეგახსენებთ, რომ ინტერვიუები ჩატარდა ეთნიკურად ქართველ ქრისტიან ან ათეისტ რესპონდენტებთან, ხოლო ფოკუს-ჯგუფი უმეტესად მუსლიმ რესპონდენტებთან.

საინტერესოა, რომ საკუთარი სელფის შესახებ საუბრისას მხოლოდ ოთხი ინდივიდუალური ინტერვიუს რესპონდენტმა გამოყო წინა პლანზე საკუთარი მართლმადიდებლური რელიგიური იდენტობა. ამ ოთხი რესპოდენტისთვის ქრისტიანობა (კულტურული თვალსაზრისით) ძალიან მნიშვნელოვანია და პრაქტიკულად განუყოფელია ეთნიკური იდენტობისაგან. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ორი ასპექტი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. თუმცა, ამავე დროს ისინი საუბრობენ ქრისტიან ქართველთა ტოლერანტობის შესახებაც და სხვა რელიგიის აღმსარებელ ქართველთა მიმართ სრული მიმღებლობის განცდა აქვთ.

"ადამიანი ვარ, რომელსაც ამ ცხოვრებაში მიაჩნია, რომ სარწმუნოება ყველაზე ძვირფასია მისთვის..."

"შეიძლება ავუხსნა, რომ ვარ ქართველი, რომ ვარ ქრისტიანი, ვუთხრა რას ნიშნავს ქრისტიანული იდეოლოგია და ღირებულებები გააჩნიათ ადამიანებს".

რელიგიური იდენტობის შესახებ აქტიურად ისაუბრეს ფოკუს-ჯგუფის მუსლიმმა წევრებმა. მათთვის მუსლიმური რელიგიისადმი კუთვნილება საკმაოდ მნიშვნელოვანია. ისინი საკუთარ თავს ცალსახად მუსლიმ ქართველებად აიდენტიფიცირებენ. თუმცა, ეთნიკური იდენტობის თვალსაზრისით დანარჩენ ქართველებთან მიმართებაში ისინი ვერანაირ სხვაობას ვერ ხედავენ.

"ვთქვათ თუ ვინ ვართ ჩვენ ეს ძალიან დიდი თემაა... მე ვარ მაჰმადიანი ქართველი. ისტორია ყველამ იცის, ქარტეხილები... იმ დროს დავიბადეთ, როცა მაჰმადიანები ვიყავით... ქრისტიან ქართველებთან ერთად შეხმატკბილებულად ვიყავით და ვართ... არანაირი პრობლემა არ არსებობს... მაგრამ როდესაც წარმოიქმნება სადაც არ უნდა იყოს, ჩხოროწყუში, სამტრედიაში თუ სხვაგან მე ვარ ქართველი მაჰმადიანი... მაგრამ ეს ჩემში არ ქმნის არანაირ პრობლემას..."

“მეც მუსულმანად ვარ დაბადებული, ქართველი ! საცხა წაველ იქაური ქუდი დავიხურე... ჩამოვედი აქ და გურულების გვერდით ვარ და როგორც ჩემი ცხოვრება მეიტანს, ისე ვიქნები ამ ცხოვრებაში.... დიდი არც ისე შემიძლია და არც ასე... საითაც შემატრიალებენ იქით მივბრუნდები...”

მუსლიმ და ქრისტიან ქართველებს შორის მიმღებლობის მაღალ დონეს მნიშვნელოვანწილად ის ფაქტი განაპირობებს, რომ მუსლიმთა ჯგუფის წარმომადგენელები ყოფითი ცხოვრების პროცესში უფრო სეკულარული ცხოვრების წესით ცხოვრობენ, ვიდრე რელიგიური. მათი ცხოვრების წესი უფრო ‘ქართულია’, ვიდრე ტრადიციულად მუსულმანური. მაგალითისთვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუსლიმი ქართველები მიირთმევენ ღვინოს, მაშინ როდესაც ტრადიციული ისლამის მიხედვით ეს აკრძალულია. მუსლიმი ქართველებისთვის ‘სუფრის’ გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. შესაბამისად, საერთო საერო ტრადიციები ქმნის საკომუნიკაციო რესურსს და ეთნიკური ინტეგრაციის წინაპირობას. ყოფით ცხოვრებაში მუსლიმი და ქრისტიანი ქართველი შესაძლოა ვერც კი მიხვდნენ ერთმანეთის რელიგიურ იდენტობას. ვხედავთ ქართველობის, საერო/სეკულარული ეთნიკური იდენტობის პრიმატს რელიგიურზე.

ეთნიკური იდენტობის სპონტანური იდენტიფიკაცია

პერსონალური თვითგანსაზღვრის პროცესში საკუთარ იდენტობათა შორის ქართველთა ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილება სპონტანურად რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა გამოყო. მათი ნაწილისათვის ქართული ეთნიკური იდენტობა ძალზედ მნიშვნელოვანია, ნაწილისთვის შედარებით ნაკლებად. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ ისინი სპონტანურად ახსენებენ და საუბრობენ ამ ასპექტის შესახებ, მიუთითებს სელფის საერთო სტრუქტურის ფუნქციონირებისათვის ეთნიკური იდენტობის საკმაოდ დიდ მნიშვნელობაზე.

“მე ვარ ქართველი”.

“შეიძლება ავუხსნა, რომ ვარ ქართველი”.

“თბილისელი, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა (საქართველო)“.

“მეტი ვისწავლო, გამოვადგე ჩემს ქვეყანას... დავბრუნდე საქართველოში”.

“მე ვარ ადამიანი ძალიან პატარა ქვეყნიდან, რომელსაც აქვს დიდი ისტორია.”

ხაზს გავუსვამ, რომ თვითრეფლექსიის პროცესში რესპონდენტები საკუთარ იდენტობებს ყოველგვარი მინიშნებების გარეშე, სპონტანურად ასახელებდნენ. ისინი აღწერდნენ საკუთარ თავს და ცდილობდნენ აეხსნათ თუ რას წარმოადგენდნენ ისინი. მათ უნდა განესაზღვრათ საკუთარი სელფი. შემდეგ ქვეთავში უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ ეთნიკური იდენტობის აღქმის თავისებურებებისა და მნიშვნელობის შესახებ.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მიზნები

ინტერვიუს პროცესში რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ მოეთხროთ მათთვის პირადად მნიშვნელოვანი მიზნების შესახებ. ამ საკითხის განხილვა ორ მიზანს ემსახურებოდა. ერთი, რომ მოგვეხდინა ეთნიკურად ქართველი რესპონდენტებისათვის ინდივიდუალურად ნიშნეული დისკურსებისა და მარკერების იდენტიფიკაცია. რამაც საშუალება მოგვცა რესპონდენტთა შინაგანი სამყაროს შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი მიგვეღო. და, მეორე, უფრო კონკრეტული: მაინტერესებდა მენახა, თუ რამდენად არის დაკავშირებული ინდივიდუალური მიზნები კოლექტიურ ამოცანებთან ან ჯგუფის კეთილდღეობასთან. თუ რამდენად და რა ფორმით იქნებოდა წარმოჩენილი ეთნიკური იდენტობის საკითხი ინდივიდუალური ამოცანების განხილვის ჭრილში. ამან საშუალება მოგვცა გაგვეგო ეთნიკური იდენტობის მნიშვნელოვნება.

ასევე, პერსონალურად მნიშვნელოვანი ამოცანების კვლევა საშუალებას იძლევა უშუალოდ ეთნიკური იდენტობისა და სელფის შემადგენელი სხვა ელემენტების შესახებ სხვა კითხვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ირიბი ფორმით ვერიფიცირების ან ეჭვქვეშ დაყენებისა.

თვითაქტუალიზაცია

რესპონდენტთა უმრავლესობისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად პიროვნული თვითაქტუალიზაცია წარმოადგენს. მათ სურთ, რომ საინტერესო ცხოვრებისა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება მიეცეთ.

"ადამიანი, რომელიც საკუთარი თავის შესწავლით არის გატაცებული. თავისუფალ დროს რას აკეთებო რომ მკითხო, მაგაზეც იგივეს გიპასუხებდი".

"ვცდილობ გამოვიყენო ცხოვრებაში ყველა შესაძლებლობა რაც კი მეძლევა მაქსიმალურად. ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი... მერე ტემპში გავლილი ცხოვრება მერე უნდა გავიაზრო, ვიდრე ჯერ ვიფილოსოფოსო და შემდეგ..."

"გავიგო ვინ ვარ მე. სხვა სახელი, განვითარება, გონებრივი და სულიერი. ეს საბოლოო ჯამში მიდის იქამდე რომ გაიგო ვინა ხარ..."

მათი ეს სურვილი სრულად ინდივიდუალისტურია. ის არანაირად არ არის დაკავშირებული ჯგუფურ წარმატებასთან. რესპონდენტთა ნახევარმა აღნიშნა, რომ მათი უმთავრესი მიზანი ცხოვრებისაგან მაქსიმალური სიამოვნების მიღება და ბედნიერებაა.

"ბედნიერი მინდა ვიყო".

"ერთადერთი, კარგად იგრძნო თავი. მინდა, რომ ნეგატიური ფიქრები მოვიშორო. ნებისმიერ სიტუაციაში შეგიძლია იყო ბედნიერი თუ ფიზიკურ ტკივილს არ განიცდი ან შენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება".

"ბავშვობიდანაც ეგზისტენციალისტი ვიყავი აშკარად... ვიდრე პრაგმატული... ბოდიში შეჯამება გაგაწყვეტინე... თავს რაღაც იდეალების მსახურად წარმოვიდგენ..."

"შეიძლება, კი. ერთ ერთი პონტი ის არის, რომ ადამიანს მაგრა სჭირდება სოციალიზება. ემოციური ტიპია და სჭირდება ურთიერთობები. თუ დაჯდები შენს თავს ჩაულრმავდები, მედიტაციებს გააკეთებ და ათს რაღაცას, შენში თუ იპოვი იმას რაც გარეთ არის შეიძლება სრულიად ბედნიერი იყო".

რესპონდენტები მიუთითებენ ცხოვრების არაპროგნოზირებადობაზეც. ისინი ამბობენ, რომ შეუძლებელია ზუსტად დაგეგმო მომავალი. ამ პირობებში, ისინი იმედოვნებენ, რომ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზაციას და ცხოვრების კომფორტულად გატარებას მოახერხებენ.

"რა უნდა იყოს... ცხოვრება ძალიან მრავალფეროვანია... удивительная вещь, შეიძლება რაღაც დაგეგმო და უკეთესი ან უარესი მოხდეს..."

"პირად ცხოვრებასაც ეხება და საქმიანიც არის... ჯერ სად ვიცხოვრებ ხომ? საქართველოში ვიცხოვრებ თუ წავალ სხვაგან... ყოველთვის არის რამოდენიმე არჩევანი... გამომდინარე იქიდან რას აირჩევ დღეს ის იქნება ხვალ... არჩევანს გავაკეთებ იქიდან გამომდინარე იქიდან, თუ რა სიტუაციაშიც აღმოვჩნდები... თუ მიმიღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში ერთია, თუ არა სხვა... თუ ეს არ გამოვიდა ვაპირებ უცხოეთში წასვლას".

"ხოლო თუ მოხერხდა, რომ შემდეგში ჩემი ოცნება ჩემს საკვლევ თემასთან დაკავშირებით განვახორციელე, ადამიანებს შევუცვალე დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ და დავამყარე მშვიდობა, მაშინ 100 წლის შემდეგ სრულიად ბედნიერი ვიქნები... თუმცა, ეს ახლა გადავადებულია..."

"ყველაზე მეტად მეშინია ბანალური ცხოვრების. ხშირად მაწუხებს კითხვა რისთვის ვცხოვრობ. რატომ მინდა, რომ დღეს ვიყიდო კარგი ტანსაცმელი. ხანდახან მეშინია ღრმად არ შევტოპო ამ ფიქრებში და არ გავაფრინო".

თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილების არსებობას ამყარებს უშუალოდ პროფესიული წარმატების მიღწევის სურვილი. რესპონდენტთა სამი-მეოთხედი ამბობს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია საკუთარი პროფესიული უნარების განვითარება და რეალიზაცია. პროფესიული წარმატება უშუალოდ არის დაკავშირებული საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციასთან. პროფესიული წარმატება სამყაროს განვითარებაში საკუთრი წვლილის შეტანის ერთ-ერთი საშუალებაცაა.

სოციაბილური აქტივობების განხორციელება და ჯგუფზე ორიენტაცია

შვიდი რესპონდენტისთვის საზოგადოების კეთილდღეობაში წვლილის შეტანა პიროვნულად მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს.

"ერთი სურვილი რაც უცვლელია არის ის რომ ადამიანებს შორის მშვიდობის არსებობის მჯეროდა ყოველთვის... მიმაჩნია რომ შეიძლება შეიცვალოს ნეგატიური დამოკიდებულებები, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთის მიმართ აქვთ... შესაძლებელია სამყაროში იყოს მშვიდობა. მე თუ შევძლებ, რომ ერთი პატარა რგოლი მაინც ვიყო, ვინც ამას გააკეთებს ძალიან გამიხარდება... ადამიანების სამყაროს მიდგომა რომ შეიცვალოს..."

„დაეხმარო სხვებს, ემსახურო ინდივიდიდან დაწყებული კაცობრიობით დამთავრებული რა საშუალებაც არის".

ასევე, ისინი აღნიშნავენ, რომ საზოგადოების აზრი გავლენას ახდენს მათ ქცევებზე. ისინი ისე იქცევიან, რომ მოწონება დაიმსახურონ. მონაცემები გვიჩვენებს, რომ ეთნიკურად ქართული იდენტობის მქონე ადამიანებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის მოსაზრება. რესპონდენტები საკუთარ ბედნიერებას უშუალოდ მათი პირველადი ჯგუფის მდგომარეობასა და კეთილდღეობასთან აკავშირებენ. პირადი ბედნიერების მიღწევა უშუალოდ არის დაკავშირებული პირველადი ჯგუფის შემადგენელი წევრების მდგომარეობასა და მათგან მიღებულ შეფასებებზე.

„ხო რა, ეგ არის მიზანი, რომ ვიღაცას ცხოვრებაშიც და ცხოვრების მერეც გავახსენდე კარგად... მე მგონი ეს არის რა... სხვა არაფერი არ არის... მიღწევაში ყოველთვის იმას ვგულისხმობ ვის როგორ გავახსენდები და არა იმას, თუ რამდენი ფული მექნება ჯიბეში..."

"ჩემი, მშობლები, ჩემი ოჯახი ჩემით ამაყობდნენ. არ მინდა, რომ გადავდგა ისეთი ნაბიჯი, რაც მათ გულს ატკენს. ჩემი საქციელებით მინდა, რომ ისინი გავაბედნიერო". "ჩემთვის

ძალიან მნიშვნელოვანი არის, რომ ჩემი ყველა ახლობელი იყოს ძალიან, ძალიან ბედნიერი. შეიძლება ბანალური სიტყვებია, მაგრამ პირველ რიგში ეს მინდა".

სასიყვარულო პარტნიორის ყოლა - დაოჯახება

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ მათთვის სასიყვარულო პარტნიორის ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ამოცანის გადაჭრის შესრულება სრულფასოვანი კომფორტული ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობად განიხილება.

ეს საკითხი ემოციურად კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის, რადგან მეუღლის როლის შესრულება ქალის ერთ-ერთ უმთავრეს კულტურულ ფუნქციად მიიჩნევა. ამასთან, ქალის გათხოვებასთან უფრო მეტად არის დაკავშირებული შფოთვა, რადგან ქართულ კულტურულ სივრცეში არსებობს მოლოდინი ქალის უფრო ადრეულ ასაკში დაქორწინების შესახებ. ქალის დაოჯახებას უფრო დიდი მნიშვნელობა მინიჭება განსაზღვრულია კულტურული თავისებურებით. კერძოდ, ქართულ კულტურაში ქალის როლი ტრადიციულად შეზღუდული იყო ოჯახური საქმიანობით. ქალი თვითრეალიზებას უმთავრესად საკუთარ ოჯახში ახდენს. საჯარო სივრცეში ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენლები აქტიურობენ (სურმანიძე, 1998).

"მე ვფიქრობ, რომ მოხუცი რომ იქნები და მოიხედავ და ამ ამბავში ყველაზე მნიშვნელოვანი არის პარტნიორის პოვნა... მე რომ მოვიხედავ კარგ ხასიათზე ვიქნები, რომ კარგ ადამიანთან გავატარე ცხოვრება..."

"გოგო თუ არ არის გათხოვილი რასაც არ უნდა მიაღწიოს ითვლება რომ არ არის წარმატებული. ეს არის ძალიან ისეთი საქართველოში....პროფესიულში რას იზამს რას არა არ არის იმდენად მნიშვნელოვანი... მუდმივი კითხვაა, თუ თხოვდები რატომ არ თხოვდები და რაღაცა..."

"პატრიოტი ქართველი ქმარი უნდა მყავდეს. შეიძლება ვაბშე არ გავთხოვდე, რა ვიცი... желательно[3] რომ გავთხოვდე, მაგრამ... ყოველ შემთხვევაში არ მინდა დავაარსო რაღაც…"

"თვითონ ქართველი ქალიც თავს ბედნიერად თვლის მაშინ როდესაც შექმნის ოჯახს... ჰყავს შვილი და თუ მუშაობს რა თქმა უდნა კარგია... მაგრამ არის თუ არა ბედნიერი ეს უკვე სხვა საკითხია..."

გახდე მშობელი

რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარი აღნიშნავს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია შვილის ყოლა. მშობლის ფუნქციის შესრულება ერთ-ერთი დომინანტური მოთხოვნილებაა. თუმცა, აქ კვლავ განსხვავებული სურათი გვაქვს სხვადასხვა სქესის მქონე რესპონდენტების შემთხვევაში.

მშობლის როლის შესრულება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მდედრობითი სქესის რესპონდენტებისთვის. ამ ფაქტს ექსპლიციტურად ადასტურებენ ორივე სქესის წარმომადგენელი რესპონდენტები. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ზემოთ უკვე აღინიშნა - ქალისათვის ოჯახის დიასახლისისა და დედის როლი თვითრეალიზაციის ძირითადი საშუალებაა. ქართველი ქალებისათვის თვითრეალიზაციის სხვა გზები ნაკლებად არის წახალისებული.

"გოგო ნაკლულია თუ არ ჰყავს შვილი..."

დედის ფუნქცია ეთნიკური ქართველებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, თუ არა უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს. დედა წარმოადგენს ოჯახის ინსტიტუტისა და ზოგადად, ქართული იდენტობის ერთ-ერთ ყველაზე სახიერ სიმბოლოს.

"ჩემი ქალის როლი არის დედა, პირველ რიგში დედა... ზოგადად, ქალი არის დედა. ქალის უპირველესი მიზანი არის ის რომ ის უნდა გახდეს დედა ადრე თუ გვიან... უმთავრესი დანიშნულება. რომ იყოს თვითრეალიზებული..."

[3] "სასურველია "- ავტორის თარგმანი

“ყველაზე მთავარი ქალს რაც მოეთხოვება, აუცილებლად უნდა გახდეს დედა. ოღონდ არ იგულისხმებს არატრადიციულ მეთოდებს. ესაა მთავარი დანიშნულება. შვილი თუ გააჩინე ქალი ხარ, თუ არა ისე ნახევარფაბრიკატი . . .”

საინტერესოა, რომ ეს მოვლენა ასახულია ქართულ ენაში. ქართულ ენაში არსებობს უამრავი სიტყვა-კომპოზიტი, რომელიც დედის ფუნდამენტურ მნიშვნელობას მიუთითებს. მაგალითად, დედამიწა, დედაბოძი, დედაქალაქი, დედაენა და ა. შ.

საინტერესოა, რომ დედაქალაქში, ერთ-ერთ ყველაზე ისტორიულ და საკრალურ ადგილას, მთაწმინდაზე ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული და მნიშვნელოვანი ქანდაკება ქართლის დედას წარმოადგენს. ქართლის დედის ქანდაკება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ქანდაკებაა საქართველოში და ის მთელს დედაქალაქს გადაჰყურებს.

ცალსახაა, რომ დედის როლი ეთნიკური ქართული იდენტობის ფუნდამენტური ელემენტია. დედის ფუნქციისა და მნიშვნელობის განხილვას შემდგომში ოჯახის ინსტიტუტის კონტექსტში განვაგრძობთ.

ღირებულებები - ღირსების წესების დაცვა და ტოლერანტობა

ხუთი რესპონდენტი (2 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, სამი მამრობითი სქესის) საუბრობს უნივერსალური ჰუმანისტური ღირებულებების დაცვის აუცილებლობაზე. ისინი აცხადებენ, რომ ამის გარეშე ისინი ვერ იგრძნობენ თავს კომფორტულად, თუნდაც დიდ წარმატებებს მიაღწიონ ცხოვრებაში. უნივერსალისტურ ღირებულებებში სამართლიანობისა და თანასწორობის დაცვა იგულისხმება.

რესპონდენტები განცალკევებით გამოყოფენ სუსტის არდაჩაგვრის მნიშვნელობას. ამ კონტექსტში განცალკევებით გამოიყოფა ტოლერანტობა, როგორც ღირებულება და განსხვავებული ჯგუფების მიმღებლობაზე ორიენტირებული ქცევითი სტრატეგია. ინტერვიუებისას ითქვა, რომ ტოლერანტული ქცევის მანერა ეთნიკურ ქართველთა კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო მთელი ისტორიის მანძილზე. საინტერესოა, რომ

სამი რესპონდენტი უშუალოდ აკავშირებს შემწყნარებლობით ქცევით სტრატეგიას ქართულ ეთნიკურ იდენტობასთან.

"ქართველი არ დაჩაგრავს სხვას".

„თუნდაც ის რომ დავით აღმაშენებელმა ქრისტიანულ ქვეყანაში მუსულმანებს პრეფერენციები დაუწესა დიდ ტოლერანტობაზე მიუთითებს. ჩვენ გვქონდა ეს ტრადიცია".

თუმცა, იგივე რესპონდენტები (სინანულით) აღნიშნავენ, რომ თანამედროვეობაში ეს ტენდენცია დაცემის გზაზეა და იზრდება 'უცხოთა' მიმართ შიშნარევი დამოკიდებულება. აღნიშნული ტენდენციის საფუძველი შესაძლოა იყოს ეთნიკური იდენტობის დაკარგვის გამო არსებული შფოთვა. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ქართული ეთნოსის წარმომადგენლები (ისევე, როგორც მთელი დანარჩენი სამყარო) ძლიერ საკომუნიკაციო შემოტევებს ექვემდებარებიან. ვრცელდება იდეები განსხვავებული, ქართველთათვის არატრადიციული ღირებულებების საქართველოში შემოჭრის შესახებ და ა. შ.

ეთნიკური იდენტობის არსებობის მოტივაცია - რაში სჭირდება ის ადამიანს?

რესპონდენტთა მიერ გამოთქმული შეხედულებებიდან იკვეთება ის ორი ძირითადი დანიშნულება, რასაც ეთნიკური იდენტობის არსებობა ემსახურება. ეთნიკური იდენტობა ფსიქიკის ერთდროულად ორი, კოგნიტური და ემოციური ფენომენების ფუნქციონირებას უწყობს ხელს.

სოციალური საზღვრები - კოგნიტური ასპექტი

ეთნიკური იდენტობა რესპონდენტებს ეხმარება სოციალური სამყაროს აღქმის მოწესრიგებასა და კატეგორიზებაში. ის ადამიანთა მაკლასიფიცირებელი ინსტრუმენტია. ეთნიკური იდენტობის ქონა ადამიანს საკუთარი თავისა და (საკუთარი) ჯგუფის გარემომცველი სოციალური ველისაგან გამოყოფაში ეხმარება.

“როცა გეკითხებიან, ხალხი ცდილობს ცხოვრების გამარტივებას. ცდილობენ კლასიფიცირებას. მე ვუმარტივებ ადამიანებს ცხოვრებას და ვეუბნები რომ ქართველი ვარ. იურიდიულად ეს ეროვნება მაქვს”.

“ვკითხავ საიდან ხარო, აუცილებელი არ არის რაიმე ჩაიდინოს. მე ყოველთვის გაცნობისას ვეკითხები ხოლმე საიდან ხარო...”

ეთნიკური იდენტობა ადამიანებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი ჯგუფის წევრები არიან ისინი თავად, ვინ არის ‘შინაური“ და ვინ არის ‘უცხო’. სამყაროს მოწესრიგებული აღქმა ხელს უწყობს ემოციური წონასწორობის შენარჩუნებას. გაურკვევლობა იწვევს დაძაბულობას, კოგნიტური (შემეცნებითი პროცესების) სინათლე კი მას აქრობს.

ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საერთო ეთნიკური იდენტობა მის მატარებელ ინდივიდებს უქმნის საერთო შეხების წერტილს. ის ერთგვარ სტიმულსა და სასიგნალო ნიშანს წარმოადგენს ერთიანი საკომუნიკაციო და სამოქმედო სივრცის შესაქმნელად.

“როდესაც იცი რომ ქართველები არიან რაღაც საერთოა, უფრო მარტივდება ლაპარაკი. ხვდები რომ ერთი სასტარტო წერტილი გაქვთ რაღაცა“.

“ქართველობა აკავშირებს ადამიანებს“.

გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ ეთნიკური იდენტობა ადამიანს ‘უცხოებისათვის’ თავის წარდგენაში ეხმარება. ის აადვილებს საკუთარი თავის რეპრეზენტაციას. ეთნიკური იდენტობა ადამიანის ვინაობას გასაგებს ხდის სხვებისათვის. <u>საინტერესოა, რომ რესპონდენტებს საკუთარი ეთნიკური იდენტობის აქტივიზირება უხდებათ მხოლოდ ‘უცხოებთან’ შეხვედრის პროცესში.</u> ეთნიკური იდენტობა არ იწვევს წინა პანზე თუ ადამიანები მშობლიურ გარემოში არიან. აქ იდენტიფიკაცია არაცნობიერად, ჩვევის დონეზე ხდება. მაგრამ ვითარება იცვლება ‘უცხოებთან’ შეხვედრისას. იქ სადაც იქმნება

გაურკვევლობა, ცნობიერების ნაკადში მაშინვე ირთვება ეთნიკური იდენტობის კომპონენტი და ადამიანს საკუთარი თავის რეპრეზენტაციაში ეხმარება. მოვლენათა ამგვარი განვითარება კომუნიკაციის კომფორტულ მიმდინარეობასა და ემოციური წონასწორობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

"ეთნიკურ კუთვნილებას განსაზღვრავს ცნობიერება, თვითცნობიერება. როდესაც გეკითხებიან ვინ ხარ შენ, იგებ რომ ხარ..."

"ამ საკითხზე არ ვფიქრობ საერთოდ. თუ უცხოელს შევხვდი და უნდა გავაგებინო ვინ ვარ მაშინ ვეუბნები საიდან ვარ. ისე ხომ ისედაც ცხადია? ისე არც მახსენდება".

მიღებული მონაცემები სრულად შეესაბამება ფრედრიკ ბარტის სოციალური საზღვრების თეორიას (Barth, 1969). ფრედრიკ ბარტი ხომ სწორედ ეთნიკური იდენტობის მაკლასიფიცირებელ მნიშვნელობაზე მიუთითებს. მონაცემები გვიჩვენებს, რომ ეთნიკური იდენტობა ავლებს სოციალურ საზღვრებს ქართული ეთნოსის შემადგენელ ადამიანებსა და სხვა ჯგუფების წარმომადგენლებს შორის.

სოციალური საზღვრები არ უდრის ფიზიკურს

საინტერესოა, რომ თანამედროვე სამყაროში სოციალური საზღვრები არ ემთხვევა ფიზიკურ საზღვრებს. ემიგრაციის შედეგად ხდება განსხვავებული კოლექტიური იდენტობის მქონე ხალხის თანაცხოვრება. ჩემი კვლევის ფარგლებში გამოვიკითხე არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები, არამედ ემიგრანტებიც. რადიკალურად განსხვავებულ გარემოში ცხოვრების მიუხედავად ისინი მთლიანობაში მსგავს შეხედულებებს გამოხატავენ. ეს მოვლენა ეთნიკური იდენტობის ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებების სტაბილურობაზე მიუთითებს.

ეთნიკური იდენტობა არ ქრება განსხვავებულ სოციალურ გარემოში აღმოჩენის შემდგომ. პირიქით, ის შესაძლოა ახალ გარემოში ადაპტაციის გზაზე შემაკავებელი ფაქტორიც კი

აღმოჩნდეს. წინააღმდეგობას საკუთარი 'ძველი' ეთნიკური იდენტობის მიმართ სენტიმენტების ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი არსებობა შეიძლება განაპირობებდეს. სენტიმენტები ლოიალობას (ერთგულებას) უწყობს ხელს. ამის კარგ მაგალითს, გერმანიაში მცხოვრები თურქი, ხოლო საფრანგეთში ალჟირელი ემიგრანტების ადგილობრივ საზოგადოებებში ინტეგრაციის სირთულე წარმოადგენს.

<u>კვლავ შეგვიძლია გავიხსენოთ შერიფის ექსპერიმენტი, რომელიც გვიჩვენებს ჯგუფური ნორმების, ჯგუფური კუთვნილების ფორმირებისა და შემდეგ მისდამი ლოიალობის გამოვლენის შესახებ კანონზომიერებებს. ლაბორატორიის გარეთ, რეალურ საცხოვრებელ გარემოშიც ვხედავთ საკუთარი პირველადი ჯგუფებისადმი ლოიალობას მინიმალურ დონეზე მაინც. ეს მონაცემები ადასტურებს ჩემს მიერ ზემოთ შემოთავაზებულ იდეას სოციალურ ფსიქოლოგიური კლასიკური სოციალურ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტული მონაცემების ანთროპოლოგიურ კვლევებში ინტეგრაციის მიზანშეწონილობის შესახებ.</u>

ემიგრანტი რესპონდენტები ემოციურ დონეზე ინარჩუნებენ ქართულ ეთნიკურ იდენტობას. ეს ხდება მიუხედავად იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხის მიმართ რაციონალური თვალსაზრისით. სამი ემიგრანტი რესპონდენტი მნიშვნელოვან წინააღმდეგობას გამოხატავს მათი აზრით ეთნიკური ქართველებისათვის დამახასიათებელი თვისებებისა და ტრადიციების მიმართ, თუმცა, ამის მიუხედავად ისინი თვალსაჩინოდ ინარჩუნებენ ქართულ ეთნიკურ იდენტობას.

„ხო ვლანძღავ არა ხანდახან... მარა ქართველი ვარ მაინც".

„აი, რომ მეკითხები... განვიცდი მაინც. მაწუხებს საქართველოს ამბები. იქით ვიყურები სულ".

„ბევრი რამე შეიძლება ვთქვა, მარა ხომ ქართველი ვარ მაინც არა..."

ვაცნობიერებ, რომ მუზაფერ შერიფი ეთნიკურ იდენტობას არ იკვლევდა (Ross & Nisbett, 2011) და ერთი შეხედვით საქმე განსხვავებულ კონცეპტუალურ ელემენტებთან გვაქვს,

მაგრამ მეორეს მხრივ ნათლად ვხედავთ ფსიქიკური ფენომენების ფუნქციონირების მსგავს კანონზომიერებებს ლაბორატორიასა და რეალურ საცხოვრებელ გარემოში. ვფიქრობ, რომ ჩემი ახლად განხორციელებული კვლევა სამოციოდე წლის წინ განხორციელებული კლასიკური ექსპერიმენტის მონაცემებს განამტკიცებს და პირიქით.

ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული ემოციური ასპექტის შესახებ

ზემოთ განხილული თეორიული მსჯელობის თანახმად, ეთნიკური იდენტობა ძლიერ ემოციურ მიჯაჭვულობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (Connor, 1993). თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ რესპონდენტების საუბარი ამ მოლოდინს მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება.

რესპონდენტთა უმრავლესობა შედარებით უფრო პოზიტიურ ემოციურ უკუკავშირს გამოხატავს ქართული ეთნიკური იდენტობის მიმართ. ხოლო რვა მათგანი განსაკუთრებით ამაყობს ქართული იდენტობით.

“აი ქართველი ხარ ნარჩუნდება (სიამაყის მომენტი კუთვნილების გამო იგულისხმება) “.

“ამას აღვიქვამ ჩემს წარსულად. სიამაყის მომენტიც არის, სირცხვილის მომენტიც არის. ეს არის ჩემი”.

“ძალიან ვბრაზდები როცა მეუბნებიან რუსები ხართო”.

“ნაციონალურად ვარ ქართველი თან ძალიან მომწონს და არის სიტუაციები, როდესაც ამას ხაზს ვუსვამ.. მაგალითად, როდესაც ვინმე უცხოელს ველაპარაკები... თუმცა, არის შემთხვევები, როცა არ მჭირდება და არ ვამბობ... მე ქართველი ვარ და რაღაც... სიტუაციიდან გამომდინარეობს...”

“თუ რამეს ვაკეთებ აქ ვაკეთებ და თუ მინდა რამე გავაუმჯობესო, მინდა ამ ქვეყანაში და არა სხვაში”.

“ძალიან მიყვარს ქვეყანა, კულტურა. ძალიან დიდი კულტურის ქვეყანა ვართ”.

თუმცა, მეორეს მხრივ, მონაცემები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი (8) საკმაოდ გულგრილად არის განწყობილი საკუთარი ეთნიკური იდენტობისადმი. ისინი ამბობენ, რომ ეს იდენტობა მათ მიიღეს თავისთავად (ეთნიკური იდენტობის შეძენის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ უფრო დაწვრილებით შემდგომ თავებში ვისაუბრებთ) და იღებენ მას როგორც თავისთავად ფაქტს.

რესპონდენტთა უმრავლესობის შეხედულებებს შორის ეთნიკური კუთვნილების გამო ჯგუფისადმი მიჯაჭვულობის ან განსაკუთრებული ვალდებულებების შეგრძნება არ შეინიშნება. თითქმის არც ერთ რესპონდენტს არ უხსენებია არაფერი საკუთარი ეთნოსის ინტერესების დასაცავად თავგანწირვისათვის ან რაიმე მსგავსი აქტივობისათვის მზაობის შესახებ, როგორც ამას უოლკერ კონორი მიუთითებს/ივარაუდებდა წყარო (Connor, 1993). ამ მხრივ განსხვავებული შეხედულება მხოლოდ ორმა რესპონდენტმა გამოხატა.

მთლიანობაში, ვხედავთ, რომ უოლკერ კონორის ვარაუდი გამორჩეული ემოციური მიჯაჭვულობის შესახებ ეთნიკური ქართველი რესპონდენტების შემთხვევაში თანამედროვე ნაკლებად ადეკვატურია. თუმცა, ცხადია, რომ სახეზე გვაქვს მეტ-ნაკლებად ძლიერი ემოციური უკუკავშირი.

წარმოდგენები წარსულის შესახებ

საინტერესო დისკურსი გამოიკვეთა 'ისტორიული ქართველების' შესახებ მსჯელობისას. რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარი მიუთითებს, რომ წარსულში ქართველები უფრო პატრიოტები და მამაცები იყვნენ. ასევე, მათ აქვთ განცდა, რომ ქართული ეთნოსის შემადგენელი საზოგადოება წარსულში უფრო სოლიდარული იყო. არსებობს რწმენა, რომ წარსულში ეთნოსისადმი ისეთი ძლიერი მიჯაჭვულობა არსებობდა, რომელიც დღეს არ შეინიშნება.

"თავისი ტრადიციების მიმართ უფრო მეტი პატივისცემა ჰქონდათ.... ეხლა ეს ყველაფერი უფრო შენელებულია".

„ყოფით ცხოვრებაზე... მე მაგალითად, აი... პირველად, ამ კითხვის შემდეგ გამიჩნდა აზრი, რომ იყვნენ უფრო მეტად მორწმუნეები“.

ეს უკანასკნელი ტენდენცია მიუთითებს ამჟამად არსებულ ემოციურ დეპრივაციასა და სოლიდარობის დეფიციტზე. დღეს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური სისტემის სოციალისტური ეკონომიკის კაპიტალისტურისკენ ცვლილება იწვევს ინდივიდუალიზმის განვითარებასთან დაკავშირებული დაუცველობის შეგრძნებას. ანალოგია შეიძლება გავავლოთ ევროპულ რეფორმაციასთან (Fromm, 1994) (Weber, 2005). ვფიქრობ, წარსულსა და რეალობას შორის არსებული ეს მცირე განსვლა წარმოსახული ისტორიული მითების შესახებ ჰობსბაუმის მიერ შემოთავაზებულ თეორიას განამტკიცებს (Hobsbawm & Ranger, 1983).

თუმცა, რაციონალური მსჯელობისას რესპონდენტები თავადვე აღნიშნავენ, რომ მათ არ აქვთ მნიშვნელოვანი მტკიცებულებები წარსულის შესახებ უფრო პოზიტიური რწმენის განსამტკიცებლად. ეს არ ნიშნავს, რომ მათი რწმენა მცდარია - ამ ნაშრომისთვის და არც ჰობსბაუმის თეორიისთვის ეს არ არის მთავარი. <u>ჩვენი მსჯელობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებების გარეშე დისკურსის ქმედითუნარიანი არსებობის შესაძლებლობას.</u>

რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი კი მიიჩნევს, რომ წარსულში მცხოვრები ქართველები სულაც არ იყვნენ თანამედროვეებზე უკეთესები. ისინი მიიჩნევენ, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია წინაპრების ხასიათების შესახებ სასაუბროდ. ერთ-ერთი რესპონდენტი საერთოდ ნეგატიურად ახასიათებს წინაპრებს და მაგალითად მოჰყავს დიდგორის ბრძოლასთან დაკავშირებული ამბავი, სადაც მეფე დავით აღმაშენებელმა უკან წასასვლელი გზა ჩაუხერგა მეომრებს, რადგან ეშინოდა რომ არ გაქცეულიყვნენ. ეს რესპონდენტი მიუთითებს, რომ შუა საუკუნეებში მცხოვრები ქართველებიც არ იყვნენ უშიშრები და იდეალური პატრიოტები.

მთლიანობაში, მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისათვის ხსენებულ წარმოდგენებს წარსულის შესახებ ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

პოლიტიკური ფაქტორი

აღნიშნული კვლევის პროცესში არ გამოვლენილა არც ერთი ისეთი დისკურსი, რომელიც პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობაზე მიუთითებდა.

გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხული პირები წარმოადგენდნენ რიგით მოქალაქეებს. არც ერთი მათგანი არ იყო კოლექტიური იდენტობების პროფესიონალი მკვლევარი, სოციალური მეცნიერი ან პროფესიონალი პოლიტიკოსი, რადგან ამ შემთხვევაში მათ პროფესიულ კუთვნილებას შეეძლო გავლენა მოეხდინა მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებზე.

შევნიშნავ, რომ გამოკითხულ პირთაგან სამი იურისტი ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი გახლდათ, თუმცა, პოლიტიკური ფაქტორი არც მათ წამოუწევიათ წინ.

ეთნიკური იდენტობის განმაპირობებელი ფაქტორები

თითქმის ყველა გამოკითხული რესპონდენტის შეხედულებების მიხედვით იკვეთება აზრი ეთნიკური იდენტობის ფორმირებისათვის პერსონალური ძიებებისა და კულტურული ელემენტების დიდი მნიშვნელობის შესახებ.

უცხო ადამიანის ეთნიკური იდენტობის თაობაზე შთაბეჭდილების ჩამოყალიბება მის მიერ პირდაპირ თუ ირიბად გამოხატულ მსოფლმხედველობასა და მოქმედებებზეა დამოკიდებული. რესპონდენტები საუბრობენ ცალკეული ღირებულებების გაზიარების აუცილებლობის შესახებაც. ისინი ფიქრობენ, რომ საერთო ეთნიკური იდენტობის მატარებელი ადამიანები დაახლოებით მსგავსი მოქმედებებითა და შეხედულებებით გამოირჩევიან. რესპონდენტებს <u>საერთო კოლექტიური იდენტობის განცდა მხოლოდ იმ</u>

ადამიანების მიმართ უყალიბდებათ, ვინც მათი მოლოდინების შესაბამისად მოქმედებს. ნიშნეული მოლოდინების ასრულების შემთხვევაში რესპონდენტებს შორის უსიტყვოდ იქმნება საერთო იდენტობისა და 'შინაურულობის' განცდა. მოვლენათა ამგვარი განვითარება ჯგუფის შემადგენელ წევრებს შორის შედარებით უფრო მეტი ემოციური მიმღებლობისა და შეკავშირებულობის განცდას აჩენს. სწორედ აღნიშნული პროცესი ქმნის კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბების საფუძველს.

მნიშვნელოვანია აღვნიშნო, რომ აქ ჯგუფის წევრთა მოქმედებათა ან ღირებულებათა აბსოლუტური მსგავსება არ იგულისხმება. ჩვენ არ ვსაუბრობთ ტიპიური ნაციონალური ხასიათების შესახებ. აქ საუბარია საერთო ეთნიკური იდენტობის მქონე ადამიანების მიერ კულტურულად სპეციფიურ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით მოსალოდნელი რეაქციის გამოვლენაზე. ეთნიკური (კოლექტიური) იდენტობის რეპრეზენტაცია ხდება კულტურულად სპეციფიკურ სიტუაციებში. ასეთი ნიშნეული სიტუაციები და მასთან დაკავშირებული მოქმედებები მხოლოდ რამოდენიმე შეიძლება იყოს (ანუ, არა ბევრი და ყოვლისმომცველი). თორემ ისე, ცხადია, რომ ჯგუფს შიგნით დიდი ინდივიდუალური მრავალფეროვნება არსებობს. ჩვენი კვლევის უმთავრეს ამოცანასაც სწორედ ამგვარი ნიშნეული მარკერებისა თუ დისკურსების იდენტიფიკაცია წარმოადგენდა.

გამოკითხული პირებისთვის, საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით მსგავსი მოლოდინების ქონა პრაქტიკულად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. მათ უჭირთ ისეთი ადამიანის ეთნიკურ ქართველად აღქმა, რომელიც მათ მოლოდინების შესაბამისად არ მოქმედებს. და, ეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სჯერათ, რომ ამ ადამიანის წინაპრები ქართველები არიან. ეთნიკური იდენტობის განსაზღვრა აქ არ სრულდება. ადამიანის ეთნიკურ ქართველად აღსაქმელად არც მხოლოდ ქცევითი მოლოდინების ასრულება არ არის საკმარისი.

რესპონდენტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (8) აღნიშნავს, რომ ეთნიკური იდენტობის განსაზღვრისას წინაპრების ეთნიკურ კუთვნილებასაც აქვს გარკვეული

მნიშვნელობა (არა გადამწყვეტი). ამ საკითხზე ჩაღრმავებისას ირკვევა, რომ სინამდვილეში მათთვის რთულია წინაპრების რეალურ ეთნიკურ კუთვნილებასა და 'სისხლის სისუფთავეზე' საუბარი. ისინი თავადვე აღნიშნავენ, რომ ქართველებს მუდმივად უწევდათ სხვა ხალხებთან შერევა. სხვა ეთნოსებთან აღრევა ხშირად ნების საწინააღმდეგოდაც ხდებოდა, როდესაც საქართველოს იპყრობდნენ უცხო სახელმწიფოთა ჯარები. ანუ, აქ საუბარია საერთო წარსულის შესახებ ფიქტიური რწმენის არსებობაზე. ამგვარი განცდის არსებობას უპირველეს ყოვლისა ხელს უწყობს <u>ერთ ენაზე საუბრის ფაქტი</u> და ასევე, <u>მსგავსი ფიზიკური გარეგნობის ქონა</u>.

"ქართველი ვარ იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ საქართველოში, ქართულ ოჯახში, ქართული წარსული, ქართველი მშობლებისაგან დავიბადე".

"უნდა დაიბადოს ქართველებისგან და იმ კულტურაში გაიზარდოს".

"წინაპარი უნდა ჰყავდეს ქართველი. მშობელი უნდა ჰყავდეს ქართველი".

"არსებობს ისტორიული მეხსიერება, ამას აქვს თავისი გავლენა. არაბული წარმოშობის ფრანგი ძალიან განსხვავდება ადგილობრივი წარმოშობის ფრანგისაგან. ასევე იქნება ქართველიც".

„რომ შევხედავ ვხვდები რა ქართველია თუ არა".

„ქართულად რომ ლაპარაკობს ესე იგი უკვე... ქართველია რა.."

აქვე შეგახსენებთ, რომ იგივე რესპონდენტების აზრით, თუკი ადამიანი ეთნიკური ქართველებისათვის დამახასიათებელ საკვანძო ღირებულებებსა და ნორმებს არ იზიარებს, მაშინ რთულია მისი ქართველად აღქმა მიუხედავად მისი წინაპრების ვინაობისა. ანუ, რესპონდენტები ადამიანს ეთნიკურ ქართველად აღიქვამენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მოქმედებისას მოლოდინებს ამართლებს და ამავდროულად არსებობს რწმენა, რომ მისი

წინაპრები ეთნიკური ქართველები იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ადამიანის 'უცხოდ' აღქმა.

"მე განვსაზღვრავ ეთნიკური კუთვნილებით, ანუ... დედა-მამა ვინ ჰყავს, ქართველია თუ არა... რუსეთშიც ბევრი ვიცი ვინც ქართულად სულ ვერ ლაპარაკობს, მაგრამ მშობლები ქართული ჰყავს და ქართულ ტრადიციებზე არიან აღზრდილი…"

"შეიძლება ადამიანი დაიბადოს და გაიზარდოს სხვაგან, მაგრამ მაგალითად ის არის რუსი. მენტალობა შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ.... საქართველოში ბევრი დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ მაინც რუსია, რადგან რუსია და რუსული გვარი აქვს, რუსული წარმოშობა. მაგრამ გონებრივად (განწყობებს გულისხმობს აქ. მანამდე მენტალობა ახსენა) ისე იყოს განვითარებული, როგორც ქართველი".

რეალურად, ადამიანის წარმოშობის შესახებ საკითხი ცნობიერებაში წინა პლანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იწევს თუკი კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებაში თვალშისაცემი განსხვავება/წინააღმდეგობა ჩნდება. ნაცნობ გარემოში ყოფნისას ეთნიკური იდენტობის საკითხი არააქტუალურია.

„თუ ძალიან გაუგებარია მაშინ შეიძლება ვკითხო საიდან ხარო".

"როცა უცხო ენაზე ლაპარაკობს და სხვანაირად იქცევა მაშინ უნდა გაარკვიო ვინ არის, თორემ ისე თავისთავად მიმდინარეობს ურთიერთობა".

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ პიროვნების ეთნიკური იდენტობის აღქმა და კატეგორიზება ხდება წამიერად. ეს პროცესი მნიშვნელოვანწილად არაცნობიერად მიმდინარეობს. სწრაფად იქმნება განცდა/შთაბეჭდილება იმის შესახებ, კონკრეტული პიროვნება ქართველია თუ არა. ამ შთაბეჭდილებას განაპირობებს

ინდივიდის ჰაბიტუსი და მის მიერ განხორციელებული კონკრეტული მოქმედებების საკვანძო კულტურულ მოლოდინებთან შესაბამისობა.

საინტერესოა კიდევ ერთხელ შევეხოთ ფიზიკური **გარეგნობის** საკითხს. ეჭვს გარეშეა, რომ ადამიანები მთლიანობაში მსგავსნი არიან და სამყაროში არ არსებობს იერარქიული რასობრივი გრადაცია. თუმცა, ამასთანავე ნათელია, რომ დედამიწაზე ცხოვრობენ განსხვავებული გარეგნული ნიშნების მატარებელი ადამიანები, თეთრკანიანები, შავკანიანები, ყვითელკანიანები, მეტისები, მულატები, ქერები, შავგვრემნები და ა. შ. როდესაც რესპონდენტები ხვდებიან ქართველების ფიზიკურად მსგავსი ეთნოსების წარმომადგენლებს, მაშინ ეთნიკური იდენტობის შეფასებისას გარეგნობის საკითხი საერთოდ არ დგება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მოქმედებებსა და გამოხატულ მსოფლმხედველობას ენიჭება. თუ ადამიანი ეთნიკური ქართველებისათვის საკვანძო მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაშინ ის ქართველად აღიქმება თუ არა, მაშინ არა - ვითარება ცალსახა და მარტივია.

თუმცა, ვითარება იცვლება თუკი ადამიანი ძალიან განსხვავებული ფიზიკური ნიშნებით ხასიათდება, მაგრამ ამავდროულად ავლენს ეთნიკური ქართული იდენტობის მატარებელი ადამიანისათვის დამახასიათებელ ქცევებს. ამ შემთხვევაში, მის მიმართ ამბივალენტური და წინააღმდეგობრივი განცდები ჩნდება. მიღებული მონაცემები პრინციპში ადასტურებს პიერ ვან დერ ბერგის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს ფიზიკური გარეგნობის მნიშვნელობის შესახებ, რომლის შესახებაც თეორიული განხილვისას ვრცლად ვისაუბრეთ (Berghe, Does Race Matter?, 1995). რესპონდენტებს ამ თემაზე საუბარი უჭირთ და არ აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია. ისინი ამ ტიპის ადამიანების რაღაც ახალი, გაურკვეველი ტიპის კატეგორიაში ათავსებენ. მაგალითად, ქართველი აფრიკელის, ქართველი იაპონელის და ა. შ. აქ უკვე ჩნდება ახალი იდენტობა, რომელიც არც ცალსახად ქართულია და არც სრულიად უცხოა. აღსანიშნავია, რომ

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში უკვე ძალიან გავრცელებულია შერეული იდენტობების ქონა.

“ჩემი ნათესავი გაჰყვა უცხოელს, ჰყავთ შავკანიანი შვილი. მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად. ჩემთვის ქართველია, მაგრამ სხვები მაინც უცხოელად თვლიან. ან უჭირთ რამის თქმა. ძალიან საყვარელია. გურული აქცენტი აქვს ამ ბავშვს“.

„ხალხს მაინც უჭირს უცხოს მიღება. თან გააჩნია ვინ. ევროპელი ადვილია. მარა აი, ჩინელი ქართულადაც რომ იქცეოდეს, მაინც არ ვიცი...“

საქართველო მეოცე საუკუნის უმეტეს პერიოდში საბჭოთა კავშირის მიერ იყო ოკუპირებული და იზოლირებული გარე სამყაროსაგან. რადიკალურად განსხვავებული გარეგნობის მქონე (აფრიკის და აზიის მაცხოვრებლები) ადამიანებთან აქტიური შეხება თანამედროვე ქართველებმა მხოლოდ 25-30 წლის წინ დაიწყეს. საქართველოს შიგნით მცირეა რადიკალურად განსხვავებული გარეგნობის მქონე შერეული იდენტობის მქონე ადამიანების არსებობის მაგალითები. მაგალითების სიმცირიდან გამომდინარე რესპონდენტებს მხოლოდ ჰიპოთეტურად შეეძლოთ აზრის გამოთქმა. შერეული იდენტობების ფუნქციონირების შესწავლა ამ კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა და ამიტომ, ამ მიმართულებით მსჯელობას აქ შევაჩერებ.

თუმცა, ვფიქრობ, მიღებული მონაცემებიდანაც კი ცხადია, რომ გარეგნული ფიზიკური ნიშნები ჰაბიტუსის შემადგენელი ნაწილია. ისინი სხვა ნიშნებთან ერთად კომბინაციაში გავლენას ახდენს კოლექტიური ეთნიკური იდენტობის აღქმის პროცესზე. გარეგნული ფიზიკური ნიშნების შესახებ ინფორმაცია სელფის განუყოფელი ნაწილია.

ადამიანებს აქვთ მოლოდინები, რომ ამა თუ იმ ფიზიკური ნიშნების მატარებელი პირები ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფთა კატეგორიას მიეკუთვნებიან. ქერა და ცისფერთვალება ჩრდილო ევროპული ტიპის გარეგნობის მქონე ადამიანის მიმართ ნაკლებად არსებობს მოლოდინი, რომ ის ეთნიკური იაპონელი იქნება. ადამიანი იმ ეთნოსის წარმომადგენლად აღიქმება, რომელსაც მისი მსგავსი გარეგნობის მქონე ადამიანები შეადგენენ. გარეგნული

ნიშანი მონაწილეობს პირველი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში. თუმცა, ცხადია რომ ის (შთაბეჭდილება) შემდგომში შესაძლოა შეიცვალოს მას შემდეგ, რაც ადამიანი საკუთარ ღირებულებათა სისტემას გამოავლენს (რომელიც ან იქნება შესაბამისობაში მოლოდინებთან ან არ იქნება).

<u>განგრძობითობა</u> - ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად გენეტიკური ფაქტორის ნაკლები მნიშვნელობისა, ცხადია, რომ საქმე გვაქვს ჯგუფის დროში სტაბილურ არსებობასთან. მრავალი ეთნოსის არსებობა ერთი თაობის სიცოცხლეს სცილდება. ეთნიკური იდენტობა ცალსახად არის დაკავშირებული მემკვიდრეობითობის სუბიექტურ განცდასთან. მემკვიდრეობითობის განცდა უფრო მეტად კულტურული ნიშნების მეტ-ნაკლები სტაბილურობის რწმენასთან არის დაკავშირებული, ვიდრე ფიზიკურ ნიშნებთან. თუმცა, საინტერესოა, რომ რესპონდენტთა უმეტესობას უჭირს წარსულში მცხოვრებ ქართველებზე საუბარი და ამბობს, რომ არ აქვს საკმარისი ინფორმაცია.

ერთადერთი დეტალი რის შესახებაც ისინი ჰიპოთეტურად საუბრობენ, ტრადიციულობასთან არის დაკავშირებული. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი ვარაუდობს, რომ ქართველები წარსულში უფრო ტრადიციულები იყვნენ. თუმცა, ამ საკითხზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

დღევანდელ დღეს, ქართველებისთვის მახასიათებელ ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად ნორმებისაგან განთავისუფლების და ლიბერალიზაციის პროცესში მონაწილეობა სახელდება. ლიბერალიზაციისკენ მითითება ხდება სხვადასხვა, არაერთ თემაზე საუბრისას. ჩვენ ამ საკითხს შემდგომშიც არაერთხელ შევხვდებით.

„ჩემი თაობა (28წ.) უფრო ნაკლებადაა შეზღუდული. მშობლები უფრო ცალკე არიან“.

„ახლა ვინც თინეიჯერია ისეთები არიან რომ... ძალიან სწრაფად იზრდებიან და რასაც უნდა იმას აკეთებენ“.

„მე (40 წ.) ჩემი მშობელი უფრო მაკონტროლებდა. ახლა სახლში დროზე მისვლა და... ეს უფრო ნაკლებადაა“.

საინტერესოა, რომ საუბრის პროცესში არსად არანაირი ფორმით არ ხსენებულა **<u>საერთო ინტერესი,</u>** როგორც ჯგუფის შემაკავშირებელი ფაქტორი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ფაქტორი არ არსებობს. ეს შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ჯგუფის შემაკავშირებელი ფაქტორების ნაწილი გაუცნობიერებელია. ასევე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა ეს ინტერესი ნათლად აღიქმებოდა ჯგუფის ფორმირების პროცესში და ახლა მივიწყებულია.

თუმცა, თუ გავიხსენებთ ჰენრი ტაჯფელის ექსპერიმენტს, მაშინ სულაც არ არის საჭირო რაიმე ინტერესის არსებობა და წმინდა შემთხვევითი ფაქტორებიც კი შეიძლება აღმოჩნდეს ჯგუფის, ჩვენს შემთხვევაში ეთნოსის, მაფორმირებელი სტიმული წყარო. ჰენრი ტაჯფელის ექსპერიმენტული მონაცემებისა და ჩემი კვლევის მონაცემების თანხვედრის პირობებში შესაძლოა ეჭვქვეშ დავაყენოთ ფრედრიკ ბარტის, მაქს ვებერის, როჯერს ბრუბეიკერის, მაიკლ ჰეჩტერისა და სხვა მრავალი ავტორის იდეა ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესისათვის საერთო ინტერესის ფუნდამენტური მნიშვნელობის შესახებ (Barth, 1969; Brubaker, 2006; Hechter, 1986; Weber, 1978; Hutchinson & Smith, 1996).

ზოგადად, რესპონდენტებს ძალიან უჭირთ ეთნოსის შექმნისა და არსებობის მამოტივირებელი ფაქტორების შესახებ ექსპლიციტურად საუბარი. ეს საკითხი უფრო გაუცნობიერებელი განცდის დონეზე არსებობს და მისი რაციონალიზაცია უკიდურესად გართულებულია. ეს ფაქტი ამყარებს აზრს, რომ ეთნიკური იდენტობის საფუძველი მნიშვნელოვანწილად არაცნობიერია. მისი საფუძველი იყრება ადრეულ ბავშვობაში მიმდინარე ენკულტურაციის გზით, როგორც ამას ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ვარაუდობდნენ კულტურა და პიროვნების სკოლის წარმომადგენლები და დღემდე მიიჩნევენ სოციალურად ორიენტირებული ფსიქოანალიტიკური მიდგომები (Lindholm, 2007).

ქართული ეთნიკური იდენტობის საიდენტიფიკაციო ნიშნები

<u>მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის საკვანძო დისკურსები და მარკერები, რომლებიც ქართული ეთნოსის ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კვლევა აჩვენებს, რომ მარკერის ფუნქციას ცალკეული ღირებულებებისადმი ლოიალობის დეკლარირება და ცხოვრების სტილის თავისებურებების გაზიარება წარმოადგენს. ცხოვრების სტილში აზროვნებისა და გამოხატვის სპეციფიურ ფორმას ვგულისხმობ.</u>

აღიარებაზე ორიენტირებული ქცევითი სტრატეგია - 'ეპატაჟი'

თითქმის ყველა რესპონდენტი ფიქრობს, რომ ეთნიკურ ქართველებს ყველა მეტ-ნაკლებად შესაბამის სიტუაციაში ეპატაჟური ქცევების განხორციელება ახასიათებთ. რადიკალურობა და გაზვიადება ნებისმიერი სახის მოქმედებას შეიძლება შეეხოს.

ეთნიკურად ქართველ მამაკაცებს ირაციონალურად აგრესიული მოქმედებების განხორციელება ახასიათებთ. ისინი კონფლიქტებს საამისოდ განსაკუთრებული საფუძვლის არსებობის გარეშეც აქტიურად აპროვოცირებენ. საინტერესოა, რომ აღნიშნული მოვლენა ხდება ძირითადად საჯარო გარემოში - იქ სადაც მოქმედებას თვალყურს მრავალ ადამიანი ადევნებს. აქ უმეტესად იგულისხმება 'სუფრა', რომელიც საჯარო სადილის ტრადიციულ ქართულ ვარიანტს წარმოადგენს და მის შესახებ უფრო დეტალურად განცალკევებით ვისაუბრებთ. კონფლიქტები ასევე ხდება სხვადასხვა ტიპის საჯარო შეკრებებზე. რესპონდენტების ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ საქართველოში ქორწილების განუყოფელ რიტუალს წარმოადგენს ჩხუბები ბიჭებს შორის. თუმცა, ჩხუბები ხდება არა მხოლოდ ქორწილში, არამედ ჩვეულებრივ, ყოველდღიურად გასართობად გამართულ სუფრებზე, კლუბებში, კონცერტებზე თუ სხვა თავყრილობებზე მყოფ მამაკაცებს შორის.

"ქორწილი ჩხუბის გარეშე არ ჩაივლის".

„დათვრებიან და ხოცავენ მერე უაზროდ ერთმანეთს. უმიზეზოდ. ყურადღებას იქცევენ“.

“ქორწილში აუცილებლად ჩხუბი უნდა მოხდეს ეს ქართველისთვის დამახასიათებელი თვისებაა ☺”.

ეპატაჟური მოქმედებების ერთ-ერთ გამოკვეთილ მიზეზს საჯაროდ ყურადღების ცენტრში აღმოჩენის სურვილი წარმოადგენს. უეჭველია, რომ კონფლიქტის მონაწილეები გარშემომყოფთა ყურადღებას იპყრობენ. ამასთან, მამაკაცები ამგვარად მათი მასკულინობისა და პირველობის დამტკიცებასა და საჯარო დემონსტრირებასაც ცდილობენ.

“როგორც წესი სრულიად დებილური მიზეზით... მთვრალი მამაკაცების რაღაც მცდელობა მასკულინობის დამტკიცებისა... ვიხსენებ ჩემი ძმის ქორწილში რომ მოხდა... რაზე მოხდა იცი?! ერთ გოგოსთან ცეკვავდა ბიჭი, ხელი მოხვია და თუ რაღაცა ცეკვის პონტში და ამ გოგოს კაბა აეწია თუ რაღაცა და ამაზე ატყდა ერთი ვაი-უშველებელი... ეხლა მეცინება, მაგრამ ... ☺ “

„გოგოებისთვის თავის მოწონებას ცდილობენ“.

“ჩხუბები. ბევრი ჩხუბები. ორი დღით ვიყავი (საქართველოში) და იმდენი ჩხუბი ვნახე რომ გადავირიე. ჰამბურგერის გამო დახოცეს ერთმანეთი რატომ მიყურებდი ჰამბურგერს როცა ვჭამდიო”.

რადიკალიზაცია მეტყველებაშიც ვლინდება. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ეთნიკური ქართველები საუბრის პროცესშიც ხშირად ცდილობენ მოვლენათა დრამატიზებას. განსაკუთრებით იმ ფაქტების გაზვიადება ხდება, რომლებიც საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით პიროვნების წარმატებას ეხება. მაგალითად, მამრობითი სქესის წარმომადგენლები უკიდურესად აზვიადებენ ან უბრალოდ იგონებენ საკუთარ

ინფორმაციას საწინააღმდეგო სქესთან მათი სექსუალური წარმატებების შესახებ. საინტერესოა, რომ ინტერვიუებისას არავის უთქვამს, რომ მათ გარშემო ადამიანები წარმატებული სწავლით ან რაიმე საერთო საზოგადოებრივი აქტივობების განხორციელებით ტრაბახობდნენ - ეს ამ ფაქტორების ნაკლებ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

"რამდენად მეტ ქალთანაც ხარ ნამყოფი უფრო მაგარი ტიპი ხარ. ტრაბახობენ ხოლმე, შეიძლება საერთოდ არ იყოს ადამიანი ქალთან ნამყოფი და ამბობდეს რომ ათასთან არის ნამყოფი".

"სულ იმას ამტკიცებენ ვინ უფრო მაგარია".

ეპატაჟური სპექტრის მოქმედებების კიდევ ერთი მაგალითია სუფრაზე ერთმანეთთან შეჯიბრება დალეული სასმელის ოდენობის მიხედვით. არსებობს ღვინის ე. წ. 'განსხვავებული სასმისები'-თ მირთმევის ტრადიცია, რაც ერთი მოყუდებით უჩვეულოდ დიდი ოდენობის სასმელის დალევას ითვალისწინებს (მაქსიმალური ოდენობა განუსაზღვრელი შეიძლება იყოს). ამ გზით ხდებოდა საკუთარი მასკულინობის ემანაცია.

სუფრის რომელიმე მონაწილის მხრიდან სასმელის დალევაზე უარის თქმა არღვევს ჩვეული კონკურენციის რიტმს. ამ შემთხვევაში, სუფრის ტრადიციულ მიმდინარეობას აზრი ეკარგება, რადგან კლებულობს რიტუალის მონაწილეთა ჩართულობის ხარისხი. ამდენად, სუფრის წევრები აქტიურად ცდილობენ სუფრის მონაწილეთაგან ჰომოგენური მოქმედებების განხორციელებას. მათ ვინც არღვევს მოლოდინებს მათზე ხდება მსუბუქი მენტალური ზეწოლა - ეხუმრებიან მათ, ეჭვქვეშ აყენებენ მათ მასკულინობას და ა. შ. ასე რომ, სუფრაზე ნათლად ვლინდება ჯგუფის ჰომოგენიზაციისაკენ სწრაფვა.

„ეს დაძალება... თუ ვინმე არ სვამს შეაწუხებენ დალიე დალიეო".

„სუფრაზე ისე არ მოგასვენებენ თუ არ დალიე".

ორმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ეკლესიათა სამრევლოები ერთმანეთს იმის მიხედვით ეჯიბრებიან, თუ ვინ უფრო მეტად დააფასებს საკუთარ სულიერ წინამძღვარს. რელიგიის თემას განცალკევებით უფრო დაწვრილებით სხვაგან შევეხებით, მაგრამ აქაც აღვნიშნავთ, რომ ეს მოვლენაც მიუთითებს რელიგიის არარელიგიურ ხასიათს. ვხედავთ, რომ რელიგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული აქტივობებიც კი საკუთარი საერო მსოფლმხედველობრივი პოზიციისა და არსებული წესრიგის რეპრეზენტაციის საშუალებაა. ვხედავთ, რომ ინდივიდთან ასოცირებული <u>რელიგიური ჯგუფი (სამრევლო) მისი საკუთარი **გაფართოებული დიალოგური სელფის** ნაწილია</u> (Hermans, 2001). ამ ჯგუფის დაფასება, საკუთარი თავისვე დაფასებაა, რადგან საკუთარი რელიგიური ჯგუფი საკუთარი სელფის ნაწილად აღიქმება.

რესპონდენტთა მესამედის აზრით, ქართველებს გამორჩეულად ახასიათებთ **ხელგაშლილობა.** ხელგაშლილობას შესაძლოა სრულიად ირაციონალური ხასიათი ჰქონდეს. ისინი აღნიშნავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში ეთნიკურად ქართველმა შესაძლოა უკანასკნელი თეთრი/ცენტი გაიღოს სხვა ადამიანის გასამასპინძლებლად ან დასახმარებლად. სახეზე გვაქვს ერთგვარი დარდიმანდობა და ანგარიშიანობის დეფიციტი. ვფიქრობ, ხელგაშლილობით ინდივიდის მიერ ჯგუფისადმი სრული ერთგულება დასტურდება. ინდივიდი ავლენს, თუ რამდენად ძვირფასია მისთვის სხვა ადამიანები. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს პოზიტიური უკუკავშირის მოლოდინიც. პოზიტიური უკუკავშირიც ხომ სელფში ინტეგრირდება და პოზიტიურ თვითშეფასების განვითარებას უწყობს ხელს. ასევე, ადამიანი ელის, რომ საჭიროების შემთხვევაში მასაც დაეხმარებიან. დავაზუსტებ, რომ აქ არსებული დისკურსის შესახებ ვსაუბრობთ. ამ დისკურსის სინამდვილეში რეალიზებადობის ხარისხი უცნობია და ჩვენი კვლევის ამოცანებს სცილდება.

"ხელგაშლილობა, გულღიაობა, რაღაც ქვენა ფიქრები არ აქვს დაგეხმარება... უფრო გახსნილი და მეგობრული..."

“მაგალითად, ქართველს შეუძლია უანგაროდ რაღაცაზე დაუფიქრებლად დახმარება გაუწიოს... დაგითმოს დრო, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც შეზღუდული იყოს...”

“ჩემს დაბადების დღეზე გამახსენდა. იქ ვიყავით იტალიელთა კლუბში ერთი იყი ამერიკელი და ნათურები თუ ვარდები იყო და გილოცავო და მომცა. 15 წუთის შემდეგ მოვიდა და შენი დრო გავიდაო და დამიბრუნეო.. საქართველოში ამას არავინ არ გააკეთებდა...”

„გულუხვობა როგორც საკუთარი თავის წარმოჩენა, როგორც არტისტიზმი. ყურადღების ცენტრში ექცევი, ამან გადაიხადა, ამან დაგვპატიჟა. სცენაზე დგომა გვიყვარს“.

ეპატაჟური მოქმედებები ისეთ რუტინულ და ყოფით გარემოშიც კი ხორციელდება, როგორიც საზოგადოებრივი ტრანსპორტია. იმ შემთხვევაში თუ ტრანსპორტში ერთად აღმოჩნდებიან ნაცნობი ადამიანები, მაშინ მათ შორის ‘დაუნდობელი ბრძოლა’ იწყება იმისათვის, თუ ვინ დაპატიჟებს მეორეს და ვინ გადაიხდის მგზავრობის საფასურს. ყველას სურს, რომ თავად დაპატიჟოს ნაცნობი. და ეს მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი ფინანსური მდგომარეობა. ვითარება შედარებით იოლად იმუხტება, თუ ერთ ერთი მათგანი ნაადრევად ჩადის ტრანსპორტიდან, თუმცა, თუ მათ ერთდროულად უწევთ ჩასვლა საუბარი შეიძლება მსუბუქ შელაპარაკებამდეც კი მივიდეს. ვხედავთ, რომ აქ საკუთარი გულუხვობის რეპრეზენტაციის აქტიური სურვილი ვლინდება, რომელთაც წინა აბზაცში მოცემული მოტივაცია უდევს საფუძვლად.

„ხოცავენ ერთმანეთს მარშუტკებში. არა მე გადაგიხდი არა მეო...“

რადიკალიზაცია ვლინდება საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობებშიც. გოგონები მაქსიმალურად მიუწვდომლად წარმოაჩენენ თავს (იმ შემთხვევაშიც კი თუ თავადაც დაინტერესებული არიან კონკრეტულ პიროვნებასთან ურთიერთობით). პოტენციურ პარტნიორს ხანგრძლივი დრო, შესაძლოა თვეებიც კი დასჭირდეს ღიად გამოხატული

პოზიტიური უკუკავშირის მისაღებად. შევნიშნავ, რომ აქ საუბარია გავრცელებულ დისკურსზე და რეპრეზენტირებულ კლასიკურ სცენარზე. ცხადია, რომ არსებობს გამონაკლისები და ქცევათა მრავალფეროვნება. აქ ჩვენ ვსაუბრობთ ქართული ეთნიკური იდენტობის მქონე პირთათვის ნიშნეულ ქცევებსა და წარმოდგენებზე.

"გოგოების ქცევაა რაც უფრო მეტ ყურადღებას არ მიაქცევს მით უფრო იზიდავს..."

"ორი თვე უნდა სდიო გოგოს, რომ დაგთანხმდეს ურთიერთობაზე. მიუჩვდომლად წარმოაჩენენ თავს".

კვლევა გვიჩვენებს, რომ რადიკალიზაცია ვლინდება ისეთ საკითხთან დაკავშირებითაც კი, როგორიც სასაფლაოების მოწყობაა.

"ამ ნეკროპოლისების მშენებლობის. სასაფლაოებს რომ შეხედავ, ბევრს ბინა არ აქვს ისეთი როგორიც სასაფლაოები გვაქვს".

„სასაფლაოებზე რამის შენობებს დგამენ. შეიძლება საჭმლის ფული არ ჰქონდეთ და მთელი ქონება სასაფლაოების მოსაწყობად დახარჯონ".

გამოკითხული პირების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეთნიკური ქართველები განსაკუთრებით ემოციურები არიან. ამ შემთხვევაში შესადარებელ ეტალონს (ათვლის წერტილს) ცენტრალური, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის კულტურები წარმოადგენენ, სადაც რესპონდენტთა აზრით, სტერეოტიპულად ქართველებთან მიმართებაში ნაკლებად ემოციური ხალხი ცხოვრობს. მსგავსება ფიქსირდება სამხრეთ ევროპელებთან (იტალიელები, ესპანელები).

"მოთმინების უნარი, ჩვენ ქართველები ვართ ცოტათი მოუთმენლები... ეს ჩვენს გენეტიკაშია..."

"ხმაურით საუბრობენ. იტალიელებივით. ყვირიან სადა არ უნდა იყოს..."

"ემოციურები ვართ".

საინტერესოა, რომ მსგავს დასკვნამდე მივიდე ქართველი ფსიქოლოგი ლალი სურმანიძეც, რომელიც ქართული მენტალობის ფსიქოსემანტიკური ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე საუბრობს ქართველთა „დემონსტრაციულობისა“ და „არტისტულობის“ შესახებ (Surmanidze, 2010).

ვხედავთ, რომ ეთნიკური ქართველების მოქმედებების უმრავლესობა თითქმის სრულად გარემოზეა ორიენტირებული. ყველა აქამდე აღნიშნული აქტივობა ცალსახად ყურადღების მიპყრობისაკენაა მომართული. მათ ნაკლებად აინტერესებთ მოქმედებებისა თუ სიმბოლოების რეალური შინაარსი. აქცენტი კეთდება გარეგნულ ეფექტზე. ცხადად ვხედავთ, რომ ეპატაჟური მოქმედებები ემსახურება საკუთარი თავის საჯარო სივრცეში გამოკვეთასა და აღიარების მოპოვებას. მოქმედებებს წარმართავს ინდივიდუალური წარმატებისა და სხვებზე უპირატესობის მოპოვების სურვილი. თუმცა, ამ წარმატების წყარო თავად გარემო და კოლექტივია. ჯგუფური ფაქტორების შესახებ საუბარს შედეგ ქვეთავში განვაგრძობთ.

‘კოლექტივისტური’ ტენდენციები

პრაქტიკულად ყველა რესპონდენტის საუბრისას კეთდებოდა ძლიერი აქცენტი კოლექტივისტური ხასიათის ღირებულებებისა და მოქმედებების დიდ მნიშვნელობაზე. ქვემოთ დავინახავთ, თუ რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯგუფთან დაკავშირებული ღირებულებები ქართული ეთნიკური იდენტობასთან მისი მატარებელი ადამიანებისათვის.

ოჯახის განსაკუთრებული მნიშვნელობა

თითქმის ყველა რესპონდენტი აღნიშნავს ოჯახის ფუნდამენტურ მნიშვნელობას მათთვის და მათი გარემომცველი ქართველებისათვის. ინდივიდის ცხოვრება, წარმატება, წარუმატებლობა, ცხოვრებაში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები - ყველაფერი ეს ოჯახთან არის დაკავშირებული. ოჯახი ინდივიდის დიალოგური სელფის განუყოფელი და ემოციურად უმნიშვნელოვანესი ნაწილია (Hermans, 2001).

“ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ ძალიან ბედნიერი ვარ... იმიტომ, რომ მყავს ძალიან კარგი... ხო, ოჯახი რა... ბევრი რომ არ მივედ მოვედო... რაშიც ვგულისხმობ ჩემს მშობლებს, ასევე, ჩემს მეუღლეს...”

“ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ოჯახი და ის ადამიანების წრე, რომელიც ძალიან მიყვარს”.

“მაინტერესებს რამდენად საყვარელი ბაბუა ვიქნები შვილიშვილებისთვის . . .”

“საოცრად და საშინლად მნიშვნელოვანია. ძალიან ბევრი რამე განსაზღვრა ჩემმა ოჯახმა. ძალიან ბევრი რამე განვსაზღვრე ჩემს ოჯახში... ის ინტერაქციები, იგივე ის ოპოზიციური ქცევები რაც მქონდა, ამან განაპირობა ზუსტად ის ვინც ვარ... განსხვავებული შეხედულებები გვაქვს ოჯახის წევრებს ბევრ რამეში, ძალიან ბევრ რამეში ვერ ვთანხმდებით, მაგრამ ფაქტია, რომ ის ვინც ვარ მე, ამისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახს... საოცარი მადლიერების განცდა მაქვს ოჯახის წევრების მიმართ და ხშირად გამოვხატავ ამას... ხანდახან დანაშაულის განცდაც მაქვს... ამავე დროს ვარ ძალიან ავტონომიური.. დამოუკიდებლად ვცხოვრობ 6-7 წელია... მაგრამ მაქვს ძალიან ხშირი ურთიერთობა... ჩემი შემოსავლის ნაწილი მუდმივად იხარჯება ოჯახისთვის საჩუქრების და რაღაცეების საყიდლად... ვარ ავტონომიური, მაგრამ თან ძალიან ჩართული ოჯახურ რაღაცეებში...”

ეთნიკურ ქართველთა შორის ფართოდაა გავრცელებული ე. წ. გაფართოებული ოჯახის ტიპი (extended family). ოჯახში უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ახლო ნათესავები - მშობლები; ბებია-ბაბუა; და-ძმა; მეუღლე და შვილები. ასევე, ინდივიდის ოჯახთან უშუალოდ არიან დაკავშირებული ბიძა-მამიდა-დეიდა და ბიძაშვილ-მამიდაშვილები. გაფართოებული ოჯახის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება დომინანტურ წესს წარმოადგენს რეგიონებში. დედაქალაქში აღნიშნული ცხოვრების წესის გავრცელების სიხშირე მცირდება. თუმცა, ოჯახის წევრებს შორის აქაც როგორც მინიმუმ უმჭიდროესი კომუნიკაცია ნარჩუნდება.

“ოჯახი არის, რაღაც უფრო მოვალეობაა ოჯახი საქართველოში. დედა, მამა, შვილები, ბებია, ბებია. გერმანელებს მოსწონთ ერთად როცა ცხოვრობს დიდი ოჯახი. ბებია ბაბუა...”.

ოჯახთან ერთად ცხოვრების წესი ბუნებრივად ირღვევა ემიგრანტთა შორის. უცხოეთში ემიგრაცია უმეტესად ინდივიდუალურად ხდება და ტექნიკურად შეუძლებელი ხდება ოჯახური კავშირების ტრადიციული სახით შენარჩუნება.

ფიზიკური დაშორების მიუხედავად, ემიგრანტ რესპონდენტთა ნახევარი აღნიშნავს, რომ ისინი კვლავაც უკიდურესად ინტენსიურ, ფაქტიურად ყოველდღიურ კავშირს ინარჩუნებენ საკუთარი ოჯახის წევრებთან. ამის საშუალებას თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა. მაგალითად, სკაიპის საშუალებით შესაძლებელია ვიდეო ზარების განხორციელება და თითქმის სრულფასოვანი ვიზუალური კონტაქტის დამყარება. მხოლოდ ტაქტილური კომუნიკაციის დამყარებაღა აკლია სრულფასოვან ურთიერთობას. ამ რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია ოჯახთან ინფორმაციის მუდმივი გაცვლა და საჭიროების შემთხვევაში მზრუნველობის გამოჩენა. ერთი რესპონდენტის მშობლები ემიგრაციის შემდგომ საერთოდ მასთან გადასახლდნენ. ამ რესპონდენტებისთვის ოჯახი ემოციური კომფორტის აუცილებელი ატრიბუტია. ის მათი სელფის განუყოფელი/ინტეგრალური კომპონენტია. ვფიქრობ, მიღებული მონაცემები განამტკიცებს თეორიას დიალოგური სელფის არსებობის შესახებ (Hermans & Hermans-Konopka, 2012).

“აქ (უცხოეთში) ყოფნისას ვაცნობიერებ რამდენად მეტი შესაძლებლობა მაქვს. მაგრამ მაინც მეორეს მხრივ, დიდი ხნით, მუდმივად დარჩენას არც განვიხილავ... დიდი ხნით ყოფნის დროს მახსენდება, ქართველობა კი არა, ჩემი ოჯახი მახსენდება, თბილისის ჰაერზე კი არ ვფიქრობ, თუმცა, შეიძლება თქვა... თუმცა ახლა, რომ ჰკითხო რა არის საქართველოო მე გეტყოდი ჩემი წრეთქო”.

“დედაჩემთან ყოველდღე ვლაპარაკობ. ოჯახი ყველაფერია ჩემთვის“.

ემიგრანტ რესპონდენტთა ნაწილისათვის, ოჯახის ემოციური მნიშვნელობა შედარებით მცირდება. თუმცა, ისინიც კი ინარჩუნებენ კავშირს მათთან. ისინი შედარებით თავისუფლდებიან ოჯახური 'ბორკილებისაგან', თუმცა, ძაფები განაგრძობენ არსებობას. ვხედავთ, რომ მიუხედავად განსხვავებული გარემოებებისა და წინააღმდეგობებისა ოჯახის ინსტიტუტი მაინც განაგრძობს სიცოცხლეს. <u>ქართული ეთნიკური იდენტობა და ზოგადად, დიალოგური სელფი ოჯახური ღირებულების გარეშე არ არსებობს.</u>

ოჯახის წევრები რესპონდენტების ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე უშუალოდ არიან ჩართული. ისინი ზეგავლენას ახდენენ დაწყვილების პროცესსა და პარტნიორის შერჩევაზე, პროფესიის არჩევაზე, სამსახურის შერჩევაზე, ღირებულებებისა და ქცევითი სტრატეგიების ფორმირებაზე და ა. შ.

საკუთარი ოჯახის შექმნა

საკუთარი ოჯახის შექმნა და დაქორწინება ქართული ეთნოსის წევრთათვის ერთ-ერთ უმთავრეს ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენს. თუმცა, ეს ფაქტი მსოფლიოში არსებულ კულტურათა მრავალფეროვნებაში განსაკუთრებული ალბათ არ გამოირჩევა განსაკუთრებული ორიგინალობით.

<u>დავამატებ, რომ</u> <u>დაოჯახება განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის.</u> გოგონებისთვის ეს მოვლენა (ბავშვის შეძენასთან) ერთად უმთავრეს ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენს. ქართულ რეალობაში დაუოჯახებელი გოგონები ფაქტიურად არასრულფასოვან მოქალაქეებად აღიქმებიან გარემოს მიერ და თავადაც ასე აღიქვამენ თავს.

> *"მოვლა უნდა, ბავშვებს ყიდვა უნდა რაღაცის... საოჯახო საქმეების გაკეთება... დღემდე ესეა, რომ ქართველ ოჯახებში, გოგონები არიან ოჯახის გოგონები, თავის ქმარი და შვილები.. მათი იდენტობა დედობა ხდება მათი ძირითადი იდენტობა და მამოძრავებელი და განმსაზღვრელი... დედობა და ცოლობა ხდებოდა ყველაფერი... წამყვანია დედობა და ცოლობა მისდევს უკან... ქართული დედობა არის*

განსაკუთრებული ფენომენი, არ ვიცი სადმე თუ არის ასე კიდევ... ორმოცდაათი წლის შვილიც რომ მათთანაა... რომელ სეპარაციაზე ვლაპარაკობთ, როცა დედა არის ყველაფერი... ეს ენაშიცაა, არც ერთ ენაში არ არის ამდენი დედაბოძი, დედამიწა, ამდენი დედა, დედა, დედა, დედა..... ყველა ენაშია მიწა, ჩვენთან დედამიწა!"

ოჯახთან კავშირი იმდენად ძლიერია, რომ მისგან მომდინარე გავლენა შესაძლოა ზედმეტად ძლიერია. ხუთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ოჯახი და ახლობლები ზოგადად ძლიერი წნეხის ქვეშ აქცევენ ინდივიდებს. ემიგრანტი რესპონდენტები აცხადებენ, რომ ეს წნეხი ემიგრაციის შემდეგ ძლიერ შემსუბუქდა და ისინი მნიშვნელოვნად უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს.

ოჯახური სტრუქტურა ადუღაბებს ეთნოსს და ძლიერი ზეწოლის საშუალებით ახდენს მისი შემადგენელი წევრების ჰომოგენიზებასა და არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას. <u>ოჯახი ენკულტურაციისა და ზოგადად, კულტურული წესრიგის უზრუნველმყოფი უმთავრესი ინსტრუმენტია ეთნიკურ ქართველთა კულტურაში.</u>

ჰომოგენურობა, კონფორმიზმი და შინაგანი სეგრეგაცია

რესპონდენტები მიუთითებენ, რომ ქართულ საზოგადოებას ჰომოგენიზაციის ძლიერი ტენდენცია ახასიათებს. რთულად მიიღება არასტანდარტული ქცევები და გადაწყვეტილებები. საზოგადოება ცდილობს, რომ ინდივიდები მნიშვნელოვანი გადახვევების გარეშე ატარონ უკვე გაკვალულ გზებზე.

"ცხოვრების აზრი არის განკითხვა, ლაპარაკი... მიტომ არის საპნის ოპერები პოპულარული..."

"მე მგონია, ეკლესია იმიტომ არის პოპულარული, რომ რადგანაც შენი დაქალი ადის ეკლესიაში შენც დადიხარ ეკლესიაში..."

“ინდივიდუალისტები გვაკლია ქალებში და კაცებშიც... ჩაცმის სტილი, ,მანქანა, მამაო... ის რის ირგვლივაც აგებენ საკუთარ ღირებულებებს”.

კვლევა გვიჩვენებს, რომ ეთნოსის შიგნით არსებობს მკაფიო სეგრეგაცია. საზოგადოება დაყოფილია მცირე ჯგუფებად, რომლებიც ოჯახებსა და ახლობლებს მოიცავენ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ ინდივიდებისათვის მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენენ მისი ოჯახი და ახლო მეგობრები. მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდები სწორედ ამ მცირე ჯგუფებზე არიან ორიენტირებულები და არა მთლიანად საზოგადოებაზე.

საუბრისას ჩანს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა მცირე სოციალური კაპიტალით გამოირჩევა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ინდივიდები საკუთარ წარმატებას უშუალოდ აკავშირებენ საკუთარი მცირე ჯგუფის წარმატებასთან. ეს საკუთარი მცირე ჯგუფი თითოეული მისი შემადგენელი წევრისათვის დიალოგურ სელფს ქმნის (Hermans & Hermans-Konopka, 2012). ეთნოსის შემადგენელი მცირე ჯგუფები საკმაოდ ჩაკეტილია. აქ პარალელი შეიძლება გავავლოთ ბასკურ კულტურასთან, სადაც ასევე არსებობენ მცირე ჯგუფები, რომლებიც სხვა მცირე ჯგუფებთან ნაკლებად შედიან ინტენსიურ კომუნიკაციაში.

“ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური კუთვნილება. ან სამეზობლო, სამეგობრო ჰყავს. სოციალიზაცია ხდება ან სამეგობროში ან სამეზობლოში”.

“გათხოვდება და ტელეფონზე ჩამოკიდებული მუდმივად დედასთან არის... განიხილავენ ყოველდღიურ ცხოვრებას... ერთმანეთის საქმეში ცხვირის ჩაყოფა... საკუთარი ცხოვრებით არავინ არ ცხოვრობს... ყველა ერთმანეთს ბაძავს... შემქმნელები ნაკლებად... თითქოს ინდივიდუალისტები არიან და ამ დროს ძალიან კოლექტიური რაღაცეები სჭირთ...”

„ხდება ტრიალი ერთსა და იმავე წრეში, ჩაკეტილია საკუთარ წრეში, ძალიან ჩაკეტილი საზოგადოებაა... ამიტომ აქვს ეკლესიას დიდი გავლენა რა... როდესაც დადის მეზობელი მართა და მართას დედა მარიამ, მეც უნდა ვიარო...”

ეთნოსის შიგნით არსებობს მძაფრი კონკურენცია უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ უპირატესობის მოპოვებას კი, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადად ეპატაჟური მოქმედებებით ცდილობენ.

"ჭორაობენ ქალურ თემებზე ქმრების საყვარლებზე... ცდილობენ ის დაამცირონ ვინც არ მოსწონთ. ტრაბახობენ საკუთარ თავზე, ქმარზე ..."

კონფორმულობა

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ქართული ეთნოსის წევრები ძლიერ კონფორმულობას ავლენენ საზოგადოებაში არსებული ღირებულებებისა და წესების მიმართ. კონფორმულობა ვლინდება მსგავსი ტიპის ჩაცმულობაში, ქცევების განხორციელებასა და ღირებულებებისადმი დამოკიდებულებაში.

დასავლურ სამყაროში მოგზაურობის გამოცდილების მქონე და ემიგრანტი რესპონდენტები ხაზს უსვამენ, რომ ქართული ეთნოსი გაცილებით უფრო ძლიერ ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებას, ვიდრე ეს ევროატლანტიკურ სივრცეში ხდება. ეს ფაქტორი უნდა განვიხილოთ როგორც დამატებითი და შემავსებელი კომპონენტი სხვა დისკურს/მარკერებთან კომბინაციაში.

"ეს ადამიანები ვალდებულები არიან, რომ რაღაცნაირად ჰგავდნენ ერთმანეთს, სხვადასხვები ერთმანეთს... და, გვანან... რაღაც მახასიათებლებით გვანან... ეს ტანსაცმელშიც გამოიხატება..."

"საქართველოში დაბადებული ქალი, გოგონა... ქრისტიანულ ოჯახში.... მე იმისი შეგრძნება მაქვს, რომ როცა დავიბადე ჩემი ცხოვრება იყო წინასწარ განსაზღვრული... მე უნდა წავსულიყავი სკოლაში, ეკლესიაში... მე როგორც გოგოს უნდა ჩამებარებინა ეკონომიურზე და არა ბიოლოგიურზე, რადგან ოჯახი უნდა შემექნა და უფრო შემიწყობდა ხელს... მერე უნდა გამეკეთებინა ის, გამეკეთებინა ეს..."

“რას იტყვიან ნათესავები და რაღაცა დღემდე არის... ბევრი იმიტომ არ შორდება ქმარს, რომ ფიქრობს ნათესავები რას იტყვიან... ნათესავების ჯიბრზეც ხდება ხოლმე რაღაცეები...”

თანადგომა და ემპათია

რესპონდენტების დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ ქართული ეთნოსის წევრებს განსაკუთრებით მაღალ დონეზე ახასიათებთ ემპათიურობა. ისინი აქტიურ მზაობას აცხადებენ, რომ დაეხმარო ერთმანეთს. ადამიანი, რომელიც ემპათიურობას არ ავლენს საზოგადოებისგან ისჯება გაკიცხვით და იზოლირებით. ემპათიურობა პირველ რიგში საკუთარი მცირე ჯგუფებისადმი არის მომართული.

“ალბათ ერთმანეთის მიმართ უფრო მეტი კეთილგანწყობა, უფრო მეტად შეიძლება გქონდეს იმედი, თუნდაც უცხო ადამიანის, რომ დაგეხმარება. მე ვთვლი, რომ მართლა ასეა”.

“მაგალითად, ქართველს შეუძლია უანგაროდ რაღაცაზე დაუფიქრებლად დახმარება გაუწიოს... დაგითმოს დრო, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც შეზღუდული იყოს...”

“ხასიათი კიდევ ქართველი ადამიანის, რომელიც განსხვავებულია. კიდევ ერთხელ ვიტყვი, გასაჭირში შეიძლება დაუფიქრებლად ამოუდგეს ადამიანს გვერდში და ლხინშიც”.

შეგვიძლია დავუშვათ, რომ აღნიშნული მახასიათებელი ჯგუფის შეჭიდულობას უწყობს ხელს. თუ გავიხსენებთ ერიხ ფრომის ‘გაქცევას თავისუფლებისაგან’ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკური ქართველებს ჯერ კიდევ არსად აქვთ გასაქცევი (Fromm, 1994). მართლმადიდებლურ სამყაროში არ მომხდარა რელიგიური რეფორმაცია და არ განვითარებულად პროტესტანტული ეთიკის მაგვარი კულტურული მოდელები (Weber, 2005). ამასთან, საბჭოთა ოკუპაციის პირობებში სოციალისტური წყობა არსებობდა და

ადამიანებს არ უწევდათ კაპიტალისტურ კონკურენტულ გარემოში თანაარსებობა. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან და თავისუფალი ბაზრის პრინციპზე გადასვლიდან 20-25 წლის შემდგომ ჯერ კიდევ ნარჩუნდება კომუნიტარიანული ურთიერთობის წესები და კულტურა. შესაბამისად, ქართული იდენტობა უზრუნველყოფს თემის მხარდაჭერასა და ერთგვარ დაზღვევას ცხოვრებისეული სირთულეებისაგან. კომუნიტარიანული ურთიერთობების სისტემა სოციალურ და ემოციურ კომფორტს იწვევს.

სტუმარ-მასპინძლობა

კვლევა გვიჩვენებს, რომ დისკურსი ეთნიკურ ქართველთა გამორჩეული სტუმარ-მასპინძლობის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ იდენტობასთან. სტუმრის მიღების დიდი მნიშვნელობა და წესი ძალზედ ღირებულია რესპონდენტთათვის. სტუმარი შეიძლება იყოს ნებისმიერი ეროვნების, სქესისა თუ პროფესიის ადამიანი. უცხოელები განსაკუთრებული პატივითაც კი სარგებლობენ ქართველებთან სტუმრობის შემთხვევაში.

"სტუმართ-მოყვარე ხალხი ვართ. მასპინძლებად ვართ დაბადებული".

"არსებობს გამოთქმა, რომ სტუმარი ღვთისაა. ქართველები თავს დებენ, რომ არიან სტუმართ-მოყვარეები..."

"არსებობს ასეთი რაღაცა, ამბობენ საუცხოოო, უნდა აღწერონ რაღაცა, ნიშნავს უცხოს, იმდენად კარგია, რომ სტუმარს მიართმევ... სტუმრისთვის..."

"ჩემი მეუღლე და შვილი თურქეთში გადადიან ხოლმე სამუშაოდ. იქ მილიარდელები არიან და რომ მოდის ხალხი არ ეპატიჟებიან სტუმრებს. არ ეპატიჟებიან მობრძანდითო, არ მეგულება საქართველოში ოჯახი რა გინდ უჭირდეს, თუ გინდა ბოლო ლუკმა ჰქონდეს და იმან ის ლუკმა არ გაუყოს..."

სტუმართ-მასპინძლობა ეთნოსის წევრთა შორის კომუნიკაციასა და პოზიტიური დამოკიდებულების განვითარებას უწყობს ხელს. ჩანს, რომ სტუმრის მიღების დიდი მნიშვნელობა ეთნოსის შიგნით არსებული კავშირების გამყარებას უწყობს ხელს.

ასევე, სტუმართ-მასპინძლობა შეიძლება დავაკავშიროთ ზემოთ განხილულ ეპატაჟური ქცევების სპექტრთან. ვინც უფრო უკეთ მასპინძლობს სტუმარს ის უფრო უკეთესია, ის უფრო ძლიერი და მდიდარია და ა. შ. ამ ფორმით, ინდივიდებს და ოჯახებს შორის არსებული კონკურენცია სრულიად პოზიტიური შინაარსითა და ენერგიით ივსება. კონკურენცია პოზიტიური ურთიერთობების განვითარებისა და თანამშრომლობის მაპროვოცირებელიც კი ხდება.

სოციალური ურთიერთობების გახსნილობა

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ქართული ეთნოსის წევრები გაცილებით უფრო გახსნილები და კომუნიკაბელურები არიან, ვიდრე ევროპის დანარჩენი კულტურების წარმომადგენლები. გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ ეთნიკურ ქართველებთან ურთიერთობების დაწყება და გაღრმავება ძალიან იოლია. ქართველებთან ვხვდებით უფრო ინტენსიურ კომუნიკაციას. ემიგრანტი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მათ გაცილებით უფრო უადვილდებოდათ კომუნიკაცია ადამიანებთან. და, ეს მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული ემიგრანტები საკმაოდ ინტეგრირებულები არიან მიმდინარე საცხოვრებელ ადგილებში.

"სხვათა შორის კიდევ ერთი ნიუანსია, რაც საკმაოდ სახასიათოა საქართველოში, რასაც უცხოეთში ცხოვრებისას მივხვდი. ადამიანებთან ურთიერთობაში გაცილებით უფრო მალე შედიხარ, ვიდრე ვთქვათ ევროპულ ქვეყნებში. ეს გამოარჩევს საქართველოს ევროპული ქვეყნებისგან".

"ეს მონაცემები ერთი შეხედვით წინააღმდეგობაში მოდის ზემოთ აღნიშნულ სეგრეგაციისა და მცირე ჯგუფებად დაყოფის ტენდენციასთან. სოციალური გახსნილობა და ჩაკეტილობა ვერ უნდა თავსდებოდეს ერთმანეთთან".

“მე არ გამიგია რომ ევროპელი შევიდეს მეგობრის სახლში და გააღოს მაცივარი, რასაც ჩემი მეგობრები გააკეთებენ მაგალითად, მოამზადებდა საჭმელს და დაჯდებოდა. თან ისე რომ არც დამირეკავდა”.

წინააღმდეგობის მოსახსნელად საჭიროა სიღრმისეულად და ფართო კონტექსტში შევხედოთ ამ საკითხს. თეორიულად, შეუძლებელია ადამიანს ჰყავდეს ურიცხვი ახლო მეგობარი. შესაბამისად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ფართო საზოგადოებისადმი ურთიერთობების გახსნილობა შემოიფარგლება უმეტესად ზედაპირული ხასიათით. საქმე გვაქვს ე. წ. ექსტრავერტირებული ურთიერთობის კულტურასთან, რომელიც განსაკუთრებულ სიღრმეს არ მოითხოვს. სიღრმისეული კომუნიკაცია ადამიანს მხოლოდ ოჯახთან და საახლობლო წრესთან შესაძლოა ჰქონდეს. ჯგუფებს შორის გახსნილი ურთიერთობები თეორიულადაც კი შეუძლებელია სულისმიერი მეგობრობის განსახიერება იყოს.

თუ გავიხსენებთ, რომ მცირე .ჯგუფებს შორის მძაფრი კონკურენტული გარემოა შექმნილი, მაშინ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მათ შორის კომუნიკაცია მნიშვნელოვანწილად საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად ინფორმაციის გავრცელებას, კონკურენტი ჯგუფების მდგომარეობის დადგენას, მათთან საკუთარი თავის შედარებას ემსახურება. აქტიური ზედაპირული კომუნიკაცია საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს ჯგუფებს შორის არსებული თანაფარდობის დადგენა. ასევე, ეს საშუალებას იძლევა, რომ საჭიროების შემთხვევაში ერთი ჯგუფი მეორეს დაეხმაროს და ამით ხაზი გაუსვას საკუთარ უპირატესობას.

ცხადია, რომ დახმარება არ არის ყოველთვის ანგარებიანი. აქ ჩვენ ვსაუბრობთ თანამედროვე რეალობაში არსებული ნიშნეული ქცევითი სტრატეგიის შესახებ. ვერ გამოირიცხება და მრავლადაც იქნება უანგარო დახმარების (გამონაკლისი) მაგალითები.

კონსერვატიული ღირებულებები

სექსუალური ტაბუ

კვლევა ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართული ეთნიკური იდენტობა მჭიდროდ არის დაკავშირებული კონსერვატიულ სექსუალურ ქცევასთან. შესაძლოა ითქვას, რომ სექსის თემა ტაბუირებულია. ამ საკითხზე საჯაროდ საუბარი უხერხულობას იწვევს. იშვიათად შეხვდებით ამ თემაზე გამართულ საჯარო დისკუსიებს. საჯარო სივრცეში გამოთქმული თამამი (ლოკალური სტანდარტებით) განცხადება საზოგადოების მიერ სკანდალურადაც კი აღიქმება. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიწრო წრეში ამ თემაზე საუბრები არ მიმდინარეობს. აქ საუბარია ამ თემის საჯარო რეპრეზენტაციის შეზღუდვაზე.

"ქორწინებამდე სექსზეა საუბარი. დაფარულია, გამოხატვა შეზღუდულია
გამოხატვა სიყვარულის არათუ სექსი".

რესპონდენტების საუბრიდან ჩანს, რომ სექსუალური ქცევის სტანდარტები მნიშვნელოვნად განსხვავდება მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის. მამრობითი სქესის წარმომადგენლებს გაცილებით მეტი თავისუფლება აქვთ მინიჭებული და მათ მიმართ განსხვავებული მოლოდინები არსებობს.

"გოგო რომ კაზანტიპზე წავა იმას სახლში როგორ შემოვუშვებთო ამბობენ".

"ქალის ყველანაირად რეგულირება და ჩარჩოში ჩასმა, ქალიშვილობის
ინსტიტუტით დაწყებული და ზოგადად, ის ოჯახის თემით..."

"აღმოსავლეთის ქვეყნებში და ისეთი ჰიბრიდული სექსუალობის ქვეყნებში
სექსუალობა ასოცირდება წესიერებასთან, ტრადიციასთან, კულტურასთან
და არა ვთქვათ ცხოვრების ჯანსაღ წესთან".

ბიჭებს/კაცებს მოეთხოვებათ გამოხატული აქტიურობა. 'მაჩოიზმი' ქცევის მიღებული სტანდარტია. შეგახსენებთ ზემოთ აღნიშნულ ერთ მომენტს, სადაც მამაკაცების მხრიდან საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში საკუთარი წარმატებების უზომო გაზვიადების

შესახებ ვსაუბრობდით. ვფიქრობ, 'მაჩოიზმი' სწორედ ეპატაჟურობის კონტექსტში არსებობს.

რესპონდენტების თქმით, საზოგადოება ელის რომ მამაკაცი მაქსიმალურად ადრეულ ასაკში დაიწყებს სექსუალურ ცხოვრებას და მაქსიმალურად ბევრი პარტნიორი ეყოლება. მას მოეთხოვება ინიციატივიანობა და საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობის პროცესში ლიდერული პოზიციის დაკავება. ის მამაკაცები, ვინც ამ როლის შესრულების რეალურად ვერ ახერხებენ იწყებენ ტრაბახს და ვირტუალური ისტორიების გამოგონებას. ის ვინც, თუნდაც ვერბალურ იმიტაციას მაინც ვერ ან არ ახერხებს ნაკლებად წარმატებულად და მიმზიდველად აღიქმება გარშემომყოფთა თვალში. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ შესაძლოა მამაკაცი რეალურად უაღრესად პასიური ტიპი იყოს, მაგრამ შესაბამის სიტუაციაში ვერბალური რეპრეზენტაციისას მაქსიმალურად ცდილობდეს საკუთარი თავის მაჩოდ წარმოაჩენს - ხანდახან ეს კომიკურადაც კი შეიძლება გამოიყურებოდეს. ვხედავთ, რომ გარეგნულ ნიშნებსა და რეპრეზენტაციას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე რეალობას.

მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მიმართ საპირისპირო მოლოდინები არსებობს. მათგან ფემინურ და უფრო პასიურ მოქმედებებს ელოდებიან. ქალთა სექსუალობა იზღუდება.

> *"არ მაქვს ეჭვები. ერთი მეგობარი მყავს და იმას მისმა ლუქსემბურგელმა მეგობარმა ბიჭმა უთხრა ჩემზე, რომ აი ნამდვილი ქართველიაო... ძალიან, ხანდახან ზედმეტადაც კი ჩაკეტილი ვარ ჩარჩოებში. ბევრი რამის უფლებას არ ვაძლევ თავს. შინაგანი ქართველური რაღაცეები არ მაძლევს ამის საშუალებას".*

> *"არა ქართველია. ძალიან კონსერვატიული არ ვარ, მარა მაინც მაქვს რაღაცა თვისებები, რომლითაც ნებისმიერი შეილება მიხვდეს, რომ ქართველი ვარ. რომელსაც ზედმეტი თავისუფლების უფლება არ აქვს. მაინც რაღაცა ისე რომ*

ხარ გაზრდილი. შინაგანი, შინაგანი ქართველობა არ გაძლევს რაღაცის უფლებას".

ქართული იდენტობის მატარებელ ადამიანთა შორის მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მიმართ მეოცე საუკუნის ბოლო ხანებამდე არსებობდა ცალსახა აკრძალვა ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობების ქონასთან დაკავშირებით. თუმცა, ამ თემაზე სულ უფრო და უფრო აქტიურად მიმდინარეობს დისკუსიები. სექსთან დაკავშირებული ეს ის ერთადერთი თემაა, რომლის თაობაზეც დისკუსიები მეტ-ნაკლებად ღიად მიმდინარეობს. მეტიც, დიდ ქალაქებში ეს აკრძალვა ნაწილობრივ გამქრალია, თუმცა, ის კვლავ ძალიან აქტუალურია რეგიონებში. ამ საკითხზე ზუსტი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა და ამდენად, უფრო მეტ დეტალიზაციას ვერ მოვახდენთ. მივუბრუნდებით ნიშნეული ქცევების განხილვას.

"ველარ გაუგიათ მისცეს თუ არ მისცეს და გაეკიდოს თუ რ გაეკიდოს. ბევრი ტაბუები არსებობს ბიჭისა და გოგოების ურთიერთობაში".

"ქორწინებამდე სექსი ნაკლებად ხშირია. თუმცა, მაინც ხდება, თუ დარწმუნებულები არიან, რომ სერიოზულ ურთიერთობას აპირებენ".

"არ შეიძლება ან თუ შეიძლება სექსი ბიჭსა და გოგოს შორის მაინც არ შეიძლება საზოგადოება დაბნეულია... თავისუფალი ურთიერთობა არ არის ფართოდ მიღებული".

ქალისგან არ ელიან ურთიერთობების დასაწყებად ღია ინიციატივის გამოჩენას. მეტიც, როგორც ზემოთ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, გოგონა მაქსიმალურად მიუწვდომლად უნდა წარმოაჩენდეს თავს. გოგონამ პოტენციურ პარტნიორს რეალური თუ არა ფსევდო მაინც წინააღმდეგობები უნდა შეუქმნას. კლასიკურ შემთხვევაში ბიჭის მხრიდან წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ ხდება შესაძლებელი წყვილს შორის

ურთიერთობის განვითარება. წინააღმდეგობის შექმნაში გოგონას ოჯახიც ეხმარება და უწესებს მას სხვადასხვაგვარ შეზღუდვებს.

“გოგომ დიდხანს უნდა აწვალოს ბიჭი. ადევნინოს თავი”.

„თვეებია საჭირო რომ ბიჭმა გოგოსთან სექსუალური ურთიერთობა მოახერხოს“.

რესპონდენტების საუბრიდან ჩანს, რომ ქალი სისპეტაკის, ემპათიისა და სათნოების სიმბოლოა. ეს ელემენტი ქართული ეთნიკური იდენტობის მნიშვნელოვან დისკურსსა და ნიშნეულ სიმბოლოს წარმოადგენს. ქალთა სექსუალობის შეზღუდვის თაობაზე მსგავსი მონაცემები იქნა მიღებული უკანასკნელ წლებში განხორციელებული არაერთი კვლევის შედეგად. ქალს ინდივიდუალური სექსუალობის გამოვლენის საშუალება არ ეძლევა და მისი გამოხატვისა თუ თვითრეალიზების ტრადიციული ფორმები სრულიად დაცლილია სექსუალური კომპონენტისაგან (Kristesashvili, Surmanidze, Tsuladze, Shengelia, & Zardiashvili, 2009) (სურმანიძე, 1998).

თანამედროვე გლობალიზაციისა პირობებში ეთნიკური ქართული იდენტობისთვის საკვანძო მნიშვნელობას იძენს არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების უკუგდება. გამოკითხული პირების საუბრის თანახმად, ეს უკანასკნელი ქართულ ეთნიკურ იდენტობასთან მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდის. ამ საკითხზე კონსენსუსი ქართველად იდენტიფიცირების ერთ-ერთი პირობაა. საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმის შემთხვევაში მოქალაქე შესაძლოა გარშემომყოფების მხრიდან მისი ქართული იდენტობის ეჭვქვეშ დაყენების წინაშე აღმოჩნდეს. თუმცა, მხოლოდ ეს ფაქტორი განცალკევებით არ არის გადამწყვეტი.

საინტერესოა, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე დასავლური სოციოპოლიტიკური დისკურსის პროპაგანდირება აქტიურად ხდება საქართველოში. ქვეყნის ხელისუფლების მიერ განცხადებული პროდასავლური კურსის ფონზე ფართო საზოგადოებაში მატულობს შიში, რომ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პირობებში ფართოდ გავრცელდება არატრადიციული ურთიერთობები და

‘დაიკარგება ქართველობა’. აღნიშნული შიში აძლიერებს ნეგატიურ დამოკიდებულებას და ტრადიციული სექსუალური იდენტობისადმი კუთვნილების მნიშვნელობას ეთნიკური ქართული იდენტობის მქონე მთლიანპიროვნული სელფის ფუნქციონირებისათვის. იქმნება გარეგანი მტრის მითოლოგიური ხატი, რომელიც შინაგან შეჭიდულობას აძლიერებს.

შევნიშნავ, რომ უმცირესობებისადმი მგრძნობელობის განსაკუთრებული ზრდა მოხდა უკანასკნელ წლებში. უახლოესი ისტორიის მანძილზე არ მოიძებნებოდა ფაქტები ამ მიმართულებით არსებული საჯარო საპროტესტო მოძრაობების შესახებ. ეს ფაქტიც ადასტურებს, იმას, რომ ამ პროცესს თანამედროვე გლობალისტური ინტეგრაციის თანმდევი შიშები ასტიმულირებს.

საგულისხმოა, რომ ტრადიციული სექსუალური ურთიერთობის თემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე. ქალთა შორის არატრადიციული სექსუალური ურთიერთობები არ იწვევს იმდენად დიდ აგრესიას. ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ გვარისა და იდენტობის გადაცემა ხდება მამის ვინაობის მიხედვით.

სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული შეზღუდვების დარღვევა ცხადდება გარყვნილებად და ისჯება საზოგადოების მხრიდან. სასჯელი შესაძლოა მოიცავდეს სუბიექტთან გაუცხოებით.

რელიგია - მართლმადიდებლობა=ქართველობას?

მონაცემების მიხედვით, ქართული ეთნოსის წარმომადგენლებისათვის მართლმადიდებლური ქრისტიანობა დომინანტურ რელიგიურ ინსტიტუტს წარმოადგენს. უკანასკნელი წლების მანძილზე განხორციელებულ გამოკითხვების თანახმად საქართველოს მოსახლეობის ოთხმოც პროცენტზე მეტი მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს (CRRC, 2014).

მართლმადიდებლური ქრისტიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ ეთნიკურ იდენტობასთან. ეთნიკური ქართველობის ერთ-ერთ ყველაზე სახიერ ნიშანს სწორედ მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიისადმი კუთვნილება წარმოადგენს. რესპონდენტთა თქმით, მართლმადიდებლობა არ გულისხმობს ქართველობას, თუმცა, პოპულარული დისკურსის მიხედვით, ქართველობა თითქმის ავტომატურად გულისხმობს მართლმადიდებელ ქრისტიანობას. ანუ, თუ ადამიანი ქართველია, არსებობს მოლოდინი, რომ ის მართლმადიდებელი ქრისტიანი იქნება.

"თუ გინდა, რომ საქართველოში გადაჯიშებული ქართველი არ დაგიძახონ და ევროპამ დაღუპა არ გითხრან - ძალიან მორწმუნე უნდა იყო".

"ბევრისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქართველი თუ ხარ მართლმადიდებელი უნდა იყო".

რაოდენობრივი გამოკითხვები აჩვენებს წყარო, რომ საქართველოში რელიგიის მნიშვნელობა და როლი ბოლო 10-15 წლის მანძილზე განუხრელად იზრდებოდა. მანამდე, დამოუკიდებლობის პირველ წლებსა და საბჭოთა კავშირის ოკუპაციურ რეჟიმში ცხოვრების პირობებში საზოგადოება მეტწილად ათეისტური იყო. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირში რელიგიების არსებობა კანონით გახლდათ აკრძალული.

რელიგიის დიდი მნიშვნელობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი მისი დიდი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ დისკურსის არსებობაა. მოსახლეობა საქართველოს ისტორიის სწავლისას ეცნობა ქრისტიანობის დასაცავად გამართული უამრავი ბრძოლისა და თავგანწირვის მაგალითებს. საქართველოს ისტორიული განვითარების უმეტესი პერიოდის მანძილზე განსხვავებული კულტურისა და რელიგიის მატარებელი ხალხები და იმპერიები ესაზღვრებოდნენ. მათთან ბრძოლის პროცესში საკუთარი რელიგიის შენარჩუნება ქართველებისთვის ზოგად-ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას

უტოლდებოდა. ასეთია საქართველოში მიღებული ზოგად ისტორიული დისკურსი - რელიგია კი მისი განუყოფელი კომპონენტია.

"მართლმადიდებლობა არის ქართველობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, ისეთი როგორიც უნდა იყოს ქართველი.. ისტორიასთანაც არის ძალიან დაკავშირებული…"

"თვითონ რომ ამბობენ რა თქმა უნდა... რელიგიამ ძალიან დიდი როლი ითამაშა... ჩვენი რელიგია ისეთია, რომ სტატუს-ქვო არის გარეთ, ღმერთის ნებაა... ღმერთის ნებაა ყველაფერი..."

"ქართველების უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ისტორია ქვეყნისა გადაჯაჭვულია მართლმადიდებლობასთან. თვითმყოფადობის დასამტკიცებლად".

ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს რეალურ ისტორიასთან და არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის გამოგონილია. თუმცა, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ სელფის ფორმირებისთვის გადამწყვეტ როლს ადამიანების მიერ ისტორიული ფაქტების მოდერნულ რეალობაში განხორციელებული ინტერპრეტაცია ასრულებს და არა თავად ფაქტი. ინდივიდების მიერ განსხვავებული გადააზრების შემთხვევაში იგივე ფაქტებს შესაძლოა სულ სხვა მნიშვნელობა მინიჭებოდა.

ვფიქრობ, ნათელია, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლების სამინისტროს მიერ წარმოებული პოლიტიკა, რომელიც ისტორიის სახელმძღვანელოში მოცემულ აქცენტებზე ახდენს გავლენას. მოსახლეობის განწყობებზე სკოლაში მიღებული ინფორმაცია დიდ გავლენას ახდენს. ვხედავთ როჯერს ბრუბეიკერის იდეების დადასტურებას (Brubaker, 2006), ვინც ეთნიკური იდენტობის ფორმირების პროცესში ცალკეული ჯგუფების (ელიტების) მოთამაშეების ინტერესების მნიშვნელობაზე მიუთითებდა. თუმცა, აქაც ისევე, როგორც თეორიული განხილვის დროს ვთქვით, ჩანს რომ ეს ფაქტორი მხოლოდ ერთ-ერთია სხვა ფაქტორებთან ერთად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხომ, რეალური ისტორიული ფაქტები და სხვა ეთნიკურ იდენტობაზე

მოქმედი უამრავი ფაქტორი გვაქვს, რომელსაც ზემოთაც და ქვემოთაც ვრცლად განვიხილავთ.

ვხედავთ, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანობისადმი კუთვნილება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თუ ადამიანი მისგან დისტანცირებას მოახდენს, შესაძლოა დადგეს 'ქართველობის დაკარგვის' საშიშროება. ამ შემთხვევაში, ერთის მხრივ, საზოგადოების მხრიდან ადამიანის ქართველად აღქმა დგება ეჭვქვეშ. მეორეს მხრივ, მას თავად უმცირდება ეთნიკურ ქართველთა სოციოკულტურულ სივრცესთან იდენტიფიკაციის ხარისხი. ამ მიმართულებით უფრო მკაცრად და კონკრეტულად შეუძლებელია საუბარი, რადგან იდენტობის შეძენა ან დაკარგვა არ წარმოადგენს მექანიკურ პროცესს, რომელიც უცებ შეიძლება გაჩნდეს ან გაქრეს.

"საქართველოში მნიშვნელოვანია. იგივე რელიგიის წარმომადგენელი ხარ ვისაც ელაპარაკები მათიანი ხარ თუ არადა მტერი ხარ რა".

"არ ვიცი რომელია პირველი, რომელი მეორე არ ვიცი... ერთმანეთის გაგრძელებაა... რამის ერთმანეთზე დაიყვანება, ქართველი ნიშნავს მართლმადიდებელს...რამის მაქამდეა მისული..."

"ფაქტიურად ესეა. მეგობრებს რომ ვხვდებით კონფლიქტები გვაქვს და აღარც ვხვდებით ხოლმე უკვე. იმიტომ რომ მე ჩემი აზრი მაქვს და არ ვმალავ ამ აზრს, ისინი ამას არ ეთანხმებიან და ჩემი ქართველად აღქმა დაზიანებულია... იმის გამო რომ მე არ ვცხოვრობ რელიგიური ცხოვრებით და ვარ ათეისტი. ჩემი აღქმა არც ჩემი ოჯახისას ეთანხმება და არც ნაცნობების აღქმას..."

მართლმადიდებლური რელიგიური ეკლესიის წარმომადგენლები მათი მრევლის წევრთა ნაწილის (ზუსტი ოდენობის თქმა შეუძლებელია თვისებრივი კვლევის საშუალებით) ცხოვრებაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ. აძლევენ რჩევებს კონკრეტული ცხოვრებისეული საკითხების გადასაწყვეტად. მაგალითად, სოციალური ურთიერთობები,

ოჯახური საკითხები, სექსუალური საკითხები, პარტნიორის შერჩევა, სამსახურთან დაკავშირებული საკითხები და ა. შ.

“ზღვაში ჩასვლასაც მღვდელს ეკითხება...”

“უმეტესობამ არ იცის, არ აქვთ წაკითხული... ბრმად ასრულებენ ქადაგებებს... დედაჩემმა თქვა თვითონ მამამ თქვაო, რომ ყველაფერზე ნუ მირეკავთო... ხალხი ურეკავს, რომ წყალი დავლიოთო თუ არა... კურთხევას რომ სთხოვენ რაღაც სისულელეებზე...”

“გავლენას ახდენს ოჯახის შექმნაზე... ოჯახის შექმნას როცა აპირებენ, რა თქმა უდნა მართლმადიდებელი იყოს... მრევლს შორის ძალიან ხშირად ხდება ქორწინება...”

თუმცა, მიღებული მონაცემების თანახმად ჩანს, რომ საზოგადოების მნიშნელოვანი ნაწილისათვის მართლმადიდებლური ეკლესიისადმი კუთვნილება წმიდად დეკლარაციული ხასიათისაა და ხასიათდება მინიმალური ემოციური დატვირთულობით. ისინი მხოლოდ გარეგნულად ადასტურებენ და ავლენენ კუთვნილების ფაქტს. საქართველოში ეს საკუთარი ეთნიკური იდენტობის/კუთვნილების რეპრეზენტაციის ერთ-ერთი ყველაზე სახიერი საშუალებაა. ეკლესიისადმი ლოიალობის დეკლარირება ‘ქართველობის’ დადასტურებაა. ეს არანაირად არ იძლევა ინფორმაციას პირის რელიგიურობის ხარისხის შესახებ და ის რეალურად შესაძლოა ათეისტიც კი იყოს.

„ჩვევაა. მაგალითად ჩვევაა, რომ ეკლესიას რომ დაინახავ პირჯვარი გადაიწერო. მეტი როლი ამას არა აქვს. ადამიანი ამ დროს არ ფიქრობს...“

“რელიგია წარმართობას ჰგავს. მხოლოდ რიტუალებია. არ არის გააზრებული”.

“რელიგია მნიშვნელოვანია. საქართველოში არის სხვა რელიგია, რაღაცა განსხვავებული. გარეგნულ გამოხატვამდეა არის დასული რელიგია. მექანიკურად

გაკეთებული რაღაცები. ეკლესიასთან რომ გაივლი და პირჯვარს გადაიწერ, აქამდე არის დასული რელიგია.... საქმით სხვას აკეთებენ...”

“რელიგიურობა აიღე, ეს არ არის რელიგიური დოგმებიდან გამომდინარე. ტრადიციის გამო არიან რელიგიაში, თორემ შეგნებულად არა მგონია ვინმე იყოს... ჩემი მეგობარი იმიტომ მიდის ზიარებაზე, რომ კარგ გოგოდ გამოჩნდეს...”

ვხედავთ, რომ აქაც ვლინდება კონფორმული ქცევა და ტენდენცია ჰომოგენურობისკენ. აქვე გავიხსენებთ ზემოთ განხილულ მაგალითს საკუთარ სამრევლოს და მოძღვრის მაქსიმალურად მომგებიანი კუთხით წარმოჩენის მცდელობების შესახებ, რაც მცირე ჯგუფთა კონკურენციის არსებობაზე მიუთითებს.

„ადამიანებს ფული არ აქვთ და ეკლესიას სწირავენ. ჩემ ნათესავებს საჭმლის ფული არა აქვთ, მაგრამ ფული აუგროვეს და მამაოს მანქანა უყიდეს“.

უკანასკნელი გამოკითხვებით რესპონდენტთა მხოლოდ 20-21 პროცენტი მარხულობს რეგულარულად (CRRC, 2014). ეს ფაქტი მიუთითებს, რომ საქართველოში მცხოვრებ მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის რელიგიურობის ხარისხი მეტწილად ზედაპირულია.

დავამატებ, რომ საეკლესიო დღესასწაულები საჯარო ზეიმების მოწყობის გავრცელებული საშუალებაა. ეს ადამიანებს ხელს უწყობს კომუნიკაციასა და ტრადიციული რიტუალების შესრულებაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ემიგრაციაში მყოფი ადამიანებისთვის, ვისთვისაც ადგილობრივ ეკლესიაში მისვლა ქართველებთან შეხვედრის ერთადერთი საშუალებაა.

“თან როგორ არის იცი, არის თავშეყრის ადგილი, კვირას რომ მიხვალ იცი რომ იქ ქართველებს ნახავ... იქ რო ხალხს რო ნახავ და მოიკითხავ... ვინც ახალი ჩამოსულია, პრობლემები აქვს ინფორმაცია მიიღოს სხვებისგან, საინფორმაციო

საშუალებაცაა... მშობლებს მოჰყავთ შვილები რომ აზიარონ ყოველ კვირას... რა ვიცი... ☺"

ვფიქრობ, რელიგია სრულად ინტეგრირებულია ქართულ სოციოკულტურულ სამყაროში და მის კანონებს არის მორგებული. რელიგია მიუხედავად მისი მოჩვენებით დიდი მნიშვნელობისა მხოლოდ ის ერთ-ერთი არხია, რომელშიც ვლინდება ქართული ეთნოსისათვის მახასიათებელი პროცესები. რელიგია როგორც ნიშანი უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე (რე)ინტეგრირდა არსებულ სელფში და მისი განვითარების ზოგადი კონტექსტისათვის მახასიათებელ კანონზომიერებებთან შესაბამისობაში ვითარდება. სელფი კი თავის მხრივ სხვა უამრავი შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორის არსებობის კონტექსტში ვითარდება. საქმე გვაქვს რთულ და ნაკლებად პროგნოზირებად პროცესთან. ვფიქრობ, თეორიულად რომ წარმოვიდგინოთ, რომ არ არსებულიყო ტრადიციული რელიგია, ქართული ეთნიკური იდენტობა მაინც საკუთარ ზოგად საარსებო ჩარჩოში განაგრძობდა არსებობას იმ სახით, რა სახითაც ეს ახლა ხდება და იმ ფუნქციას რასაც ახლა რელიგია ასრულებს რომელიმე სხვა კულტურული კომპონენტი შეასრულებდა.

რელიგიის პირობით მნიშვნელობას ადასტურებს ეთნიკურად ქართველი, მაგრამ მუსლიმი ქართველების არსებობის ფაქტი. ამ საკითხზე ზემოთ უკვე შევეხეთ. ვხედავთ, მიუხედავად რელიგიის დიდ მნიშვნელობისა, ეთნიკური იდენტობის იდენტიფიკაციის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ნიშნეული ქცევითი სტრატეგიების მიმართ ლოიალობის დეკლარირებას აქვს.

აქ შეგვიძლია გავიხსენოთ რელიგიის თაობაზე არსებული კლასიკური შეხედულება, რომლის მიხედვითაც მისი როლი იზრდება იქ სადაც საერო ინსტიტუტები ვერ ასრულებენ მის ფუნქციებს. ამ ჰიპოთეზა ამ არ იმუშავა მრავალ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობის მიუხედავად დიდია რელიგიური ინსტიტუტების მნიშვნელობა. მაგალითად, აშშ-სა, იტალიასა და ესპანეთში (Norris & Inglehart, 2004). თუმცა, ეს ჰიპოთეზა საკმაოდ რეალისტურად გამოიყურება საქართველოში, რადგან

სახეზე გვაქვს ჩამოუყალიბებელი ჯანდაცვის სისტემა, ეკონომიკური პრობლემები და უმუშევრობის მაღალი დონე. გიგანტურ ბირთვულ სახელმწიფოსთან გამართულია რამოდენიმე ომი და მუდმივად არსებობს ახალი კონფრონტაციის გაღვივების საშიშროება. ამ პირობებში, რელიგიური ინსტიტუტი არსებული ვითარებიდან ირაციონალურ გამოსავალსა და თავშესაფარს სთავაზობს მოქალაქეებს. ამგვარი მიდგომა არ არის უშუალოდ კავშირში ეთნიკური იდენტობის საკითხთან, თუმცა, ვითარების უფრო სრულად აღქმის საშუალებას იძლევა კონტექსტში.

უშინაარსო ტრადიციულობა

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ქართველები მეტყველებისას და მოქმედებისას ხშირად აკეთებენ აქცენტს ტრადიციების დაცვის აუცილებლობაზე. თუმცა, მათ რეალურად ძალიან უჭირთ წარსულის შესახებ საუბარი. რეფლექსიის მცდელობისას ირკვევა, რომ მათ არა აქვთ წინაპართა ყოფითი ცხოვრების შესახებ რაციონალური მსჯელობისათვის საკმარისი ინფორმაცია.

მკაფიოდ გამოკვეთილ ნიშნეულ ტრადიციას მხოლოდ ზემოთ განხილული სექსუალური ტაბუ და რელიგიური კუთვნილება წარმოადგენენ. რესპონდენტთა საუბრიდან ირკვევა, რომ ეს ღირებულებები ტრადიციულად ითვლება. თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ მთათუშეთსა და ხევსურეთში მეოცე საუკუნემდე არსებული წაწლობის ტრადიციულ რიტუალებს, მაშინ ნათელი ხდება დღეს არსებული წარმოდგენების ისტორიულ რეალობასთან შეუსაბამობა. წაწლობა გულისხმობდა ღიად ეროტიკულ პრაქტიკებს ახალგაზრდებს შორის. სახეზე გვქონდა სექსუალური ცხოვრების საკმაოდ გახსნილი და მდიდარი კულტურა, რომელიც თავისუფალი იყო ფსევდომორალური აკრძალვებისაგან წყარო. ქართულ ფოლკლორში უხვად მოიძებნება უწმაწური კაფიები, გამოთქმები და ლექსები წყარო. აქვე დავამატებთ, რომ სვანეთში (მაღალმთიანი ქართულ რეგიონი) არსებულ სექსუალურ პრაქტიკებთან დაკავშირებულ ადრეულ რიტუალებსა და აღმოჩენილ სიმბოლოებს ნათელი ხდება, რომ ადრეული ქართველებს საკმაოდ გახსნილი

კომუნიკაცია ჰქონდათ სექსუალური ურთიერთობის თაობაზე წყარო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ფაქტები თანამედროვე წარმოდგენებს ეწინააღმდეგება. სახეზე გვაქვს უფრო არაცნობიერში განდევნილი ჰედონისტური წარსული და რეპრესიული თანამედროვე რეალობა. ვფიქრობ, ცალსახაა, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საბჭოთა რეპრესიული იმპერიის ჩარჩოებში შეიქმნა ფსევდომორალური ღირებულებები, რომლებსაც მეტი ლეგიტიმაციისათვის ტრადიციულობა მიეწერა. იძულებული ვხდებით კვლავ გავიხსენოთ ჰობსბაუმის თეორია გამოგონილი 'ტრადიციების შესახებ' (Hobsbawm & Ranger, 1983).

ზოგადად, რესპონდენტები ამბობენ, რომ ეთნიკური ქართველები წარსულზე არიან ორიენტირებულები. ისინი საზრდოობენ წარსულის შესახებ წარმოდგენებით და ამით იკმაყოფილებენ აწმყოში არსებული სირთულეებისა და მომავლის შესახებ შფოთვის გამო არსებულ მენტალურ დისკომფორტს.

"მიბმული ვართ წარსულზე, ისტორიაზე, კულტურაზე, ოჯახზე, არ ვართ დამოუკიდებლები".

"თუნდაც, რელიგია და ზოგადად, ტრადიციები აქ ძალიან მნიშვნელოვანია. რიტუალებისადმი და ტრადიციებისადმი მიჯაჭვულობა".

"ბევრს ვტრაბახობთ. სულ ვიყურებით წარსულისკენ და არა მომავლისკენ".

"ერთ ერთი თვისება რაც არის ქართველების, მგონია რომ უარყოფითი, რაღაცა კედელი არის წვრილმანი თუ მსხვილმანი ახლის მიმართ. შეჩვეული ჭირი გვირჩევნია შეუჩვეველ ლხინს. სულ უკან ვიყურებით და გარშემოც კი არ ვუყურებთ".

ერთადერთი კლასიკური და კონკრეტული ტრადიციული ქცევის წესი, რომლის არსებობის შესახებაც რესპონდენტები მიუთითებენ - უფროსების პატივისცემაა. თუმცა, იქვე აღნიშნავენ, რომ ეს ღირებულება სწრაფი ტემპებით იკარგება.

“ერთი უფროს-უმცროსობა იყო და ეგეც იკარგება...“

თუმცა, შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ დასავლურმა კულტურებმაც გაიარეს (მსგავსი) გზა მეტი კომუნიტარიანობიდან ინდივიდუალიზმამდე წყარო (Fromm, 1994). ამიტომ, რთულია ამ პროცესის სპეციფიურობაზე საუბარი. პირიქით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში საქართველოში ვხედავთ ევროპული რელიგიური რეფორმაციის და კაპიტალისტური ეკონომიკისათვის განვითარებისათვის დამახასიათებელი ცალკეულ ელემენტებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საკითხი არ არის გადამწყვეტი ჩემი კვლევის უმთავრესი ამოცანებისათვის და ამდენად, ამ მიმართულებით მსჯელობას აქ შევაჩერებთ.

გარდაცვალებულთა და წინაპართა განსაკუთრებული პატივისცემა

რესპონდენტთა ნახევარი საუბრობს ეთნიკურ ქართველთა მიერ წინაპართა და გარდაცვლილთა მიმართ გამოვლენილი განსაკუთრებული პატივისცემის შესახებ. ეს გამოიხატება გარდაცვალებულთა მოსახსენიებლად გამართულ რეგულარულ რიტუალებში მონაწილეობაში.

“იგივე ეხება ქელეხსაც, ოჯახში არ იღუპება ადამიანი, მთელ სანაცნობოში იღუპება...სანათესაოში... დიდ სამეგობროში იკარგება ადამიანი”.

“ქელეხი... ეს რის ყველზე გამოკვეთილი, რაც გამოავლენს ჩვენს დამოკიდებულებას... დატირებები, ჩანს ადამიანისადმი დამოკიდებულება, გარდაცვალებულის პატივისცემა. ძალიან კარგად ჩანს...”

ამ ტრადიციის დარღვევა იწვევს საზოგადოების მხრიდან განკიცხვას. თუმცა, ეს განსჯა არ არის იმდენად ძლიერი, რომ ადამიანის ეთნიკური იდენტობა დადგეს ეჭვქვეშ. ამდენად, ეს საკითხი მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტია ჩვენი საკვლევი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც ძირითადად ეთნიკური იდენტობის მაიდენტიფიცირებელი ნიშნების დადგენას ისახავს მიზნად.

ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული ყოფითი რიტუალები და აქტუალური ჩვეულებები

რესპონდენტებთან საუბრის პროცესში ხდებოდა იმ ტრადიციული ჩვეულებებისა და რეპროდუცირებადი (მეტ-ნაკლები სიხშირით განმეორებადი) რიტუალებისა და მოქმედებების განხილვა, რომელიც უშუალოდ ეთნიკურ ქართველობასთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანი ყოფითი რიტუალების იდენტიფიკაცია ხდებოდა სპონტანურად. ინტერვიუერი, აქაც, ისევე როგორც ყველა საკითხთან მიმართებაში მაქსიმალურად ღიად სვამდა საკითხს. აღნიშნული თემის განხილვა მიზნად ისახავდა ეთნიკურ ქართველთა ყოფითი ცხოვრების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებას და რეალური საარსებო კონტექსტის უფრო სრულად აღქმას.

რეალურად განხორციელებადი მოქმედებების განხილვის საშუალებით შესაძლებელი გახდა ინტერვიუს დროს გამოხატული შეხედულებებისა და განწყობილებების რეალობასთან შესაბამისობის დადგენაც. შესაძლებელია სოციაბილურობის, კონფორმულობისა თუ რაიმე სხვა მიზეზით რესპონდენტებს რაიმე ისეთი ღირებულება გამოეყოთ საუბრისას, რაც რეალურად არ არის მნიშნელოვანი მათი სელფის ფუნქციონირებისათვის. ჩვენი კვლევის ამოცანას კი, სწორედ მოდერნულ რეალობაში აქტუალურად ფუნქციონირებადი ქმედითი დისკურსებისა და მარკერების იდენტიფიკაცია წარმოადგენდა. შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ყოფითი რიტუალების განხილვამ თეორიულად განხილვადი ღირებულებების რეალური სიცოცხლისუნარიანობის დანახვის საშუალება მოგვცა.

უნდა ითქვას, რომ ეთნიკურ იდენტობასთან ასოცირებული ჩვეულებების სპექტრი საკმაოდ მწირი აღმოჩნდა. რესპონდენტებს ძალზედ გაუჭირდათ ისეთი მაგალითების მოყვანა, რაც მათთვის ქართული ეთნიკური ვინაობის მაინდენტიფიცირებლად გამოდგებოდა. ქვემოთ განვიხილავთ გამოვლენის ამ კუთხით ტენდენციებს.

საჯარო თავყრილობები - ეთნიკური იდენტობის რეპრეზენტაცია

რესპონდენტების საუბრიდან ჩანს, რომ ეთნიკურ ქართველობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზით მოწყობილი საჯარო შეკრება/წვეულებების მოწყობის ტრადიცია. ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი საჯარო/კოლექტიური წვეულებები იმართება საყოველთაო საერო/რელიგიური დღესასწაულებისა ან უბრალოდ პირადი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენების აღსანიშნავად. მაგალითად, ახალ წელს, შობას, აღდგომას და ქორწილში.

რელიგიურ დღესასწაულებზე გამართული წვეულებები არაფრით განსხვავდება სხვა შეკრებებისაგან, არც ქცევის მანერით და არც შინაარსით. ეთნიკურ ქართველთა საჯარო შეკრებები თითქმის სრულიად დაცლილია რელიგიური კონოტაციისაგან. მეტიც, სასულიერო პირები თავადვე აქტიურად მონაწილეობენ საჯარო წვეულებებზე და ამ კონტექსტში მათი მოქმედებები დიდად არაფრით განსხვავდება საერო პირებისგან. მღვდელი თავადაც სეკულარული კონტექსტის ნაწილია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ მოყვანილ მტკიცებას იმის შესახებ, რომ რელიგია სოციოკულტურული ტენდენციების შინაარსობრივი უზრუნველყოფისათვის მხოლოდ და მხოლოდ მეორად ფაქტორს არსებული წარმოადგენს. ის ქართული ეთნიკური იდენტობის მატარებელი ადამიანების სელფის მთლიანი კონტექსტის ნაწილია.

გადავიდეთ წვეულებების უფრო კონკრეტულ შინაარსობრივ განხილვაზე. არა აქვს მნიშვნელობა თუ რა მიზეზით იმართება წვეულება - მისი *ტრადიციული* ფორმა მნიშვნელოვანწილად უცვლელია. ეთნიკურ ქართულ იდენტობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული **'სუფრა'**, როგორც წვეულების ქართული ვარიანტი. ეს შეხედულება სპონტანურად (მანამდე სუფრა საერთოდ არ იყო ნახსენები, რესპონდენტებმა ეს თემა თავად წამოწიეს წინ) გამოავლინა ერთის გარდა ყველა რესპონდენტმა. იმ ერთმა მათგანმაც ჩაკითხვის შემდეგ იგივე დაადასტურა.

"სუფრები გვაქვს ხოლმე ქორწილში ძალიან დიდი, უზარმაზარი. საზიარო საკვებია უამრავი, ვსვამთ ტრადიციულ სადღეგრძელოებს…"

"უნდა მივირთვათ მრავალფეროვანი საკვები... დიდი თეფშებით... სადღეგრძელოების ფონზე უნდა გვქონდეს ე. წ. ქეიფი... მუსიკის, სიმღერის, ცეკვის თანხლებით..."

'სუფრა' როგორც ქართველობის სიმბოლო

მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩემი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს სუფრის ფენომენის სრულყოფილი შესწავლა. ამ საკითხს ვეხები იმდენად, რამდენადაც ის არის დაკავშირებული ეთნიკური იდენტობის განსაზღვრის საკითხთან. ჩვენ არ შევუდგებით სუფრის წესების ქრესტომათიულ განხილვას, რადგან ეს ჩვენს ამოცანებს სცილდება. ამ ნაშრომში მოცემული განხილვა ეფუძნება რესპონდენტების მიერ მოწოდებულ მნიშვნელობებსა და მათ მიერ წარმოდგენილ კონტექსტს. შეგვიძლია გამოვავლინოთ მასთან დაკავშირებული დისკურსები და დავინახოთ სუფრის როლი თანამედროვე რეალობაში მცხოვრები ქართველების ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის.

სუფრა აღიქმება სუფთა ქართულ მოვლენად. წვეულების ასეთი ფორმა არ არსებობს რესპონდენტებისათვის ცნობილ არც ერთ სხვა კულტურაში. სუფრა იმართება წინასწარ განსაზღვრული წესების მიხედვით და მის მონაწილეებს მათი დაცვა ევალებათ. სუფრას ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი, რომელსაც 'თამადა' ეწოდება. არსებობს სადღეგრძელოების წარმოთქმის მკაფიოდ განსაზღვრული წესები და თანმიმდევრობა. თანმიმდევრობა განისაზღვრება შინაარსის მიხედვით წყარო.

<u>ვფიქრობ, **სუფრა** ქართული ეთნოსის სოციოკულტურული სივრცის მოდელირებულ რეპრეზენტაციას წარმოადგენს. სადღეგრძელოების შინაარსი შეეხება ქართველთათვის მნიშვნელოვან ღირებულებას. მათი წარმოთქმა არსებული ღირებულებების რეპროდუქციასა და მათ მიმართ ლოიალობის დადასტურებას ემსახურება.</u>

სადღეგრძელოები შეეხება იმ თემებს, რომლებსაც ზემოთ განვიხილავდით: ქვეყანას (საქართველოს) ზოგადად; ოჯახს, მშობლებს, მეუღლეს, დედ-მამიშვილებს; მეგობრობას-მცირე-ჯგუფებს; რელიგიურ თემატიკას (სალოცავები და ა. შ.); წინაპრების პატივისცემას; გარდაცვლილთა პატივისცემას. ასევე, წარმოდგენილია ისეთი უნივერსალური ღირებულებები როგორიცაა სიყვარული და მშვიდობა.

"სამშობლოს სიყვარული, მამა-პაპის დალოცვა, და-ძმების, ოჯახს გაუმარჯოს, ყველას, ყველაფერს, წარსულს, მომავალს, სიყვარულს, გრძნობებს, ისტორიას..."

"ღვინო. ღვინის ტრადიცია. ალბათ ღვინო. ბევრი რამე რაც დაკავშირებულია ღვინოსთან. სუფრა, დაწურვა, ოჯახში დაწურვა, სადღეგრძელოების თანმიმდევრობა. გინდა დაბადებების დღე აიღე, გინდა დაბადება ბავშვის, გარდაცვალება, ქორწილი, მნიშვნელოვანი რაღაცეები ცხოვრებაში"

განცალკევებით წარმოითქმის ქალის სადღეგრძელო. ეს სადღეგრძელო გამოხატავს ქალის, როგორც მეუღლისა და განსაკუთრებით დედის იმ ფუნდამენტურ მნიშვნელობას, რომელიც მას ეთნიკურად ქართველთა კულტურაში აქვს მინიჭებული. ეს ფაქტი ირიბად ადასტურებს დედის/ქალის შესახებ ზემოთ მოცემულ მსჯელობას მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. თუმცა, ვითარება ასე მარტივი და ცალსახა არ არის. ქალის მიმართ ვერბალური ხოტბის შესხმა არ არის აუცილებელი ქცევის რეალურ სტრატეგიას წარმოადგენდეს.

რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალის სადღეგრძელოს დალევა ფიქტიურ ხასიათს ატარებს და ის რეალურ მდგომარეობას არ ავლენს. მათი აზრით, ეს მოვლენა მხოლოდ დეკლარაციაა და ის არ რეალიზდება რეალურ მოქმედებებში. ისინი თვლიან, რომ თანამედროვე ქართულ ეთნოსში ქალის უფლებები სათანადოდ არ არის დაცული. ეს ტენდენცია კიდევ ადასტურებს ქართველთათვის ზემოთ მიწერილ ერთ-ერთ მარკერს, რომელიც გარეგნულ ნიშნების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა. ისევე, როგორც

რელიგიის შემთხვევაში ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს კულტურული ელემენტების მხოლოდ გარეგნულ რეპრეზენტაციასთან და ის არათავსებადია რეალურ მოქმედებებთან.

ვხედავთ, რომ ეთნიკური იდენტობის იდენტიფიკაციისათვის საკმარისია ღირებულებათა გარეგნული დეკლარაცია და სულაც არ არის აუცილებელი ზოგიერთი მათგანის რეალობაში შესრულება. გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებს იმ რიტუალებში მონაწილეობის ფაქტი, რომლებიც საკვანძო ღირებულებებისადმი ლოიალობის გარეგნული დეკლარაციის საშუალებას იძლევა.

ჯგუფისადმი და მისი ფსევდო თუ რეალური ნორმებისადმი ღირებულებებისადმი ლოიალობის გამოვლენის ერთ-ერთ უმთავრეს არხს კი სწორედ სუფრა წარმოადგენს. სუფრა იმართება ყველა საჯარო, მათ შორის რელიგიურ დღესასწაულებზე. როგორც უკვე აღინიშნა რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობა მეორეხარისხოვანია. უმთავრესი მნიშვნელობა აქვს თავად სუფრას, როგორ ქართული სოციოკულტურული სივრცის მოდელირებულ სივრცეს, სადაც ადამიანს ჯგუფისადმი ლოიალობის გამოხატვის საშუალება ეძლევა.

სუფრები იმართება საერთო კოლექტიური დღესასწაულების მიღმაც, ჩვეულებრივ დღეებში. ის გართობისა და კომუნიკაციის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს და შედარებით მცირე მასშტაბების რეგულარულად ხორციელდება. სუფრა ეთნიკურ ქართველთა ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია.

> *„ამას აკეთებენ იმიტომ, რომ თავი იგრძნონ უკეთ. როცა არიან სხვა ადამიანებთან ერთად, თანამოაზრეებთან ერთად, ეს უფრო კომფორტულს და სასიამოვნოს ხდის იმ პროცესს. რომ უფრო კარგად იყოს. სუფრა არ არის მხოლოდ ალკოჰოლის დალევა, აქ სხვადასხვა ბევრი ფაქტორი მოქმედებს, ურთიერთობის საშუალებაა".*

> *"სუფრა არის ძალიან მაგარი. გართობის და სოციალიზების ერთ ერთი საუკეთესო საშუალებაა. ულამაზესია. ბევრისგან, მათ შორის უცხოელისგან გამიგია და მერე*

დავფიქრებულვარ. ნეიტრალურად შევეცადე შემეხედა. უცხოელებისთვის ძალიან განსაკუთრებულია".

"სუფრა არის კომუნიკაციის ერთ ერთი საშუალებაა... თან საჭმელს ჭამ, სასიამოვნო პროცესია... რაღაცას სვამ... თან რაღაცეებს ლაპარაკობ, სასიამოვნოა... ქეიფობ... ეს ამოვარდნილი რაღაცეები რა ვიცი..."

სუფრა არსებობდა საბჭოთა კავშირის დროსაც, როდესაც რელიგიურ თემატიკაზე საუბარი საერთოდ აკრძალული იყო და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ათეისტური მსოფლმხედველობით ცხოვრობდა. ქართველი მთიელები მთელი ისტორიის მანძილზე, მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე ნახევრად წარმართული წეს-ჩვეულებების მიხედვით ცხოვრობდნენ და იქ ფაქტიურად არასდროს ჰქონდათ მიღებული ქრისტიანული წეს-ჩვეულებები - მართლმადიდებლობას იქ კიდევ უფრო მეტად პირობითი და დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა ვიდრე დანარჩენი საქართველოში წყარო. ამასთან, საქართველოში მთელი ისტორიის მანძილზე და ამჟამადაც ცხოვრობენ განსხვავებული რელიგიური ჯგუფები. <u>თუმცა, როგორც მიღებული მონაცემები გვიჩვენებს ამას ხელი არ შეუშლია და არც ახლა უშლის ერთიანი ქართულ ეთნიკურ იდენტობის არსებობას !</u>

<u>სუფრა წარმოადგენს იმ საჯარო საერო კულტურულ ინსტიტუტს, რომელიც წარმოადგენს ერთდროულად ეთნიკური იდენტობის სტატიკურ რეპრეზენტაციასა და მისი რეპროდუცირების ერთ-ერთ უმთავრეს დინამიკურ ინსტრუმენტს.</u>

"ესპანელებს კორიდა აქვთ... ამერიკელებს ბეისბოლი აქვთ... ჩვენთვის თვითრეალიზაციის ერთ ერთი საშუალებაა სუფრა... ადამიანებს იდენტობასაც უნარჩუნებს და თვითპატივისცემასაც..."

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სუფრა ქართულ სოციოკულტურულ სივრცეში ენკულტურაციის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს.

“ქართული სუფრა ყველაფერს... აი, უფროს-უმცროსობა... მოთმინების უნარი, ჩვენ ქართველები ვართ ცოტათი მოუთმენლები... ეს ჩვენს გენეტიკაშია... მაგრამ როცა სუფრაზე დგეხარ ჭიქით ხელში და რიგს ელოდები, რამდენადაც არ უნდა გიჭირდეს უნდა დაელოდო ეს ნებისყოფა... ძნელია ბავშვში ნებისყოფის განვითარება და სუფრა ამას ძალდატანების გარეშე გაძლევს... ასევე, ზნეობის მაგალითს გაძლევს... ქართველი კაცი, მთელს დედამიწაზე... თუ გინახავთ სადმე დედამიწის ზურგზე.... ის რაც ქართველმა კაცმა გაუკეთა ქართველ ქალს, ის ვინმემ გაუკეთა ვინმეს? ჩვენ კოლხი მედეას დავუდგით ძეგლი.... რა გააკეთა და აპატიეს, იმიტომ რომ სიყვარულისთვის გააკეთა... ეს არსად არ არის...”

სუფრაზე ერთად დასწრების ფაქტი საერთო იდენტობის სიმბოლოა. ეთნიკურ ქართველთა შორის გავრცელებულია ფრაზები: „მასთან დალეული მაქვს სუფრაზე, ესე იგი კარგი კაცია“; „ეგ არ არის ქართველი, მაგასთან მე არ დავჯდები სუფრაზე არასოდეს“ და ა. შ. ცხადია ეს ფრაზები არ ახდენს აბსოლუტურ გავლენას მოქმედებებზე, თუმცა, გამოხატავს ზოგად განწყობილებას და ამყარებს წარმოდგენას სუფრის დიდი მნიშვნელობის შესახებ.

ყველა რესპონდენტი საუბრობს სუფრის კლასიკური ვარიანტის დეგრადაციის შესახებ. ისინი ამბობენ, რომ სუფრები აღარ იმართება ისეთ მაღალ დონეზე, როგორც ეს ადრე ხდებოდა. თუმცა, ამის მიუხედავად სუფრა ძალიან აქტიურად აგრძელებს სიცოცხლეს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი მიმდინარეობასთან დაკავშირებული ცვლილებები მხოლოდ პარტიკულარისტულ ხასიათს ატარებს და არ ცვლის მის კონფიგურაციას მთლიანობაში.

“აქაც მაქვს ხანდახან სუფრა. საერთოდ რომ გაქრეს არ მინდა. დამახინჯებული უნდა გაქრეს. მინდა, რომ რაღაცა ფორმით შენარჩუნდეს. ჩემთვის არ არის ხელწამოსაკრავი თემა. იმ სუფრაზე პატარა სადღეგრძელოც მომწონს, პატარა

საჭმელიც მომწონს... ერთად ჯდომაც და არა დგომა, მომწონს... რაღაცეები ძალიან მომწონს, მაგრამ დიდი-დიდი ღრეობები არ მომწონს საშინლად…"

<u>სუფრა მასში მონაწილე ქართველებს საკუთარი თავის გამოვლენის (მათ შორის ეპატაჟური მოქმედებების) საშუალებას აძლევს. ანუ ფაქტიურად, სუფრაზე ხდება ქართული იდენტობის სახიერი რეპროდუცირება.</u>

"ჩვენ ვცდილობთ იმაზე სწრაფები ვიყოთ, ვიდრე ეს მიზანშეწონილია. ქართულ სუფრაზე გერმანულად არის დისერტაცია დაწერილი. ძალიან საკითხია. ქართულად არა. ქართველებს არც ჰქონიათ სურვილი, რომ აღეწერათ. ქართული სუფრა არის ის რაც უნდა შევინარჩუნოთ. რატომ დამყავს მე შვილი ცეკვაზე? ვეუბნები რომ გამოგადგება. მე იმისგან მოცეკვავე რომ გამოვიდეს სულ არ მინდა. ე. წ. კოდი ქართული, რომ შვილმა შეიძლება გამოიყენოს ქორწილში, ქეიფის დროს, ის სცენაზე ავა და ყველა დაინახავს. ქართული სუფრა არის ის, რომ, ჩვენი თავის, სურვილები, იდენტობა გამოვამჟღავნოთ. თამადაც ძალიან მნიშვნელოვანია, ის წარმართავს. თუმცა შემდეგ ყველა ცდილობს, რომ თავად თქვას სადღეგრძელო. შენ ჭიქაში შენ ხარ თამადა. ყველას აქვს საშუალება თავი გამოიჩინოს. ალბათ ეს არის ქართული სუფრა".

საინტერესოა ისიც, რომ რესპონდენტებს უჭირთ სუფრის ისტორიის შესახებ საუბარი და მათი რეტროსპექტული ანალიზი მხოლოდ ბებია-ბაბუების თაობის მიერ განხორციელებადი მოქმედებების შესახებ არსებული ინფორმაციის შემოიფარგლება. უსიტყვოდ, გაუცნობიერებლად არსებობს განცდა, თითქოს სუფრა ყოველთვის არსებობდა. მათ დიდად არც აწუხებთ ის საკითხი, თუ როდის გაჩნდა და მისი არსებობის მანძილზე რა გზა გაიარა სუფრამ. ეს საკითხი არ არის მნიშვნელოვანი ქართული ეთნიკური იდენტობის თანამედროვე რეალობაში ფუნქციონირებისათვის.

ერთი რამ არის ცალსახა, სუფრა ეთნიკური ქართული იდენტობის ერთ-ერთი ყველაზე სახიერი სიმბოლოა და ის განაგრძობს არსებობას და განვითარებას.

ეთნიკური იდენტობის პროექცია - მითები, ზღაპრები და ლეგენდები

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ პროექციული კითხვები. რესპონდენტებს ვთხოვდი მოეთხროთ ისეთი ისტორიები, რომლებიც ქართული იდენტობისა და ქართველთა ხასიათის მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს მოიცავდა. მათ სრული თავისუფლება ჰქონდათ და შეეძლოთ მოეთხროთ ნებისმიერი რეალური თუ გამოგონილი ისტორია. ერთადერთ მოთხოვნას ნარატივის ეთნიკური ქართველობის იდეასთან ასოცირება წარმოადგენდა. მონაცემების მიხედვით ქართულ ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული ერთი ზღაპარი და ერთი ლეგენდა გამოიკვეთა.

ნაცარქექია

რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი ქართულ ეთნიკურ იდენტობასთან ზღაპარ ნაცარქექიას აკავშირებს. აღნიშნული ზღაპარი ისწავლება ოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იბეჭდება ზღაპრების კრებულთა უმრავლესობაში და მისი გავრცელება უზრუნველყოფილია ინფორმაციის გავრცელების მასობრივი საშუალებებით. ამ ზღაპრის მნიშვნელობა ოფიციალურად არის აღიარებული.

'ნაცარქექიას' მთავარ გმირს ფიზიკურად სუსტი და ზარმაცი პერსონაჟი წარმოადგენს, რომელიც საკუთარი ეშმაკობისა და გონებამახვილობის წყალობით ძლევამოსილ დევს ამარცხებს. ზღაპრის მთავარი გმირი საქართველოს სიმბოლოს წარმოადგენს, რომელსაც მთელი მისი ისტორიის მანძილზე უწევდა თვითგადარჩენისთვის ბრძოლა მსოფლიო იმპერიების წინააღმდეგ. ისევ მივუბრუნდები საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებს, სადაც საქართველო წარმოდგენილია იმპერიათა დაპყრობითი ომების მსხვერპლად წყარო.

ვხედავთ, რომ რესპონდენტთა შორის გავრცელებულია დისკურსი ერთის მხრივ საქართველოს მსხვერპლობის შესახებ. ანუ, ის წარმოდგენილია როგორც სუსტი არსება, რომელსაც მუდმივად შეუდარებლად უფრო ძლიერი ქვეყნები ესხმიან თავს. ეს დისკურსი ნაწილობრივ არ შეესაბამება რეალობას, რადგან თუ ისტორიულ რუქებს გადავავლებთ

თვალს აღმოვაჩენთ, რომ ანტიკურ თუ შუა საუკუნეებში ქართული ხალხების გავრცელების არეალი და ერთიანი სახელმწიფოს ტერიტორია დღევანდელი საფრანგეთისა და გერმანიის თანაზომადია. საქმე გვაქვს ისტორიული რეალობის როგორც მინიმუმ სუბიექტურ ინტერპრეტაციასთან ან სულაც გამოგონილ დისკურსთან, რომელიც თანამედროვე საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობის გასამართლებლად არის გამოგონილი და მუშაობს, როგორც ფსიქოანალიტიკური დაცვის მექანიზმი (Bock, 1999).

ნაცარქექიის მითი კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. ამ ზღაპრის მთავარი გმირი ავლენს გამაოგნებელ მოხერხებას. ის წარმოჩინდება, როგორც განსაკუთრებული უნარების მქონე პირი. ვფიქრობ, აქ გვაქვს მინიშნება საკუთარი თავის განსაკუთრებულად აღქმისაკენ. რესპონდენტები ამ ზღაპრის ქართული იდენტობის სიმბოლოდ მითითებით ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად მიანიშნებენ, რომ ქართული ეთნოსი განსაკუთრებულად მოხერხებულია. განსაკუთრებულობისკენ მითითება აქ არ სრულდება. ამ თემას გავაგრძელებთ მეორე, უფრო დომინანტური პროექციული ისტორიის განხილვისასაც.

აღნიშნული მონაცემები უკანასკნელ წლებში განხორციელებული ფსიქოსემანტიკური კვლევებითაც დასტურდება (სურმანიძე, 2011). მოხერხებულობის მაღალი ღირებულება ფიქსირებულია ქართულ ფოლკლორში. ფსიქოსემანტიკური კვლევები აჩვენებს, რომ ამ ნიშანთან მიმართებაში გვაქვს ამბივალენტური ემოციური დამოკიდებულება. მოხერხებულობის პოზიტიურად ამ ნეგატიურად აღქმა პიროვნების მიზნებსა და სოციოკულტურულ კონტექსტზეა დამოკიდებული. ასევე, მოხერხებულობის მნიშვნელობა ექსპლიციტურად არის გამოხატული პროფესიულ ქართულ მწერლობაში. კერძოდ, მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და პოპულარულ ქართულ პროზაულ ნაწარმოებში „კვაჭი კვაჭანტირაძე-ში“. ამ ნაწარმოების მთავარი გმირი მოხერხებულობისა და ავანტიურიზმის განსახიერებაა.

ღმერთი და სუფრა

რესპონდენტთა უმრავლესობამ ‘ქართველობის’ საუკეთესო ილუსტრაციად სამყაროს წარმოშობასთან დაკავშირებული ლეგენდა წარმოადგინა. მინდა შევნიშნო, რომ ეს ლეგენდა არ წარმოადგენს ოფიციალურად კანონიზირებულ ნარატივს. ის არ ისწავლება სკოლებში. აღნიშნული ლეგენდა უფრო მხიარული სახალხო თქმულების სახით არსებობს. ჩემი აზრით, ლეგენდის სრულიად არაფორმალური ხასიათი კიდევ უფრო ზრდის მის პროექციულ ღირებულებას. ეს ლეგენდა ავლენს რესპონდენტთა სიღრმისეულ განცდებსა და წარმოდგენებს. მნიშვნელოვანია, რომ ის ირიბად ფსიქიკის არაცნობიერი შინაარსების შესახებ მიუთითებს.

ლეგენდის მიხედვით სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთმა მსოფლიოს ყველა ხალხი დაიბარა შეხვედრაზე, რათა მათთვის მიწები/ტერიტორიები გაენაწილებინა. შეხვედრაზე მივიდა ყველა ხალხი და მათ მიიღეს ის საცხოვრებელი ტერიტორია, სადაც მათ ქვეყნებს უნდა ეარსება. საინტერესოა, რომ ქართველებმა ამ შეხვედრაზე დააგვიანეს და აღმოჩნდნენ ერთდერთი ეთნოსი ვინც მიწის გარეშე დარჩა. ღმერთმა მათ დაგვიანების მიზეზი ჰკითხა. ქართველებმა კი მას უპასუხეს, რომ ისინი სუფრაზე ქეიფობდნენ და შეხვედრაზე იმიტომ დააგვიანეს, რომ ღმერთის სადღეგრძელოს სვამდნენ. ეს ისტორია საბოლოოდ იმით სრულდება, რომ ღმერთი ქართველებს საკუთარი თავისთვის (ღმერთისთვის) შემონახულ დედამიწის საუკეთესო მიწას გამოუყოფს. ლეგენდის მიხედვით, სწორედ ასე მოხვდნენ ქართველები იქ, სადაც ცხოვრობენ. ასე გაჩნდა საქართველო.

ვფიქრობ, რომ ამ ლეგენდის შინაარსი ამყარებს და ავსებს ყველა იმ ინტერპრეტაციას, რომელიც ზემოთ არსებულ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით გამოითქვა. ვხედავთ, რომ სუფრის ‘საკრალური’ მნიშვნელობა პროეცირებულია ლეგენდარულ ისტორიაში - ქართველებმა სუფრაში მონაწილეობის გამო ღმერთთან შეხვედრაზეც კი დააგვიანეს და რამის უმიწაწყლოდ დარჩნენ. ნათლად არის წარმოჩენილი ეთნიკური ქართველების

ერთგვარი დარდიმანდობა, რომელიც ისეთ დონემდეა გაზვიადებული, რომ ისევ გავიმეორებ უმიწაწყლოდ დარჩენის საფრთხეზე უფრო მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი.

აქვე, ღმერთი სადღეგრძელოს წარმოთქმის მომენტი მიუთითებს რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობაზეც. თუმცა, ვერც აქ ვხედავთ მონურ აღტაცებას რელიგიური ღვთაებების მიმართ. პირიქით, იკვეთება სრულიად თანასწორი დამოკიდებულებაა. ერთის მხრივ ისმება სადღეგრძელო, თუმცა, მეორეს მხრივ არ ხდება ღმერთის ბრძანების უსიტყვო შესრულება. თითქოს ღმერთი არსებული თეატრალური სცენის მხოლოდ ერთ-ერთი მონაწილეა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რელიგიური ფაქტორი მხოლოდ არსებული სოციოკულტურული კონტექსტის შემავსებელი ერთ-ერთი ელემენტია. რელიგია ეთნიკურ იდენტობას გასაზღვრავს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შესაბამისობაში მოდის არსებულ კულტურულ კონფიგურაციასთან. საინტერესოა, რომ ქართულ ენაში ღმერთის მიმართ მიმართვას შენობითი, უშალო ფორმა აქვს.

მინდა გამოვყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ლეგენდა მთელი მისი ირონიული ხასიათის მიუხედავად მიუთითებს, რომ ქართველებს აქვთ საკუთარი განსაკუთრებულობის განცდა - ისინი ღმერთმა საკუთარი თავისთვის განკუთვნილ საუკეთესო მიწაზე დაასახლა. <u>აქვე ვხედავთ ქართული კულტურული ჩვეულებების უპირატესობას მთელი დანარჩენი სამყაროს და ღმერთის მიერ შემოთავაზებული წესრიგის მიმართაც.</u> სუფრაზე ქეიფი და ღმერთის სადღეგრძელოს დალევა სრულდება იმით, რომ ღმერთი ურჩ ქართველებს არათუ არ სჯის, არამედ მათ საკუთარ ტერიტორიას გადასცემს.

საკუთარი განსაკუთრებულობის განცდა არ წარმოადგენს რაიმე უნიკალურ მახასიათებელს. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენ მას ვხვდებით ებრაელებთან და სომხებთანაც. თუმცა, ვერ ვიტყვით იმას, რომ ამ ფაქტორის არსებობა აუცილებელია ეთნიკური ჯგუფის არსებობისთვის, რადგან არსებობენ ისეთი ჯგუფებიც, რომლებსაც

მსგავსი პრეტენზია არ გააჩნიათ. მაგალითად, შვეიცარიელებს, ესპანელებს, ბასკებს და ა. შ.

დეზორიენტირებულობა - ანომიური მდგომარეობა

კვლევა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ქართველთა მოქმედებებში პესიმიზმი, დეზორგანიზებულობა ან სულაც სრული პასიურობა შეინიშნება.

"პესიმიზმი გვჭირს. მხიარული პესიმისტები ვართ. როგორ გითხრა..."

"არარეალიზებული ხალხი ვართ".

"ქუჩაში რომ გაღიმებულს გამივლია და უცხო ადამიანის მივსალმებივარ იმიტომ რომ კარგ ხასიათზე ვიყავი და კარგი ამინდი იყო, ისეთი სახით შემოუხედავს, რომ თითქოს რატომღაც არა მაქვს ბედნიერების უფლება..."

ეს ელემენტი წინააღმდეგობაში მოდის ძლიერი კონკურენტული მოქმედებათა ქცევის სტრატეგიის არსებობასთან, რომლის შესახებაც ერთ-ერთ ქვეთავში უკვე ვისაუბრეთ. მეტიც, პასიურობა ირიბად წინააღმდეგობაში მოდის ყველა არსებულ ძირითად ტენდენციასთან, რომლებიც ემოციურობაზე, გახსნილობაზე და ქმედითი საკომუნიკაციო/სამოქმედო გარემოს არსებობაზე მიუთითებდა. ის ეწინააღმდეგება ეთნიკური ქართულ იდენტობასთან დაკავშირებულ ისტორიულ წარმოდგენებსაც, რომლებიც მუდმივ აქტიურობასა და თავგანწირვის მზაობისაკენ მიუთითებენ. დეზორიენტირებულობის შესახებ ინფორმაცია ვერ თანხმდება ასევე იმ რაციონალური თუ პროექციული ნარატივების შინაარსებთანაც, რომლებიც ქართველთა მოხერხებულობაზე მიუთითებს.

ამ ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი ტენდენციებს ლოგიკური ახსნა მოეძებნება თუ ჩვენ მათ კვლევის შედეგად მიღებულ მნიშვნელობათა სრულ კონტექსტში გავაანალიზებთ. ასევე, მნიშვნელოვანია არსებული სოციო-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებაც.

პასიურობისა და ანომიური მდგომარეობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შესაძლოა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ განვლილი ურთულესი პერიოდის ბუნებრივი შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე საქართველოში სოციალისტური ეკონომიკური წყობა შეიცვალა კაპიტალისტურით, დაგეგმარებული ეკონომიკა ჩაანაცვლა თავისუფალმა ბაზარმა, გაიმართა 5 ომი რუსეთთან, ომების შედეგად ქვეყანაში გაჩნდა 500 000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი, ეკონომიკური კრიზისების ფონზე ემიგრაციაში წავიდა მილიონზე მეტი მოქალაქე (მთელი მოსახლეობა 4,5 მილიონია). საქართველოს ტერიტორიის ოც პროცენტზე მეტი დღემდე ოკუპირებული აქვს რუსეთს და დედაქალაქიდან 40 კილომეტრში იმყოფებიან საოკუპაციო ჯარები. უეჭველია, რომ მოსახლეობას ბირთვული იარაღის მქონე გიგანტური სახელწიფოს მხრიდან მომდინარე საფრთხის ფონზე სტრესულ გარემოში უწევს ცხოვრება. პერმანენტულად არსებული კრიზისული სიტუაციები და სამხედრო ინტერვენციები ეკონომიკური სისტემისა და ზოგადად არსებული სათამაშო წესების რადიკალური ცვლილების მშვიდი გააზრების საშუალებას არ აძლევს მოსახლეობას. პერმანენტული კრიზისული სიახლეები იწვევს დაბნეულობას და ასტიმულირებს ანომიას.

საინტერესო იქნება გავითვალისწინოთ უშუალოდ კვლევის პროცესში მიღებული ფაქტორებიც. გავიხსენოთ რესპონდენტების მიერ გამოყოფილი ის ზღაპარი და ლეგენდა, რომლებიც ეთნიკური ქართული იდენტობისათვის არიან ნიშნეული და მოიცავენ მასთან დაკავშირებულ საკვანძო დისკურსებს. ‘ღმერთთან და ქეიფთან’ დაკავშირებულ ლეგენდაში ჩანს თუ როგორ უზრუნველად იქცევიან ქართველები და ამის მიუხედავად პრობლემა მაინც გვარდება. ეს ხდება თავისთავად და ამ კონკრეტული სცენარის მიხედვით საკითხს უშუალოდ ღმერთი წყვეტს. ამოცანის გადაწყვეტა ხდება გარეგანი ძალის გადაწყვეტილებით და არა თავად საზოგადოების მოქმედებით. <u>სახეზე გვაქვს ლოკუსის გარეგანი კონტროლის ნათელი ილუსტრაცია.</u>

ასევე, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული დისკურსი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გავრცელებული დისკურსის მიხედვით საქართველოს ისტორიის მანძილზე მუდმივად დიდი იმპერიების წინააღმდეგ უწევდა ბრძოლა. ქართველები მუდმივად მსხვერპლის როლში არიან წარმოდგენილი, რომლის დაჩაგვრასაც უფრო ძლიერი სახელმწიფოები ცდილობენ. ეს სისუსტე თითქოს ბედისწერაა და მისი შეცვლა შეუძლებელია. აღნიშნული დისკურსის არსებობა ხელს უშლის აქტიურობის გამოჩენას. საინტერესოა, რომ უკანასკნელი რაოდენობრივი გამოკითხვებით ქართველების უმრავლესობა საკუთარ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ძირითად მიზეზს გარემოსა და ბედისწერაში ხედავს და არა საკუთარ თავში (CRRC, 2014). სახეზე გვაქვს გარეგანი ლოკუსის კონტროლი. აშკარაა, რომ მსხვერპლად თვითაღქმა ფსიქიკის ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს.

დავამატებ, რომ აქ ირიბად ასევე საკუთარი განსაკუთრებულობის განცდაც ჩანს. რესპონდენტების თქმით, ქართული ეთნოსის წევრებს აქვთ განცდა, რომ 'რახან აქამდე გადავრჩით', შემდეგშიც გადავრჩებითო. არსებობს მოლოდინი, რომ მოვლენები თავისთავად განვითარდება იმგვარად, რომ ჯგუფი გააგრძელებს არსებობას მიუხედავად წინააღმდეგობისა. ის ფაქტი, რომ სხვა დიდი სახელმწიფოების გაქრობის ფონზე საქართველომ ამდენ ხანს გააგრძელა არსებობა საკუთარი თავის და პოზიტიური ბედისწერის ირაციონალურ რწმენას განაპირობებს.

აქამდე განსაკუთრებულობის განცდის მხოლოდ ირიბი ინდიკატორების შესახებ ვსაუბრობდით. თუმცა, ინტერვიუების დროს ამ განცდის ღიად დეკლარირებაც მოხდა. ამ მიმართულებით საუბარს შემდეგ ქვეთავში გავაგრძელებთ.

განსაკუთრებულობის განცდა - რაციონალური ნარატივი

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ეთნიკურ ქართველებს აქვთ საკუთარი განსაკუთრებულობის საკმაოდ ნათლად გამოხატული განცდა. ეს განცდა ვლინდება მეტყველებასა და მოქმედებებში.

“ჩვენ ვართ ქართველები და საქართველო არის დედამიწის ჭიპი... ეს ფრაზა ხომ გაგვიგია...”

გამოკითხული პირების საუბრიდან ჩანს, რომ ქართული ეთნოსის წევრები საკუთარი ჯგუფის წევრებს განსაკუთრებულ მოხერხებულობას მიაწერენ. ამ შთაბეჭდილებას მნიშვნელოვანწილად ზემოთ უკვე არაერთხელ განხილული დისკურსები საქართველოს ისტორიის შესახებ (ვგულისხმობ მცირე ქართველი ერის საოცარ გადარჩენას) განაპირობებს. თუმცა, გამოიყოფა სხვა მიზეზებიც.

“ასეთები ვიყავით ისეთები ვიყავით, ჩვენისთანა ერი არ არსებობს... ამდენს გავუძელით... და ეს არის იმის დამადასტურებელი, რომ ჩვენ ძალიან კარგები ვართ. ეს არგუმენტია. ამდენ საუკუნეს გავუძელით ეს არგუმენტია, რომ ჩვენ კარგები ვართ. ესეთმა პატარა ქვეყანამ ამდენ ხანს რომ იარსება, რომ ჩვენ ძალიან კარგები ვართ”. “მოხერხებული ტვინები გვაქვს. ასეთი ტვინებით დავიბადეთ. სწრაფად ადაპტირებადი ხალხი ვართ სხვადასხვა სიტუაციებში. ნიჭების ნაპერწკლები ვართ”.

“ყველაზე საუკეთესო მუსიკა და ღვინო ჩვენია, ყველაფერი ყველაზე კაი ჩვენია...”

რესპონდენტები საუბრობენ ქართული ეთნოსის ცალკეული წარმომადგენლების პერსონალურ წარმატებებზე. მათი წარმატება გენერალიზდება მთელ ჯგუფზე, რადგან ხდება მათ მიღწევებთან მთელი ჯგუფის იდენტიფიკაცია. ის ქართული ეთნიკური იდენტობის მატარებელი სელფის ნაწილია.

საინტერესოა, რომ წარმატებულებად ის ადამიანები ითვლებიან, ვინც საერთაშორისო სივრცეში მიაღწია გახდა ცნობილი ან რაიმე ფორმით ასოცირდება მნიშვნელოვან მოვლენებთან. თანაც, აქ იმდენად წმინდად დადებით აქტივობაზე არ არის საუბარი, რამდენადაც პიროვნების სახელგანთქმულობასა და საერთაშორისო ცნობადობა/აღიარებაზე. კერძოდ, საუბარია მე-20 საუკუნეში მოღვაწე ისეთ ეთნიკურ ქართველებზე, როგორებიც იყვნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი

ედუარდ შევარდნაძე და სტალინი, რომლის შესახებაც დამატებით ახსნა-განმარტებებიც არ არის საჭირო. რესპონდენტები საუბრობენ ქართველების მიერ უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეებში მიღწეული წარმატებები შესახებაც.

"შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მე გავიქეცი, მარა გენშერი და ბეიკერი რომ ჩამოდიან მის პანაშვიდზე ამას მოხერხება უნდა. ეს მიანიშნებს, რომ მიუხედავად პრობლემებისა, გამოდის რომ სისმარტე ჰქონდა. საკუთრი თავი აქ ვერ იპოვა, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრი რომ იყო საბჭოთა კავშირის იქ მოახერხა, იქ იყო მის ადგილი . . ."

"ერთი რაღაცა მინდა ვთქვა, 700 წლის წინ დამასკოში დაარსდა უნივერსიტეტი. ერთ ერთი ჩვენი ყოფილი პროფესორი დაპატიჟეს იუბილეზე. მან აღმოაჩინა, რომ იმ უნივერსიტეტში 700 წლის წინ ჩაწერილი იყო ქართველი გელოვანი... სწავლობდა. დამასკოში, უნივერსიტეტში. ეს არის აქტიურობა ლადო. ჩვენ ვართ smartebi ლადო და ეს სისმარტე ჩვენმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა. შეგვიძლია ნებისმიერ ტყავში გავძვრეთ . . . ეს ჩვენს თვისებებს განაპირობებს. სომხები და აზერბაიჯანელები რომ ჩამოდიან და სისხლის სამართლის მიმართულებით რამდენმა ქართველმა დაიცვა დისერტაცია გერმანიაში (რესპონდენტი იურისტია), გიჟდებიან? ამდენი გყავთო? გერმანულად უნდა დაწერო ხომ, სხვა თუ არაფერი. ეს მოქნილობა გვაქვს. აი ეს არის რა".

ქართული ეთნოსის განსაკუთრებულობის შესახებ განცდას ამყარებს დისკურსი ქვეყნის ღვთისმშობლის წილხვედრობის შესახებ. აღნიშნული დისკურსის მიხედვით საქართველო ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა.

"ღვთისმშობლის წილხვედრი რომ ვართ. რელიგიაც მაგიტომაა მნიშვნელოვანი".

და, ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტთა აზრით, განსაკუთრებულობის განცდას აძლიერებს ქვეყნის ხანგრძლივი ისტორია, როგორც ესეთი. ქვეყნის ანტიკურობა

გამოარჩევს მას სხვა უამრავი სახელმწიფოსგან, რომლებსაც შედარებით ხანმოკლე ისტორია გააჩნია.

წარმოდგენები წარსულის შესახებ - როგორები იყვნენ ქართველები?

კვლევის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო შედეგს ის წარმოადგენს რომ რესპონდენტთა თითქმის ნახევარს ძალზედ გაუჭირდა საქართველოს წარსულის შესახებ საუბარი. ისინი ამბობენ, რომ არასათანადო ინფორმაცია აქვთ შუა საუკუნეებში მცხოვრები რიგითი ადამიანების შესახებ. ვაზუსტებ, რომ თავად ინტერვიუერი სთხოვდა მათ აქცენტის რიგით ადამიანებზე და ეთნოსზე გაკეთებას და არა მეფეებსა და პოლიტიკურ ხელისუფლებაზე, რომლის შესახებაც მოსალოდნელი იყო მზამზარეული შაბლონური ოფიციალური ნარატივების მიღება. თუმცა, ისტორიის შესახებ ინფორმაცის სიმცირე რესპონდენტებს ხელს არ უშლის, რომ ქართულ ეთნოსთან მოახდინონ იდენტიფიკაცია. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ საერთო წარსულის შესახებ დეტალური შინაარსების არსებობა არ არის განსაკუთრებულად აუცილებელი. ზოგადი, მხოლოდ ზოგადსახელმწიფოებრივი და ელიტებთან დაკავშირებული ოფიციალური დისკურსებიც კი საკმარისია კოლექტიური იდენტობის გასამყარებლად. თუმცა, განცალკევებით ვერც ეს ფაქტორი ვერ იქნება გადამწყვეტი და ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

რესპონდენტთა მეორე ნახევარს რჩება შთაბეჭდილება, რომ ისტორიული ქართველები უფრო ტრადიციულები და უფრო მამაცები იყვნენ. მამაცობის იდეა ბუნებრივია, რადგან საუბარია შუა საუკუნეებზე, როდესაც ქართველებს მუდმივად ბრძოლა უხდებოდათ და თავდადების გარეშე ფიზიკურად ვერ გადარჩებოდნენ.

"გიორგი სააკაძე გამახსენდა. მამაცი, უშიშარი ქართველი ვაჟკაცი".

"ალბათ უფრო მამაცები, ვაჟკაცები უფრო თავდადებულები. აქ ქალსაც ვგულისხმობ და კაცსაც... თვისი ტრადიციების მიმართ უფრო მეტი პატივისცემა ჰქონდათ.... ეხლა ეს ყველაფერი უფრო შენელებულია. მე არ ვიძახი, რომ არიქა ტრადიციულები უნდა ვიყოთ და ტრადიციებში ვიყოთ... ზოგ-ზოგიერთი მაგას

უშნო ფორმით რომ გვიხსნის... მაგაზე ლაპარაკით უფრო შორს წავალთ, მაგრამ არის რაღაცეები რაც ჩვენ იდენტობას გამოხატავს და ის ტრადიციები ჩვენ უნდა გვქონდეს".

იდეა წარსულში მცხოვრები ქართველებისათვის მახასიათებელი უფრო მეტი ტრადიციულობის შესახებ კი ჩემი აზრით მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მოდერნულ რეალობაში ქართული ეთნოსის შიგნით ლიბერალიზაციის ტენდენცია მიმდინარეობს, რის ერთ-ერთ გამოვლინებასაც საზოგადოებრივი მარწუხების შესუსტება და ინდივიდუალიზმის მატება წარმოდგენს.

სოციალური საზღვრები - მსგავსი და განსხვავებული ჯგუფები

ეთნოსები ყალიბდებიან და ფუნქციონირებენ სხვა ჯგუფებთან თანაარსებობისა და კომუნიკაციის პირობებში. სოციალური საზღვრები დგინდება სხვა ჯგუფებთან შედარების გზით. განმასხვავებელი ნიშნები სწორედ შედარების პროცესში დგინდება. ამ ნაშრომის მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი გახლდათ იმ ნიშნების დადგენა, რომლითაც ქართული ეთნიკური ჯგუფის წევრები საკუთარ თავს 'უცხოებისაგან' განასხვავებენ. ამ მიზნის მისაღწევ ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენდა მსგავსი და განსხვავებული ჯგუფების შესახებ საუბარი. რესპოდენტებს ვთხოვდი, რომ გამოეყოთ ქართველთა მსგავსი და განსხვავებული ჯგუფები. ცხადია, მათ მოეთხოვებოდათ საკუთარი მოსაზრებების ახსნა-განმარტებაც.

მსგავსი და განსხვავებული ჯგუფების დასადგენად დასმული კითხვებიც ღია გახლდათ. ინტერვიუერი რესპონდენტს არ სთავაზობდა არანაირ ვარიანტს. საუბრის სპონტანურმა ხასიათმა მოგვცა საშუალება, რომ რესპონდენტების ხედვისა და ინტერპრეტაციების შესახებ მიგვეღო ინფორმაცია. დამატებითი შესაძლო ვარიანტების განსახილველად მიწოდება მოხდა მხოლოდ 3-4 ჯერ, რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის უკეთ გასაგებად და სრული კონტექსტის აღსაქმელად.

ამ თემის განხილვის შედეგად მიღებულ იქნა ორი უაღრესად საინტერესო დასკვნა, რასაც ამ მიმართულებით არსებული თეორიების გააზრებისა და განვითარებისთვის შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელობა. ნიშანდობლივია, რომ იმ ხალხების დიდი უმრავლესობა, რომელთან შედარების პირობებშიც რესპონდენტები საკუთარ (ქართულ) ეთნიკურ იდენტობას განსაზღვრავენ გეოგრაფიულად არ ესაზღვრება საქართველოს. ისინი ან საკმაოდ ან უკიდურესად დაშორებული არიან კავკასიის რეგიონიდან. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ <u>ეთნიკური იდენტობის ფორმირება ხდება არა ფიზიკური, არამედ მენტალური რუქის საფუძველზე. მენტალური რუქა არ ემთხვევა ფიზიკურს.</u>

ვხედავთ, რომ გარემომცველი სამყაროს ამსახავი მენტალური რუქა ყალიბდება იმ ელემენტების მონაწილეობით, რომლის შესახებაც რესპონდენტებს ყველაზე მეტი ინფორმაცია აქვთ. აღნიშნული ინფორმაცია მიიღება აღზრდის პროცესში. თუმცა, არ არის აუცილებელი რომ ეს პროცესი რომელიმე ასაკობრივი პერიოდით შეიზღუდოს - არსებული წარმოდგენები მუდმივად შეიძლება შეიცვალოს და რეინტერპრეტირდეს ახალი ინფორმაციის/გამოცდილების მიღების შედეგად.

გარემომცველი სამყაროს შემცველი მენტალური რუქის არსებობა მიუთითებს, რომ ეთნიკური იდენტობის ფორმირება ხდება იმ ჯგუფებთან შეპირისპირება-შედარების გზით, ვისთანაც უშუალო შეხების წერტილი/საზღვარი და ინტენსიური კომუნიკაციაც შეიძლება არცკი არსებობდეს. ვერ ვიტყოდი, რომ ეს მონაცემი შესაბამისობაშია ფრედრიკ ბარტის თეორიის მიხედვით მითითებული უშუალო კომუნიკაციის აუცილებლობის შესახებ მითითებასთან (Barth, 1969). ვფიქრობ, რომ ამ ნაშრომის ეს კონკრეტული მიგნება გათვალისწინებული უნდა იქნას ეთნიკური იდენტობის თაობაზე მომავალი კვლევების პროცესში.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ფრედრიკ ბარტის თეორიის მიხედვით ეთნიკური იდენტობა იკვეთება მოსაზღვრე ჯგუფებთან განსხვავებულობის გამოკვეთის პირობებში. ამ დაშვების საფუძველზე ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ რესპონდენტები

ქართველებისგან ყველაზე განსხვავებულ ჯგუფებად უშუალოდ მოსაზღვრე ხალხებს დაასახელებდნენ. თუმცა, ეს ასე არ მოხდა.

კერძოდ, ყველაზე განსხვავებულ ჯგუფებად სახელდებიან ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის წარმომადგენლები. ყველაზე მსგავს ეთნოსებად კი, უპირველეს ყოვლისა სომხები და ასევე, აზერბაიჯანელები, რომლებიც ქართველებთან ერთად ქმნიან დღესდღეობით ამიერკავკასიის რეგიონს. ამ კუთხით განსხვავება არ ფიქსირდება საქართველოში მცხოვრები და ემიგრანტი რესპონდენტების მიერ გამოხატულ შეხედულებებს შორის. ვხედავთ, რომ სელფის ფორმირებაზე სამყაროს სოციოკულტურული კონტექსტი უფრო მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე ხალხების ფიზიკური ადგილმდებარეობა და თუნდაც მეზობლობა.

დავამატებ, რომ ქვეყნის შიდა (არა სასაზღვრო) რაიონებში მცხოვრებ ადამიანებს საერთოდ არ აქვთ შეხება ქვეყნის გარეთ მცხოვრებ მეზობლებთან და არ აქვთ მათთან კომუნიკაცია, თუმცა, ეს მათ ხელს არ უშლის, რომ საკუთარი ეთნიკური იდენტობა გააჩნდეთ - ვინმე განსხვავებულთან უშუალო შეხვედრისა და მასთან საკუთარი თავის შედარების გარეშეც. აშკარაა, რომ ეთნიკური იდენტობის ფუნქცია და თავისებურებები სცილდება მხოლოდ სოციალური საზღვრების მაფორმირებელ დანიშნულებას.

ნათელია, რომ ინდივიდები ყალიბდებიან გარემოდან მომდინარე ინფორმაციის საფუძველზე. სელფს პერმანენტულად აყალიბებს ის შინაარსები, რომელსაც ის იღებს მთელი ცხოვრების მანძილზე. ის ფაქტი, რომ ემიგრანტებსა და ადგილობრივებს შორის ამ სხვაობა არ ფიქსირდება მიუთითებს, რომ არსებობს ენკულტურაციის იმგვარი სქემა, რომელიც განაპირობებს არსებული მენტალური რუქის ჩამოყალიბებას. შეგვიძლია დავუშვათ, რომ ქართულ ეთნოსს გააჩნია სამყაროს საკუთარი კოლექტიური აღქმა.

მსგავსებები და განსხვავებები - კონკრეტული მონაცემები

რესპონდენტთა ნახევარი ქართველების ყველაზე მსგავს ეთნოსად სომხებს მიიჩნევს. მსგავსებებზე საუბრისას გამოკითხული პირები უპირველეს ყოვლისა უფრო

კონსერვატიული ღირებულებების არსებობაზე მიუთითებენ. აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალის სექსუალური ცხოვრების ლიმიტირებასა და ტაბუირებას. ასევე, ტრადიციული ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების უპირატესობის არსებობას. ასევე, საუბარია იმაზე, რომ სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულია ურთიერთობების უფრო გახსნილი და ინტენსიური სტილი.

"ალბათ, არ ვიცი... მანდ კიდევ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ჩინელი და ნიგერიელი ჩემთვის ძალიან უცხოა... სომეხი ვთქვათ ახლოსაა... თუნდაც, ბერძენი.... ბევრი ცხოვრობდა... ტოლერანტობა მეტია... ჩინელი და ნიგერიელი არ ვიცი... თან არც გაზრდილან და არ მინახავს..."

"შეიძლება ქრისტიანობა. ერთი ლევონი იყო პეტროსიანი, სახლში დაგვპატიჟა და მამამისმა ზუსტად ისე ჩამოსხა, როგორც ჩვენთან გააკეთებდა მამა. მამის დამოკიდებულება შვილის მეგობრებისადმი".

"სომხები გვგვანან. ამ რაღაც ჩვეულებში და ტრადიციებში. იმიტომ რომ მაინც კავკასიელი ხალხი ვართ და ერთმანეთს ვგავართ".

ვხედავთ, რომ როდესაც მსგავსებაზეა საუბარი აქცენტი კეთდება იმ საკრალურ ფაქტორებზე, რომლებიც საკუთარი ეთნიკური იდენტობის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია - სექსუალური ქცევის წესებზე. ეს ფაქტორი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სომხები ამ საკითხში იგივეობის გამო სხვებზე მსგავსებად აღიქმებიან, თორემ ჩაღრმავების შემთხვევაში უამრავი განმასხვავებელი კულტურული ელემენტი იდენტიფირდებოდა საუბარის დროს (ტემპერამენტი, ემოციურობის ხარისხი; ანგარიშიანობა და ა. შ.).

რესპონდენტთა მესამედი ქართველების მსგავსად მიიჩნევს სამხრეთ ევროპელებსაც. <u>საინტერესოა რომ ამ რესპონდენტთა ნაწილი საქართველოს საზღვრებს გარეთ საერთოდ არ არის ნამყოფი - კვლავ ვხედავთ მენტალური რუქის არსებობის გამოვლინებას.</u> სამხრეთ ევროპელებთან მსგავსებას განაპირობებს ეთნიკური ქართველებისთვის საკვანძო

მნიშვნელობის მეორე ღირებულების დიდი მნიშვნელობა - **ოჯახი**. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ იტალიასა და ესპანეთშიც მნიშვნელოვანია ოჯახის ინსტიტუტი. იტალიელებსა და ესპანეთთან მსგავსებას განაპირობებს ასევე ის შეხედულება, რომ ისინიც ქართველების მსგავსად ხმაურიანები და ეპატაჟურები არიან.

"სომხები, იტალიელები, ესპანელები... სამხრეთელები... ვისთანაც მქონია შეხება, რომ ვუყურებდი მიფიქრია ესენი ქართველები ხომ არ არიან თქო..."

აქ მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვა, რომ აქ საუბარია სუბიექტური შთაბეჭდილებების საფუძველზე წარმოებულ შეფასებებზე. ამ განწყობებს არა აქვს ჭეშმარიტებაზე პრეტენზია და ჩვენ არ ვცდილობთ ნაციონალური ხასიათების კვლევას. ჰეტერო-სტერეოტიპები გვაინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ქართული ეთნიკური იდენტობის თვითიდენტიფიკაციაში იღებენ მონაწილეობას.

როგორც უკვე აღინიშნა, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, ყველაზე განსხვავებულ ხალხებად მიიჩნევიან ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის მაცხოვრებელი ხალხები. ისინი განსხვავებულად ზუსტად იმ კულტურული ელემენტების მიხედვით ფასდებიან, რომლების საფუძველზეც ზემოთ სომხები და სამხრეთ ევროპელები მსგავს ეთნოსებად იყვნენ მიჩნეული.

"თუნდაც ის, რომ ძალიან ეკონომიურები არიან. მარტო ჩრდილოეთში არა მაგრამ იმათ ის ემატებათ, რომ ძალიან ცივები არიან. ყველა ცენტი, ყველა წამი... იმიტომ ცხოვრობენ, რომ... ქართველები შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრობენ და დროს არ ითვლიან და ზოგჯერ შეიძლება აჭარბებენ, მაგრამ... ამათთვის სამსახურისთვის, დაგეგმვას უფრო მეტ დროს უთმობენ, ვიდრე ცხოვრებას... კი აქვთ ძლიერი ქვეყნები აშენებული, მაგრამ...."

"მართლმადიდებლობა გულისხმობს თავშეკავებას. უცხოელებისთვის ეს არ არის ნორმა, უფრო პირიქით".

ემიგრაციაში ცხოვრების გამოცდილების ზეგავლენა ქართულ ეთნიკურ იდენტობაზე

კვლევის პროცესში ემიგრანტ და უცხოეთში ცხოვრების გამოცდილების მქონე რესპონდენტებთან ვისაუბრეთ იმ გავლენის შესახებ, რაც მათ შეხედულებებზე საზღვარგარეთ ყოფნამ მოახდინა. საინტერესოა, რომ აქაც წინა პლანზე კვლავ ის კულტურული ელემენტები მოდის, რომლებიც ზემოთ მივიჩნიეთ ქართული ეთნიკური იდენტობისათვის ნიშნეულად. აქ უბრალოდ დავამატებ, რომ რესპონდენტები უცხოური გამოცდილება დაკავშირებულია ევროატლანტიკურ სივრცესთან. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები აზიურ ან აფრიკულ სივრცეში - აქ ქართველები ან საერთოდ არ არიან ან უმცირესი ოდენობით არიან წარმოდგენილი და ამიტომ, ისინი კვლევის არეალს მიღმა დარჩნენ.

უპირველეს ყოვლისა იცვლება სექსუალური ქცევის შესახებ წარმოდგენები. ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ხდება მანამდე შეზღუდული თავისუფლების რეალიზაცია. ეს უმთავრესად ეხებათ გოგოებს. თუმცა, ირიბად ეხებათ ბიჭებსაც, რადგან გოგოების შეზღუდულობა საქართველოში ავტომატურად მათაც უზღუდავს შესაძლებლობებსა და არჩევანის თავისუფლებას. შესაბამისად, ვხედავთ, რომ მცირდება იმ დისკურსების ემოციური ღირებულება, რომლებიც ქართველობის იდენტიფიცირებისათვის უმთავრეს დისკურსად მიიჩნეოდა.

"ლუქსემბურგში წასვლამდე მყავდა შეყვარებული და უნდა გადამეწყვიტა წასვლა თუ შეყვარებული... მაშინ ეს იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომ არა მე მივდივარ! მაშინაც არ მომწონდა ის მოდელი რაც ჩემს ირგვლივ მუსირებდა. და, მერე სხვათაშორის ყველაზე მეტად კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ, განათება რომ მივიღე რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რომ გავწყვიტე ის ურთიერთობა... მოკლედ, ხო ხვდები, პირადი და ის ძალიან გადაბმულია... ის ურთიერთობა იყო ისეთი, როგორიც არ უნდა იყოს ურთიერთობა და ამას მივხვდი საზღვარგარეთ ყოფნისას…"

"ქალის ყველანაირად რეგულირება და ჩარჩოში ჩასმა, ქალიშვილობის ინსტიტუტით დაწყებული და ზოგადად, ის ოჯახის თემით... რაღაცა, ერთი ქმრის მთელი ცხოვრება.. მოლოდინები კულტურისგან... მე მაგალითად, მივხვდი, რომ როცა ამ რაღაცეებს გადააფასებ, ხვდები, რომ ცხოვრება მშვენიერია... ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია".

ასევე, შეინიშნება ინდივიდუალური ლიბერალიზაციის პროცესი და გარემოს მნიშვნელობის შემცირება. რესპონდენტები საუბრობენ იმის შესახებ, რომ ისინი უფრო გულგრილად უყურებენ გარემომცველი საზოგადოების აზრს მათი პირადი ცხოვრების შესახებ. შეინიშნება ევროატლანტიკურ სივრცეში პრევალირებადი ლიბერალური ღირებულებებისადმი აკულტურაცია. რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი წნეხისაგან განთავისუფლებამ მათ შვება მოჰგვარა. ეს მიუთითებს, თუ რამდენად ძლიერია საქართველოში გარემოდან მომდინარე მაჰოგომონეზირებელი ზეგავლენა.

"მანამდე როგორი იყო ჩემი წარმოდგენები სამყაროზე... იცი რა არის, მომავალი როგორ წარმომედგინა ეს შეიცვალა და ეს არის მთავარი და ამით დავიწყებ... საქართველოში რომ ვიყავი სტუდენტობისას, მე ესე ვეძახი რომ კარგი გოგო ვიყავი... კარგი გოგო ვიყავი იმ გაგებით რომ... არა, ეხლაც კარგი გოგო ვარ მარა გეტყვი ეხლა ☺... ისეთ რაღაცეებზე ვიყავი ორიენტირებული, რაც საშუალო ქართველს მიაჩნია მნიშვნელოვნად, რომ აი, ცხოვრება მაშინ შედგება, როცა რაღაცას მიაღწევ. ამაში იგულისხმება განათლება, სამსახური, ქალის პერსპექტივიდან ოჯახი, ოჯახში შესვლა... მერე რაც მნიშვნელოვანია სწორხაზოვნად იქ რჩები ცხოვრების ბოლომდე, გყავს შვილები და ა. შ. ეგ იყო საკვანძო მომენტი".

უცხოეთში ცხოვრების ერთ-ერთ თვალსაჩინო შედეგს წარმოადგენს განსხვავებული ჯგუფებისადმი არსებული სოციალური დისტანციის გაქრობა თუ არა მკვეთრად

შემცირება მაინც. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად მას ჰქონდა უცხოელებთან ერთად ცხოვრების გარკვეული შიში, რომელიც სრულიად გაუქრა და ახლა პირიქით, აქვს სურვილი, რომ მათთან საკმაოდ დიდი დრო გაატაროს.

"ერთ ქართველთან და ერთ ბრაზილიელთან. ჩემი მიზეზით მოხდა ☺ თავიდან ჯერ გადავწყვიტე მარტო ცხოვრება, შემდეგ გადავწყვიტე ფულს დავზოგავთქო. შემდეგ ვიფიქრე როგორ მივეჩვევი სხვა ეროვნების ადამიანსთქო... ხოდა ავირჩიე ქეთი. ბრაზილიელია ალინე. ხოდა რა შეჩვევა, უნდა მეცხოვრა აუცილებლად უცხო ეროვნების ხალხთან რა... ბედნიერი ვარ, რომ მყავს ალინე აქ".

ცალსახაა, რომ უშუალო კომუნიკაციის შედეგად ქრება ის ხელოვნურად შექმნილი სოციალური საზღვრები, რომლებიც თითქოსდა უკიდურესად განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებობს. გაუცხოების განცდას განაპირობებს ინფორმაციისა და უშუალო გამოცდილების სიმცირე, რაც კომუნიკაციის შედეგად იოლად დაიძლევა.

"ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვფიქრობდი და მქონდა ეგ, რომ ჩვენ ვართ ქართველები და საქართველო არის დედამიწის ჭიპი... ეს ფრაზა ხომ გაგვიგია... და, აღმოვაჩინე უნგრეთში, ერთმა მეგობარმა მითხრა, რომ ერთი ჟურნალისტი შეხვედრია დალაი ლამას და უკითხავს, შენ ხომ იცი, რომ დედამიწის ჭიპი უნგრეთიაო.. ყველას გვაქვს ეს... უნგრეთში აღმოვაჩინე, რომ ისინი ზუსტად ისევე ფიქრობენ საკუთარ თავზე, როგორც ქართველები. ყველაზე საუკეთესო მუსიკა და ღვინო ჩვენია, ყველაფერი ყველაზე კაი ჩვენია... ასე რომ არაფერი უნიკალური არც ერთ ქვეყანას არა აქვს".

<u>ერთმანეთთან ურთიერთობების პროცესში ადამიანები ხვდებიან, რომ მათ შორის საერთო გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება.</u>

ამ შემთხვევაში დგება კითხვა თუ რა ემართება ეთნიკურ იდენტობას? ლოგიკური იქნებოდა გვევარაუდა, რომ საკვანძო დისკურსებისა და მარკერების მნიშვნელობის შემცირებას ეთნიკური იდენტობა დაეყენებინა ეჭვქვეშ. პრინციპში, შემიძლია ვთქვა, რომ მიღებული მონაცემები ამ ლოგიკურ ვარაუდს ადასტურებს.

ემიგრანტი და უცხოეთში მყოფი რესპონდენტების საუბრიდან ჩანს, რომ მათთვის ქართული ეთნიკური იდენტობის მნიშვნელობა საგრძნობლად შემცირებულია. ისინი ინარჩუნებენ უფრო რბილი და ზოგადი კუთვნილების განცდას ქართულ ეთნოსთან, მაგრამ საკუთარ თავს რეალურად უფრო ფართო ინტერკულტურული გლობალიზებული სამყაროს ნაწილად განიხილავენ. მცირდება სეპარატულობის განცდა.

შედარებით დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს ოჯახის ღირებულება. ყველაზე ლიბერალურად განწყობილი რესპონდენტების კი საუბრობენ იმის შესახებ, რომ ინარჩუნებენ ოჯახთან კომუნიკაციას და დღემდე აქვთ მათთან ემოციური უკუკავშირის განცდა. თუმცა, ეს ერთის მხრივ ადასტურებს ზემოთ განხილულ ტენდენციას ქართული ეთნოსის შიგნით მცირე ჯგუფებზე არსებულ ორიენტაციასა და მათ შორის კონკურენტული გარემოს შესახებ. და, მეორე, თუ გავიხსენებთ, რომ ოჯახის ინსტიტუტი ერთ-ერთ ყველაზე უნივერსალურ კულტურულ ინსტიტუტს წარმოადგენს და ის თითქმის ყველა კულტურაში არსებობს ამა თუ იმ ფორმით უფრო გასაგები ხდება მისი სიცოცხლისუნარიანობა კულტურათა შორის მობილობის პირობებშიც კი.

შედეგები

ვინ ვარ მე?

- რესპონდენტთა უმრავლესობა საკუთარ თავს მთლიანი სამყაროს ნაწილად განსაზღვრავს. ისინი ხაზს უსვამენ ადამიანების მსგავსებას. ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის განსხვავებები არ განიხილება ფუნდამენტურად. ცალკეულ რესპონდენტთან გვხვდება ტრანსცენდენტური სულიერი ძიებებიც.
- რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან იდენტობას საკუთარი ოჯახის წევრობის სტატუსი წარმოადგენს. იგულისხმება ოჯახი

მთლიანობაში და ის შვილის, დედმამიშვილის, მშობლისა და მეუღლის იდენტობებს აერთიანებს.

- ასევე, რესპონდენტთათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ისინი ადამიანთა გარკვეული (მცირე) ჯგუფის მეგობარს წარმოადგენენ. მეგობრების პოზიცია და წარმოდგენა მათ შესახებ მნიშვნელოვანია გამოკითხულთათვის.
- რესპონდენტთა უმრავლესობისთვის სქესობრივი იდენტობა არ არის სელფის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი კომპონენტი. საკუთარი თავის განსაზღვრისას ამ ასპექტს ან საერთოდ არ ახსენებენ ან ჩამონათვლის ბოლოს ეხებიან. ჩანს, რომ სქესობრივი იდენტობა როგორც ასეთი, არ წარმოდგენს ეთნიკურ ქართველთა პიროვნული სტრუქტურის ბირთვულ ნაწილს. შეიძლება ვივარაუდოთ ის დათრგუნული ან გადაფარულია სხვა იდენტობებითა და კულტურული როლებით. თუმცა, უშუალოდ გენდერული იდენტობის კვლევა ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა და ამ მიმართულებით შემდგომი ჩაღრმავებისგან თავს შევიკავებ.
- ქართულ ეთნიკურ ეთნოსთან კუთვნილება საკუთარი თავის განსაზღვრის პროცესში რესპონდენტთა უმრავლესობამ სპონტანურად გამოხატა. სწორედ იდენტიფიკაციის სპონტანური ხასიათი ავლენს ეთნიკური იდენტობის საკმაოდ დიდ მნიშვნელობას.

რესპონდენტთათვის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მიზნები

- რესპონდენტთა უმრავლესობისათვის მნიშვნელოვანია თვითაქტუალიზაცია. ისინი იმედოვნებენ, რომ მოახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციასა და საქმიანობის პროცესში რაიმე ღირებულს შექმნიან.
- რესპონდენტთა უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების მიერ მიღება და აღიარება. მათთვის მნიშვნელოვანია პოზიტიური სოციალური უკუკავშირის მიღება.

- პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი ამბობს, რომ მისთვის ერთ-ერთ უმთავრეს ცხოვრებისეულ ამოცანას საკუთარი ოჯახის შექმნა წარმოადგენს. მათ ვისაც უკვე შექმნილი აქვს, ისინი ამ მოვლენას ასევე უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიიჩნევენ.
- კვლევა აჩვენებს, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დედობა და დედის როლის/ფუნქციის შესრულება. მამის ფუნქცია მნიშვნელოვანია, თუმცა, ვერ შეედრება საკუთარი კულტურულად განსაზღვრული წონით დედის ფუნქციისა და როლის ღირებულებას.

ეთნიკური იდენტობის მნიშვნელობა

- ეთნიკური იდენტობა ფსიქიკის ერთდროულად ორი, კოგნიტური და ემოციური ფენომენების ფუნქციონირებას უწყობს ხელს.
- ეთნიკური იდენტობა რესპონდენტებს ეხმარება სოციალური სამყაროს აღქმის მოწესრიგებასა და კატეგორიზებაში. ის სოციალური სამყაროს მაკლასიფიცირებელი ინსტრუმენტია.
- ეთნიკური იდენტობა ადამიანებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი ჯგუფის წევრები არიან ისინი თავად, ვინ არის "შინაური" და ვინ არის 'უცხო'. გაურკვევლობის დაძლევა დაძაბულობას ამცირებს. სოციალური სამყაროს მოწესრიგებული აღქმა ხელს უწყობს ემოციური წონასწორობის შენარჩუნებას.
- ამასთან, ეთნიკური იდენტობა მის მატარებელ ინდივიდებს შეხების საერთო წერტილს უქმნის. ის ერთგვარ სტიმულსა და სასიგნალო ნიშანს წარმოადგენს ერთიანი საკომუნიკაციო და სამოქმედო სივრცის შესაქმნელად.
- თანამედროვე სამყაროში სოციალური საზღვრები არ ემთხვევა ფიზიკურ საზღვრებს. ეთნიკური იდენტობა ინარჩუნებს სტაბილურობას არა მხოლოდ საქართველოს საზღვრებს შიგნით, არამედ ემიგრანტთა შორისაც.
- კოლექტიური ეთნიკური იდენტობის განცდა ყალიბდება მხოლოდ იმ ადამიანების მიმართ, ვინც რესპონდენტთა მოლოდინების შესაბამისად მოქმედებს. ნიშნეული მოლოდინების ასრულების შემთხვევაში ქართველებს შორის უსიტყვოდ

იქმნება საერთო იდენტობისა და ახლობლობის განცდა. ეთნიკური იდენტობის რეპრეზენტაცია ხდება კულტურულად სპეციფიკურ სიტუაციებში ნიშნეული მოქმედებების განხორციელების გზით.

- რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ ეთნიკური იდენტობის განსაზღვრისას წინაპრების ეთნიკურ კუთვნილებასაც აქვს მნიშვნელობა. თუმცა, ამ საკითხზე ჩაღრმავებისას ირკვევა, რომ სინამდვილეში მათთვის რთულია წინაპრების რეალურ ეთნიკურ კუთვნილებასა და 'სისხლის სისუფთავეზე' საუბარი. სახეზე გვაქვს ამ კუთხით არსებული რწმენის ფიქტიურობა.
- ეთნიკური კუთვნილების იდენტიფიკაციისას მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფიზიკურ გარეგნობას. თუკი ადამიანი ქართველების ტრადიციული გარეგნობისაგან ძალიან განსხვავებული ფიზიკური ნიშნებით ხასიათდება, მაშინ მის მიმართ ჩნდება უცხოობის განცდა. ხოლო, თუ ის, მიუხედავად განსხვავებული ფიზიკური გარეგნობისა, ეთნიკური ქართული იდენტობისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან შესაბამისობაში მოქმედებს, მაშინ მის მიმართ ამბივალენტური და წინააღმდეგობრივი განცდები ჩნდება.

ქართული ეთნიკური იდენტობის საიდენტიფიკაციო ნიშნები

- მონაცემის თანახმად, ეთნიკური ქართველობის საიდენტიფიკაციო ნიშნებს ცხოვრების სტილის თავისებურებები და ცალკეული რიტუალები წარმოადგენს. ქართველებს მიეწერებათ მიდრეკილება ეპატაჟური მოქმედებებისაკენ. ისინი უმეტესად რადიკალურად მოქმედებენ და მეტყველებენ.
- ეთნიკურ ქართველებს მიეწერებათ ოჯახთან განსაკუთრებულად ძლიერი კავშირის ქონა.
- რესპონდენტები ქართველებს მიაწერენ კონსერვატიული სექსუალური პრაქტიკის ქონასაც. განსაკუთრებით იზღუდება ქალთა სექსუალური ქცევა და მათი როლი მეუღლის და დედის ფუნქციით შემოიფარგლება.

- კვლევა გვიჩვენებს, რომ რელიგიური იდენტობა მნიშვნელოვანია ქართველებისთვის და ის საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ყოფით ცხოვრებაზე. თუმცა, რელიგიური პრაქტიკა არ არის იმდენად ძლიერი, რომ პიროვნულ პროცესებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს. რელიგიური რწმენა უმეტესად დეკლარაციული და ფსევდო ხასიათისაა. რელიგიურობა ძირითადად გამოხატვის გარეგნულ ფორმებში ვლინდება. რელიგიური პრაქტიკა უმთავრესად ეთნიკური იდენტობის ნიშნებს ავლენს და ასევე, მათ შენარჩუნებასა და რეპროდუქციას ემსახურება. სახეზე გვაქვს ეთნიკური იდენტობის პრიმატი რელიგიურზე.
- რესპონდენტების საუბრიდან ჩანს, რომ ეთნიკურ ქართველობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზით მოწყობილი საჯარო შეკრება/წვეულებების მოწყობის ტრადიცია. ვფიქრობ, სუფრა ქართული ეთნოსის სოციოკულტურული სივრცის მოდელირებულ რეპრეზენტაციას წარმოადგენს. სადღეგრძელოების შინაარსი შეეხება ქართველთათვის მნიშვნელოვან ღირებულებას. მათი წარმოთქმა არსებული ღირებულებების რეპროდუქციასა და მათ მიმართ ლოიალობის დადასტურებას ემსახურება. რელიგიურ დღესასწაულებზე გამართული წვეულებები არაფრით განსხვავდება სხვა შეკრებებისაგან, არც ქცევის მანერით და არც შინაარსით[4].
- სუფრა მასში მონაწილე ქართველებს საკუთარი თავის გამოვლენის (მათ შორის ეპატაჟური მოქმედებების) საშუალებას აძლევს. ანუ ფაქტიურად, სუფრაზე ხდება ქართული იდენტობის სახიერი რეპროდუცირება.
- რესპონდენტები ეთნიკური ქართველების მსგავს ხალხებად მიიჩნევენ მის მეზობლებსა და სამხრეთ ევროპელ ხალხებს. კერძოდ, სომხებს, თურქებს, იტალიელებს, ესპანელებს. ხოლო განსხვავებულებად მიიჩნევიან ცენტრალური და ჩრდილო ევროპელი ხალხები, სკანდინავიელები, გერმანელები და ფრანგები.

[4] მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩემი კვლევის მიზანს არწარმოადგენს სუფრის ფენომენის სრულყოფილი შესწავლა.

საკვანძო დასკვნები

წინამდებარე კვლევა მიმდინარე სოციოკულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტში მცხოვრები ქართველების ეთნიკური იდენტობის შესწავლას ისახავდა მიზნად. თანამედროვე სამყაროში ინდივიდები, ჯგუფები და მათი გარემომცველი გარემო უაღრესად სწრაფად იცვლება. ცალკეული იდენტობები მოდიფიცირდებიან ან სულაც წყვეტენ არსებობას. სოციოკულტურული ჯგუფები ერთმანეთთან კონკურენციის პროცესში ქმნიან თანაცხოვრების მრავალფეროვან მაგალითებს. ინდივიდები მუდმივად ადაპტაციის პროცესში იმყოფებიან.

სელფის საზღვრები ბუნდოვანია და სოციალური თუ კოლექტიური იდენტობები მის ფორმირებაში უშუალოდ არის ჩართული (Tropp & Wright, 1999; Aron & Aron, 1986). სოციალური და კოლექტიური იდენტობების საფუძველზე ინდივიდები ახდენენ თვით-სტერეოტიპიზაციას. ანუ, თავის თავს მიაწერენ იმ თვისებებს, რაც მათი ჯგუფისათვის ნიშნეულ მარკერს წარმოადგენს (Simon & Hamilton, 1994).

იქიდან გამომდინარე, რომ სელფის ფუნქციონირებაზე გავლენას ფაქტორთა დიდი მრავალფეროვნება ახდენს, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ნებისმიერი მასალა, რომელიც პიროვნებისა და გარემოს ურთიერთქმედების შესახებ არსებულ სურათს შეავსებს. ნაშრომში წარმოდგენილია კულტურული/სოციალური ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, პიროვნული ფსიქოლოგიისა და კულტურის ფსიქოლოგიის დისციპლინებში მოპოვებული მონაცემების ინტეგრაციისა და ჰოლისტური ინტერპრეტაციის მცდელობა.

მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა, რომ ემპირიულ საფუძველზე მოხდეს ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული ძირითადი თეორიების ადეკვატურობის შემოწმება. ცალკეული მიგნებები ამ საკითხთან დაკავშირებული კლასიკური თუ მოდერნული მიდგომების კორექტირების საჭიროებაზეც მიგვითითებს. ხაზს გავუსვამ, რომ მიღებული მონაცემები ასახავს თანამედროვე ქართველთა სოციოკულტურული

სივრცის შემადგენელი ადამიანების „ინტენციონალურ სამყაროს“. დასაშვებია, რომ ქართველთა ეთნიკური იდენტობის ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებები (უპირველეს ყოვლისა მექანიზმს ვგულისხმობ) მსგავსი აღმოჩნდეს ზოგიერთ სხვა კულტურებშიც.

თეორიული მიდგომების ინტეგრაციის აუცილებლობის შესახებ

მრავალფეროვანი თეორიებისა და შემოთავაზებული ემპირიული კვლევის შედეგად ვხედავთ, რომ ცალკე, ვერც ერთი აქამდე არსებული თეორიული მიდგომა ვერ ხსნის სრულად ეთნიკური კუთვნილების თავისებურებებს. მიღებული მონაცემები ეწინააღმდეგება ეთნიკურობის არსებული თეორიების მიხედვით განსაზღვრულ ცალკეულ თეორიულ დაშვებებს ეთნოსის ფორმირებისა და ფუნქციონირების შესახებ. კერძოდ:

1) გამოთქმული ვარაუდების მიუხედავად, არ გამოვლინდა საერთო მატერიალური სარგებლის მიღწევის ნათელი ინტერესი და ზოგადად, ანგარიშიანობა. ეს ფაქტი არ გამორიცხავს, რომ ოდესღაც, ჯგუფის თავდაპირველი ფორმირებისას ასეთი ინტერესი არსებობდა, თუმცა, ეს დღეს არ ჩანს.

2) რესპონდენტთა ეთნიკური კუთვნილების განცდა საკმაოდ მყარი და სტაბილურია. თუმცა არ გამოვლინდა ირაციონალურად ინტენსიური ემოციური ბმა. ირაციონალურობაში ვგულისხმობთ იმდენად ძლიერ ლოიალობას ჯგუფისადმი, რომელიც ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ ინდივიდის მხრიდან საკუთარი თავისთვის არაფრის მომტანი აქტივობების განხორციელებას განაპირობებს. მაგალითად, თავგანწირვას ომში. გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ უმცირესობამ გამოხატა ასეთი მზაობა.

ხსენებულ თეორიულ დაშვებებთან წინააღმდეგობები იხსნება, თუ მოვიშველიებთ კლასიკურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებს, რომლებიც ჯგუფებისა და

ნორმების ფორმირებას შეეხება. მით უმეტეს, რომ ამგვარი მონაცემების კულტურულ კვლევებში ინტეგრაციის მაგალითები უკვე არსებობს (Valsiner J., 2003). ვაცნობიერებ, რომ არც მუზაფერ შერიფი და არც ჰენრი ტაჯფელი არ იკვლევდნენ უშუალოდ ეთნიკურობას, მაგრამ ვფიქრობ, რომ მათ მიერ გამოვლენილი უნივერსალური კანონზომიერებები ყველა სახის ჯგუფსა და ნორმას შეეხება. ვფიქრობ, რომ ჰენრი ტაჯფელისა და მუზაფერ შერიფის ექსპერიმენტული მონაცემები საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ არა მხოლოდ მცირე ჯგუფების, არამედ ნებისმიერი ჯგუფის, მათ შორის, ეთნოსების ფორმირების მოდელირება. ეთნოსიც ხომ ჯგუფია?! ამ დაშვების შესაძლებლობას კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიც იძლევა. კერძოდ, საერთო მატერიალური ინტერესების არარსებობის მიუხედავად, კოლექტიური იდენტობის შენარჩუნება სრულ შესაბამისობაშია ჰენრი ტაჯფელის ექსპერიმენტის მონაცემებთან, სადაც ცდისპირები ჯგუფებს აყალიბებდნენ სრულიად შემთხვევითი გადანაწილების და საერთო წარსულის გარანტირებული არარსებობის მიუხედავად და მეტიც, ამ ახლადშექმნილი ერთობის მიმართ ავლენდნენ ლოიალობას (Ross & Nisbett, 2011). მუზაფერ შერიფის ექსპერიმენტში შემთხვევითად ერთად მოხვედრილი ადამიანები აყალიბებენ ნორმებს და შემდეგ 'იბრძვიან' მათ შესანარჩუნებლად. და, ეს მიუხედავად გამოვლენილი ლოიალობის გამო შექმნილი დისკომფორტისა, რომელსაც განსხვავებული ჯგუფიდან ჯგუფში გადანაცვლებისას განიცდიან. მათ არა აქვთ არანაირი პრაქტიკული ინტერესი, რომ ასე მოიქცნენ - შემთხვევითი წესით ფორმირებულ ექსპერიმენტულ ჯგუფში შემუშავებული ჯგუფური ნორმებისადმი ერთგულება რაციონალურ ინტერესს მოკლებულია.

ევოლუციონისტი **ლინდა კაპორაელი** მიიჩნევს, რომ ისტორიის მანძილზე სხვადასხვა სიდიდის ჯგუფები გამუდმებით იქმნება (Caporael, 1995). შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეთნოსების, მათ შორის ქართულის, ფორმირება ოდესღაც მოხდა შემთხვევითი ფაქტორების საფუძველზე ან შეგნებულად, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუმცა, ორივე ვარიანტი დასაშვებია. ეთნოსის ფორმირების შემდგომ კი შეიქმნა გარკვეული ნორმები, ღირებულებები და რიტუალები, რომლებიც ინარჩუნებს

სტაბილურობას. ვხედავთ, რომ ერთხელ ჩამოყალიბებული და ინდივიდების მიერ მენტალურ დონეზე ინტერნალიზებული ნორმები საკმაოდ სწრაფად იძენენ ემოციურ მნიშვნელობასაც. ისინი იცვლება ადაპტაციის პროცესის პარალელურად, მაგრამ არა მყისიერად და ერთი ხელის მოსმით.

დავამატებ, ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართველები ვერ ახდენენ ჰიპოთეტურად არსებული საერთო მატერიალური ინტერესის ექსპლიციტურ გამოხატვას, არ ნიშნავს, რომ ასეთი საერთო ინტერესი არ არსებობდა ჯგუფის ფორმირების პროცესში ან არ ჩნდებოდა ხოლმე არსებობის სხვადასხვა მონაკვეთებში. ასევე, საერთო ინტერესების გაუცნობიერებლობის პრობლემა, შესაძლოა, კავშირში იყოს იმ აპათიურ და თითქმის ანომიურ მდგომარეობასთან, რომელშიც დღეს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება, რესპონდენტთა უმრავლესობის თქმით.

თუმცა, აქ ჩემთვის მთავარი ის არის, რომ სოციალურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები საშუალებას გვაძლევს დავუშვათ, რომ ეთნიკური ჯგუფის და მისი არსებობისთვის აუცილებელი კულტურული ელემენტების (ნორმები და ღირებულებები) ფორმირება და სტაბილური ფუნქციონირება შესაძლებელია სულაც საერთო ინტერესების არსებობის გარეშე მომხდარიყო, შემთხვევით დაჯგუფების შემთხვევაშიც კი.

<u>სოციალურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენება სოციოკულტურული პროცესების უფრო სიღრმისეულად გაგების საშუალებას გვაძლევს.</u> ვხედავთ, რომ ინტერდისციპლინური მიდგომა გვმატებს მოქნილობას და გვანიჭებს უნარს მეტი სისრულით წარმოვადგინოთ არსებული სურათი.

თეორიული კონსტრუქტების რეკონცეპტუალიზაციის საჭიროების შესახებ

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ სელფის შემადგენელი ელემენტები სპეციფიკურ სიტუაციაში პარტიკულარისტული მნიშვნელობის მატარებლები არიან. თეორიული კონცეპტები, რომლებიც აპრიორულად ამა თუ იმ კონკრეტული ფუნქციის

შემსრულებლად მიიჩნევიან, სინამდვილეში მოსალოდნელზე უფრო მეტ დინამიკურობას ავლენენ. კვლევა გვიჩვენებს, რომ პიროვნული და კოლექტიური ფსიქიკური ფენომენები განუყოფელია და თუნდაც აბსტრაჰირებულად მათი განცალკევებით წარმოდგენა გვაშორებს რეალობას.

განვიხილოთ თეორიული კონცეპტების და ფიქსირებული ტიპოლოგიების არაადეკვატურობის მაჩვენებელი რამდენიმე მაგალითი. თავდაპირველად, შევეხოთ ერთი შეხედვით ისეთ ბანალურ და მარტივ მახასიათებელს, როგორიც საკუთარი სახელია. ის უპირობოდ პერსონალური იდენტობის ერთ-ერთ ნიშნად არის მიჩნეული. თუმცა, სინამდვილეში ეთნიკური ქართველებისთვის ის ერთდროულად ორმაგ ფუნქციას ასრულებს. ერთის მხრივ, ის მართლაც პიროვნების ინდივიდუალობის უნიკალური აღმნიშვნელია. მეორეს მხრივ, საკუთარი სახელი ინკულტურაციის პროცესის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი და ინსტრუმენტია. ინკულტურაცია გულისხმობს ბავშვის მიერ გარემომცველი სოციოკულტურული ნორმებისა და ღირებულებების შეთვისებას და მის საბოლოო მიზანს პიროვნების კულტურულ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს. ინკულტურაციის საფუძველს არსებული ისტორიულ-კულტურული კონტექსტი ქმნის. ცალკეულ სახელებს საკუთარი ისტორია და სპეციფიკური მნიშვნელობა გააჩნიათ. საქართველოში ასეთია უმეტესად მეფეების, წმინდანებისა და ისტორიული გმირების სახელები. ნიშნეული საკუთარი სახელის მინიჭებით კოლექტიური იდენტობის ჯერ ფორმირება, შემდგომში კი შენარჩუნება სტიმულირდება. ანუ, აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი და იგივე მახასიათებელი, ერთდროულად პერსონალური და კოლექტიური იდენტობის ფორმირებასა და რეპრეზენტაციას ემსახურება. არადა, კლასიკური განსაზღვრებების თანახმად, პერსონალური და სოციალური/კოლექტიური იდენტობები, მათი ფორმირებისა და გამოვლენის ინდიკატორები მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისგან.

კლასიკური ტიპოლოგიების პირობითობის შესახებ

ასევე, საკმაოდ საინტერესო სურათს დავინახავთ, თუკი ქართველთათვის დამახასიათებელი ქცევითი სტრატეგიებისა და ღირებულებითი ორიენტაციების შესახებ ვისაუბრებთ. ეთნიკური იდენტობის ზემოთ ნახსენები მარკერები, ოჯახზე მიჯაჭვულობა და კონსერვატიული სექსუალური პრაქტიკა, ერთი შეხედვით, ცალსახად კოლექტივისტური ტენდენციების არსებობაზე მიუთითებენ. თუმცა, რეალურად ვითარება სულაც არ არის ასე ცალსახა. რესპონდენტების სელფ-კონცეპტების შინაარსი საინტერესო კონფიგურაციას ქმნის, რომელიც სრული სახით არც ერთ კლასიკურ ტიპოლოგიაში არ ჯდება. რესპონდენტთა საუბრიდან ჩანს, რომ კოლექტივისტური ტენდენციების ფონზე ქართველებისთვის პირადი წარმატებაც ძალიან მნიშვნელოვანია. წარმატების მიღწევის შემთხვევაში ინდივიდი საზოგადოებაში სხვებისგან გამოიყოფა და ძალიან ფასდება. ამის გამო, საზოგადოების შიგნით მძაფრი კონკურენცია მიმდინარეობს. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ეთნიკური ქართველების მოქმედების მანერა უკიდურესად გამომწვევია და ხშირად მიმართულია საკუთარი ეგოზე ყურადღების მიქცევისაკენ. ქართული კულტურა ახალისებს ეპატაჟური და არტისტული ქცევების გამოვლინებას. არსებული დისკურსის მიხედვით, ქართველები ემოციური და გახსნილი ხალხია. ერთი შეხედვით ინდივიდუალურ და ჯგუფზე ორიენტირებულ ტენდენციებს შორის პარადოქსული წინააღმდეგობაა. თუმცა, საქმე ისაა, რომ ქართულ სოციოკულტურულ გარემოში ინდივიდუალური წარმატება უშუალოდ არის დაკავშირებული საკუთარი მცირე ჯგუფის[5] მდგომარეობასთან. მენტალურ დონეზე ინდივიდი მჭიდროდაა დაკავშირებული საკუთარი მცირე ჯგუფის წევრებთან. აღნიშნული მენტალური ფენომენი ინტენსიური კომუნიკაციის ფონზე ყალიბდება. არსებული ნარატივის/დისკურსის მიხედვით, არ არსებობს პირველადი ჯგუფისგან განცალკევებული პერსონალური წარმატება, როგორც ასეთი. თუ ჯგუფის რომელიმე წარმომადგენელი წარმატებას აღწევს, მაშინ საკუთრივ წარმატებულად გრძნობს თავს ოჯახის/საახლობლოს ყველა წევრი. საქმე გვაქვს არა ემოციებისა და შეხედულებების პერმანენტულ უბრალოდ

[5] უპირველეს ყოვლისა ოჯახი და საახლობლო იგულისხმება - ავტორის შენიშვნა

ურთიერთგაცვლასთან, არამედ უშუალოდ **თანაგანცდასთან.** ოჯახის წევრები და ახლობლები პიროვნული სამყაროს ნაწილად განიცდებიან. თითქოს, ოჯახის წევრები მოქმედებენ როგორც ერთი მთელი, და, არა როგორც ჯამი. ოჯახის წევრები ქართველთა სუბიექტური განცდების, შინაგანი დიალოგისა და მენტალური რეალობის განუყოფელი ნაწილი არიან. ეთნიკურ ქართველთა სელფი იმაზე უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი ოჯახის წევრების მენტალურ პროცესებთან, ვიდრე ამის ვარაუდი რელაციური ან კოლექტიური სელფის კონცეპტების მიხედვითაა (Brewer & Gardner, 1996). ერთ საზოგადოებაში ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტური ორიენტაციების თანაარსებობაზე არაერთი კვლევა მიუთითებს (Cagitsibasi, 2005). დევიდ მაცუმოტო მარკუზეს და კიტაიამას დამოუკიდებელი და ურთიერთდამოკიდებული სელფის მოდელის გასამყარებლად არასაკმარისი მტკიცებულებების შესახებ საუბრობს და ეჭვქვეშ აყენებს მის ადეკვატურობას (Matsumoto, 1999). სელფი შეიძლება მოიცავდეს როგორც ინდივიდუაციასა და ავტონომიურობაზე ორიენტირებულ, ისე კოლექტივისტურ ღირებულებებს, რომლებიც სიტუაციურად აქტივირდება (Brewer & Gardner, 1996). ცალკეული კვლევები კი მიუთითებენ, რომ ევროპული წარმოშობის ამერიკელებისთვის სოციალური ურთიერთობები საკმაოდ მნიშვნელოვანია და ისინი ამ მხრივ დიდად არ განსხვავდებიან იაპონელებისგან (Rothbaum, Pott, Azuma, Miyake, & Weisz, 2000). ზოგადად, ინტერპერსონალური კავშირების ქონა უნივერსალურ და ბაზისურ მოთხოვნილებას წარმოადგენს (Baumeister & Leary, 1995) და ყველა საზოგადოება ახერხებს ავტონომიურობისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების მოთხოვნილებების დაბალანსებას და ორივე მათგანის მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებას (Killen & Wainryb, 2007). საზოგადოებების ინდივიდზე ან ჯგუფზე ორიენტირებულად კლასიფიკაცია დასავლური პათოსს ავლენს (Cagitsibasi, 2005) და არასაკმარისია მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების ასახსნელად.

ეთნიკური ქართველების სელფს არ განსაზღვრავს მხოლოდ სოციალური როლი ან კოლექტივის წევრობის განცდა. ხაზს გავუსვამ, რომ ქართველებისთვის მნიშვნელობა აქვს

არა იმდენად მთელ საზოგადოებას, რამდენადაც უშუალოდ საკუთარ მცირე ჯგუფს, საახლობლოს. ინდივიდისა და მისი ოჯახის წევრების მენტალური პროცესები თანაშეზრდილი და მთლიანობითია. ოჯახის წევრები ეთნიკური ქართველების შინაგანი დიალოგის ნაწილი არიან, რასაც პერმანენტული ინტენსიური კომუნიკაცია ამყარებს. ვფიქრობ, რომ სახეზე გვაქვს „“დიალოგური სელფი“ “ (Hermans & Hermans-Konopka, 2012), რომელიც მოიცავს ინდივიდებს და მის ახლობელ ადამიანებს. შევნიშნავ, რომ ამგვარი ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი მონაცემები პირველად არ გვხვდება. ასე მაგალითად, უკანასკნელ ათწლეულებში განხორციელებული კვლევების მეტა-ანალიზი აჩვენებს, რომ ევროპული წარმოშობის ამერიკელებისთვის ინდივიდუალიზმთან ერთად ოჯახის ღირებულებაც საკმაოდ მნიშვნელოვანია (Oyserman, Coon, & Kemmelmeier, 2002).

ჩანს, რომ არაადეკვატურია მონაცემების წინასწარ გამზადებული სქემების მიხედვით ინტერპრეტირება. ჩვენს შემთხვევაშიც, შეუსაბამოა ქართველთა კოლექტივისტურ ან ინდივიდუალისტურ კულტურად თუ ჯგუფად ჩათვლა, რადგან არსებული სურათი უფრო სპეციფიკურია.

ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური ტენდენციები გადაჯაჭვული არიან ერთმანეთთან და ერთ, მთლიან ფსიქოსოციალურ კულტურულ პროცესს ქმნიან. აღინიშნა, რომ ქართველთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახლობელთა მცირე ჯგუფს და მათთან მიმართებაში მათი წარმოდგენები კოლექტივისტურია. თუმცა, ამ მცირე ჯგუფს მიღმა მყოფ ადამიანებთან/ჯგუფებთან მიმართებაში აქტივირდება მკვეთრად ინდივიდუალისტური და კონკურენტული ცხოვრების სტილი. ქართველებთან სახეზე გვაქვს მცირე ჯგუფებზე ორიენტირებული კულტურული მოდელი. ინდივიდები კოლექტივისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად მოქმედებენ საკუთარი მცირე ჯგუფის წევრებთან მიმართებაში, თუმცა, მის გარეთ მყოფთა მიმართ წინა პლანზე უკვე ინდივიდუალისტური მისწრაფებები იწევს.

<u>შეგვიძლია ვისაუბროთ შერეული ინდივიდუალისტურ-კოლექტივისტური მოდელის შესახებ.</u>

საბოლოოდ, თეორიული ანალიზისა და მონაცემთა დამუშავების შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. სელფი დიალოგური და მთლიანობითი მენტალური სტრუქტურაა.
2. "დიალოგური სელფი" ს მენტალური საზღვრები არ არის მკაფიო. სელფი პროცესია და არა ფიქსირებული სტრუქტურა. ის უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ საკუთრივ პერსონალური იდენტობა.
3. სელფის დინამიკურობასა და პროცესუალურობას მისი დიალოგური ხასიათი განსაზღვრავს. სელფი მისი შემადგენელი ელემენტებისა და შინაგანი დიალოგის შედეგად ფორმირდება. ფორმირების პროცესი დაუსრულებელია.
4. "დიალოგური სელფი" და მისი შემადგენელი ელემენტები ყოველ კონკრეტულ სოციოკულტურულ კონტექსტში არსებული სპეციფიკის მიხედვით განისაზღვრება.
5. ეთნიკური ქართველების "დიალოგური სელფი" , უშუალოდ პერსონალური იდენტობის გარდა, ასევე მოიცავს ოჯახის/ახლობლების ხატებს, რომლებიც პიროვნების შინაგანი დიალოგში მონაწილეობენ და ამ პროცესში ახდენენ მის ფორმირებას.
6. ეთნიკური იდენტობა და მასთან დაკავშირებული ყველა დისკურსი დიალოგური სელფის მთლიანი პროცესის განუყოფელი ნაწილია.
7. ეთნიკური იდენტობა განსაზღვრავს პიროვნების ადგილს მრავალფეროვან სემანტიკურ სამყაროში და უზრუნველყოფს მას (დროში) განგრძობითობის შეგრძნებით. ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული დისკურსები გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს და ეხმარება ადამიანს გარემოში ორიენტაციაში.

8. ეთნიკურობასთან დაკავშირებული დისკურსები და წარმოდგენები აწესრიგებს პიროვნების ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროს, განსაზღვრავს ცხოვრებისეულ პრიორიტეტებს, საკვანძო ნორმებსა და ღირებულებებს. მეტიც, ეთნიკურობა განსაზღვრავს ქცევითი სტრატეგიისა და ზოგადად, გამოხატვის ფორმის სპეციფიკურ თავისებურებებს. შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკურობა 'ინტენციონალური სამყაროს' ბირთვულ კომპონენტს წარმოადგენს.

შედეგების მნიშვნელობა

მიღებული შედეგები შესაბამისობაშია და ადასტურებს თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიის მიერ შემოთავაზებული ძირითად პოსტულატს, რომელიც პიროვნებისა და გარემოს ურთიერთგანპირობებულობას გულისხმობს. რესპონდენტები, ერთის მხრივ, მათი ინდივიდუალური წარმოდგენების და მეორეს მხრივ, გარემოსთან ადაპტაციის პირობებში ცხოვრობენ. გარემო უშუალოდ არის ჩართული ინდივიდუალურ ფსიქიკურ პროცესებში და პერსონის მაფორმირებელ ფაქტორს წარმოადგენს. თავად სოციოკულტურული გარემო კი, ინდივიდების მიერ სოციოკულტურული გარემოს/შინაარსების ინტერპრეტაციის რეპრეზენტაციას წარმოადგენს. მენტალური რეალობა მრავალკომპონენტიანია და თითოეულ ელემენტს საკვანძო მნიშვნელობა აქვს.

ასევე, ვხედავთ, ინტერდისციპლინური მიდგომის ღირებულებას. თეორიული ანალიზისა და მონაცემთა დამუშავების პროცესში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მიზანშეწონილია და შესაძლებელია სოციალური მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინებში დაგროვებული ცოდნის ინტეგრაცია. სოციოლოგიისა და პიროვნების/სოციალური ფსიქოლოგიის ჩარჩოებში მოპოვებული თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემები ამყარებს ანთროპოლოგიურ მეცნიერებაში არსებულ თეორიულ მიდგომებს და პირიქით.

ეთნიკური იდენტობის წინამდებარე კვლევის ფარგლებში მეტ-ნაკლები სიღრმით მოხდა განსხვავებული ცხოვრებისეული ასპექტების შესწავლა (რელიგიური ფაქტორი;

გენდერული იდენტობა; სელფის კვლევა), რამაც მომავალში, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ამ მიმართულებებით ვიწროპროფილური კვლევების განხორციელებას.

ბიბლიოგრაფია

ბაქრაძე, ა. (1986). მკვახე შეძახილი. სულის ზრდა. თბილისი.

სურმანიძე, ლ. (1998). *ქალი ქართულ მენტალიტეტში.* თბილისი: UNDP.

სურმანიძე, ლ. (2010). *კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში.* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.

სურმანიძე, ლ. (2011). ფსიქოანთროპოლოგიური მახასიათებლები ქართულ ფოლკლორულ ზეპირსიტყვიერებაში. *საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე.*

(n.d.). Retrieved from Merriam-Webster Dictionary: http://www.merriam-webster.com/dictionary/epater%20les%20bourgeois

Anderson, B. (2006). *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism.* London: Verso.

Aron, A., & Aron, E. (1986). *love and the expansion of self: Understanding attraction and satisfaction.* New York: Hemisphere.

Barth, F. (1969). *Ethnic groups and boundaries. The social organization of culture difference.* Oslo: Universitetsforlaget.

Bauer, M. (1996, October). *The narrative interview: comments on a technique for qualitative data collection.* Retrieved from Department of Methodology, London School of Economics and Political Science: http://www.lse.ac.uk/methodology/pdf/QualPapers/Bauer-NARRAT1SS.pdf

Baumeister, R. (1999). The Nature And Structure of The Self: An Overview. In R. Baumeister, *Self in Social Psychology: Key Readings* (pp. 1-21). Philadelphia : Psychology Press.

Baumeister, R. F., & Leary, M. R. (1995). The Need to belong: Desire for Interpersonal Attachments as a Fundamental Human Motivation. *Psychoogical Bulletin, 117*, 497-529.

Benedict, R. F. (1934). *Patterns of Culture.* New York: Houghton Mifflin.

Benedict, R. F. (1946). *The Chrysanthemum and the Sword: Patterns of Japanese Culture.* Boston: Houghton Mifflin.

Berghe, P. V. (1987). *The Ethnic Phenomenon.* Westport, Connecticut: Greenwood Press.

Berghe, P. V. (1995). Does Race Matter? *Nations and Nationalism*, 359+368.

Bock, P. (1999). *Rethinking Psychological Anthropology: Continuity and Change in the Study of Human Action.* Prospect Heights: Waveland Pr Inc.

Brewer, M. B., & Gardner, W. (1996). Who is this "We"? Levels of Collective Identity and Self Representations. *Journal of Personality and Social Psychology, 71*, 83-93.

Brubaker, R. (2006). *Ethnicity without Groups.* Harvard University Press.

Butler, J. (2004). *Undoing Gender.* New York: Routledge.

Cagitsibasi, C. (2005). Autonomy And Relatedness In Cultural Context, Implications For Self And Family. *Journal of Cross-Cultural Psychology*, 403-422.

Caporael, L. R. (1995). Sociality: Coordinating Bodies, Minds and Groups. *PSYCOLOQUY*(1). doi:ISSN 1055-0143

Caucasus Research Resource Centers. (n.d.). Retrieved from "Caucasus Barometer" (2008-2015): http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/

Cohen, A. (1969). *Custom and politics in urban Africa.* Berkeley: University of California Press.

Cole, M. (1998). *Cultural Psychology: A Once and Future Discipline.* Cambridge, Massachusetts: The Belknap Press.

Connor, W. (1993). *Ethnonationalism .* Princeton: Princeton university Press.

Constitution of Georgian Republic. (1995).

Coyne, I. T. (1997). Sampling in Qualitative research. Purposeful and Theoretical Sampling; Merging or clear Boundaries? *Journal of Advanced Nursing*, 623-630.

Cutclife, J. R. (2000). Methodological issues in Grounded Theory. *Journal of Advanced Nursing*, 1476-1484.

DeVos, G. A., & editors, L. R.-R. (1975). *Ethnic Identity. Cultural Continuities and Change.* Mayfield.

Durkheim, E. (2008). *The Elementary Forms of Religious Life.* New York: Oxford University Press.

Eller, J. D. (2009). *Cultural Anthropology Global forces Local Lives.* New York, USA: Routledge.

Elliot, R., Fischer, C. T., & Rennie, D. L. (1999). Evolving Guidelines for Publication of Qualitative Research Studies in Psychology and related research fields. *British Journal of Clinical Psychology*, 215-229.

Erikson, E. H. (1968). *Identity, youth and crisis.* New York: W. W. Norton Company.

Fishman, J. (1980). Social Theory and Ethnography. In P. Sugar, *Ethnic diversity and conflict in eastern europe* (pp. 84-96). Santa Barbara: ABC-Clio.

Franklin, K. J. (2009). *Etic and Emic Stories.* Retrieved from http://www.gial.edu/documents/gialens/vol3-2/franklin-etic-emic-stories.pdf

Fromm, E. (1994). *Escape from Freedom.* Holt Paperbacks; Owl Book ed edition.

Gallup, J. G. (1977). Self-recognition in primates: A comparative approach to the bidirectional properties of consciousness. *American Psychologist, 32*(5), 329-338.

Giddens, A. (1976). *New Rules of Sociological Method: Positive critique of interpretive sociologies.* London: Hutchinson.

Goffman, E. (1959). *The presentation of self in everyday life.* Anchor.

Gorer, G., & Rickman, J. (1950). *The People of Great Russia: A Psychological Study.* New York: Chanticleer Press.

Greig, R. (2003). Ethnic identity development: Implications for mental health in African-American and Hispanic adolescents. *Issues in mental health nursing*, 317-331.

Haan, M. d. (2011). The construction of ethnic boundaries in classroom interaction through social space. *Culture & Psychology*(17), 319–338.

Hammack, P. L. (2008, May 9). Narrative and Cultural Psychology of Identity. *Personality and Social Psychology Review*, pp. 222-247. Retrieved from http://psr.sagepub.com/content/12/3/222

Hechter, M. (1986). A rational choice approach to race and ethnic relations. In D. Mason, & J. Rex, *Theories of race and ethnic relations* (pp. 268-277). Cambridge University Press.

Hergenhahn, B. R., & Henley, T. (2013). *An Introduction to the History of Psychology.* Belmont: Wadsworth Publishing.

Hermans, H. (2001). The Dialogical Self: Toward a Theory of Personal and Cultural Positioning. *Culture & Psychology*(7), 243-281.

Hermans, H., & Hermans-Konopka, A. (2012). *Dialogical Self Theory: Positioning and Counter-Positioning in a Globalizing Society.* Cambridge: Cambridge University Press.

Hirsch, E. D. (1967). *Validity in interpretation.* New Heaven: Yeal University Press.

Hobsbawm, E. J., & Ranger, T. (1983). *The Invention of Tradition.* Cambridge: Cambridge University Press.

Hollan, D. (2000). Constructivist Models of Mind, Contemporary Psychoanalysis,. *American Anthropologist*, 538-550.

Horowitz, D. L. (2001). *Ethnic Groups in Conflict.* Berkley and Los Angeles, California: University of California Press.

Hutchinson, J., & Smith, A. D. (1996). *Ethnicity.* New York: Oxford University Press.

James, W. (1890). *The Principles of Psychology.* New York: Henry Holt.

Jenkins, R. (2008). *Rethinking Ethnicity.* London: SAGE Publications Ltd.

Jones, S. (2002). *The Archaeology of Ethnicity: Constructing Identities in the Past and.* London And New York: Routledge.

Killen, M., & Wainryb , C. (2007). Independence and interdependence in diverse cultural contexts. *New Directions for Child and Adolescent Development, 2000*, 5–21.

King, D. B., Viney, W., & Woody, W. D. (2008). *A History of Psychology: Ideas and Context.* Pearson.

Kristesashvili, J., Surmanidze, L., Tsuladze, L., Shengelia, L., & Zardiashvili, P. (2009). *Adolescent reproductive healt survey in Georgia (Reproductive health initiative for youth in the south caucasus).* Tbilisi: UNFPA.

Lepper, G., & Riding, N. (2006). *Researching the Psychoterapic Process.* London: Palgrave.

Lindholm, C. (2007). *Culture and Identity. The History, Theory, and Practice of Psychological Anthropology.* Oxford: Oneworld Publications.

Linger, D. T. (2007). Identity. In C. Casey, & Robert B. Edgerton, *A Companion to psychological anthropology: modernity and psychocultural change.* Blackwel Publishing LTD.

Madil, A., & Gough, B. (2008). Qualitative Research and its place in Psychological Science. *Psychological Methods*, 254-271.

Marcia, J. A. (1993). The relational roots of identity. In J. Kroger, *Discusions on ego identity* (pp. 101-120). Hilsdale: Lawrece Erlbaum.

Marcia, J. E. (1966). Development and validation of ego identity status. *Journal of Personality and Social Psychology*, 551-558.

Marcia, J. E. (1967). Ego identity status: Relationship to change in self-esteem, "general maladjastment", and "authoritarianism". *Journal of Personality*, 118-133.

Marcia, J. E. (1980). Identity in Adolescence. In J. Adelson, *Handbook of adolescent psychology* (pp. 159-187). New York: John Wiley.

Markee, N. (2013). Emic and Etic in Qualitative Research. In C. A. Chapelle, *The Encyclopedia of Applied Linguistics.* Blackwell Publishing Ltd.

Markus, H. R., & Kitayama, S. (1991). Culture and the self: Implications for cognition, emotion, and motivation. *Psychlogy Review, 2*, 224-253.

Mason, M. (2010). Sample Size and Saturation in PHD Studies Using Qualitative Interviews. *Forum: Qualitative Social Research, 11*(3).

Matsumoto, D. (1999). Culture and Self: An Empirical Assessment of Markus and Kitayama's Theory of Independent and Interdependent Self-Construals. *AsianJournal of Social Psychology*(2), 289-310.

Mccall, G. J., & Simmons, J. L. (1966). *Identities and interactions: An examination of Human essociations in everyday life.* New York: Free Press.

Mead, G. H. (1934). *Mind, Self and Society.* Chicago: The University of Chicago Press.

Meluci, A. (1996). *Chalenging codes: Collective action in the information age.* Cambridge: Cambridge University Press.

MORRIS, M. W., LEUNG, K., AMES, D., & LICKEL, B. (1999). VIEWS FROM INSIDE AND OUTSIDE: INTEGRATING EMIC AND ETIC INSIGHTS ABOUT CULTURE AND lUSTICE JUDGMENT. *Academy ol Management Review*, 781-796.

Nagel, J. (1994, February). Constructing Ethnicity: Creating and recreating Ethnic Identity and Culture. *Social Problems, 41*, 152-176. Retrieved from http://www.jstor.org/discover/10.2307/3096847

Nash, M. (1993). *The Cauldron of Ethnicity in the Modern World.* Chicago: University Of Chicago Press.

National statistics office of Georgia. (2015, may). Retrieved from http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/agceris%20cinascari%20shedegebi_30.04.2015.pdf

Norris, P., & Inglehart, R. (2004). *Sacred and Secular: Religion and Politics Worldwide.* Cambridge University Press.

Official web-page of National statistics office of Georgia. (2015, May). Retrieved from http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/agceris%20cinascari%20shedegebi_30.04.2015.pdf

Orlofsky, J. L., James E. Marcia, & I. M. Lesser. (1973). Ego identity status and the intimacy versus isolation crisis of adulthood. *Journal of personality and social psychology, 27*, 211-219.

Owens, T. J. (2006). Self and Identity. In J. Delamater, & J. Delamater (Ed.), *Handbook of Social Psychology* (pp. 205-233). Madison, , Wiskonsin, USA: Springer.

Oyserman, D., Coon, H., & Kemmelmeier, M. (2002). Rethinking Individualism and Collectivism: Evaluation of Theoretical Assumptions and Meta-Analyses. *Psychological Bulletin, 128*, 3-72.

Patton, M. (2002). *Qualitative Research and Evaluation Methods.* Thousand Oaks.

Rayfield, D. (2012). *Edge of Empires: A History of Georgia.* London: Reaktion Books.

Rennie, D. L. (2012). Qualitative Research as Methodological Hermeneutics . *Psycholgical Methods*, 385-398.

Robinson, O. C. (2014). Sampling in Interview-based Qualitative Research: A Theoretical and Practical Guide. *Qualitative Research in Psychology*, 25-41.

Rosa, A., & Blanco, F. (n.d.). ACTUATIONS OF IDENTIFICATION IN THE GAMES OF IDENTITY. Madrid. Retrieved from https://www.uam.es/ss/Satellite/Psicologia/en/1242653130931/1242652874954/persona/detallePDI/Rosa_Rivero,_Alberto.htm

Ross, L., & Nisbett, R. (2011). *The Person and the Situation: Perspectives of Social Psychology.* Pinter & Martin Ltd; 2nd Edition edition.

Rothbaum, F., Pott, M., Azuma, H., Miyake, K., & Weisz, J. (2000). The Development of Close Relationships in Japan and The United States: Paths of Symbiotic Harmony and Generative Tension. *Child Development, 71*, 1121-1142.

Schachter, E. (2005). Context and Identity Formation: A Theoretical Analysis and a Case Study. *Journal of Adolescent Research*, 375-395.

Schweder, R. A. (1984). Anthropology's romantic rebellion against the enlightenment, or there's more to thinking than reason and evidence. In R. A. Shweder, & R. A. LeVine, *Culture Theory: Essays on Mind, Self and Emotion* (pp. 27-67). Cambridge: Cambridge University Press.

Schweder, R. A. (1990). Cultural psychology: What is it? In *Cultural Psychology: Essays on comparative human development.* Cambridge University Press.

Schweder, R. A. (2001). Moral maps, "first world" conceits and the new evangelists. In S. Huntington, & L. Harrison, *Culture Matters: How Values Shape Human Progress* (pp. 158-178). New York: Basic Books .

Schweder, R. A. (2003). *Why Do Men Barbecue?: Recipes for Cultural Psychology.* Harvard University Press.

Shweder, R. A. (1991). *Thinking Through Cultures: Expeditions in Cultural Psychology.* Harvard University Press.

Shweder, R. A., & LeVine, R. A. (1984). *Culture Theory: Essays on Mind, Self and Emotion.* Cambridge : Cambridge University Press.

Silverman, D. (1993). *Qualitative Research - Theory, Method and Practice.* London: Sage.

Simon, B., & Hamilton, D. (1994). Self-stereotyping and social context: The effects of relative in-group size and in-group status. *Journal of Personality and Social Psychology, 66*, 699-711. doi: http://dx.doi.org/10.1037/0022-3514.66.4.699

Smith, A. D. (1991). *The Ethnic Origins of Nations.* Oxford, UK: Wiley-Blackwell; Reprint edition.

Stigler, J. W., Schweder, R. A., & Herdt, G. (1990). *Cultural Psychology: Essays on Comparative Human Development.* Cambridge : Cambridge University Press.

Surmanidze, L. (1994). *Experimental Studies of Georgian Mentality (on the Basis of Folk Idioms). Disertation, Candidate of Sciences in Psychology.* Tbilisi: Handwriting Copywrite.

Surmanidze, L. (2010). Стереотипы в свете культурных. *ВЕСТНИК Российского университета дружбы народов*, 41-51.

Tajfel, H. (1981). *Human Groups and Social Categories.* Cambridge: Cambridge University Press.

Tajfel, H., & Turner, J. C. (1979). An Integrative Theory of Intergroup Conflict. In W. G. Austin, & S. Worchel, *The Social Psychology of Intergroup Relations.* Monterey: Brooks-Cole.

Tonkin, E., Mayron McDonald, & Malcolm Chapman. (1989). *History and Ethnicity (Asa Monographs).* Routledge.

Triandis, H. C. (1989). The Self and Social Behavior in Differing Cultural Contexts . *Psychological Review*, 506-520 .

Triandis, H. C. (1995). *Individualism And Collectivism.* Westview Press.

TROPP, L. R., & WRIGHT, S. (1999). Ingroup identification and relative deprivation: An examination across multiple groups social comparisons. *European Journal of Social Psychology*, 707- 724.

Turner, J. C., Penelope J. Oakes, S. Alexander Haslam, & Craig Mcgarty. (1994). Self and Collective: Cognition and Social Context. *Personality and Social Psychology Bulletin*, 454-463.

Valsiner, J. (2003). Culture and its Transfer: Ways of Creating General Knowledge Through the Study of Cultural Particulars. *Online Readings in Psychology and Culture, 2(1).* doi:http://dx.doi.org/10.9707/2307-0919.1013

Valsiner, J., & Rosa, A. (2007). *The Cambridge Handbook of Sociocultural Psychology.* Cambridge etc.: Cambridge University Press; 1 edition .

Weber, M. (1978). *Economy and Society, An outline of interpretive sociology.* Berkley; Los Angeles; London: University of California Press.

Weber, M. (2005). *The Protestant ethic and the spirit of capitalism.* London and New York: Routledge.

Wertsch, J. (1997). Narrative tools for history and identity. *Culture and Psychology*, 5-20.

Wetherell, M. (2009). *Identity in the XXI century: New trends in changing time.* New York: Pallgrave Mcmillan.

Wetherell, M. (2009). Introduction. In M. Wetherell, *Identity in 21 century, New Trends In Changing Time.* New York: Palgrave Mcmilan.

Wundt, w. (2007). *Elements of Folk Psychology - Outline of a Psychological History of the Development of Mankind.* Blakiston Press.

Гердер, И. Г. (1977). *Идеи к философии истории человечества.* Москва: "Наука".

Дембицкий, С. (2015). Выборка в качественных исследованиях. Moscow, Russia. Retrieved from http://soc-research.info/principles/6-2.html#sthash.pfqXgJ1j.dpuf

Лурье, С. (2005). *Психологическая антропология: история, современное состояние, перспективы.* Академический проект.

Орлова, Э. А. (2010). In *ВОПРОСЫ СОЦИАЛЬНОЙ ТЕОРИИ* (Vol. 4, pp. 87-111).

Стефаненко, Т. Г. (2009). *Этнопсихология.* Аспект Пресс.